ИОНА ХЕЛАШВИЛИ

# КНИГА ТРИДЦАТИЧЕТЫРЕХ ВОПРОСОВ

(ФИЛОСОФСКАЯ ЧАСТЬ)

ПОДГОТОВКА ТЕКСТА, ПРЕДИСЛОВИЕ И СЛОВАРЬ
ГУЛЬНАРЫ ДЕДАБРИШВИЛИ

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА"
ТБИЛИСИ
1967

იონა ხელაშვილი

# ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი

(ფილოსოფიური ნაწილი)

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო
გულნარა დედაბრიშვილმა

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1967

1 ф (с 41)
1 (47.922) [ხელაშვილი]
6394

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი მოაზროვნის იონა ხელაშვილის ფილოსოფიური შეხედულებანი, ხოლო მეორე ნაწილში ქვეყნდება თვით ი. ხელაშვილის ნაშრომი „34 შეკითხვის წიგნი", ფილოსოფიური ნაწილი.

1—5—1
137—1967 წ. ადგ.

# ი. ხელაშვილი და მისი „34 შეკითხვის წიგნი"

იონა ხელაშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. ნაშრომი „34 შეკითხვის წიგნი" ყველაზე საყურადღებო ნაშრომია მისი მრავალრიცხოვანი შრომებიდან.

ი. ხელაშვილისადმი დიდ ყურადღებას XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული იდეოლოგიური ცხოვრების წარმომადგენელთა მხრივ ადასტურებს მისი ხშირი მოხსენიება, წერილები, ლექსები, მიძღვნანი, რომლებიც ამ პერიოდის მოღვაწეთა ნაშრომებშია შემორჩენილი[1].

ი. ხელაშვილი დაიბადა 1772 წ. კახეთში, სოფ. ვაქირში, ღარიბ ოჯახში; ი. ხელაშვილის ნიჭმა და სწავლისადმი მისწრაფებამ მიიპყრო ერეკლე II და გიორგი XIII ყურადღება, რომელთა დახმარებით იგი სხვადასხვა დროს სწავლობდა ვაქირში, თბილისში, თელავში, გრემში, შიო მღვიმეში, ქვათახევის მონასტერში. უსწავლია თელავის სემინარიაშიც.

1803 წელს, როდესაც უკანასკნელი ქართველი მეფის მემკვიდრეები და დედოფლები, რუსეთის მეფის ბრძანებით, პეტერბურგში გადაასახლეს, ი. ხელაშვილიც ნებაყოფლობით მათ გაყოლია. ცხოვრობდა ვორონეჟში, მოსკოვში, 1806 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პეტერბურგში. პეტერბურგში იგი სამი წლის განმავლობაში სწავლობდა ფილოსოფიას ბატონიშვილების მიხეილისა და იოანეს ხელმძღვანელობით. ხელაშვილს შეუსწავლია „ფილოსოფია ძუჩლი ათინელთა და ახალი გერმანიისა", „იოანე დამასკელისა წიგნი ოთხნი", სპეციალურად მუშაობდა რა იოანე დამასკელის ფილოსოფიაზე.

---

[1] ი. ხელაშვილს მიუძღვნეს ლექსები ს. დოდაშვილმა, იოანე, თეიმურაზ და მირიან ბაგრატიონებმა, ს. რაზმაძემ, პ. ლარაძემ და სხვებმა.

დავით ბატონიშვილის რეკომენდაციით და რუსეთის იმპერატორის ალექსანდრეს მეოხებით, იონა მიიღეს პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემიაში, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების კლასში. აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი აღკვეცეს ბერ-მონოზნად, აკურთხეს იერო-დიაკონად. შემდეგ, სხვადასხვა დროს, იგი იყო დავით და თეიმურაზ ბატონიშვილების, დედოფალ ანას და დედოფალ მარიამის სულიერი მოძღვარი.

ი. ხელაშვილი გარდაიცვალა 1837 წ. პეტერბურგში; დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში[2].

როგორც ავტორთა მიძღვნანი ადასტურებს, ი. ხელაშვილის თხოვნით, დავალებით თუ ხელმძღვანელობით ითარგმნა და დაიწერა მრავალი მნიშვნელოვანი თხზულება: იოანე ბაგრატიონის „გრამატიკა", თეიმურაზ ბაგრატიონს შეუსრულებია თარგმანი წიგნისა „პსჯანი არისტოტელისანი სათნოებათა და ბიწთათვის"[3], სვიმონ ვაჩნაძეს — „სწავლა ზნეობითი და კანონი პატიოსანი კაცისა"[4], გიორგი ჩუბუნოვს—„მანსილიონის ქადაგება სიკვდილისათვის ცოდვილისა"[5] და სხვ. რუსულიდან თარგმნიდა თვითონ ხელაშვილიც. ხელაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ლაპარაკობს ისიც, რომ იგი არის დიდი ქართველი მოღვაწისა და მეცნიერის სოლომონ დოდაშვილის მასწავლებელი-აღმზრდელი.

ი. ხელაშვილის სამწერლო მოღვაწეობის ნაყოფიერებას ადასტურებს 43 სქელტანიანი თხზულება, მოხსენებული მისგანვე შედგენილ სიაში[6]. გარდა ამისა შემონახულია ი. ხელაშვილის მიმოწერა მის თანამედროვე მოღვაწეებთან ორ წიგნად. ი. ხელაშვილის ყველა ხელნაწერი არაა დაცული. იონას სიცოცხლეშივე დაიკარგა მისი ლექსიკონი. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები დაცულია საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტსა და ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ი. ხელაშვილის არც ერთი ნაწარმოები დაბეჭდილი არ არის.

---

[2] 1967 წელს სრულდება 130 წელი ი. ხელაშვილის გარდაცვალებიდან.
[3] S—142.
[4] H—1197, H—851.
[5] S—2226.
[6] S—333, S—2226, S—416 და სხვ.



ი. ხელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც საქართველო და ამიერკავკასია მეფის რუსეთს შეუერთდა. ქართველი ხალხი რუსეთთან ერთად დაადგა კაპიტალიზმის განვითარების გზას. რუსეთის თვითმპყრობელობის მხრივ ეროვნულ კოლონიურ ჩაგვრასთან ერთად საქართველო რუსი ხალხის კულტურულ-ეკონომიური ცხოვრების გავლენასაც განიცდიდა.

რუსეთის სააზროვნო ვითარებაში არსებული მდგომარეობის მსგავსად ამ პერიოდის ქართველ მოაზროვნეთა ერთი ნაწილი მატერიალისტური ფილოსოფიის შეთვისებისაკენ მიისწრაფვის (დ. ბაგრატიონი, თ. ბაგრატიონი), ხოლო მეორე რჩება იდეალიზმისა და თეოლოგიური ფილოსოფიის პოზიციებზე. ამ ჯგუფის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ი. ხელაშვილი[7], რომელიც, როგორც აღნიშნავს აკად. შ. ნუცუბიძე, გააფთრებით იბრძვის მატერიალისტური ფილოსოფიისა და მის მიღწევათა შეთვისების წინააღმდეგ. ი. ხელაშვილი ამ ხაზის მთავარი წარმომადგენელია XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ სინამდვილეში.

ი. ხელაშვილის ნაწარმოების „34 შეკითხვის წიგნის" მნიშვნელობა სწორედ იმაშია, რომ იგი ასახავს მატერიალიზმისა და იდეალიზმის წინააღმდეგობას XIX ს. საქართველოში; ამ იდეოლოგიური ბრძოლის გათვალისწინება-შესწავლის გარეშე კი შეუძლებელია გარკვევა ამ პერიოდის იდეოლოგიური ცხოვრების თავისებურებაში.

ი. ხელაშვილის „34 შეკითხვის წიგნი" წარმოადგენს კითხვა-პასუხის ფორმით დაწერილ ნაწარმოებს. როგორც მისი შესავლიდან ირკვევა, მასში აღძრული კითხვები ი. ხელაშვილის წინაშე დაუყენებია გამოჩენილ ქართველ მოღვაწესა და მწერალს იოანე ბაგრატიონს. ვრცლად დაწერილი პასუხები ეკუთვნის იოანე ხელაშვილს. ცხადია, რომ განსახილველი საკითხების წრეს განსაზღვრავდა შემკითხველი, ხოლო პასუხები წარმოადგენს ი. ხელაშვილის შეხედულებების გადმოცემას ფილოსოფიურ საკითხებზე, რაც მისი მსოფლმხედველობის გაცნობის შესაძლებლობას იძლევა[8].

დასმული კითხვების ხასიათის მიხედვით, წიგნი 3 ნაწილად

---

7 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, გვ. 434.
8 ნაშრომი „34 შეკითხვის წიგნი" ინახება ხელნაწერის სახით საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში. ნაშრომი შენახულა ორ ცალად (H—791 და მეორე S—306).

იყოფა: პირველია ფილოსოფიური ნაწილი, რომელიც ამჟამად ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს. მეორე, კითხვები და პასუხები ღვთისმეტყველებიდან[9], და მესამე, კითხვები და პასუხები ფსალმუნებიდან.

ნაშრომი დაწერილია 1826 წელს. კითხვების მიცემის მიზანს შეადგენდა, როგორც ჩანს ბაგრატიონის მიერ მათი გამოყენება საკუთარი თხზულებისათვის — „კალმასობა", რომლის ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს იონა ხელაშვილი წარმოადგენს.

გამოიყენა თუ არა ი. ბაგრატიონმა ხელაშვილის პასუხები ან რა სახით, ჩვენ ამ კითხვებს არ ვეხებით. „34 შეკითხვის წიგნი" ამჟამად საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი ი. ხელაშვილის შეხედულებათა გაცნობის საშუალებას გვაძლევს.

ამ წერილში შევეცდებით გადმოვცეთ ი. ხელაშვილის შეხედულებები ფილოსოფიის სხვადასხვა საკითხებზე, არა მხოლოდ წინამდებარე ნაშრომის მიხედვით, არამედ ი. ხელაშვილის მთელი მემკვიდრეობის გათვალისწინებით, რომელთა გვერდის ავლა ი. ხელაშვილის შეხედულებების გადმოცემის დროს გამართლებული არ იქნებოდა. ამ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი, ი. ხელაშვილის მსოფლმხედველობის სწორი შეფასების თვალსაზრისით, მის თეოლოგიურ კონცეფციას უჭირავს.

---

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდის აღწერილობაში ხელნაწერი H—791 ჩათვლილია არა ავტოგრაფად, არამედ იოანე ბატონიშვილის მიერ გადაწერილად. ნამდვილად ეს ხელნაწერი (S—791) ხელაშვილის ხელითაა დაწერილი და ავტოგრაფს წარმოადგენს, ხოლო ხელნაწერი S—306 სწორედ ი. ბაგრატიონის თუ მისი გადამწერლის ნამუშევარს გავს.

ამ ტექსტის დადგენის დროს ჩვენ ორივე ხელნაწერით ვსარგებლობთ, მაგრამ საფუძვლად ი. ხელაშვილის ავტოგრაფული ცალია აღებული.

9 იმის საჩვენებლად, თუ რას წარმოადგენს ეს ორი უკანასკნელი ნაწილი, მოვიყვანთ ზოგიერთი თავის დასახელებას ამ ნაწილებიდან. ასე მაგ., მეორე ნაწილის თ. I—ილოცეთ და მიეცით უფალსა ღმერთსა თქუჱნსა. რაჲ არს ლოცუა. თ. II—ღმერთო განმთხუნ ჩუჱნ იხილენ თუ რათ არს ბრალი განთხევისა და ცოდვისა და შერისხვისა და შეწყალებისა ზეგარდმო და სხვ. თავები მესამე ნაწილიდან: თ. I — უკეთუ გვკითხოს წინააღმდეგმან განჴორციელებისათვის იესო ქრისტესსა სახითა ამით ვითარმც უკეთუ იშვა არა იყო. და უწინარეს შობისა არა იყო და არა რაჲსაგან არსება მიიღო. იხილენ სიტყჳსგებანი მტერთა მიმართ წმიდისა სახარებისა და სხვ.



## § 1. იონა ხელაშვილის თეოლოგიური კონცეფცია

ფილოსოფიის ძირითადი საკითხი ი. ხელაშვილისათვის გარკვეულია. სამყარო ღმერთის შექმნილია. დამბადებელი ტრანსცენდენტურია დაბადებულთა მიმართ.

ღმერთი მარტივი, უნივთო, ცხოველმყოფი სულია, ე. ი. არ არის ხორციელი და მას არა აქვს განფენილობა. მას არ აქვს კონკრეტული სახე. იგი არ არის განსახიერებული არაფერში. „მას ხატი და ნაკუჱთი და ფერხი და სახე და ნათესავი არარაჲ აქვს და არა ეზიარების სული ღმერთისა არავის"[10].

ღმერთი უმიზეზოა. იგი თავისთავად არსებობს, ე. ი. თვითმიზეზია. ყველაფრის მიზეზია, თითონ კი მიზეზი არა აქვს. თავისი არსებობისათვის არ საჭიროებს სხვა რაიმეს არსებობას. იგი არ შეიძლება დახასიათდეს რაოდენობის, თვისების, ადგილის, დროისა და სხვა ნიშნების მიხედვით, რომლითაც ყველა დანარჩენი საგნები ხასიათდება. არაფერს არა აქვს ღვთის მსგავსი არსებობა.

მიზეზი სამყაროში მრავალია, მაგრამ მათ შორის ღმერთი პირველი მიზეზია, უპირველესი მიზეზი ანუ მიზეზების მიზეზი. დანარჩენი მიზეზები საბოლოო ჯამში მხოლოდ „მიზეზოვანი" არიან, ე. ი. ამ პირველი მიზეზით განსაზღვრული მიზეზები. პირველ მიზეზზე არის დამოკიდებული ყოველი არსებული, იგი აძლევს მათ არსებობას, მაგრამ თვით კი არაფერზე არ არის დამოკიდებული[11]. ყოველი არსებული ეზიარება ღმერთს, ღმერთი კი არაფერს სხვას არ ეზიარება, იგი თვით არსია.

ღმერთი უკვდავია, მარადიული. იგი არის პირველი და უკანასკნელი. მისი მარადიულობა ნიშნავს იმას, რომ იგი არ იცვლება, არსებობს მარადის. მას არა აქვს წარსული ან მომავალი, ვინაიდან იგი ცვალებადობაში არ იმყოფება. იგი ან როგორ უნდა მოძრაობდეს, როცა მის გარეშე არაფერი არ არის. ან რატომ, რა მიზნით უნდა მოძრაობდეს, როცა ყველაფერი მას თავის თავში აქვს? ღმერთი ამოძრავებს ყველაფერს, თითონ კი უძრავია (34 შეკითხვის წიგნი, თავი 13). მთელი ადამიანური მოძრაობის და მოქმედების წყა-

---

10 S—254, გვ. 67, სნეულთ ნუგეში.

11 იხ. 34 შეკითხვის წიგნი, თავი 7—რაჲ არს მიზეზი და რაჲ—არს მიზეზოვანი.

[illegible] ღმერთი წარმოადგენს. ი. ხელაშვილი ადამიანის ქცევის დეტერმინისტული (თეოლოგიური დეტერმინიზმი) გაგების პოზიციებზე იდგა[12].

ღმერთი ყოვლად ძლიერია. მის ბრძანებას ემორჩილება მზე, მთვარე, ვარსკვლავები და ყველა სხვა ციური სხეულის მოძრაობა. ღმერთი არის მათი მოძრაობის და, საერთოდ, არსებობის მიზეზი.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ხელაშვილი თეოლოგიურ მოძღვრებას ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას აძლევს.

ი. ხელაშვილი თითქოს სიტყვასიტყვით იმეორებს არისტოტელეს მოძღვრებას უძრავი-მამოძრავებელის შესახებ და მას ქრისტიანული მოძღვრების მიზნებს უმორჩილებს. ამ გაგებით ხელაშვილის ფილოსოფია თეოლოგიურ ფილოსოფიას წარმოადგენს.

ადამიანი დაბოლოებული არსებაა, ღმერთი კი დაუბოლოებელი. ღმერთის მიერ ადამიანის წარმოშობა, დაუბოლოებელი არსების მიერ დაბოლოებული არსების წარმოშობას ნიშნავს. ამავე მიზეზით ადამიანისათვის ღმერთი უხილავია. განსაზღვრული და დაბოლოებული განუსაზღვრელსა და დაუბოლოებელს ვერ იხილავს. ადამიანის გონებას არ შეუძლია ღმერთის შემეცნება. ვინაიდან ადამიანის გონებაც დაბოლოებულია.

ღმერთის წვდომის ერთადერთი გზა არის რწმენა. ამიტომ ღმერთის მიმართ ცოდნის ადგილს რწმენა იჭერს. ჩვენ გვწამს ღმერთი და იგი მხოლოდ შეიძლება გვწამდეს და არა ვიცოდეთ. ი. ხელაშვილი მათემატიკოსებზე მიუთითებს და ამბობს, რომ მათემატიკოსებს არ შეუძლიათ ხილული სინამდვილის სივრცის, სიგრძის, სიმაღლისა და სიღრმის გამოკვლევა მისი სიდიდის გამო და როგორ შეიძლება ისეთი რამეს შემეცნება, რაც დაუბოლოებელია?

ღმერთის შემეცნება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ არაპირდაპირი გზით. თვითონ ღმერთი უშუალოდ არ შეიმეცნება, მაგრამ მისი შემეცნება გაშუალებით მაინც შეიძლება. არსებობს ღმერთის გაშუალებული შემეცნების ორი გზა: საღვთო წერილის საშუალებით და იმ სამყაროს და თავისი თავის შემეცნებით, რომელიც ღმერთის ქმნილებას წარმოადგენს. იგი წერს: „ვთარცა ხატებისაგან იცნობების მხატვარი და სახლისაგან სახლის პატრონი და დაწერილებთაგან მთხზველი და ყოველთავე ხუროთა და ხელოვანთა ხუროთმოძღვარი უპირველესი თჳსით მიზეზებულთა მიზეზად და ესე ვითარის სახითა იცნობების დაბადებულთაგან დამბადებელი, მსგავსად ზე შესრულისა სახელითა ძიებულნი რაიმენი“[13].

[12] S—254 და 16.



ღმერთის არსებობა დასტურდება სამყაროს არსებობით. სამყარო არსებობს: ყოველი არსებული შექმნილია. შექმნილის არსებობიდან შემოქმედის არსებობა გამომდინარეობს. ვის შეეძლო ამ სამყაროს კანონზომიერების შექმნა, თუ არა ყოვლად ბრძენ, ყოვლად სრულქმნილ არსებას — ღმერთს!.

ი. ხელაშვილი იცნობს კლარკისა და ლაიბნიცის კამათს საბუნებისმეტყველო და თეოლოგიურ საკითხებზე. ი. ხელაშვილს თავისი ხელით გადაწერილი აქვს ფრანგული ენიდან ი. ბაგრატიონის თარგმნილი „ლაიბნიცის და კლარკის მიმოწერა“[14]. კლარკისა და ლაიბნიცის მიმოწერა ეხება მრავალ პრობლემას ღმერთისა და სამყაროს, ღმერთისა და სულის, ღმერთის დამოკიდებულებას სივრცესთან და სხვ. ამ ნაწარმოებებში მთავარი მაინც სივრცისა და დროის ბუნების პრობლემაა. ამ მიმოწერაში მნიშვნელოვანია ის, რომ კლარკი ლაიბნიცთან კამათში ნიუტონის პოზიციას გადმოსცემს. ამიტომ პოლემიკა ლაიბნიცსა და კლარკს შორის არსებითად არის პოლემიკა ლაიბნიცსა და ნიუტონს შორის.

ამ მიმოწერაში ლაიბნიცის ობიექტურ-იდეალისტურ ფილოსოფიურ სისტემას დაუპირისპირდა ნიუტონის მსოფლმხედველობა, რომელშიც ერთიმეორეს ერწყმიან ნატურალისტური და იდეალისტური ტენდენციები[15].

ლაიბნიცის და კლარკის პირველ სამ წერილში, რომელიც ცნობილია ხელაშვილისათვის, ორივე მათგანი თავიდანვე იღებს მათთვის უდავო დებულებას, რომ სამყარო ღმერთის შექმნილია და მისი კანონები ასევე ღმერთის მიერ არიან განსაზღვრული. ლაიბნიცი და კლარკი შორდებიან ერთმანეთს სხვა საკითხებში.

[13] ი. ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, S—966.

[14] აღსანიშნავია, რომ რუსულ ენაზე ეს შრომა პირველად დაიბეჭდა 1960 წ.

[15] ბაგრატიონის აღნიშნული თარგმანი, რომელიც ზუსტადაა შესრულებული, სრული არაა. მას კლარკის ხუთი და ლაიბნიცის ამდენივე წერილიდან თარგმნილი აქვს მხოლოდ ლაიბნიცის სამი წერილი და მათი უკუღვევა, ე. ი. მისი საწინააღმდეგო წერილი კლარკისა. ბოლოს თან დართული აქვს ი. ხელაშვილის ბოლოსიტყვა, რომელიც საინტერესოა ი. ხელაშვილის მსოფლმხედველობის, კერძოდ, მისი თეოლოგიური კონცეფციის გასარკვევად.

კლარკი ნიუტონის მექანისტურ კანონზომიერებათა აბსოლუტიზაციას ახდენს. ამიტომ იგი ნიუტონის „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკურ საწყისებს“ განმარტავს, როგორც ფილოსოფიის პრინციპებს. ლაიბნიცი არ ეთანხმება მათემატიკური და ფილოსოფიური პრინციპების გაიგივებას. ჯერ ერთი, მათემატიკურ პრინციპებს მატერიალისტებიც იყენებენ, ამბობს იგი, იმის გამოკლებით, რომ მატერიალისტი ისაზღვრება მხოლოდ სხეულების აღიარებით, ქრისტიანი მათემატიკოსები კი არამატერიალურსაც უშვებენ. მატერიალისტებს უნდა დაუპირისპირდეს ფილოსოფიური და არა მათემატიკური პრინციპები.

ლაიბნიცი ბრალს დებს კლარკს (უფრო ზუსტად ნიუტონს) იმაში, რომ თხზულება „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური პრინციპები“ მატერიალისტურ თხზულებას წარმოადგენს; მას ინგლისელი და სხვა ქვეყნის მატერიალისტები იყენებენ თავიანთ მსოფლმხედველობაში. ვინაიდან ასეთი ბრალდება იმ ეპოქაში მეტად მძიმე და საშიში იყო, ამიტომ კლარკი დაბეჯითებით უარყოფდა მას და ნიუტონის თხზულების იდეალისტურ ინტერპრეტაციას იძლეოდა.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ ნიუტონი და, განსაკუთრებით, კლარკი ფილოსოფიაში იდეალიზმის პოზიციებზე იდგნენ და ფიქრობდნენ, რომ ნიუტონის ზემოაღნიშნული თხზულება, გარკვეული აზრით, გაბატონებული იდეოლოგიის დაცვას ეხმარებოდა. ამდენად, ლაიბნიცისა და კლარკის კამათი არსებითად იდეალიზმის ბანაკში კამათს წარმოადგენს. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტურ ტენდენციებსა და ან მატერიალისტურ ელფერზე და არა დასრულებულ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. კლარკი ნიუტონის მოძღვრების თეოლოგიურ დანამატებს და მეტაფიზიკურ ნაკლოვანებებს იყენებს სამყაროზე თეოლოგიური შეხედულების ფილოსოფიური დასაბუთებისათვის.

განსაკუთრებული სიმწვავით წარმოებდა დავა ლაიბნიცსა და კლარკს შორის სამყაროს კანონზომიერების ბუნების გაგების საკითხში. ლაიბნიცის „პრესტაბილური ჰარმონიის“ მიხედვით, ღმერთმა ერთხელ და სამუდამოდ მოაწყო სამყარო, ისე, რომ შემდეგში აღარაა საჭირო ჩარევა მის მსვლელობაში. ნიუტონი დგას სამყაროს მოვლენათა მსვლელობაში ღმერთის განუწყვეტლად ჩარევის თვალსაზრისზე.



ამასთან დაკავშირებით კლარკი ბრალს სდებდა ლაიბნიცს მატერიალიზმში. თუ ჩავთვლით, რომ ღმერთმა თავდაპირველად მოაწყო ეს სამყარო, ხოლო შემდეგ კი აღარ ერევა მის საქმიანობაში, მატერიალისტებს შეუძლიათ ამ მოძღვრებაში თავიანთი თეორიის გამართლება დაინახონ. დებულებიდან — სამყარო არსებობს ღმერთის განუწყვეტელი ჩარევის, ზემოქმედების გარეშე — ათეისტებმა შეიძლება ის დასკვნა გააკეთონ, რომ ღმერთი არ არის აუცილებელი სამყაროს არსებობისათვის, მისი წარმოშობის შემდეგ. ღმერთმა არა მხოლოდ შექმნა სამყაროს წესრიგი, ამტკიცებს კლარკი, კანონზომიერება, არამედ აგრეთვე განუწყვეტლად ერევა მის საქმიანობაში.

კლარკთან კამათში ლაიბნიცი ამტკიცებს, რომ მისი შეხედულებები არაა მატერიალისტური. მატერიალიზმი სწორედ იმის მტკიცებაა, რომ სამყაროს განუწყვეტლივ სჭირდებოდეს ღმერთის ჩარევა. ღმერთს ისე აქვს მოწყობილი სამყარო, რომ აღარაა საჭირო მისი ჩარევა. ასეც ხდება. იგი აღარ ერევა სამყაროს წესრიგში სამყაროს შექმნის შემდეგ.

ამ ნაწარმოების თარგმანი, რომელიც ი. ხელაშვილს ჰქონია ხელთ, წყდება კლარკის მესამე წერილზე ანუ უკუღლევაზე. საინტერესოა ხელაშვილის პოზიცია ამ მიმოწერის მიმართ, რომელიც ირკვევა მისი შენიშვნებიდან[16]. მიმოწერის მიმართ ზემოთ მოყვანილი

16 რადგან ეს დოკუმენტი მკითხველისათვის ძნელად ხელმისაწვდომია, ამიტომ იგი მთლიანად მომყავს: „ესე ზემო ფილასოფიურნი კითხვა მიგება მეფის ძის ილიასაგან თარგმნილი ფრანციცულიდამ—ქართულსა ენასა ზედა თუმცა შთავწერე, გარნა არა ყოველთგან წარსაკითხად. რომელი ფილასოფია მოუსმენელსა და უფროსღა ღთისმეტყუჳლებთა ყურად უღებთა არა წარეკითხების შერკინება ესე ზემონი ლეიბნიციოსისა, გერმანულისა, ფილოსოფოსისა და ყოვლად უსამღვდელოესისა უფლისა კლარკისა ანგლიერისა [ინგლისელისა] რომელი მათემატიკურ არღუჳვს, მეტაფიზიკურ მიწერილებათა უფალს ლეიბნიციოს. დასრულ მეტაფიზიკურ მიწერილებათა უვფალს ლეიბნიც კლარკ სარჩლის ნეპტონ [ნიუტონი] მათემატიკოსსა სწავლის-მოძღუარსა თჳსსა, ხოლო ლეიბნიციოს მეტაფიზიკასა მსარჩვლელობს, გარნა ორნივე გუჳმენ კალმებითა ქარტასა და მცნებითა თუნითა უცებთა. რომელ დაყენებულ არს სჯულისაგან მაღლისა სახელისა მოღება, ამაოსა ზედა განსურნებულისა კამათობითა, ცილობითა, პაექრობითა და გამოჯუფთებითა, რომელ მაღლისა მყოფობასა და დიდებასა ცანი აღიარებენ და მოგვითხრობს უსუსტო სამყარო, რომელსა შინა გორვენ მთიებნი და პლანეტ ვარსკვლავები და ქუჳყანა ესე დააფუძნა მაღალმან მხოლოდ სიტყუსა ზედა თჳსსა და სავსებანი ამისნი და სპილონი და ლომნი მსახურებენ ხატად ღთისა დაბადებულსა.

გარნა ლეიბნიციოს ბრალეულ არს, ხოლო კლარკი არხიერი მართალ არს

[illegible] მიხედვით, ი. ხელაშვილის პოზიცია კლარკის თვალსაზრისზე უფრო უკიდურესია. იონა კლარკის ნაწერების გაცნობას შესაძლებლად თვლის, მაგრამ მაინც ზედმეტად მიაჩნია ღმერთის არსებობის მტკიცება მათემატიკის და მეტაფიზიკური გზით, როგორც ამას ლაიბნიცი აკეთებს. გონებას არ შეუძლია საერთოდ ამის დადასტურება. ღმერთი არსებობს, მის არსებობას ამტკიცებს ქვეყნის არსებობის ფაქტი და სამყაროს კანონზომიერება და არა გონების სიბრძნე. ნიუტონიც ხომ ღმერთის არსებობის აღიარებამდე, ამბობს ხელაშვილი, სამყაროს კანონზომიერებაზე დაკვირვების შედეგად მივიდა.

## § 2. სამყარო და მისი კანონზომიერებანი

„34 შეკითხვის წიგნში“ ი. ხელაშვილმა თავის თეოლოგიურ კონცეფციას ფილოსოფიური სახე მისცა. ამ ნაწარმოებში მან შემოიტანა მოძღვრება სუბსტანციისა და აქციდენციის შესახებ, ანუ „არსებისა“ და „შემთხვევითის“ შესახებ.

მყოფი ანუ არსობა იყოფა „არსებად“, იმად რაც „თავით თჳსით მყოფია“ და „არა მოქენეობდეს სხვისა შემტკიცებასა“ — ე. ი. ის, რასაც მიზეზი თავის თავში აქვს და თავის არსებობისათვის სხვა არ

---

ვითარცა შუჵნის ქრისტიანე არხიერსა, თუმცა გარჯილა თჳსისა მოძღვრისა ნეპტონისა მათემატიკისა გამართლებისათჳს. გარნა არა საჭირო არს მათემატიკისაგან ცნობა მაღლისა, რომელი სხეულთა ზომას და ვერცხლთა სთვლის და ხვასტაგთა და სხვა არღარა იცის მათემატიკობა. და უკეთუ სამი კუთხე იცის და რიცხვნი მათნი თანასწორ მაღლისა შორის ყოველნი სიბრძნენი ტჳნიერნი ცოფ არიან.

აჰა, ესერა კაცმან არა უწყის კაცისა ე. ი. ლეიბნიციოსმან არა უწყოდა კლარკისა სულისა შინაგანი ზრახვა გონებისაგან უმეტყუჵლოდ. და არცაღა ბრძენთა და უმეცართა სულებისა გულის სიტყუანი უწოდა. მაშასადამე არცაღა ღთისა უწოდა. რომელმან დაბადა მესაჟამე და მიანიჭა ხელოვნებისა შეწყნარებისა ტალანტი.

დასასრულ არავინ უშკოლოთა წარიკითხოთ ლეიბნიციოსისა ამაო მიწერილნი, ხოლო კლარკ არხიერისაგან უკუროვევა უკეთუ გენებოსთ ამოიკითხეთ, რომელი სარჩლის მათემატიკასა და მით მაღალსა უახლოვდების. ხოლო ლეიბნიცის შორდების სიბრძნესა მაღალისასა. უცნობი კაცთა გონებაებისა ამღრევს კამკამებსა მათემატიკისასა და მითუეჵ მეტაფიზიკისა სარკეთაცა აფისიერებს. არ უმეცრებითარე, არამედ ნებსით მათემატიკისა გაუქმებისათვის და უფროსღა ნეპტონისა [ნიუტონისა]. ზემოხსენებულის არხიერის მასწავლებელისა. აჰა შურმან არა უწყის უმჯობესი და ბოროტმან კეთილი. ი. მმ.“ [იონა მკვდოვანი მღუდელ მონაზონი]. ხელნ. S—304, გვ. 177.



სჭირდება (სუბსტანცია) და „შემთხუჵვითად“ ანუ „რომელსაც თჳსი მიზეზი გარეგან უპყრიეს“ (აქციდენცია).

არსობა, ი. ხელაშვილის განმარტების მიხედვით, შეესაბამება „მყოფს“, არსებულს, ხოლო არსება „გადაეფინების ყოველთა ქმნულთა და შეიცავს თითოეულთა ერთბამად საზღვრებითურთ სრულიად თჳს ქუჵშე, ერთისა მხოლოდ ოხვრითა“.

ი. ხელაშვილი ამ შემთხვევაში არისტოტელეზე მიუთითებს, როგორც თავის წყაროზე ამ საკითხში, მაგრამ ნამდვილად იგი არისტოტელეთი სარგებლობს დამასკელის გადამუშავებით, რომელმაც სუბსტანცია გააიგივა ღმერთთან, რომელიც თვითარსია და არ სჭირდება თავისი არსებობისათვის სხვა. აქციდენცია ღმერთის ქმნილებაა. მათ არ შეუძლიათ თავისთავად არსებობა. მათ აქვთ თავისი არსებობა სხვაში, ე. ი. ღმერთში.

სუბსტანციისა და აქციდენციის შესახებ მოძღვრება დაკავშირებულია მოძღვრებასთან მიზეზისა და „მიზეზოვანის“ შესახებ, რომელიც ქვემოთ იქნება გადმოცემული.

ამრიგად, არსობა შეიცავს ყოველივე არსებულს. არსებული შედგება მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებული საგნისა (არსნი) და მოვლენისაგან. საგანთა სიმრავლეში არ არის ორი იგივეობრივი საგანი. თვით ხელოვნურად შექმნილი ორი სვეტიც კი არ არის იგივეობრივი და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ერთმანეთისაგან თვისებებით განსხვავდებიან ადამიანებიც.

მაგრამ ყველა ეს ერთმანეთისაგან განსხვავებული საგანი ურთიერთკავშირშიც იმყოფება. მაგალითისათვის ცხოველები, მცენარენი და ლითონმეტალები ავიღოთ. ამ სამი სამეფოს დიდი განსხვავების მიუხედავად, მათ შორის შინაგანი კავშირია. ამ კავშირის მაჩვენებელია, მაგალითად, მცენარეთა და ცხოველთა სამეფოს შორის გარდამავალი მოვლენები. მარჯანი, ლოკოკინა, ხავსი, სოკოები. ისინი ზოგიერთი თვისებით მცენარეს მიეკუთვნებიან, ხოლო ზოგით— ცხოველს.

ყველა ეს ურთიერთდაკავშირებული საგნები მასზე, პირველ მიზეზზე ანუ სუბსტანციაზე არიან დამოკიდებულნი, მასზეა დამოკიდებული ყოველი სიმრავლე—ერთი სახის თუ მრავალი გვარის იქნებიან ისინი.

საგნები ღმერთისაგან დაწესებულ გარკვეულ წესრიგში იმყოფებიან. თითოეულს თავისი ადგილი აქვს საგანთა მწკრივში, ისე რო-

გორც ბროწეულის მარცვლებს. „ყოველნივე თითეულნი თჳსსა ჯაჭვსა ზედა დამოკიდულ არიან, რამეთუ არა არს ღერონი და რტონი და რტოაკები თჳნიერ ძირისა“[17].

საგანთა მიმართება გამოიხატება სქემით, რომელიც შუა საუკუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და არისტოტელეს ეკუთვნის.




საგანთა წესრიგს ასახავს ცნებები—ნათესავი (ანუ გვარი), სახე და განკუწთელი (ინდივიდი). მათ განმარტებებს ი. ხელაშვილი იძლევა 34 შეკითხვის წიგნის შემდეგ თავებში: თ. 2, რა არს განწვალება, თ. 3, რა არს სახე და რა არს უსახოვნესი სახე და სხვ.

გაყოფა მათ შორის ხდება „თჳსი ბუნების“ ანუ თვისებების მიხედვით (გამო) ასე მაგ., ნათესავი (ანუ გვარი) სახეებად იყოფა თითოეული თავისი ნიშნებით, შემდეგ კი განუკუწთელებად. პირიქით გაყოფა ქვევიდან ზევით არ ხდება. განუკუწთელი არ გაიყოფა სა-

17 „34 შეკითხვის წიგნი“, თავი VIII, „ყოვლადობა მეტაფიზიკური, ყოვლადობა ფიზიკური“.



ხეებად და სახე, ნათესავად. სახის დაყოფის შედეგად მიიღება უსახოვნესი სახე ერთი, რომელიმე განუკუწთელი, რომლისგანაც მის სახეს შევიმეცნებთ. რამდენადაც ქვენა ეზიარების ზედას და არა პირიქით. სახე გვარიდან გამოდის და მასთან მიმართებაში ეწოდება მას სახე. თუმცა თავისი ქვევით მდებარის მიმართ იგი ნათესავია (გვარი).

უსახესი სახე იყოფა განუკუწთელად. აქაც საკუთარი ნიშნების ან მოქმედების მიხედვით. ასე, მაგ., მირიან მეფემ მიიღო ქრისტიანობა, რუსუდან დედოფალმა ავნო ივერიას. თამარმა გაითქვა ქველობის სახელი და სხვ.

ყოველივე არსებული განსაზღვრულია რაოდენობრივად[18]. „ყოველნი სავსებანი სოფლისანი თჳნიერ რაოდენობისა არარანი არიან და არცაღა ძალგვიძს გამოცნობა არსთი თჳნიერ ორთა რაოდენობისა და რაჲსა მიმართობისა“. ყოველი დაბადებული რაოდენობის 3 სახეში იპოვის ადგილს: ფიზიკურ, მეტაფიზიკურ ან ეთიკურ რაოდენობაში. აღსანიშნავია ი. ხელაშვილის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „რაოდენობა“ და „რაჲსა მიმართობა“ არიან გონებაში და არა ისე, როგორც არსებობს 3 „მმეფებელი“ ანუ ცხოველთა, მცენარეთა და მეტალთა სამეფო, ე. ი. მათ ფიზიკური არსებობა არა აქვთ. ვფიქრობ, აქ ჩანს ი. ხელაშვილის ნაცნობობა კლასიკურ გერმანულ ფილოსოფიასთან, რომელიც მას, როგორც მის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „რონინში“ არის აღნიშნული, შესწავლილი ჰქონდა, კერძოდ იცნობდა კანტის თხზულებებს. კანტის თხზულებების სხვა გავლენა ი. ხელაშვილის ნაწარმოებებში არ ჩანს.

მაგრამ რისგან შედგებიან საგნები? — ატომებისაგან (ანუ ელემენტებისაგან). სტიხ-ნივთებისაგან, როგორც უწოდებს ი. ხელაშვილი, შედგება ყოველივე: ქვეყანაც, მცენარეც და ადამიანიც. ატომები ანუ ელემენტები 4-ია: ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი. „34 შეკითხვის წიგნში“ მოყვანილია მათი დეტალური დახასიათება. ამ ოთხი ელემენტის „შექსოვისაგან“ არის შემდგარი სამყარო და მისი ყოველი საგანი.

ი. ხელაშვილი იზიარებს ატომისტურ თეორიას და მას იდეალისტურ ინტერპრეტაციას უკეთებს: „რამეთუ არ ძალუძსთ ატომებთა, ე. ი. ძლიერსა ცეცხლსა და ძლიერსა ჰაერსა და ძლიერსა

18 იხ. 34 შეკითხვის წიგნი, თავი 5, რა არს რაოდენობა...

წყალსა და მტვერსა მიწასა თჳთ თავით თჳსით დაბადება. რომელ არა ყოფილნი თავთა თჳსცა არ დაბადებენ და არცაღა შეეროდებიან ოთხნი. ესე სხუა და სხუა ნივთები, რომელთაგან სოფელი ესე არს შენაწევრებული და ყოველნივე სავსებანი“[19]. ატომებს არ შეუძლიათ თავისი თავისაგან წარმოშობა. ისინი უნდა შეექმნა სხვას. ატომები მატერიალურია. მატერიალური ვერ იქნებოდა მატერიალურის წარმოშობის მიზეზი. მაშასადამე, მატერიალურის წარმოშობის მიზეზი უნდა იყოს არამატერიალური. აქედან ი. ხელაშვილი ასკვნის, რომ ატომები ღმერთმა წარმოშვა. ამრიგად, ატომისტურმა თეორიამ ი. ხელაშვილთან იდეალისტური ხასიათი მიიღო.

ი. ხელაშვილის მოძღვრება 4 ელემენტზე არ განსხვავდება დამასკელის, ნემესიოსისა და სხვათა მოძღვრებისაგან ამ საკითხზე.

თუ თავის დროზე მოძღვრება 4 ელემენტზე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო აზროვნების ისტორიაში, XIX ს. I მესამედისათვის იგი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან მოძღვრებას.

სამყარო მოძრაობს, ისევე, როგორც მოძრაობენ ატომები. მაგრამ არც ატომებს და არც სამყაროს თავისთავად არ შეუძლია მოძრაობა. სამყარო მატერიალურია, ხოლო მატერია ინერტულია. ამიტომ ინერტულია სამყარო. სამყაროს მოძრაობის მიზეზი ღმერთია.

მოძრაობის გაგებასთან დაკავშირებულია დროისა და სივრცის გაგების საკითხი. იგი გადმოცემული აქვს ხელაშვილს ს. დოდაშვილთან მიმოწერაში: „მწერ [ქ]არტეზიანელთაგან ცალიერობისა შეუწყნარებლობასა. მათ ოჩოპინტრულად განუსჯიათ თჳთნება თჳსთაგან. აჴა თჳთ მე განვსაჯე მეფის ძის იოვანეს შეკითხვათა შინა, რომელ სოფელსა შინა არს ცალიერობა არა ეგრეთი, რათამცა ესოდენი სხვაცა სოფელი დაეტიოს, არამედ იხილვების ნივთნი, რომელნი შინაგან სამნი მმუფებელნი იძვრიან და გარეგან განრაოდენდებიან, თუმცა ერთნი მეორეთა ადგილსა შინა არა დაიდებიან განმქარვებელად სხვათა; გარნა ურთიერთ დატევნილობენ, რომელნი შეიმჭირვიან ბუნებითადცა და უფროსღა ხელოვნებითად და დაწვილდებიან და განდიდნდებიან და საკუთარისა მოძრაობითა საზოგადოიცა სოფლისთანა იძვრიან და აქვსთა მზნექელობა და მეტალთა განადიდებს ცეცხლი, და წყალთა შეაიწროებს ნეფხვა და გუამისა ჩუენისა ძარღვნი ტკაცუნითა დაცალიერდებიან ჰაერისაგან და აღივსებიანცა და უკეთუ

[19] S—966, გვ. 5.



კვრივთ ყოფილიყო, სოფელ განჭედილცა იყო მჴსგავსად გრდემლისა უძრავად და არცაღა სჳობა და ხრწნა ყოფილიყო სოფელსა შინა და ოქროს ნოტიო და ჰაერი არღა მიეღო თავს შორის და ცეცხლი და არცაღა მიწასა ჰქონოდა მტუერნი და მღჳრნი და არცაღა ეგრეთი ცალიერობა აქვს ვითარცა ღრუბელთა და ცხრილთა, არამედ გსელურნი ზედურნი ცალიერობა ჰქონანთ ყოველთა ნივთთა და არიან ურთიერთ შექსოვილ ოთხნი ელემენტნი უმთავრესნი სამ განფენილებად“[20].

ზემომოყვანილი ვრცელი ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, რომ ხელაშვილი ამ საკითხში ნიუტონს თანაუგრძნობდა. ნიუტონი თვლიდა, რომ სამყაროში არსებობს ცარიელი სივრცე (აბსოლუტური სივრცე), რომელიც ცარიელია მარტოოდენ იმ აზრით, რომ მისი არსებობისათვის მატერიალური სხეულების არსებობა აუცილებელი არაა. ცარიელი სივრცე სავსეა ღვთაებით, ზებუნებრივი ძალით. ამ აზრით ის ცარიელი არ არის . სივრცე აბსოლუტურია იმ აზრით, რომ იგი დამოუკიდებელია არა მარტო მატერიალური პროცესებისაგან, რომლებიც მასში მიმდინარეობს, საგნებისაგან, რომლებიც მასში იმყოფება, არამედ დროსგანაც. ნიუტონის კონცეფციის წინააღმდეგ, რომელიც სივრცეს ცარიელ განფენილობად, საგანთა ადგილად (вместилище) თვლის, ლაიბნიცი ამტკიცებს, რომ სივრცე არაა სუბსტანცია. იგი თანაარსებობის წესრიგია. სივრცე და დრო სუბიექტური აღქმებია, თუმცა ისინი შეესაბამებიან საგანთა გარკვეულ ობიექტურ წე!სრიგს. ლაიბნიცი უარყოფს სივრცისა და დროის ობიექტურ ბუნებას. არსებობს მხოლოდ განფენილობა, ხოლო სივრცე შედეგია განზოგადებისა და შედარების და წარმოადგენს აზრობრივ არსებას.

ლაიბნიცისა და კლარკის (ნიუტონის) კამათში ი. ხელაშვილი აქაც უფრო ნიუტონისკენ იხრება და ამ საკითხში იგი ნიუტონის აზრს იზიარებს.

ი. ხელაშვილის აზრით, მოძრაობისათვის საჭიროა სიცარიელე. მაგრამ სიცარიელე არ ნიშნავს არარაობას. სიცარიელე არის სივრცე, რომელშიც საგნები მოძრაობენ.

იმ მიმდინარეობის შიგნით, რომლის მიხედვითაც სამყაროს წესრიგი ღვთაებრივი ძალით არის განსაზღვრული, როგორც ცნობილია, ორი განსხვავებული შეხედულება არსებობს. ერთი შეხედულების

[20] ი. ხელაშვილი, ავთრათი, S—1532.

მიხედვით სამყაროს მოვლენათა მსვლელობაში იგი არ ერევა; მეორე შეხედულების მიხედვით — ღმერთი არის სამყაროს კანონზომიერებისა და მოძრაობის განუწყვეტელი მიზეზი. იგი აძლევს მოძრაობას ახალ იმპულსებს. ასეთ თვალსაზრისზე იდგა ი. ხელაშვილიც. ამდენად, იგი უპირისპირდებოდა როგორც მატერიალისტებს, აგრეთვე დეიზმს. ერთი წუთითაც რომ დატოვოს ღმერთმა ეს ქვეყანა, წერს ხელაშვილი, მყისვე შეიმუსრება ცა და ქვეყანა. ამდენად ნიუტონის აზრის წინააღმდეგია, რომლის გაგებით სამყარო მანქანას ემსგავსება, ხოლო ღმერთი მესაჭეს. „ქვეყანა არაა მანქანა, რომელსაც არ სჭირდება შრომა ღმერთისა, რადგან ღმერთი არაა მესაჭე და არცაღა სოფელი ესე არის მანქანა ჭახრაკი“[21].

ი. ხელაშვილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეტერმინიზმის პოზიციებზე დგას, ეს დეტერმინიზმი იდეალისტურია. სამყაროში არ არსებობს შემთხვევითობა. შემთხვევითობის დაშვება ღვთიურ მიზეზობრიობას ეწინააღმდეგება. ღმერთი არაფერს ახდენს შემთხვევითად სამყაროში. ყველაფერს აუცილებელი ხასიათი აქვს და ღმერთის მიერ დაკანონებული წესის მიხედვით მიმდინარეობს. ხელაშვილი ეხება საინტერესო საკითხს: არის თუ არა წინააღმდეგობა სამყაროში, არსებობენ თუ არა ერთმანეთის საწინააღმდეგო ნივთები და ძალები (იხ. 11 თავში: „წინააღმდეგნი ნივთნი ურთიერთისა შორის ვითარ არიან წინააღმდეგ“).

წინააღმდეგობრივი ნივთნი კოსმოსში არ არიან, ამბობს იგი, რადგან კოსმოსში ვარსკვლავები და ზეციური სხეულები ერთმანეთს არ ეცემიან და არ ანადგურებენ.

ასეთი საგნები და ძალები ძლიერ ცოტაა მიწაზე. ისინი უმთავრესად ერთიანობასა და ჰარმონიაში იმყოფებიან. ასე მაგ, 4 ელემენტი სხვადასხვა, მაგრამ რაოდენობით თანაბარი მოქმედი ძალების ერთიანობაა. წინააღმდეგნი ნივთნი რაოდენობით მცირენი არიან, ხოლო ძალით ძლიერნი.

ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი, რომელსაც ხელაშვილი ეხება, მოძრაობის საკითხებია (იხ. თავი 13—„ფილოსოფიური ზმნანი ღრამმატიკულნი ზმნანი“). ყოველივე არსებული მოძრაობაში იმყოფება. მოძრაობენ და მოქმედებენ ადამიანები, მოძრაობა ხდება ადამიანის სხეულში, ადამიანის გონებაში. მოძრაობს სამი სამეფო, მოძრაობს ოთხი ელემენტი, მოძრაობა ხდება კოსმიურ სივრცეში, მოძრაობს მზე. ი. ხელაშვილი ასკვნის: „უზმნო, ე. ი. უმოძრაო არცაღა ერთი რომელნიმე ნივთნი არიან და ცხოველნი, თვნიერ ერთისა მხოლო უძრავისა, რომელი თვსითა უძრაობითა ძრავს ყოველთავე თიოეულთა. განუკუწთელებთა, სახეთა, ნათესავთა, სქესებითა და გუარებთა“.

როგორია ეს მოძრაობა ი. ხელაშვილის გაგებით? ცხოველთა სამეფოში ეს მოძრაობა ოთხი სახით გამოვლინდება: სუნთქვა, გრძნობანი შიმშილისა, წყურვილისა და გამრავლებისა; მცენარეთა სამეფოში — თესლებთა მოქმედება — გარეგანის ხრწნილება და შინაგანი ძალის აღმოცენება. ადამიანის ორგანიზმში — სუნთქვა, სიცილი, ღვიძილი და სხვ. ფიზიოლოგიური მოვლენანი; გონების მოქმედების ყველა სახე. კოსმოსურ სამყაროში — გადაადგილება.

რასაკვირველია, ი. ხელაშვილის მიერ მოძრაობის ეს გაგება შორსაა მოძრაობის დიალექტიკური გაგებიდან. მაგრამ ი. ხელაშვილის ტრაქტატში მოიპოვება დიალექტიკის მომენტებიც[22].

ასეთია ი. ხელაშვილის შეხედულებანი სამყაროს და მისი კანონზომიერების შესახებ.

## § 3. შემეცნების თეორიის საკითხები ი. ხელაშვილის ნაშრომებში

შემეცნების თეორიის საკითხები ი. ხელაშვილთან მჭიდროდ უკავშირდება სულის შესახებ სწავლებას და არსებითად იგი ამ უკანასკნელის ნაწილს წარმოადგენს.

ადამიანი სულისა და სხეულის ერთიანობაა. სხეული ნივთიერია. მატერიალური. იგი, ისევე როგორც ყველა მატერიალური ატომისაგან შედგება. სული არამატერიალურია და უხილავი. სული სხეულშია მოთავსებული, მაგრამ მარტივია, ე. ი. არ არის შედგენილი ნაწილებისაგან. უკვდავია, მარადიულია და უძრავი. იგია სიცოცხლის წყარო. სხეული მანამდე არსებობს, სანამ მასში სულია მოთავსებული. სულის განშორების შემდეგ სხეული იშლება და იხრწნება.

სული მეფეა სხეულისა, მაგრამ იგი მთლიანად დამოუკიდებელი არაა სხეულისაგან. გარკვეული აზრით, სული თავისი მოქმედების

---

21 S—966, გვ. 16.

22 თ. კ უ კ ა ვ ა, ნარკვევები, 1956, გვ. 74.

ასპარეზს სხეულში პოულობს. სულს მოქმედება შეუძლია სხეუ-
ლის საფუძველზე. „ხომალდი არის გვამი და სული მენავე“, ამბობს
ი. ხელაშვილი. მიუხედავად მკვეთრი სხვადასხვაობისა, სული და
სხეული უმეტეს ნაწილად შეთანხმებულად მოქმედებს, როგორც ორი
თვალი და ორი ყური. ხელაშვილისეული სხეულისა და სულის დამო-
კიდებულების საკითხის გადაწყვეტა, მეტად თავისებურია. ხელა-
შვილი არამატერიალურს მატერიალურს უპირისპირებს, მაგრამ
იძულებულია აღიაროს, რომ მატერიალური მაინც ზემოქმედებს არა
მატერიალურზე. მაგრამ რა ნიადაგზე ხდება ეს ზემოქმედება ი. ხელა-
შვილისათვის სრულიად უცნობი დარჩა[23].

ამ საკითხის გარკვევის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს
ი. ხელაშვილის კამათი ლოკთან, რომელსაც, ხელაშვილის სიტყვით,
„სული კაცისა ეჩვენების სხეულოვნად“.

ი. ხელაშვილი ეთანხმება კლარკს იმ კამათში, რომელსაც ადგი-
ლი ჰქონია ამ უკანასკნელსა და ლოკს შორის. ლოკი, ხელაშვილის
სიტყვით, „უსახური ჭურჭელი მას დემონისა... და უსაძაგლესი პითა-
გორისა არის“[24]. წერილში ს. დოდაშვილისადმი იონა აფრთხილებს
მას: „ეკრძალეთ სულები მარტივად მცხოველებელი არა წარმოიდ-
გინოთ განფენილებისა ქუშში“. საყურადღებოა, რომ იონა ხელაშ-
ვილს თავის მხრივ ეთანხმება ს. დოდაშვილი[25].

რა თქმა უნდა ხელაშვილი მართალია, გარკვეული მნიშვნელო-
ბით ლოკთან კამათში, მაგრამ მთლიანად მისი მოძღვრება სულზე
თეოლოგიური და იდეალისტურია და ლოკთან კამათი ამ პოზიციის
დაცვას ემსახურება. ამითაა გამოწვეული, რომ ხელაშვილი ეკამათე-

---

[23] შ. ხაგოიძე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი
XIX ს. საქართველოში, 1964, თბილისი.

[24] S—2226, გვ. 118 — 120.

[25] „მისი მედროვენიც იტყვიან, რომელსა ვუწოდოთ ჩუჱნ სულად, იგი იზრ-
დების, მოხუცდების და ივნებისო, ვითარცა ხორცი. ლოქი სჯის ყოველნი არსე-
ბანი იბადებიან ერთ სახედ თვისთა წინა ნაყოფთაგან, ცხოველი ცხოველისაგან,
პლანეტი პლანეტისაგან და სულნი სოფლისა დასაბამითაგან იმყოფებიან ორღა-
ნებრთა დასაწყის ნაყოფთა შინაო. სხეულისა თანა არს ერთიო, იბადების მსგავ-
სისა თჳსაგანო, და მათთანა სცნობს თავსა თჳსსაო უკეთუ ჭეშმარიტად მან მო-
უთხრო თჳს კერძ სხეულად სული თჳსი მისცემია სიბნელესა და დიდ ფრიად
სულისა სუსტებთა საუკუნოსა სატანჯუჱლად“. იქვე, გვ. 155.



ბა არა მხოლოდ ლოკს, არამედ ლაიბნიცსაც[26] და მასზე უფრო უკი-
დურეს თვალსაზრისზე დგას. მისთვის მიუღებელია ლაიბნიცის აზრი.
რომელიც ყოველ ნივთს განუჭვრეტელს სულს უწოდებს. თუ ყოვე-
ლივე სულისაგან ანუ მონადისაგან შედგება, როგორც ამბობს ლაიბ-
ნიცი, გამოდის, რომ სულია სხვადასხვა უწმინდურებანი, რომელ-
საც ხელაშვილი ჩამოთვლის: სხეული, ხორცი, ტანსაცმელი და სხვ.
ნამდვილად სულიერი ერთეულებისაგან ისევ სულიერი შეიძლება
შედგეს.

ი. ხელაშვილის სულის შესახებ მოძღვრება[27] იდეალისტურია და
მეტიც, თეოლოგიური, რასაც ადასტურებს მისი კამათი ლაიბნიცთან
და ლოკთან. საქმის ვითარებას არ სცვლის მის მიერ მატერიალურის-
სხეულებრივის გავლენის აღიარება სულზე, მის მოქმედებაზე. ხე-
ლაშვილი ამ საკითხის გაგებაში, როგორც მისი მთლიანი კონცეფ-
ციიდან იყო მოსალოდნელი, უკიდურეს თვალსაზრისზე დარჩა.

ი. ხელაშვილის მსოფლმხედველობის იდეალისტური ხასიათი
სრულიად აშკარას ხდის იმ მიზეზებს, რომლებმაც მასსა და ს. დო-
დაშვილს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ს. დოდაშვილი-
სათვის, რომელიც XIX ს. პირველი ნახევრის ერთ-ერთ ყველაზე
პროგრესულ მოაზროვნესა და მოღვაწეს წარმოადგენს, ცხადია მი-
უღებელი იქნებოდა ი. ხელაშვილის უკიდურესად რეაქციული და
სქოლასტიკური იდეები. ამ მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებაში
უნდა დავინახოთ ს. დოდაშვილისა და ი. ხელაშვილის უთანხმოების
ძირითადი მიზეზები.

შემეცნება სულის ვითარება ანუ უნარია, „საგნის ძიება 5 სა-
ხედ“, როგორც ამბობს ი. ხელაშვილი. სულს აქვს თვალი ანუ გონე-
ბა. მისი ამოცანაა განიხილოს ყველაფერი არსებული, უხილავიც და
ხილულიც. იმისათვის, რათა განხორციელდეს შემეცნება, საჭიროა 5
პირობა. ს. რაზმაძის მიერ დასმულ კითხვაზე გაცემულ პასუხებში ი.
ხელაშვილი ასე წერს: „დიდ ფრიად საჭირო არიან ე. ი. პირველად
საგანი, მეორედ მუნ თანა მყოფობა, მესამე მოქმედება საგნისა,
მეოთხე ცუალება გრძნობაებთა და მეხუთე წადილ სურვილი დედ-

---

[26] S—2226, გვ. 126—127.

[27] სულის თვისებების დეტალური დახასიათება იხ. ა. ფრანგიშვილი, „ნარკ-
ვევები ადამიანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში“, 1959,
გვ. 366.

ნისა მის გარდმობეჭდა მგრძნობელობითებსა ძალებსა შინა რათამცა მეფე სულსა წარუდგინნა შინაგან“[28].

ამრიგად, შემეცნებისათვის, ი. ხელაშვილის აზრით, აუცილებელია უპირველესად შემეცნების ობიექტი, საგანი. შემეცნების ობიექტის ქვეშ კი ი. ხელაშვილს ესმის ობიექტური სინამდვილე, რომელიც თუმცა ღმერთის შემოქმედების შედეგია, მაგრამ იგი მაინც ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობს. მეორე პირობაა „მუნ თანა მყოფობა“, რომელიც უთუოდ გულისხმობს სუბიექტს, რომელსაც შემეცნების პროცესში შესამეცნებელი ობიექტი აუცილებლად თან უნდა ახლდეს. მესამე პირობად ი. ხელაშვილს მიაჩნია საგნის მოქმედება შემმეცნებელ სუბიექტზე (იგულისხმება გრძნობის ორგანოებზე), მეოთხე პირობაა შეგრძნებათა ცვალებადობა საგნის ზემოქმედების შედეგად, ხოლო მეხუთე პირობად ი. ხელაშვილი ასახელებს შემმეცნებელი სუბიექტის სურვილს, მისწრაფებას, სწორად ასახოს „გარდმობეჭდოს“ გრძნობის ორგანოების საშუალებით გარეშე საგანი და „წარუდგინოს მეფე სულსა“.

აქ ცხადია იგულისხმება, რომ შემეცნების მთავარი წყაროა არა გრძნობის ორგანოები, არამედ გონება, სული. გრძნობის ორგანოები მარტოოდენ მასალას აძლევს სულს, გონებას აზროვნებისათვის; ამდენად, ხელაშვილი რაციონალიზმის პოზიციებზე დგას და მისთვის პრინციპულად მიუღებელია ემპირიზმი. იგი ებრძვის ლოკს, რომელიც ემპირისტული ფილოსოფიის ერთ-ერთ კლასიკოსს წარმოადგენს ფილოსოფიის ისტორიაში.

შეგრძნებებისა და აზროვნების (ანუ გონების) მიმართების საკითხი ი. ხელაშვილს ასე აქვს წარმოდგენილი: გონება სულის საყდარია. იგი გრძნობის ორგანოების საშუალებით უკავშირდება გარეგან სამყაროს. გრძნობის ხუთი ორგანო ნერვების ანუ „საგრძნობი ძარღვის“ საშუალებით გადასცემს ტვინს ცნობებს გარემოს შესახებ. ტვინი გრძნობის ორგანოებიდან იღებს მასალებს[29]. გრძნობათა ორგანოების მოქმედების გარეშე რაიმეს ცოდნა შეუძლებელია. გრძნობათა ორგანოების ნაკლოვანება ცოდნის ნაკლოვანებას იწვევს. ასე მაგ., ბრმამ არ იცის სამი განფენილობა, ხოლო ყრუმ ბგერა;—მან არ იცის ლაპარაკი და სიმღერა.

მეორე მხრივ, ი. ხელაშვილი აღნიშნავს, რომ განათლებული

[28] S—2226, გვ. 88—94.

[29] S—118, გვ. 128.



ადამიანის სულს მეტი „გადმობეჭდვის“ უნარი აქვს, ვიდრე უსწავლელისას. გრძნობათა ორგანოები თითქოს მახვილდება გარკვეულ ასპექტით. მაგ., მეისტორიეს ეხერხება ქვეყნის ისტორიის აღწერა. ქსოვილებით ვაჭარს ქსოვილების გამოცნობა. ძვირფასი ქვებით მოვაჭრე კარგად არჩევს ქვებს და ა. შ.

გრძნობათა ორგანოების მონაცემებს სული გადაამუშავებს. „იგი 1 განიხილავს, 2 განჭვრეტს, 3 ყურად იღებს, 4 შეიმეცნებს, და ესრეთ გადაიტანს იდიას შინა“, ე. ი. გონება ცოდნას ცნების სახით გააფორმებს.

გრძნობათა ორგანოების მონაცემები გონებაში გადამუშავების შემდეგ მეხსიერებაში ინახება, ამრიგად, მეხსიერებაც ძირითადად შეგრძნებაში მიცემულ მასალას ემყარება, თუმცა იგი მასზე არ დაიყვანება. მეხსიერება ინახავს არა მხოლოდ იმას, რაც შეგრძნებაში იყო მოცემული, არამედ იმასაც, რაც გონებამ მოიპოვა.

ამრიგად, ი. ხელაშვილი არჩევს შემეცნების ორ საფეხურს — შეგრძნებასა და გონებას. ამასთან იგი გონებას გარდამწყვეტ როლს ანიჭებს. გრძნობის ორგანოები ცხოველებსაც აქვთ განვითარებული, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ადამიანებს. მაგ., ძაღლს ძლიერ განვითარებული აქვს ყნოსვა და სმენა. ფუტკარი სახლს იშენებს, ჭიანჭველები საოცრად ბევრს შრომობენ, მაგრამ ისინი გონებით არ მოქმედებენ, მათი მოქმედება მიმართულია მხოლოდ შიმშილის, წყურვილის დაკმაყოფილებისაკენ. ამიტომ მათი მოქმედების არე შეზღუდულია. შემეცნების მთავარ უნარს, ი. ხელაშვილის აზრით, გონება წარმოადგენს.

ადამიანი სამყაროს მეფეა და იგი გონებით დაჯილდოებულია ღმერთისაგან. ამით განსხვავდება ცხოველთა სამეფოს დანარჩენი წევრებისაგან.

შემეცნების ამ საფეხურს შეესაბამება ადამიანის გონებრივი მოქმედების პროდუქტიც. ი. ხელაშვილი ამჩნევს, რომ გრძნობადი შემეცნების საგანი სინამდვილის მხოლოდ სხვადასხვა განცალკევებული თვისებებია და არა ცოდნა საგნის არსის შესახებ. ამის შესაბამისად ხელაშვილი არჩევს ცნობას და ზედმიწევნილობას. ცნობა ეს ზემოპირი მიმოხილვაა სოფლისა და სავსებისა, ეს გარეგანი ცოდნაა. იგი აქვს მდაბიო უსწავლელ ხალხს, ბავშვებსა და მოხუცებს. მათ იციან საგანთა მხოლოდ გარეგანი თვისებები, რომელთაც იძლევა გრძნობათა ორგანოების მონაცემები. აქედან ჩანს, რომ გრძნობადი

შემეცნება, რომელიც საგნის გარეგან მხარეებს სწვდება; მოვლენებს იმეცნებს. ი. ხელაშვილს ეს არ მიაჩნია ჭეშმარიტ შემეცნებად, თუმცა იგი აუცილებელია.

გონების საქმეა ზედმიწევნილობა — მეცნიერება. აქ საჭიროა აღქმა და განსჯა — გონების მოქმედება. ამ ორ საფეხურს შორის მჭიდრო კავშირია. „ცნობას შეუდგების ზედმიწევნილება, ამბობს ი. ხელაშვილი, გულისხმისყოფას განსჯა და ნება სანებურისა აღრჩევად". გრძნობადი ორგანოების მონაცემებისაგან დამოუკიდებლად გონებას თითქოს შეუძლია შეიმუშაოს იდეები ისეთი საგნებისა, რომლებიც მას არასოდეს უნახავს და საერთოდ არც არსებობენ. მაგ., „ოპოკენტავრო ქიმერანი", სამთავა, ხუთფრთა და სხვ. მაგრამ დაკვირვების შედეგად აღმოჩნდება, რომ ეს ნიშნები გონებაში მაინც გრძნობის ორგანოების მონაცემების საფუძველზე არიან შედგენილი გონების მიერ. გრძნობის ორგანოების მიერაა მოწოდებული გონებისათვის კუდის, თვალის და სხვ. იდეა, ხოლო გონების მიერ ისინი შეერთებულია „მრუმედ", არა ისე, როგორც ამას ადგილი აქვს სინამდვილეში.

ი. ხელაშვილი მსჯელობის ორ სახეს ასახელებს. „მარტივი სჯა" ყრმათა, მოხუცთა, რომელთაც ცოდნა არა აქვთ, უსკოლო, უსწავლელთა კაცთა. ასეთი მსჯელობის მაგალითია: ცეცხლი იმისათვის არის ცეცხლი, რომ არ არის წყალი. ასე მსჯელობენ მატერიალისტები, რომლებიც უარყოფენ სულისა და ღმერთის არსებობას.

მსჯელობის მეორე, ხელაშვილისათვის მისაღები, ფორმა არის ლოღიკური სჯა, რომელსაც აქვს საგანთა ისეთი ცნება, რომელიც იძლევა ცოდნას: „როგორი არიან და იქნებიან საგნები შემდეგში".

იგულისხმება, რომ აქ ხელაშვილს მხედველობაში არა აქვს საკუთრივ მსჯელობათა კლასიფიკაცია. მის წინაშე შემეცნების თეორიის საკითხი დგას და არა ლოღიკისა.

• გონების დიდი როლის აღიარების მიუხედავად, ხელაშვილის ნაწერებში შეიმჩნევა სკეპტიციზმისა და აგნოსტიციზმის ელემენტები ადამიანის გონების შესაძლებლობის შეფასებაში. „კაცის გონება ფრიად გარშემოწერილ არს, რომელი დაბადებულსაც ვერ მისწვდების სრულად", — ამბობს ი. ხელაშვილი. ადამიანის გონებისათვის — ხშირად იმეორებს იგი — შეუმეცნებელია სამყაროს მრავალი მოვლენა. მაგ.,; არსება და ბუნება მაგნიტისა, ელექტრობისა, კომეტისა, ჰაერისა, წყლისა, მარილისა და სხვ. ჩვენ საგანთა და მოვლენათა



მხოლოდ „გარეგანი კანი, ტყავი, ქერქი, გარსი და ზურგი ნივთებისა და არსთი უწყით დღეისა ჟამსა ეგრეთ და ხუალ უკუთქმით და ზეგ წართქმითა"[30].

ცხადია, ი. ხელაშვილი სრულიად არასწორი წანამძღვრებიდან გამოდის. თუ ადამიანი ყველაფერს ვერ იმეცნებს ერთბაშად, ეს სრულიადაც არ ნიშნავს ადამიანის შემეცნებითი უნარის შეზღუდულობას. მისი სკეპტიციზმი იყენებს ამ არგუმენტს, რომელიც მანამდე არა ერთხელ იყო გამოყენებული აგნოსტიკოსებისა და სკეპტიკოსების მიერ.

ასეთია, ძირითადად, ი. ხელაშვილის შეხედულებანი შემეცნების თეორიის საკითხებზე.

* * *

ი. ხელაშვილი იდეალისტია, რომელიც თავის შეხედულებას მატერიალიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის პროცესში ავითარებს. მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ი. ხელაშვილი ცდილობს აღმოაჩინოს წინააღმდეგობა მატერიალისტურ მოძღვრებაში, იგი მიმართავს შეჩვენებას, წყევლას და სხვ. ათეისტების დებულებებს, მათ მიერ ღმერთის უარყოფას დებულებით, რომ ქვეყანა თავისთავად არის დაბადებული ატომთა „ქაოსისაგან" და რომ 4 ელემენტის შეერთება ქმნის საგნებს, იგი უპირისპირებს „წმინდა წიგნებს", რომლებიც ჭეშმარიტებას შეიცავენ და ლიტონ წიგნებად არიან ჩათვლილი ათეისტების მიერ.

მატერიალიზმის შიგნით არსებულ სხვადასხვა მიმართულებას (იპოსტეტიკნი, დეისტი, სოფისტი, ნატურალისტი) აერთიანებს, წინააღმდეგობის მიუხედავად, მათთვის საერთოა სასწაულების უარყოფა და მხოლოდ გრძნობის მონაცემებზე დაყრდნობა.

მატერიალიზმის წინააღმდეგ ხელაშვილი აყენებს შემდეგ არგუმენტებს: ღმერთის მიუწდომლობის საფუძველზე მატერიალისტებს გამოაქვთ დასკვნა მისი არარსებობის შესახებ. მაგრამ ამ გზით შეიძლება უარიყოს რეალობა ისეთი საგნებისა, რომელნიც ცოდნის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ცნობილნი არ არიან, თუ თქვენ, — მიმართავს ხელაშვილი ათეისტებს, უარყოფთ ღმერთის არსებობას მისი შეუცნობადობის საფუძველზე, მაშინ ამავე უფლებით

---

[30] S—966, გვ. 441.

უნდა უარყოთ ბევრი სხვა საგნების არსებობა, რომელიც თქვენ არ იცით. თქვენ არ იცით თქვენი თავი, არ იცით თუ როგორ გამოიბეჭდება თვალებთაგან ხილული სოფელი და ქვეყნის სავსება, ყურებიდან ხმები, სიტყვები და ბგერები, თვალებიდან ფერი, მოყვანილობა და სხვ. არ იცით სოფლის განფენილობა და დრო, ცალიერობა, კვრივობა სოფლისა. ატომნი ცეცხლისა და მღვრიობა ჰაერისა, არ იცით როდის იძვრის მიწა, რომელ წელს გადმოვლენ ზღვები ნაპირს[31], არ იცი, რამდენჯერ ან როდის მოვა წვიმა გაზაფხულში. რამდენი მეხი დაეცემა მიწას, რამდენი ყვავილი რამდენ ნაყოფს გამოიღებს ზაფხულში და სხვ. „რომელი თავსა შენსა ვერ იცნობ უბადრუკებითა შენითა, ვითარღა ძალგიძს გამოცნობა ღმერთისა სასწაულებისა. რომელ არიან ყველანი დაბადებულნი და განაგრძობა მათი ძვრა და გება, ხოლო ჩუჱნ ღმერთსა მიერითა სასწაულებითა ყოველივე ვუწყით"[32].

ი. ხელაშვილის სიტყვით, მატერიალისტები, ათეისტები და ნატურალისტები არიან: „გულითა ვერაგნი, გვრივნი, ურჯუკნი, დრანკნი, დრასტიკნი, ლირწნი, ლაციცნი, სიღოდნიანნი, ფლიდნი, ტრელნი, ბრაზნი, ვესლნი, სამსალანი, მზაკუარნი... მძვნვარედ მაძულენი ყოველთა კეთილთა და უფროსღა წმინდათა კაცთა... ცრუ მფიცებელნი... არა წმინდანი, ნაყროვანნი. შემაწუხებელნი მამულისა და წმინდათი ორგულნი... მოძალადენი, მეამბოხენი. უდივრნი... მაგინებელნი სიმართლითა სიწმინდისა და პატიოსნებისა. ღთის შემაწუხებელი სამგზის წყეულნი ათეისტი ნატურალისტნი... მოძულენი სარწმუნოებისა და ყოვლისა რომელნი უკეთუ არ მოიქცენ ღირს არიან სიკუდილისა..."[33].

იონა ხელაშვილის ამ მეთოდის შეფასებას იძლევა პროფ. შ. ნუცუბიძე: „იონა ხელაშვილის რეაქციონური სულისკვეთება აშკარაა მისი პოლემიკის მეთოდიდანაც. მისი უკანასკნელი იარაღი არის იგივე, რაც თომა აქვინელს გააჩნია იმ შემთხვევებში, როდესაც იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეს ებრძოდა: შეჩვენება, გადაცემა. ეს საშუალება ბიზანტიაში ფართოდაა გამოყენებული იმ ფილოსოფოსთა წინააღმდეგ, რომლებიც ანტიკური ფილოსოფიის მემკვიდრეობას იყენებდნენ (XI — საუკუნეში), შემდეგში თომა აქვინელმა გამოიყენა იგივე კრეაციონიზმის — ღვთის მიერ ქვეყნის შექმნის უარმყოფელ-

[31] S—966, გვ. 397.

[32] S—273, გვ. 36.

[33] S—966, გვ. 397.



თა წინააღმდეგ. ამდენად, იონა ხელაშვილი საკმაოდ მოძველებულ მეთოდს მიმართავს მატერიალისტთა და ათეისტთა წინააღმდეგ და ამის გამო არა საკმაოა ითქვას, რომ ის იდეალისტი იყო — იგი აშკარად რეაქციონერი იყო"[34].

განსაკუთრებული სიძულვილის საგანი ხელაშვილისათვის ვოლტერია, რადგან იგი დასცინოდა ქრისტიანეთ, სურდა ეკლესიების დახურვა და წმინდა წიგნების მოსპობა. იგი ბოროტის მონა იყო. მან ისწავლა ჟან-ჟაკ რუსო, პითაგორი, სპინოზა, დიდრო, დალამბერი და სხვა მატერიალისტები. ყველა მათ კი წაწყმედა ელით, ისინი ჯოჯოხეთში მოხვდებიან.

მატერიალიზმთან ბრძოლაში ხელაშვილი შორს მიდის. იგი უარყოფს ფილოსოფიის დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ფილოსოფია მხოლოდ იმდენადაა მისაღები, რამდენადაც იგი იდეალისტურია და ღვთისმეტყველების სამსახურში დგება. მისდევს რა დამასკელს, ხელაშვილი ნამდვილ სიბრძნედ მხოლოდ ღმერთს თვლის. სიბრძნის სიყვარული არის არა ფილოსოფია, არამედ ღვთისმეტყველება. ბრძენი ისაა, ვინც ღმერთს ემსახურება. ბრძენი არ შეიძლება ეწოდოთ ბაბილონელებს, რომლებიც უძველეს დროში ზღუდეებს აშენებდნენ და ვარსკვლავთმეტყველობას მისდევდნენ. ეგვიპტელთ, რომლებიც აშენებდნენ პირამიდებს და იცოდნენ ბალზამირების საშუალებანი, ან ბრძენ ფილოსოფოსებს. ყველა მათთვის უცნობია, ხელაშვილის აზრით, ნამდვილი სიბრძნე, ზეცის სიბრძნე.

კითხვაზე: სჭირდება თუ არა ღვთისმეტყველს ფილოსოფია, ხელაშვილი უპასუხებს: „მზეში სანთელი არღა და საჭირო არს, გარნა უკეთუ განლაღდეს ფილოსოფოსი მშრალი იდეებითა, დასთრგუნავს"[35].

ღვთისმეტყველებას უნდა ემორჩილებოდეს მეცნიერებაც. ასეთია ი. ხელაშვილის ფილოსოფიური შეხედულებანი.

ი. ხელაშვილის ფილოსოფიურ შეხედულებებს ამჟამად მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით აქვს მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ისტორია წარმოადგენს მატერიალიზმის იდეალიზმთან ბრძოლის ისტორიას. აქედან ცხადია, რომ მატერიალიზმის ისტორია ვერ დაიწერება, თუ გათვალისწინებუ-

[34] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, გვ. 480.

[35] S—1553.

ლი არ იქნა საპირისპირო ფილოსოფიური ბანაკის იდეოლოგიური სახე. ამ მხრივ არც XIX საუკუნის ქართული ფილოსოფიური ვითარება წარმოადგენს გამონაკლისს. აქაც ვხვდებით მატერიალიზმის იდეალიზმთან ბრძოლას. მატერიალიზმი, როგორც პროგრესული მსოფლმხედველობა, ყალიბდება და ვითარდება იდეალიზმთან ბრძოლაში. იდეალისტურ ფონს კი XIX საუკუნის პირველი მესამედის ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში ყველაზე გამოკვეთილად ჰქმნის იონა ხელაშვილი.

ი. ხელაშვილის ფილოსოფიური შეხედულებები ასახვაა იმ ფილოსოფიური ჭიდილისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდში. ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ მისი ნაშრომის „34 შეკითხვის წიგნის" ფილოსოფიური ნაწილის გამოცემა.

---

# 34 შეკითხვის წიგნი

## (ფილოსოფიური ნაწილი)

უგანათლებულესო იუჳრია* საქართუჳლოს მეათასსამეტე გიორგის მეფის ძეო, იოანე. თქუჳნგან მომადლებულნი ოცდაათოთხნი სადნობელნი ბრძმედნი მომებოძნენ შეკითხვითნი, რომელნი შევიხუჳნ სალთო ლოცვისა და მარხვისა გამოსაბრძმედებელსა შინა და ზეგარდამო ნიჭებითა და ტალანტებითა ყოველნივე გამოვაჭურვენ და ვქმენ ზუტაკებადი ოფაზნი შეკითხვანი თქუჳნნი, ძალისამებრ ჩემისა.

ვიხილენ რა შეკითხვანნი თქუჳნნი, ყოველნივე აღმომიჩნდნენ უაღრეს ძალისა ჩემისა, და უფროს-ღა ზესთაღ, გარნა სიყვარულსა თქუჳნსა შევასაბამე სახსოვარნი ნეტარ-ხსენებულთა პაპისა თქუჳნისა, 2 ირაკლი მეფისა, რომელი სალთო წერილებითარე მზრდიდა და მამა თქუჳნი, მეფე გიორგი, რომელმან თელავისა შკოლასა შინა მიმცა აღსაზრდელად, და აქა მოსლვასა ჩემსა თქუჳნცა მათ ნეტართ სახსოვართა წყალობა განმიახლეთ და მიმიღეთ სახლსა შინა და მყავთ პურისმტე ტრაპესსა ზედა თქუჳნთანა. და ზედართეთ საშკოლონი სასიბრძნე წიგნებისა განმარტება ჩემდამო ქართულსა ენასა ზედა. ეგსახედვე თქუჳნ ძლით, ძმამან თქუჳნმან პირმშომან დავით მემკვიდრემან, ნეტარ-სახსოვარმან ღუაწლსა თქუჳნსა შესძინა და შემითხოვა კურთხეულსა მონარხსა რომლისა უქაზითა წარმავლინა წმ. ალექსანდრე ნევწკის აკადემიასა შინა. და მუნცა მიმიღეს ეგზამენითა Фილასოფიისა და ღთისმეტყუჳლებისა კლასებსა შინა და შემდგომად კურსის შესრულებისა, უწმიდესისა სინოდისაგან

* უბრჯგუ (ჳ), რომელიც ხელნაწერში სისტემატურადაა ნახმარი [illegible] უნის გამოსახატავად, ტექნიკური მიზეზებით ყველგან შევცვალეთ უ ასოთი.

დღესა ერთსა ორი კურთხევა მოვიღე. განთიად ცისკრად მონოზონებისა და წირვისა ჟამსა იეროდიაკონობისა, ხოლო დღესა მეოთხესა მღუდელმონოზნობა მოვიღე. ესე ყოველნი და ზემონი ერთბაშად გახლვიძებულ მყოფენ სამეფო სახლისა თქუჱნისა მსახურებად, რათა არა გამოვჩნდე უმადლობელოდ, ვითარცა უდაბნოსა ზედა ერნი ისრაილთა, რომელთა ძუალები მუნვე დასცვივდა და ვერა იხილეს აღთქმისა ქუჱყანა, გინა იუდა, რომელმან ვერ იხილა სასუფეველი ცათა. ამისათჳს თანამდებ ვარ არა თუ უნებლიეთ, არამედ ნებსით, რათამცა დანაშთითა დღეებითა გმსახურო თქუჱნ. რომელ საკუთარნი თუალნი ჩემნი ჯჳრობენ არათუ. ჩემზედა წარგებასა უკანასკნელისა საცხოვრებელისა თქუჱნისასა, . არამედ ყოველთა იუჱრიისა სახლისა ძეებთა, და ასულებთა ზედა, რომელ აქარე მოსრულთა თავადთა, აზნაურთა, სამღვდელოებთა და ერთა ხელნი თქუჱნნი ზრდიან. რომელნი დიდი ფრიად სარგებლობენ, რომელ არცაღა ერთსა ვისმე ძალ-ედვა აქარე ცხოვრება ჩუჱნისა ქუჱყანისასა, უკეთუ თქუჱნ არა ულებდეთ კარსა თქუჱნისა სახლისასა. ამისთჳსცა დიდ ფრიად გმადლობ, რომელ ესოდენ გეწყალვისთ ერი ჩუჱნი, რომელთათჳს ვასხსაცა იღებთ სხვათაგან და ეგრეთ კმა-უყოფთ ერსა ჩუჱნსა, აქარე მოსრულთა. არა მიმხედი პირებთა, არამედ ყოველთავე სწყალობთ, ვითარცა მაღალთა, ეგრეთუჱ მდაბალთა. აჰა ესეოდენთა კეთილობათა თქუჱნთა მხედველსა მაიძულებს სჳნდისი ჩემი თქმად მსგავსად მეფსალმუნისა, აექვინ ენა ჩემი სასასა ჩემსა, უკეთუ დაგივიწყო თქუჱნ, დაივიწყენ მარჯუჱნაცა ჩემი.

დასასრულ, მრავალ ბევრეულთა თქუჱნთა კეთილთა ამხსენებელმან და აწცა მჭვრეტმან, რომელსა მესმიანცა ჩუჱნისა ერისაგან და თავად აზნაურთაგან და სალთოთა კაცთაგან ხოტბანი თქუჱნდამო, რომელ გამორჩეული ყოფილხართ მოხუცებულისა მეფისა მარჯუჱნე მკლავად და ძლიერებად, სამჴედრო ცეცხლ-სასროლელთა მთავრად დროსა ოჭრებისასა ლეკთაგან, თურქთაგან და კავკასისა ავაზაკთაგან უკუნქცევად მათ ყოველთავე. ეგრეთუჱ დროსა მამისა თქუჱნისა, მეფე გიორგისასა თქუჱნვე ყოფილხართ ებგურად და მჴმილავად სამტროთა სამზღურებსა ზედა უკუნმქცეველად საქართულოჲსა მარბიელებთა ზედა, დამსხმელებთა სოფლებისა, დაბებისა, სანახებისა და ქალაქებისასა.

თქუჱნ შორის თეორევტიკა Φილასოფიისა და ღვთის-მეტყუ-



ჱლებისა დაუნჯებულ არიან ხედვითი და პრაქტიკანიცა კეთილმსახურებისა, და ხელოვნება მათემატიკურნი, და მხატრობანი და მკურნალობისაცა ნაწილნი, და ფიზიკურნი ცნობანი სამთა მმეფებელებთა, ე. ი. ცხოველებთა, ორძილებთა და მეტალებთა, და სპეკალებთა ბუნებაებთა ზედმიწევნილებითნი ცნობანი.

სჯულვილება და სჯულებთა თხზვანნი და ისტორიათა წერანი და წიგნებთა საკუთარნი თხზულებანი თქუჱნნი სწამებენ სარგებლობასა მამულისასა, უკეთუ განმრავლდენ საბეჭდავებითა, რომელთ დღე-და ღამე ათევთ წერითა, რათამცა სარგებლობანი შესძინოთ ერსა, სიბრძნისა და მამულისა მოყვარეთა.

უგანათლებულესო, იოანე მეფის ძეო, დიფთერანი ზემონი, რომელნი მრავალთაგან მცირაკნი აღმოვაჩინენ, თქუჱნდამო იგი ყოველნი, თქუჱნდამო თუმცა არარანი არიან დუმილისამებრ თქუჱნისა, გარნა ვინ უწყის ბრძენთა მამულისა ჩუჱნისათა აღმოიკითხონ, იგინიცა განიღჳძებიან ნათესავითი ნათესავადმდე და მიუკუნისამდე კეთილ-აღბაძველობითა და ეგრეთითა სახითა უმეტეს შეიყუარებენ მამულსა, ვიდრეღა თავსა თჳსსა, რომლითაცა თავთა თჳსთაცა მოუგებენ სამარადისო სახსოვრებსა. ცათა შინა აღწერილნი.

აჰა, ესერა რომელმან ბრძანებულნი თქუჱნნი აღვასრულე მიზეზცემითა თქუჱნითა, ვსასოებ, რათამცა იმრთმევლოდ მცირაკი ესე ძღუჱნი გულითადიერი, უუმორჩილესისა თქუჱნისა იონასაგან, მღუდელ-მონაზონისა და შერთოდ ბიბლიატიკასა თქუჱნსა წიგნიცა ესე და აღწეროთ მწკრივთა შინა ანდერძისა თქუჱნისასა და მივცეს მამულსა თქუჱნსა თქუჱნსავე ცხოვრებასა შინა, ვინ უწყის თქუჱნ ძლით მეცა მოვიღო ცხონებითი აღსენება, სახლეულთაგან იუჱრიისა, შკოლიერთა ბრძენთაგან და ბრძენათა. და ვსასოებ-ცა რათა მღუდელთა და მემხოლოეთაცა იმსახუროს წიგნმან ამან, რომელი ფილასოფიაცა არს. და უფროსღა ღთის მეტყუჱლება, მარჯულთა განმაბრძნობელი და მარცხულთა დამადუმებელი.

თქუჱნის უგანათლებულესობის მარად მლოცუჱლი ვიდრე განსასვლადმდე, მკდოვანი მღუდელმონაზონი, იონა, ვიგიე და დავშთები უუმწვერვალესსა მსახურებასა შინა თქუჱნდამო, მეფის ძეო იოანე.

შეგთხოვ, უკეთუ განდრეკილება რაჲმე განიხილოთ, უნებლიეთნი არა ლექსნი და სიტყვანი, არამედ ძალისა, შემინდეთ. და

სხოლიონნი განუჩინეთ განმართვად. ამით უმეტეს კმაყოფილ მყოფთ. აჰა თჳთუჱ უწყით ღთისმეტყუჱლება შევამზადე სამსა წელსა შისა დღე და ღამე მოსწრაფებითა. შემდგომ ქადაგება წლისა, ორსა წელსა და ნახევარსა. ეგრეთუჱ ათსა წელთა სრულებთა შინა ლექსიკონი შევკრიბე ანბანსა ჩუჱნსა ზედა. ესე მეოთხე წიგნი თქუჱნდამო შევამზადე ნახევარ წელსა შინა. ვინ უწყის ვმსახურომ სამგზის [აქ ფურცელი აკლია, შევსებულია ხელნ. S—306 დან:][1] მშობელსა ჩემსა იუჱრიასა, რომელმან მშუა ჴორცითა და ემბაზითა და სწავლითა სამეფო წარსაგებლებითა ორთა მეფეთასა, და მესამედ, მონარხისა კურთხეულისა ალექსანდრესაგან.

განსრულდა იანვარსა, ე. ი. აპანისსა 30 წელსა 1826 პეტრე დიდისა ქალაქსა შინა, სანკ-პეტერბურღს, უმაღლესისა იმერეთის დედოფლის მარიამ, კაცია დადიანის ასულისა, კარის საყდრის მსახურების დროსა მ. მ. მ. ი.

აღმომკითხუელთა ამა წიგნისათა გუჱდრი კეთილსახიერთა. რათამცა სამგზის ზედარე აღმოკითხვით-არე განსჭვრიტოთ და პირუჱლად იმდევროთ ლექსიკონი ქართულისა ლექსებისა ცნობად და უცხოთა ენებისაცა ლექსებისა ჶილოსოფიურისა და ღთისმეტყუელურისა, ე. ი. ებრეულისა, ელინურისა და ლათინურისა. მეორედ, ღრამმატიკაცა საჭიროდ არს მსახურებად. მესამედ რიტორება. მეოთხედ, ჶილასოფია, და მეხუთედ ღთისმეტყუჱლება, განგებულებითი და მარტივი. მეექვსედ ჶსალმუნთა განმარტება, და მეშვიდედ, წმიდისა სახარებისა განმარტება და წმიდისა ეზეკიელისა საწინასწარმეტყუჱლოსი. აჰა, შვიდნი გასაღებნი საკმარ არიაი წიგნისა ამის აღმომკითხველთათვის. გარნა დასასრულ საღთო ბრძენნი ყოველთავე გამოსცნობს სამგზის მიმყოვრებითარე წარკითხვითა.

განსჭვრიტედ ვიდრე დასასრულადმდე სარგებლობასა ამა წიგნისასა, რომელსა შინა ძალისამებრ ჩემისა ვისწრაფე, შემეცნებანი ხილულთა, და უხილავებთა გამოცნობად მარჯულ, ხოლო მარცხულთა ფილასოფოსკათა ცოფიერებთა პირებთა დაყოფასა ეცადე, რომელნი კამკამებასა სიბრძნისასა ვერ მიწთომილნი, ამღვრევენ თავისათვის წყაროებთა სიბრძნისასა, რომელ სულსა ბოროტჴელოვანსა შინა არა შევალს სიბრძნე, არამედ განევლტის სული წმიდა მზაკუარისაგან, რომელნი კაცთა შორის საძაგელ არიან ყოველთა კარგთა და კეთილთაცა და დიდ ფრიად უაღრესთა სიტყვათა ლექ-

[1] ხელნ. — S 306·



სთა თხზვათა საქმეთა, საწუნელ-ყოფენ და ამჟღავნებენ მარცხულობითა თჳსითა.

იხილეთ, მკითხველნო, წიგნისა ამის ვარსკვლავნი, რომელნიმე აღემატებიან მნათობობითა თჳსითა სხვებთა ზედა, ეგრეთუჱ ლამპარხი სანთლებთა ზედა. გარნა ყოველნივე საკმარობითა ქებულ არიან ბრძენთაგან. არსება-ბუნებისამებრ მათისა, და არცაღა ერთი რაჲმე არს დაწუნებულ სოფელსა შინა, თჳნიერ ცოდვისა—ეგრეთუჱ წიგნი ესე ახალშეთხზული, უკეთუ არ არს კეთილ, ნამდვილ კარგი, გალანამცა არს უფრორე ამისათჳს, რომელ მამულის შვილოსა თქუჱნისაგან ვქმენ რომელ მამულისმოყვარე, წიგნებსაცა მამულისასა უუმეტეს შეიყვარებს.

აჰა, წიგნი ესე აღვავსე იფქვლითა და ზეთითა და ღვინითა სულებთა განმამბრძნობელებითა, გარნა არიან კაცნი, არა ბრძენთა მიმართ ვმეტყუელებ, არამედ უბირთა მიმართ, მაგალითად, შემოვილე, — რომელთამე პური კეთილი მუცელთა უმსივნებს, და რომელთამე ღომი მღერიან-ყოფს, გარნა ორნივე მარცვალნი კეთილად დაბადებულ არიან ვინცა იციან ორთავე მათ ქმევა დღეგამოღებითა და ყოველსა დღესა.

ესერა ნამდვილ უეჭოდ ვგონებ, რომელ წიგნი ესე კიდონტი იყოს გრძნობაებისა და ეგზამენი სულებთა, რომელსა ეწოდა წარმკითხუჱლებთაგანვე რთული ლექსნი, ე. ი. ჶილასოფ ღთისმეტყუჱლება, რომელსა შინა ორნივე მეტყუჱლებანი არიან.

იხილენ თავებთა მეტყუჱლება, სიბრძნის მოყვარეო, და ემსგავსე ფუტკართა და მოისთვლე ნაყოფნი და შეიხვიენ ზენა-საუნჯესა შინა ცხრა ნეტარებისა გჳრგჳნები, რათა საუკუნოდ გამეფდე და სუფევდე სასტუმროსა ამისგან განსრული საუკუნოდ, თჳთუჱ უწყით, ბრძენნო მწიგვნელნო, რომელ ჩჩჳლობა იცვალების უსუვარობად და ნინველობად, და ყრმობა-ჭაბუკობად. ხოლო ჭაბუკობისა ყვავილნი დაჭნობად და ჯოშობად, ჯოშობა-ჭარმალობად და ჭარმალობა-მოხუცებულ მომწიფებად, და მწიფობა-მიხრწნეულ მოსთლობად, მანგლითა სნეულებისათა, და ცელითა სიკვდილისათა, დასასრულ ყოველთა ცვლილებისასა წიგნთა აღმოკითხვანი მარადის სულებთა მკურნალობა არს და ჴორცთა განმაძლიერებელი, რომელ დიდ ფრიად რომელნიმე უვიცნი სნეულნი, მეჭორეთა და მეზღაპრებთა და შემლოცველებთაგან და მზველავებთა და ქილიკთა კაცთაგან სნეულებასა თჳსსა ივიწყებენ უგუნურთა მოამბეთაგან კნინ-

ღა, და სიმართლესა მოეგებიან და მკურნალებთაგანაც ისურვებენ განკურნებისა თჳსისა მეტყუჱლებასა.

იხილეთ, მწიგვნელნო უკეთუ იგინი მხოლოდ ამის მწირობისათჳს მეცადინებენ ცხოველობისა მოქცევასა. ჩუჱნ რაოდენ დიადნი წიგნების კითხვანი თანა გუაძს, რომელთა შინა ნება ღთისა და სათნოება მის მხოლოსი იცნობებოდეს, რომელ არიან ძუჱლი. და ახალი აღთქმანი, რომელთა მიმართ წიგნიცა ესე დამოკიდულ არს ძალისამებრ ჩემისა. რომელ თჳნიერ საღთო წერილებისა და ესე ვითარისა წიგნისა არარაჲ განუსუჱნებს სულსა კაცთასა, და არა რაჲ დაამყუდროებს ჴორცთა გრძნოებაებსა:

თქუჱნი უუმრწემესი მსახური მღუდელმონაზონი მ. იონა შეგთხოვ, ყოველთავე მკითხველთა და მსმენელთა, მოტეებასა და განმართუასა წიგნისა ამისსა, უკეთუ იყოს რაჲმენი შეცთომა.

თავებთა მეტყუჱლება, ე. ი. მწკრივნი, რომელ არს სარჩევნი.

ა, რაჲ არსობისათჳს და ვითარი არსობისათჳს განმარტება. და ყოველთავე მათთჳს, რაოდენნიცა არსებათა ქუჱშე არიან თითოეულთა მათ არსთათჳს და ბუნებათა მათთათჳს, და თჳსებათა და საზღვრებთა მათთათჳს, და თუ ვითარ განყენებითარე მდგომარე არიან თითოეულნი ურთიერთისაგან, და მახლობელებცა არიან ყოველნივე ურთიერთისადმი. დაკავშირებულ ზეგარდმო, რომელნი ერთ სახლეულ არიან, მხოლოსა ამა სოფელ სახლად. . . . . . . 1

თავი მეორე,

ბ, რაჲ არს განწვალება, და რაჲ არს განსაზღურება. ყოველნივე გარდამოიცნეს იხილენ თითოეულთათვის ურთიერთ განყოფილებით. და დაკავშირებითცა იგი ყოველნივე ფილასოფიურ . . . . 2

თავი მესამე

გ, რაჲ არს სახე, და რაჲ არს უსახოვნესი სახე. და ესენიცა ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან იხილე ფილასოფიურ . . . . . 3

თავი მეოთხე

დ, რაჲ არს ცნობა, რაჲ არს ზედმიწევნილება და რაჲ არს გულისხმისყოფა, და ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან? იხილენ ფილასოფიურ გარდმოცემულნი . . . . . . . . . . 4



თავი მეხუთე

ე. რაჲ არს რაოდენობა და რაჲ არს რამითობა და ჳთარ სხვაობენ ურთიერთისაგან? იხილე ფილასოფიურ . . . . . . . 5

თავი მეექვსე

ქ. რაჲ არს საყოველთაო, და რაჲ არს საზოგადო და ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან, რომელნი ეზიარებიან ერთნი მეორესა. და განეყოფიანცა; იხილე ფილასოფიურ . . . . . . . 6

თავი მეშვიდე

ზ. რაჲ არს მიზეზი და რაჲ არს მიზეზოვანნი. და ყოველნივე დასაბამიერნი დაბადებულნი მიზეზოვან არიან ზეგარდამო და მიზეზცა არიან თჳს ქუეშეთა ზედა ბუნებითად და არა არსებობისა მიცემითად . . . . . . . . 7

თავი მერუჱ

ჱ. ყოვლადობა მეტაფიზიკური. ყოვლადობა ფიზიკური და ყოვლადობა მათემატიკური ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან? იხილე ფილასოფიურ . . . . . . . 8

თავი მეცხრე

თ. მეტაფიზიკური მხოლოჲ, ფიზიკური მხოლოჲ, და მათემატიკური მხოლოჲ ვითარ სხვაობენ ურთიერთისგან? იხილე ფილასოფიურ . . . . . . . . . . 9

თავი მეათე

ი. ლიტონებრი ჰსჯა, ლოღიკებრი ჰსჯა, მათემატიკებრი ჰსჯა. ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან? იხილენ ფილასოფიურ . 10

### თავი მეათერთმეტე

ია. წინააღმდეგნი ნივთნი ურთიერთისა შორის ვითარ არიან წინააღმდეგ? იხილენ ფილასოფიურ, რომელ ყოველნი არსნი კეთილად დაბადებულ არიან. და არცაღა ერთი რაჲმენი არიან ბოროტ არსებითად, არამედ რომელისამე საქმენი არიან ბოროტ. იხილენ ფილასოფიურ . . . . . . . . 11

### თავი მეათორმეტე

იბ. ფილასოფიურნი სიტყუანი და ღრამატიკულნი სიტყუანი ჳთარ სხვაობენ ურთიერთისაგან? იხილენ ღრამმატიკა ნინველი არს, ხოლო ფილასოფია ჭაბუკ . . . . . 12

### თავი მეათსამეტე

იგ. ფილასოფიურნი ზმნანი და ღრამმატიკულნი ზმნანი ჳთარ სხუაობენ ურთიერთისაგან? იხილენ ფილასოფიურნი ზმნანი არსება-ბუნებითნი. ძვრანი და მოქმედებანი არიან ყოველთავე არსთი, თითოეულთა თჳსნი ქონან. ცხოველებთა და ნივთებთა და სამთა მმეფებელებთა, ე. ი. თავით თჳსით მმუფლებელთა მფლობელებთა თჳსთა არსებათა გამო ბუნებითად. ხოლო ღრამმატიკულნიცა მახლობელვე არიან უფრორე რაოდენ თეორეტიკებითა, უმეტეს ხელოვნებითადრე. იხილენ ფილასოფიურ . . . . . . . . . 13

პატიოსანო მამაო იონავ:

ბრძენთა მიერ წინადადება, ვინაჲთგან გუასწავებს ჩუჱნ, რომელ ეც ბრძენთა მიზეზს, და უბრძანეს იქმენო, ამისათჳს აქა მოვიღე რაოდენნიმე შეკითხუანი, რათა განმიმარტოდ მე აზმნობისამებრ იქუჱნისა და მით მიქმნათ კმაყოფილება (მეფის ძე იოანე).

### ფ ი ლ ა ს ო ფ ი უ რ ი შ ე კ ი თ ხ უ ა ნ ი:

რაჲ არს რაჲ-არსობა, და რაჲ არს ვითარი-არსობა, ესენი ურთიერთისა შორის ვითარ სხუაობენ?

თავი პირუჱლი.

შემკითხველისადმი, მიგება პირუჱლი.



რაჲ არს რაჲ-არსობა. ესერა ლექსი ესე არსება გარდაეფინების ყოველთა ქმნულთა და შეიცავს თითოეულთა ერთბამად საზღვრებითურთ სრულიად თჳის ქუჱშე, ერთისა მხოლოდ ოხვრითა, გარნა განვსაჯოთ რა თითოეულნი არსნი ურთიერთისაგან განყენებით მდგომარე არიან, მაგალითად, ყოყდანნი ორნი ე. ი. სუჱტნი, გინა ძეგლნი პირისპირ მდგარნი არა არიან ერთი და იგივე, უნდ თანასწორცა ქმნილ იყვნენ ხელოვანთაგან, თანასწორ რაოდენობითა შინაგან და გარეგან, არამედ თითოეულსა თჳსი მიზეზი და ნაკუჱთი და სახე და ხატი უპყრიესთ, რომელნი არა დაიდებიან ურთიერთისა ნაცვლად, ვინძი საზღუარიცა მხოლოდ ერთი აქვნდესთ ორთა მათ, გინა მრავალთა მსგავსთა ურთიერთისათა, ამად რომელ თითოეულსა მათგანცა განდოგინებით აქვსთ თჳსი ხატი. მაშასადამე, თითოეულნი არსნი თჳთუჱ განყენებითარე თავსა თჳსისა მყოფობისა ქადაგ არიან. განვმარტო განცხადებულად: არსება არს თავით თჳსით მყოფი უმოქენოდ სხჳსა შემტკიცებისა. მაგალ., პეტრე არს არსება თჳთ თავით თჳსით მგრძნობელი თჳსისა მყოფობისა, რომელი ქუჱ დაიდების და შეისმინებიან საკუთარნი თჳსნი საქმენი შინაგანნი და გარეგანნი რაოდენობანი, და რაჲსა მიმართობანიცა მით, რამეთუ უკეთუ არა მიეღოს არსება მყოფობისა, არცაღა შესმენანი მოიღებოდენ მის საკუთარსა პირსა ზედა. ამად არსება არა აქვს, რაოდენ არსება საზოგადო ლექსისაგან გამოიყვანება. ეგოდენვე ნათესავისაგან, ეგ სახედვე სახისაგანცა, რათა საზღვრითა ზიარმან ზემოთა თანა განაყენოს თავი თჳსი რომლითამე ნიშატებითა განსხვავებულმან ე. ი. პეტრემან აღძრცვლი სიბრძნე აღიარა, შემყვარებელმან მისმან და ყოველთა ენებთა ზედა ღთისმეტყუჱლება ქადაგა მათითა ენებითა, ხოლო ისკარიოტელმან მოიძულა იგივე სიბრძნე და შეიყვარა უვიცობა და ვეცხლნი. პეტრე სათნოებითა აღესრულა, გარნა იუდამან შიშთჳლითა აღირჩია მოკვდინება თჳსი: არსება პეტრე პირი საკუთარი, გუამი ქუჱმდებარე თჳსისა ფლობისა და ნებისა მექონი და გულისჴმისყოფისა, სურვილისა აღრჩევისა ორთაგან უდიდესისა კეთილისა, ტრფობითარე რომელი სავსე არს უჭეშმარიტესისა იდეაებითა, შინაგან სულსა შინა გრძნობაებისა საშუალობითარე შესხმულებითა, რომელნი მიუხვამს სულსა მისსა, მათ ზრახავს შინაგან მეხსიერებითა ახსენობითა, მოგონებითა, გამოხატულობითა, სჳნდისითა, კეთილშურობითა, ამად უკეთილესად მსჯელი ყოველთა ორობათათჳს განცხადებულად მეტყუჱლებს. ე. ი. მარტე

არსთათჳს დანივთებთათჳს, რომელეთათჳს არა იტყვის პირუწლ ყოფასა, არამედ პირუწლ-მყოფსა ცხოუწლ ბრძენსა მიზეზად მეტყუწლებს. ხოლო ყოველთავე ერთბამად არსებათა გარეშეწერილსა ბუნებაებსა შინა განცხადებულად აღრიცხავს მიზეზებულად, რომელთამე, ეგრეთ, ეგ სახედ და ესე-გუარ, ამისებრ, და მისებრ, რომელთა თჳსი მიზეზი გარეგან უპყრიესთ, ეგრეთ და ესრეთ ყოფისაებრ და მებრ ურთიერთმსგავსებისა. დასასრულ, პირისპირ პეტრესა, იუდა მოძრაობს გარემჩომ პეტრესა ე. ი. პირუწლ მყოფ ცხოუწლ მიზეზსა დაუტეებს, ვერცალა თავისა თჳსისა მცნობი მონა იქმნების მიზეზებულისა ე. ი. ცხოუწლი უგრძნობო ნივთისა. აჰა, აქა-არე იხილვების, რომელ არსნი ორნი, გინა მრავალნი არა არიან ერთი და იგივე უნდ ბუნებითაცა მახლობელ იყვნენ ურთიერთ, ანუ თჳსებით. არსება თითოეულთი არიან განსხუავებულნი ურთიერთისაგან, თჳთ ერთსახენიცა, ე. ი. განუკუწთელნი მაგალ., უკეთუ ანი და ბანი და განი და უშორეს და ჵოე ერთი და იგივე იქმნებოდენ ნაკუწთითა და ტჳფრებითა, იოტითა, და რქითა, მაშინა ალფავიტა ანბანნი ჩუწნისა ქმისანი მხოლოდ ანი ყოფილიყო. აგრეთუწ არსნი, რომელნი მოკიდულ არიან თჳსსა ა ანსა ზედა, ე. ი. ცხოუწლ-მყოფ მხოლოსა პირუწლსა ერთსაზე, მის მხოლო მარტივ ბრძნისა ძლიერისაგან დაჯარიგებულ არიან თითოეულნი თჳსისა ხატითა, და სახითა, რომელ თითოეულნი თჳსსა მწკრივსა იპყრობენ, ე. ი. ვითარცა ა ანისა და ჵოეჲსა საშუალნი ასონი და მარცუალნი. და ესევითარითა მაგალითითა ყოველი სიმრავლე, ერთსახენი, გინამრავალგუარნი ეზიარებიან ერთსა პირუწლსა ზედარე მოკიდულნი. გარნა პირუწლი საჭიროთა-უსაჭიროესი არავისადმი შემდგომისადმი მოკიდულ არს. ამად, რომელ პირუწლი თჳთ თავით თჳსით არს, რომელსა თლჳთცა არ ძალუძს არღა ყოფა ამად რომელ ცხოუწლ უკუთნითი არს და მარტივად ყოვლადი ყოველთავე არსთა და ბუნებათა. ა. ანი და ჵოეა, მაშასადამე, იზიარებს იგი თითოეულთა არსთა და რიცხვთა, და არა ეზიარების. ამად მეორეთი ითქმის შესაძლო ყოფად, ხოლო პირუწლისა შეუძლო არა-ყოფად, რომელსა არა უვის ნათესავი და სახე, და განუკუთელი. და შემთხუწვითი არარაი არს მის მხოლოს შინა, რომელსა არა აქვს გარე ე. ი. საზღუარი. და სუფევისა დასასრული, ორობათა ზედა, ე. ი. მარჯულთა და მარცხულთაზე. ხელოვანნი და ხელოსანნი წინარე მდებარეებთა ნივთებთა შეკრებენ სხვათა და სხუათა და მრავალთა გუართა და შეანაწევრე-



ბენ შენებულებათა და ჭურჭლებთა, და ქსოვილებთა და სამკურნალოთა წამლებთა და მხატუარნი ფერადებთა, და ეგევითარნი თითოეულნი წარმოადგენენ სახოვნებათა და ამინაშატებთა და საკრავებთა და მაშინებთა, და საყამებთა და უშორეს ეგევითართა, კნინლა და გასაკჳროთა უბირთაგან. გარნა იგი ყოველნივე და კერპნი არა არიან მექონ განუკუწთელობისა ნათესავისათანა, გინა სახისა შორის, რომელნი მშვინვისა და ორძილობისა მექონ არიან გუარისა და სქესისა თითოეულნი, მექონნი საკუთარისა თჳსებისა და ნიშატებისა. მაშასადამე, მოხელოვნებულნი არსნი მრავალთა ბევრეულებთა ნივთებთაგან დასხეულებულნი სხუანი და სხუანი ერთადრე შეკრებულნი ფისიკოსთაგან და ხუროთაგან არა არიან მექონ საკუთარისა ბუნებისა. ამად არა ითქმიან იგინი თავით თჳსით მყოფად, რამეთუ არსება იგი არს, რომელი არა მოქენეობდეს სხჳსა შემტკიცებასა, გინა სხვისა თანა განზავებასა.

არსებანი ყოველნივე თითოეულნი თჳსისა მწკრივისა მექონ არიან, რომელნი თჳსსა კრკალსა შინაგან განსაზღვრულ არიან და თითოეულთა განუკუწთელთა თჳსი წრეჲ აქვსთ. და არიან ადგილ თავისა თჳსისა დუბესა ზედა სოფლისასა დასხმულ ადგილსა შინა. მაგალ., მსგავსად ბროწეულისა მარცულებთა. ამად არა არს გამოხუწბა და გარდამატება სამთა მათ მმეფებელთა, ე. ი. ცხოუწლთა, ორძილთა, ლითონმეტალთა.

იხილე შემკითხუწლო, უგანათლებულესო მეფის ძეო, არსებათა ცნობანი, უკეთუ სათავითგან ვიწყო მეჩუწნების ლანდად და კნინლა მიუწთომლად. მაგალ., ოკეანედ რომელ აჩუწნებს ნათესავსა, ხოლო მდინარენი სახეთა და წყარონი განუკუწთელთა, რომელნი ყოველნივე წყალნი არიან არსებითა და სახელის დებითაცა, გარნა ურთიერთისაგან ფრიად სხუაობენ რაოდენითამე ნიშატებითა, ვითარ წყალი ტფილისის აბანოსი და მტკბარი ე. ი. პტკუარი და ხმა და უშორეს.

მოიხსენეთ, ძეო მეფისაო, არსებათა ცნობანი უფორე და უმეტეს ზედმიწევნილებითარე მიუცილებლად უპყრიეს სალთოთა წერილებთა და მუნითგან შედრგინებულთა ჭეშმარიტთა ღთისმეტყუწლებათა, რამეთუ ყოველთა ორობათა, ე. ი. ცასა და მუნებურთა ქუწყანასა და სავსებასა ამისსა, ერთბამად პირნი ქონანი თჳსისა, ა, ანისა და ჵოესა მიმართ და მის მხოლოსა შორის მომრგუალდებიან. მაგალ., ვითარცა ეტლისა თუალნი, და გოგორანი თჳსსა ღერ-

ძსა ზედა, რომელნი მხოლოდ იჩუჱნებიან. მაგალ., ზურგთა ჩუჱნდამო. ამად უვიცნი სალთო წერილებისა, და ღთისმეტყუჱლებისა ფილასოფოსნი მრავალ-ბევრეულნი და ერთბამად ყოველნივე შესცთენ მიერთამდე თჳსთა ტჳნებთაგან. და ვიდრე აქამომდე ახალთა საღთოთა ფილასოფოსებთაგან იყვედრებიან. ამად, რომელ მიზეზი მხოლო ცხოუჱლი, ანი მიზეზებულებთა შინა შთამოიყუანეს და სულად სოფლისად სთქუჱს და ქმნულნი ყოველნი დასაბამიერნი ნაწილებად, ნაწილაკებად, კერძოებად და კერძოკებად უკუნითისა ცხოველ მყოფისად სცნეს. ამად კეთილნი და ბოროტნი აღრიეს ურთიერთას და ორნივე ერთისა მიზეზისაგან გამოსთქუნეს, ვითმე ორნი დასაბამი თქუჱს. სხუათა თავით თჳსით სოფელი დაუსაბამოდ გამოსცნეს, რომელთამე ორნივე არსებანი ურთერთ დატევნილად აღიარეს, ე. ი. უსაზღვრო და საზღვრებიანი, ვიეთთამე, შემთხუევითად გამოსცნეს ზემო ჭერიცაჲ და ქუჱმო ბურთი დუბე ქუჱყანა ესე, ე. ი. არაყოფისაგან და ცალიერობისაგან იშუა კუჱრცხი ესე სოფელით და სავსებანი ყოველნით. რომელთამე ხაოსისა გარდაქმნა სთქუჱს ესრეთ და ეგრეთ, ე. ი. ბნელ ნისლისაგან. სხუათა, იდეათა იდეაები დაურთეს ტჳნთა თჳსთა ზედა, ე. ი. სოფელსა ამას ეგოდენივე სოფელნი და პლანეტებ ბურთნი ზემოქუჱ, იგვრდივ და ეგრეთ წარტაცებულ იქმნენ იდეაებთა თჳსთა სიგრძესა ზედა. ხატის ხატებთა მშრალთა და ცალიერთა მატებელნი, ვერცაღა სიგანესა მიწთომილ იქმნენ. და არა საკვრუჱლ არს ესრეთი უბადრუკება მათ უსახურთი, რამეთუ შესთხოვდენ კერპებთა სიბრძნესა, ცხოუჱლნი უგძნოთა, მაგალ., უკეთუ უცხოსა ქუჱყანასა შეცთომილმან გზისაგან იხილოს მძორი კაპანთა ზედა მდებარე რომლისამე მხეცისა და სურს ვიდრი მუჴლებთა დადგმით სწავებად ზეცისა გზისა იწროჲსა, ანუ ქუჱ ფართოდ წარმყუანისა თჳსისა საგნისადმი ამად უმეტეს შესცთების:

განსჭვრიტედ, უგანათლებულესო, რომელ კაცი არს თავსა შორის თჳსა ნათესავი, ხოლო პირისპირ ცხოველთა-სახე, რომელი ეზიარების ყოვლადსა ნათესავსა რომელითამე საქმითა, და თჳსებაებითა. ხოლო ითქუას რა გულისხმიერ არღა იზიარებს თჳსთანა ქუჱმდებითარე შეისმინოს რა თჳსება ყოვლადსა ზედა, ე. ი. მოცინარ განეფინების განუკუჱთლებსა თჳსთა ზედა, ეგრეთუჱ ითქუას რა სათნოება, მაშინ არცაღა განუკუჱთელი ეზიარების უთნოთა. მაშასადამე რაოდენ ურთიერთისადმი მოკიდულ არიან არსნი ყოველნი,



ეგრეთუჱ განყენებულცა არიან. მაგალ., ვითარ უგრძნოთა ცხოუჱლებთაგან გრძნობიერ ცხოველნი ე. ი. მშვნჳერ ცხოუჱლნი.

კაცი არს ორფეჴი ცხოუჱლი, რომელი მარტივ-ცხოუჱლობითა ეზიარების ზენა სოფელსა და ნივთიერებითა სოფელსა. მაგ., ვითარცა მზისა ნათელსა შინა იხილუჱბის ყოველნი ე. ი. სოფლისა რაოდენნი, და რაჲსა მიმართნი, და ფერადობანი მათ ზედა, ეგრეთუჱ კაცსა შინა, და გარე ყოველნივე იხილუჱბიან. მაგალ., სარკე იჩუჱნების პირსა მჭვრეტელისასა. ხოლო პირუჱლი არსება ე. ი. ერთი რომელიმე რათა მით ქუჱმოთითა ცნობით შევემცნათ, განუკუჱთელითა სახესა, სახითა ნათესავსა და უშორეს თითოეულთასა ბუნებაებსა და თჳსებაებთა, რომელითამე ზიართა და რომელითამე კი უზიარებლებთა, საკუთართა თჳსებაებთაგან, ე. ი. ბუნებისა საქმეებთაგან.

იხილეთ, შემკითხუელო, პეტრე არს განუკუეთელი არსება სხუათათანა საზოგადოჲსა საზღვრითა, რომელი ყოველთავე ეზიარების, ე. ი. ცხოუჱლობითა ნათესავსა, გულისხმიერებითა სახესა თჳსსა, ე. ი. კაცსა. მოზარდობითა ნერგთა და ორძილთა და ნივთიერებითა ქუჱყანასა და მარტივ ცხოუჱლობითა ზენა გონიერთა. და ესრეთითა სარკეობითა პეტრე პირუჱლი არსება არს, რომელსა შორის ყოველნივე იხილუჱბიან. და თჳთ უმაღლესიცა არსება ბრძენი, ყოვლად ძლიერი, განიჭვრიტების. ამად ყოველნი ქმნულნი კანკელ ჩუჱნდა არიან, მაღლისა ცნობად, რამეთუ არ ძალუძს ხომლსა თჳნიერ თოკისა ზემოკიდებით გება, ეგრეთუჱ უმეტეს ატომებთა და სულებთა არარასგან წარმოებანი თავთა თჳსთანი არ ძალუძსთ დაპყრობა თავსა შორის თჳსსა შინარე გებად. და ესენი კმა იყავნ არსთათჳს გარდმოცემად რომელთა არსთა არსებანი მიზეზისა უმაღლესისა თანა გებად არიან, ე. ი. დაუსაბამოსა შორის ერთბამად დასაბამიერნი კიდე დაუსრულებლად, რამეთუ სოფელი არა არს შემთხვევითი მაშინა და ფერნი, არამედ ნებამან მაღლისამან ოდესაც ინება მყისუჱ ქმნა, რომლისა მნებებლობასა არა აქვს დასასრულ ეგრეთუჱ არცაღა ნებებულებსა, რომელთა არსებობა მოიღეს. ამად რაიმეთა არღარა ძალუძსთ, არარაჲვობა. ამისთჳს არსთა არსებანი მარადის ეგების, ვინათგან ფორმანიცა ყოველთა ონტოლლოღია მწკრივთი დასრულდეს, ე. ი. დაიყენოს შობადობა, გაღანამცა ქმნილნი და შობილნი არღა დასრულდებიან, ვინძი შეიცუალნენცა არა შინაგან, არამედ გარეგან ხრწნილებანი უხრწნელად. მაგალ.,

უკეთუ დასცხრეს საჟამე სლვისაგან, გარნა ბორბალნი და ჯაჭვნი არა აღისპობიან და განაახლარა ხელოვანთმთავარმან უხრწნელებად ეგე მის ყოველნი ყოვლადნი ე. ი. სრულნი უუსრულესად.

რაჲ არს ვითარი არსება და ესენი ურთიერთისაგან ვითარ სხუაობენ. ე. ი. რაჲ არსობისაგან. იხილეთ, მეფის ძეო, პირუჱლად არსებათა, გინა არსებისა თავით თჳსით მყოფობა განვმარტე, რომელნი ურთიერთ ეზიარებიან და განეყოფიანცა. ხოლო აწ ვითარი არსებობაცა განვმარტო, არსებათავე შინა გებულნი.

ვითარება არსებისა მასაჩინოეა, ვითარცა წუაჲ ცეცხლისა და ნათელი ფერებისა. გარნა ლექსი ესევჳთარი, რომელ არს ვითარება არა მოიღების, მაღალსა არსებასა ზედა, ხოლო სხუათა ყოველთათჳს იხმარვის რათა არსნი ვითარებითა გამოვსცნად.

ვითარება აზმნობისამებრ ჩემისა კნინღა და ბუნება არს არსებისა ოდესმე შემთხუჱვანიცა. ვითარ ფერნი და ცუალებანი აღნაგებითი და მოკლებითი და თჳსებანი, რომელნი შევლენან არსებასა ზედა და არა ხრწნიან ვითარ ძილი, ღვიძილი, ჯდომა, წოლა, ყრდნობა. კუალად შემთხუჱვითი ანაგებითი ვითარ თუალებმახჩობა, დუხჭირობა, დაკოდილება, განწითნება სირცხვილისაგან, განყჳთნება შიშისაგან და უზევრეულესნი მრავალსახენი არიან ფიზიკურნი, ზნეობითნი და პოლეტიკურნი, გართულებანი და სხუანი.

იხილეთ, ძეო მეფისაო, ვნაჲთგან სული მეფე არს გუამისა თჳსისა, რომელი თჳთ მარტიო ცხოუჱლ არს. და მცხოუჱლებელი სამარადისოდ და მაცხოველებელი გუამისა თჳსისა, რომლისა ბუნება და არსება ერთი და იგივე არს. პირუჱლად მისთჳს ვმეტყუჱლებ, ვითარება სულისა არს არსება ბუნებითი ძალი ე. ი. უწინარეს ყოველთასა საგნებისა, ანუ საგნისა ძიება ხუთ სახედ; მაგალ., აჰა, ვიხილე ჯუარცმისა ხატი მაცხოვრისა, რომელი აღმოჩნდა უმეტეს საგნად, ვიდრელა მუნვე თანა ჯუარცმულებთა. ესერა სულმან ჩემმან ხედვისა ინსტრუმენტებ ჭურჭლებად იხმარნა თუალნი, რომელთაგან ხატის ხატნი შეიხუნა შინაგან თჳსსა და მიიხჳნა რაოდენობა ხატისა და ჯუარის. მაშინ მყის ფლობა და ნებამან ურთიერთ თანაჴმამან განასჯევინა გულისჴმის ყოფასა და მისდრიკა ფლობამან და ნებამან სურვილი და ტრფობა და ესრეთ შეიყვარა მიმყოვრებითარე განსჯილი სულმან ჩემმან, რომელ არღა ძალუძს არათნება, ამად, რომელ ბუნებით ცხოვრების მეძიებელმან აღირჩია თჳსისა არსება ბუნებისა განმამტკიცებელი საგანი. ე. ი. ჯუარცმული და არა სხუანი. კუალად და კუალად, რაოდენ განსჭვრიტა სულმან ჩემმან. მაშინ მყის ხატი იგი იქმია კანკელად და უფროსღა ყურადღებისა კიბედ და აღფრინდა პირმშოისადმი და იხილა მისგან მისთანა, დაუსრულებელი განგრძობა უუმეტეს ითნო და შეიყუარა ამად, რომელ აღივსო სასოებითა და არღარა ეშინის აღსპობისაგან, ამისათჳს ხილულითა უხილავი, გარდიტანა იდეად. ე. ი. ხატითა პირმშო შთაწერილ'ყო სულსა შინა ე. ი. სულმან ჩემმა სახელისა ლექსი და ესრედ მარადის თანა აქვს რომელსა ლოღიკურად გინა კატილორიულად ზრახუა გონებისა ეწოდების. და ესრეთითა საგნითა აჰა გავითარდა სული ჩემი და იქმნა მოქმედ ე. ი. შინაგანმდებარითა ლექსითა მზრახუჱლ შემოქმედისა. ესე არს გავითარება სულისა ჩემისა თუალებათა საშუალებითა ეგრეთუ სხუანი და სხვანი და უშორეს.

ეგრეთუჱ ოდეს ესმასთ ყურთა ჩემთა, რომელ ხატისა იგი პირმშო ყოფილა ქუჱყანასა ზედა, ოცდაათსამეტსა წელსა, ჯუარითა ვამომხსნელი სოფლისა. აჰა მყის აღიხსენებს სული ჩემი დაკრძალულითა მით ლექსითა თჳს შორის, რომლითა, დაუტევნელსა კნინღა დატევს სახელისა ლექსითა, რომლითა მხიარულებს სული ჩემი, ამად, რომელ აქვს მას შინა დაულევნელი ცხოვრება.

ეგ სახედუჱ ოდეს განმზადებულმან ვიგემო უკვდავმყოფელი მსხუჱრპლი მაშინ შეხებითნი გემონი ენისა საშუალობითა მიხმულ იქნებიან სულისა ჩემისაგან, რომელ სულმან ჩემმან უწყის ბუნებითა და უფროსღა სწავლითად, რომელნი ბუნებისვე არიან, რომელ ყოვლისავე შემძლებელსა ყოველნივე და ესეცა უქმნიეს სიბრძნით, რომლისა საქმენი და ქმნელნი არა არიან აღმსპობელი არსთა არსებათა ამად, არღაცა სულისა ჩემისა იქმნების განმქარვებელ, არამედ წინდ და კავშირად აქვს მაღალსა ჩემდამო, რათა უხილავისა საქმენი ხილულში გამოსჭვირდეს. ამათ ძლით სული ჩემი აღივსების სარწმუნოებითა, რომლითა უმეტეს განსუჱნებული ტკბების მარადის, და ანიჭებს სახლსაცა თჳსსა დარღუჱვადსა ხრწნილებისაგან განახლებასა უხრწნელად. ე. ი. კორცთა ტაძარსა რომელითანა მშრომელ არს რთული მარტივსა თანა.

ეგრეთუ იყნოსებენ პინჩნი ცხვირისანი საკმეველთა შეწირულთა მიმრთმევი სულისა თჳსისადმი. მაშინ მყის იწყებს საამოვნოსა სუნისა სჯასა, რომლითა საყდარი სულისა დატკბების ე. ი. ტჳნი და ხილულითა ამის ნივთისა სუნისათა. რომელ ლოცუა და ვედრება აღვლენან წინაშე ცხვირისა და დამნერგუჱლისა და გარდამოვლენან

სულსა შინა ჩემსა მადლი და წყალობა და სიბრძნე რომლითა უმეტეს შევეკვრი დასაბამიერი დაუსაბამოსა.

ეგ სახედვე შევეხო რა იგვრდივ ემბაზისა წყალსა, მირონსა, აიაზმასა ზეთთაკურთხეულთა ამბორებითა სახარებასა ჯუარსა, ხატთა, სამღვდელოთა ხელთა, მყის ყოველნი ტენონნი და თაგუნნი ძარღვნი და გარსნი და ტყავნი და ჴორცნი და სული ორსილიანი და მშვინვიერნი იქმნებიან მარტივ ცხოველისა სულისა ჩემისა მიმრთმელ, რომელ მოხსენებათა სრულიად განყოფითად განჯის და მყის მიიქცევის თავალმა სული ჩემი გულისხმის მყოფელი მაღლისა მიმართ და იწყებს ქებასა მონებრ მაკურთხეველი და შეიყვარებს მებრ მოქმედსა საკვირუჱლებისასა ცათა შინა, და ქუჱყანასა ზედა და დაუმორჩილებს ფლობასა ე. ი. თავისუფლებასა თჳსსა და ნებასა ე. ი. მნებებელობასა სანებურად სათნოებითა. მისი მხოლო მყოფ ცხოველ ბრძნისა ყოვლისა შემოქმედებითა ყოვლად ყოველისავე შინა იხილავს, რომლისა სახელი საკვირუჱლ არს, რომელთაცა უხარის სულსა ჩემსა ე. ი. ნივთიერებითა ძალდამკვდრებულებითა სხეულოვანისა გუამისა მეორედ დაბადება. და უნივთო სიტყვთა სულისა შობა ე. ი. სახარებითა და ესე ჳთარისა გავითარებითა სული ჩემი ზენა საგანისა ცნობით ყოველთავე შემეცნებითა ე. ი. მხოლოსა ცხოუჱლ ბრძნისათა მცნობელ იქმნა თავისა თჳსისა და საკჳრუჱლ მოქმედებათა ნივთებთასა რომელთა ძალთა ცნობანი ვითარებად აქვსთ ე. ი. სიბრძნედ სათნოებად და სიმართლედ. და არა ქმნად ვისადმი ვნებულებისა რომელნიმე არა მინდეს.

იხილეთ, მეფის ძეო, ვითარებანი მრავალ ბევრეულ არიან ე. ი. რაოდენნიცა საგნები აქვნდეს კაცად-კაცადსა და თანამდებობანი ეგოდენნივე ვითარებანი და მართულებანი ექმნებიან. მაგალ., ფილოსოფოსთა სიბრძნენი ქონანთ ვითარებადრე, ხოლო ღთისმეტყუჱლთა აღძრცვლნი ცნობანი, რომელ თითოეულისა საგნებისა ხატისხატნი და სახენი და ღედნებთაგან გარდახატულნი ხუთთა გრძნობაებთაგან შეხმულებთა მიხმულ იქმნებიან სულისაგან, რომელთა ხატის ხატთა პირუჱლთა თჳთ მეხსიერებასა შინა შთაიწერს. ხოლო მათუჱ ხატის ხატებისა სახეებთა მეორე მხრივ გრძნობაებისა დარიჯაგებსა შინა დასდებს. ამად უკეთუ საგანსა განეშოროს მესაგნე, საგანი იგი ჟამად-ჟამად აღიხოცების. მაგალ., უკეთუ ოცისა წლამდისი განსწავლული ჭაბუკი ახლად მშობელთა მკვდართა განსწავლული ზეპირ გალობისა რუა ხმათა და მამულის ღრამმატიკისა და-



ტყუჱვებულ იქმნეს, აღმოსავლისა მხარითგან, დასავლეთისა, ამერიკასა შინა, ორმეოცდა ათისა წელიწდებისა უმეტეს, რომელსა არღა ესმოდეს თჳსი ქუჱყანისა ენისა ხმა და შემდგომ ზემო წელიწადებისა მამულადვე თჳსად მივექცეს, მაშინ არღა ძალუძს მშობელთა სახის სახისა გარდახატვა. და არცაღა ზეპირად გალობა სხუათა თანა კილოსა და ტონებსა ზედა ეგრეთუჱ ენისა თჳსისაგან მოკლებულ იქმნების და აიხსენებს რაიდენთამე მათცა ბნელად, და სახელებ დავიწყებითა და წინა უკმოდ. ამად რომელ რაოდენ საგნებთა განეშორა ხედვისაგან სმენისაგან, ყნოსისაგან, გებებისაგან და შეხებისაგან ეგოდენ ვითარებანი ე. ი. ხსომანი განმქრქალდენ დავიწყებითა. არა სულსა შინა, არამედ გრძნობიერსა ტჳნსა ზედა. რამეთუ სულსა თჳსისა მეხსიერებისა ქარტასა ზედა საგნები მტკიცედ განხილულნი შთაწერილად უპყრიის საუკუნოდ. გარნა გრძნობანი საგნებისაგან განშორებულნი ხშირადრე შესცთებიან. უმეტეს უსიტყვთა. რომელნი არა ადვილად სცთებიან. ამად რომელ მათ ყოველთა მხოლოდ გრძნობითნი საგანი აქვსთ. იხილ. ბუნებითი ისტორია:

დასასრულ, კაცი კეთილი უკეთუ განეშოროს უკეთილესსა თჳსსა არჩეულსა საგანსა ზეცისასა, გინა ქუჱყანისასა და მარცხულ გართულ იქმნას ფიზიკურ ვითარებითა, დამვიწყებელ იქმნების პირუჱლისა საგნისა. მაგალ., ვითარ გიორგი სააკაძემან დაივიწყა უსაყვარლესი მამული თჳსი, და იწყო საგანი თჳსი ე. ი. აღაბორგა მძლავრი სპარსეთი და ექმნა ეტიკ ზედა-სხმითარე ივერიასა ზედა, რომელთა აღაოხრებინა და ობოლ-ჰყო მამული თჳსი ეგრეთუჱ უკეთუ ავაზაკმან დაუტეოს მარცხული საგანი თჳსი, რომელსა შინა გავითარდა ბოროტ-ზნეობითა და მოიქცეს, მაშინ საგანი იგი თჳსი დაავიწყდების. მაგალ., ყრმა ცელქი შკოლისა, ჟინიანი, ოდეს განმსწავლელთა განაშორონ ჯიბრისაგან უნაყოფოებისა და ყონ ბრძენ პრაქტიკებითა და თეორეტიკებითა, და ჟამსა ჯოშობისასა მამულისა საქმეები დიდნი არწმუნოს მონარხმან, და დროსა ჭარმაღობისასა იქმნას მესაიდუმლოე, მაშინ უსივრობითი და ნინველობითი და ყრმობითნი მრავალნი განდრეკილებანი ძნიად-ღა აღეხსენების, თუნიერ დიდთა ეპოხათა, საზოგადოთა ანუ საკუთართა. მაგალ.. სულსა ჩემსა ახსონან წარტყვენა ტფილისისა ერისა და შენებულებისა მოწვა ცეცხლითა სპარსთაგან. ეგრეთუ მშობელთა სიკვდილნი ჟამსა ყრმობისასა.

დასასრულ, ვითარებისა საგანნი, ნივთნი ყოველნივე არიან ე. ი. გამოძიებანი და ცნობანი სოფლისა სავსებისა და მას შინა განრთულებანი ვითარებანი კაცისა არიან. და რომელსაცა მათგანსა იცნობს და შეიყვარებს-ცა და დახელოვნდების, იგი უმეტეს გარდაეხატების სულსა მსურუჱლისასა, და უკეთუ დუნეთ ისწავოს ცხოუჱლთ მხატვარმან დახატვა მაცხოვრისა ხატისა, თჳნიერ დედნისა ჭვრეტისა ვერ გამოხატავს სუსტად განსწავლილი. და უკეთუ დახატოს წორწონობასა შინა, ვერა მოიყვანს ალნაქვსსა ყოვლადისასა. ეგრეთ ვითარცა რაფიილ იტალიელი, ეგრეთუჱ უნიჭონი ხელოვანნი და ხელოსანნი უსურვილოდ განსწავლულნი, უკეთილესად ვერ შეასრულებენ თჳსთა ვითარებასა ე. ი. აზნაურებითი და გონებითი საქმეთა. ელლინურ თეორეტიკა და პრაქტიკა, რომელ არს ხედვითი და საქმითი, ე. ი. შინაგან სულითა განჭვრეტა-ქმნადთა და გარეგანგრძნობაებითა და ხელითა შესრულება თჳსისა ვითარებაებისა.

მეფის ძეო, ვითარებანი ბოროტ-ზნეობითნი, რომელთა ეკკლესიურ შვიდნი სასიკვდინონი ეწოდებიან, რომელნი მათ შინა მიმყოვრებით განრთულებით გავითარდებიან, იგინი არა არიან სულისა არსებითნი აუცილებელნი საჭირო საქმენი, გინა ხორცთა ბუნებისა მიუცილებელნი საჭირონი. ამად, რომელ არსება ბუნებითად სარჩლის თჳთ თავსა თჳსსა, რათა არა აღისპოს, გინა ფუფუნებით-არე განაგრძოს თჳსი მყოფობა, მაგალ., უკეთუ ზედა დამსხმელმან განშიშვლებული მახვილი სცეს მორეულსა, მაშინ უსაჭურველო ნაცვლად ფარისა მიაგებებს ხელებთა, რათა ყოვლადი სიმრთელით დაიცუას, ამად უმსხუჱრპლებს ხელთა და თჳთ სიკვდილსაცა ერკინების მკურნალებითა და წამლებითა, რომელ არსსა ბუნობითად უყვარს თავი თჳსი თჳნიერ სწავლისაცა მაშასადამე, რომელნი სულსა თჳსსა შურად და გრივად და ვერაგად ახელოვნებენ და ენასა ამზაკვრებენ და თუალებთა ავნებულებენ და ყურებთა მიუპყრობენ განმაუბედურებლებთა ხმებსა და პინჩებითა იყნოსენ სამთვრალოებთა, ენითა იგემებენ სასნეულოებთა, ნაყროვანნი და ასოებითა შეეხებიან არა წმინდებისა თვისებითა და ფერხებითა მიაბიჯებენ სასიკუდინოებთა ადგილებთა.

აჰა, ამათ ესევითართა უწყიან თჳსი ანაგებისა მოკლება ესევითართა ნებსითთა საქმეებთაგან, რომლითა ხრწნილებასა უტეებენ თჳს შორის. აჰა, ესე ვითართა ვითარება არა არს არსება, გინა ბუნება, ნუ იყოფინ, რათამცა, ბრძენ მხოლო ცხოველსა დეებადებინოს ერთი მხოლო წყარო ტკბილად და მწარედ ე. ი. კაცი, რომელიმე კეთილად და ვიეთიმე ბოროტად. და უკეთუ ბოროტ-ზნეობისა მონანი მომიგებენ მე თავისუფლება არსო ბოროტი, მიუგებ მათ: [illegible]სათჳს სეითისათჳს და შთამოსირებულისა მათისათჳს არა არს ბოროტ თავისუფლება, და კაენისათჳს, და ქამისა და ისმაილისა და ესავისათჳს და შთამოებულთა მათთათჳს იქმნა დიდ ფრიად ბოროტ და ერთბამად წარმართთა ტოზიკელთათჳს და მეკერპეთა იქმნა შემაცთუნებელ თავისუვფლება? მიგება: ამად რომელ არღარა არიან თავისუფალ და თავისუფლებითი ვითარებასა შინა განრთულ, არამედ მონა იქმნენ თჳსისა მამისა დემონისა, არამედ თავისუფალი ბრძენი ეძიებს უმეტესსა თავისუვფლებასა, ე. ი. აღიკრძალავს ჴორცთა თჳსთა და დაუმორჩილებს მეფე სულსა, და ორსავე, ე. ი. მარტივსა, და რთულთა, მხოლოსა ბრძენსა თავითთჳსით მყოფ ცხოუჱლსა, რათა მის ზედა დაკავშირებულმან მისთანა განაგრძოს დაუსრულებელი ცხოვრება ცხოველობითი.

მოიხსენიეთ, ძეო მეფისაო, ვითარება შინაგან სულისა მისთანავე უხრწნელ არს, ე. ი. სარწმუნოება, სასოება და სიყვარული და სიბრძნე და განათლება და უმანკოება და წრფელობა, სიწმინდე და სიმართლე, ხოლო გარეგანნი ვითარება გრძნობიერნი განრაოდენნობა არის გუამისა ანაგებისა, რომელი სიბერითა, გინა სნეულებითა დასცხრების განრაოდენობისაგან, უკეთუმცა არა იყოს ესრეთ თითოეულნი განუკუეთელნი, ეგოდენ განრაოდენდებოდენ. და ჩუჱნცა, რომელნი ურთიერთ დაუტევნელ ვიქმნებოდით და ვერცა-ღა სოფელი ესე დაიტევდა მცირე სოფელსა ე. ი. კაცთა სიდიდისა გამო, გინა სიმრავლისა, მაშასადამე უმჯობესი ესე არს ზეგარდამო განჩინებული, რათა ანაგებისა ვითარება მოკლებისა ვითარებითა მოაკლდეს. ამად ნათესავისა და სახისა განუკუჱთელნი ჩივთები ისპობის და იუწყების ახალ-ახალნი ფორმა დარიჯაგებთაგან—იგივე ნათესავი და სახენი და განკუჱთელნი. გარნა მოსპობა არა არს არსთა არსებათა განქარვება. არამედ წარსულნი გიეს უმჯობეს ცხოველებად მაგალ. ვითარცა ჭუანი პარკებისა მქსოველნი დასცხრენ რა ქსოვისაგან, განისუჱნებენ მაშინ გარეგან უძრავისა ძილითა. ხოლო შინაგან საიდუმლო ძალი მოქმედებული განღვიძებულ ყოფს მათ და ესრეთ უძლურ-ყოფილნი გამოვლენ ძლიერებითა შემოსილნი.

ეგრეთუჱ ქუჱბთაგან, ე. ი. კუჱრცხებთაგან ცხოველნი ფრთოსანნი და ქვირითებთაგან ქიცვებიანნი და შიშუჱლთა მარცვლებთა

დათესილებთაგან რტონნი და ქუილნი უკეთილესნი. ამად, რომელ გარეგანნი ფორმა იხრწნების, ხოლო შინაგანნი — არაოდეს. რამეთუ ძალნი არიან არსთა არსებანი და არა გარსნი და ფერნი და ცვალებანი შემთხვევითნი უარსონი. უკეთუ ესენი ესრეთ არიან, რაოდენ სიტყვიერნი და სიტყვიერთა რთულნი კავშირები მატსთ მათ ყოველსა, რომელთათჳს ანატომიისა მკურნალნი კჳრობენ დიდ ფრიად განსხუავებასა სოფლისა სავსებათაგან. მაშასადამე, ხრწნილება ერთ-კერძო მეორე მხრივ შობს უხრწნილებასა, რამეთუ ხრწნილება და გახრწნილება განეყოფებიან ურთიერთ სიტყვისამებრ წმიდისა დამასკელისა. რამეთუ განიხრწნებიან უსიტყვნი და ორძილნი და მეტალნი, რომელთა შინაგანნი ძალნი არარაჲ ქონანთ. ხოლო კაცი იხრწნების, ე. ი. დაუტეებს ხრწნადობასა და მოიგებს უხრწნელებასა, რომელთათჳს სალთო წერილნი უმჯობეს ბრძანებენ. მუნ იხილე, ძეო მეფისაო, ხოლო ფილასოფიურ ესე კმა იყავ ვითარებისათჳს.

## თავი მეორე

რაჲ არს განწუალება, და რაჲ არს განსაზღვრება? ესენიცა ვითარ სხუაობენ ურთიერთისა შორის? მკვდრისა ამის მიგება.

ძეო მეფისაო, განწუალება და განსაზღვრა-ლექსნი ესენი ოდესმე ურთიერთისა მონაცვლედ დაიდებიან თხჳსისამებრ ანუ ებრ, გარნა არა ყოველთა ნივთებთათჳს.

აჰა განწუალება ფიზიკური არს განვწვალოთ რა ატომნი, ე. ი. ურთიერთისაგან განყოფით განვაყენოთ თჳსისა არსებაებისა ბუნებაებისა გამო შემეცნებითა, ე. ი. მარტივნი ელემენტ-სტიხ ნივთნი. პირუჱლი ცეცხლია, რომლისა არსებისა ბუნება მხურუალედ მოტყინარია, და მწუჱლ თჳსისა მახლობლებისა ნივთებისა, ე. ი. დენთისა და ჴმელთა ორძილებთა, რომელი ფიცხელისა ჰაერისა შერყევითა ანათლებს ღამესა ეთერისა საშუალობითა, რომელი ზე აღმავლობს თჳნიერ ძალ-დაყენებისა, ცეცხლი იგი შედრგინებული არს უუწვლილესთა მგრგვალაკ ატომებთაგან, ე. ი. მღვირისა უწვნიკესთაგან ესე განიწუალების თჳსისა მეზობელისა ჰაერისაგან, რომელი შეიწყნარებს სიგრილესა, და ჰაერი მეორე ნივთია, რომელი განეყოფის ცეცხლისაგან თჳსისა არსება ბუნებისა ნიშატებითა, ე. ი. ატომნი ჰაერისანი რომლისა არსება ატომია, რომლისაგან არს შედრგინე-



ბულ და განფენილ ზედა, ქუჱშე, და გარემოს სფერისა ამის ბურთისა ჩუჱნისა, რომელსა შინა კნინლა დამცურვალობს ქუჱყანა ესე ჩუჱნი. და ჩუჱნცა სლვისა ჟამსა ვაპობთ რომელსა პირით და, პინჩებითცა მივლებლობთ სიცოცხლედ შინაგანისა. ეგრეთუჱ გარეგან იგვრდივ გუამნი ჩუჱნნი მიმღებლობენ და ყოველნი ცხოუჱლნი და მდელო ნერგნი რომელი განგრილდეს რა მზისა განშორებითა შეიტანს სიგრილეთა და სიცივეთა შინაგან და განხურდეს რა მზისაგან პერპენდიკულითა ხორშაკითა შეიხუამს სიცხესა გუამებსა შინა და ნივთებთა შინა, რომლითა ყინვათაცა აღნობს. აჰა ამისი ბუნება არს ზნექითი მოძრაობა ზემო, ქუჱმო და იგვრდივ. სოფლისა, რომელი განათლდეს რა მზისაგან, ყოველთა ფერებთა და ნივთებთა და ნაკუჱთებთა და რაოდენობათა და რაჲსა მიმართობათა წარმოუდგენს თუალებთა ჩუჱნთა, ხოლო დაბნელდეს რა ღამისაგან, გინა ნოტიო ნისლისაგან, არღარა ძალუძს ნივთებთა სახის სახისა და ხატის ხატებისა ზემოპირებისა გარდამოცემა.

ეგრეთუჱ წყალი განვსწუალოთ რა, ორთა მათ ატომებთაგან, ე. ი. ცეცხლისა და ჰაერისაგან, წყალისა ატომებიცა ნოტიო მღვირებივე არს, მრგვალაკნი მსგავსად ქჳრითებისა, ანუ ფეტვთა, გარნა წვლილნი დიდ ფრიად თჳთ ჭოგრებითაცა განუხილუჱლნი, რომელნი ურთიერთ მიწოლითა და ჭენებულად იძვრიან წყარონი და მდინარენი, რომელთაცა აქვთ დაღმართი, ხოლო ზღუა ოკიანე და ტოტები მისნი სიღრმისა გამო, სდგანან. გარნა უკეთუ არა აქონდეს ჰაერსა წყალნი ყოველნი და არა წარიღო ღრუბლებითა ხმელთა ადგილებთა მორწყვად დაფარევდა ქუჱყანასა ჩუჱნსა. აჰა, ბუნება წყალისა არს ნოტიობა და სითხელე.

ეგ სახედ რა განწუალებულ ვყოთ მეოთხე ატომი მღვრი მიწა ზრქელი და მყარია, რომლისა ბუნება არს ნედლობა და გრილობა თჳსება არს და განტფობა და ხმელყოფა, რომელი სიხმოთი ემეზობლების ცეცხლსა და სიგრილითა ჰაერსა და სინედლითა, ე. ი. ტენიანობითა წყალსა. და ესე ვითარითა სახითა და ნიშატებითა დიდ ფრიად გარემზომნი ოთხნი იგი ატომები, ასონი ოთხეულნი ურთიერთ ემეზობლებიან ამად, რომელ მათითა ურთიერთ შექსოვითა სოფელი არს წარმომდგარ და ყოველნივე სავსებანი მის შორისნი. მაგალ., გუამი ჩემი არს მიწა, ხოლო თელგამი მას შინა არს წყალი. და განწითლებულნი სისხლი, და ნაღუჱლი ცეცხლი არს, და ჰაერი ყოველთავე კინძებთა და ღრუებთა და ღრუდოებთა ძვლებთა შინა

და ტენონთა, და თავუნთა ძარღუწბთა შინა და უფროსღა ფირტჳსა შინა არს, რომელი ამოძრავებს და ყოველთავე თითოეულთა კინძებთა ე. ი. ანატომიებთა აძლევს მოძრაობასა ურთიერთისა მაშველად. რაოდენ შიგნეულთა ჭურჭლებსა, ე. ი. ფირტჳსა, საჭმელებისა და სასმელებისა მომხარშუწლსა, გულსა სისხლისა დამწმენდელობასა, რომელი ოცდა ოთხსა ჟამსა, ე. ი. ერთ მოქცევასა შინა განატარებს სიგრძესა ზედა ვითარ თხებისა კოწლებისა ძირებადმდე და ქუწ ფერხებთა ბრჭალებისა ნუნებადმდე, ეგრეთუწ სიგანესა ზედა თითებთა ბრჩხილებისა სიწითლედმდე. ეგრეთუწ გარეგან დიდ ფრიად შემწეობს ფერხებთა ბიჯებად და ხელებთაგან აღებად ნივთებისა დაწვებისცა მოარულსა გვამსა დაღალავს. (და შრომითარე მსგავსად ტვირთისა).

იხილეთ, ძეო მეფისაო, უკეთუ ოთხნი ესე ატომნი ურთიერთისაგან განიწუალნენ თითოეულნი მარტივ არიან და ოდეს შეერთდენ განსრქელდებიან და დანაკუწთდებიან, ვითარ ცეცხლი ბრძმედისამებრ და ჰაერი თხიერსა შინა და წყალი ჭურჭლებსა შინა. და ეგრეთუწ მიწა უმქტეს.

განწუალება ლითონებისა, იყისა წამლებისა და ეგე ვითართა, რომელი ბრძმენდებსა შინა განირჩევიან ინსტრუმენტებ ჭურჭლებითა, გარნა შეუძლებელ არს ხიმიკისთაგან და მეტალთა ფიზიკოსთაგან შეცვალება ბუნებაებისა, ვითარცა მტყუანად სახელდებულსა შაზადად ტფილისსა შინა ხელუყვიჲ სპილენძისა და რკინის და რკჯენისა, თითბერისა და კალისა ოქროდ შეცვალება დროსა მეორისა ირაკლისასა, რომელსა ნამდვილიცა ოქრო და ვერცხლი ვერღა განურჩევიეს. და ვერაგობა მისი ბრძმედსა შინა უხილავთ, განსავალით კერძ-სადით გამდნარი უდინებია უბირსა ფიზიკისასა და უვიცსა მეტალებისასა, ყოვლითურთ უთეორეტიკოსა და სრულიად უპრაქტიკოსა. მაშასადამე, ბუნებანი არავისგან შეიცვლებიან თჳნიერ მხოლოსა ცხოველ-ბრძნისა და უკეთუ ჴელოვანმან ორნი ანუ სამნი შეაზაოს ნივთნი, მკურნალმან ანუ მზვარეულმან, გინა სამთვრალოებთა მწნეხელმან, ანუ მეტალიკოსმან და მქსოველმან და არხიტექტურმან შენებულება და სხუათა, და სხუათა ჴელოსანთა მათ ყოველთა მოჴელოვნებულებთა, შერწყმულნი ეწოდებიან, გინა შერთულნი და არღა ზუტაკი, არამედ სარევლიანი. მაგალ., უკეთუ ვთლი და ყირი და კუწრცხი და განმტკიცულნი ფქვილნი თანასწორ შერიოს მკურნალმან განა მზვარეულმან, ე. ი. ერთი ლიტრა ყირი,



ერთი ლიტრა გოლი, ერთი ლიტრა კვერცხთა გული, ერთი ლიტრა ფქვილი, გინა ერთი ლიტრა მარილი და ერთი ლიტრისა ფქვილისა ცომი შეერთებული, ერთი ხელადა წყალი, ერთი დოქი ღვინო ურთიერთ შერთულნი, ეგრეთუწ ერთი ლიტრა ლობიო, ერთი ლიტრა ზეთი ანუ ერბო შერთულნი, ერთი ლიტრა ხორცი, ერთი ლიტრა სუნნელნი სანელებელნი, ერთი კოდი კირი, სამი კოდი ქვიშა, ერთი ლიტრა ოქრო, ხუთი ლიტრა სპილენძი, შერთულნი და ეგრეთუწ სხუანი და სხუანი ნივთები ზემო ხსენებულებისა სახედ შეერთებულნი არა ითქმიან შეზავებულად, არამედ აღრეულად ურთიერთ ცუდად და უხელოვნოდ, არამედ შეზავებულნი წონითა და ზომითა და აწყვითა იქმნებიან უკეთილეს თანახმად. რაჲნიცა იყვნენ იხილე წიგნი საზზვარეულოთი, მკურნალთი, მეტალიკოსთი, არხიდექტურთი და მხატვართი სკლატებთა და ფარჩებთა და ლარებთა ჭრელებთა მქსოველთი და ეგე ვითართი. და ესე კმა იყავნ ნივთებთა შერწყმა და განრწყმა ოთხთა მათ ასოებთი, ე. ი. ცეცხლისა, ჰაერისა, წყლისა, წყალისა და მიწისა, რომელთაგან ხილულნი სამ სახედ განფენილ არიან.

მოიხსენეთ, ძეო მეფისაო, დუბე ესე სოფელი სამ სახედ არს განფენილ, ე. ი. სიგრძეთ, ვითარ აღმოსავლეთიდგან დასავლეთისა ბაქან გუწრდობადმდე, სივრცესა ზედა, ე. ი. სამხრეთისა ღერძისა კიდურთგან ვიდრე ჩრდილოეთისა კიდედმდე სიღრმედ. ზურგისა სიფრიფანითგან ვიდრე ქუწ ჰაერადმდე, რომელსა შინა მომრგვალებულად იძვრის ერთმოქცევსა შინა ერთგზის 24. აჰა განვსჭვრიტო რა სავსებანი ჩუწნისა ამის დუბისანი, დიდ ფრიად საიდუმლოდ მეჩუწნებიან თჳთ ორძილნიცა უკანასკნელნიცა, რომელთა პირნი უცხადესნი, გინა მხარენი განცხადებულნი მხოლოსა ბრძენ ცხოუწლისა მიმართ ქონანთ ქებითა და დიდებითა თჳსისა შემოქმედისა; რომელნი იჩუწნებიან ჩუწნდამო მხოლოდ ზურგსა. მაგალ. ეტიკთა თანამდებობა არს, რათამცა წინასწარ დასისა, და მწყობრისა და ჯარისა და მოგზაურთასა ვიდოდენ, ხოლო შედგომილნი მეორენი. ვერა მჭვრეტელნი პირთანი, მხოლოდ ხედვენ ზურგთა მათთა. რომელნი იჩუწნებიან ჩუწნდამო მხოლოდ ზურგსა. მაგალ., ეტიკთა იგი, ეგოდენ უმეტეს უცნაურ ამისათჳს, რომელ არა ხედვენ პირით კერძ, არამედ ზურგსა მხოლოდ და მასცა მობლარდხილსა, ეგრეთუ თჳთ სოკონი და ხავსნი, და ეგევითარნი ისაიდუმლოებიან ჩემდამო, რომელნი არა არიან ნერგ და არცაღა მდელო, თუმცა მახლობელ

არიან, რომელთა შინაგან ორძილობისა ცხოუჱლობა არს ნათესავითი შთამომავლობადმდე, რომელთა ქონან ორძილობანი. ხოლო ობი პურისა და პრკე ღჳნისა, არა მექონ არიან ორძილობისა, არამედ ნოტიობისა შეყოვლადება არს, გარნა სოკონი მრავალგუარნი მექონ არიან ორძილობისა რომელნი უგრძნო ცხოუჱლებთა დალმჭოლვილებისაგან მირულებულთა ცხოუჱლობასა მოიგებენ, ე. ი. აღმოსცენდებიან ტყეთა შინა გარდაქცეულთა და მოკუჱთილთა ხეებთა ზედა და დალპოლილებთა თივათა ზედა, და თჳთ ორმოსა შინა შთაგდებულთა უსიტყვთა მძორთაგანცა ჭუანი იწარმოებიან. მაშასადამე, ატომნი მღჳრნი რომელნიმე მძვრელ არიან, და რომელნიმე თანაძრულ მძვრელისა თჳსისა თანა, არა ახლად მბადებელნი თავისა თჳსისა სხუა და სხუა ნათესავებისა, და სახეთა ნუ იყოფინ. ვითარცა თჳსისა მუცლისა ჭიებისაცა ვერა მცნობელნი ფისიკოსნი, რომელნიმე უბირნი, იტყვიან, უვიცობითა, მხოლოდ მზისა სიტფო ბადებსო წენიკებთა ცხოუჱლებთა. მიგება მათდა ჩემი მცოხნელთა პირებისა დაყოფად: არარატისა და კავკასიისა ყინულებსა შინა სიცივე ვითარ ბადებს ჭუათა და უკეთუ სიცხე, და სიცივე ბადებს, რაჲსათჳს მხურუალენი იხვნი და ღერღეტნი არა ბადებენ, სხუათა რომელთამე ცხოუჱლებსა, ე. ი. არა თევზთა, არამედ მსგავსთა. ეგრეთუჱ კამბეჩი ურქოთა და უჩლიკოთა და უკუდოთა, ანუ ჰაერისა ცხოველნი და ზღვისანი არა შობენ ხმელისა ცხოუჱლებს, და ქუჱყანისა ცხოუჱლნი ოკიანესა იძვრისებთა არა ბადებენ. მაშასადამე, სამთა მმეფებელებთა რაულადცა არსება მოიღეს ეგრეთუჱ თჳსი ბუნება და თჳსება, და დარიჯაგი თითოეულთა თჳსი. მხოლოსა ბრძენ ცხოუჱლისაგან, რომელნი თჳსსა მწკრივსა თჳს შორისუჱ აგრკალებენ, თჳსისა ბუნებითა, დანაკუჱთებითა, ურთერთისაგან განსხუავებულნი, ვითარ ორფეხანი, ფრთოსანი, და მოცინარნი და ოთხფერხანი და რუაფერხანი, და მეტ ნაკლნი და წყლტუნი და მქისენი.

კუალად გავსჭვრიტო რა უსტრიცასა, და ეგევითართა მრავალჟეც ტყავთა და ეგევითართა, რომელნი გარეგან გარსებითა იჩუჱნებიან, კნინღა დაუცხოუჱლოდ გარნა შინაგან ცხოუჱლ არიან და მგრძნობელ თავისა თჳსისა და მახლობელ მშვინვიერ ცხოველებისა, ვითარ ყაპუზუნა მახლობელ კაცისა არს არა არსება ბუნებითა, ნუ იყოფინ, არამედ მზუჱლაობითა და ღონისძიებითა ფიზიკურ, რომელნი ამერიკასა შინა მავნებლებთა თჳსთა, ხეებთა ზედა ამტანნი



ტალახთა დაუშენენ, ანუ ნაყოფებთა ხიჩატლებთასა და სნეულსა თჳსსა საზრდელთა უზიდვენ.

ეგრეთუჱ ფრინველთა შორის წეროთა თჳსი რეგული აქვსთ, რომელნი ეტიკსა თჳსთა შეუდგებიან, ოდეს სიცხიანისა არისაგან გარდინაცვლებენ გრილსა ჰაერში და მხმილავებთა გარემოს გუნდისა დაიყენებენ. ეგრეთუჱ ბუზთა შორის ფუტკარნი ბრძენ არიან, რომელნი მორიგებითა მუშათა განუტეებენ ყვავილებთა, და შრომნებთა წაქისა გამოსუტვად, რომელთა არხიდექტურა უმჯობეს თაგვისა არს. ეგსახედვე მშრომთა შორის ჯინჭუჱლნი მეცნიერ არიან, რომელნი შეიკრებენ უნჯთა და მარცვლებთა განუფენენ მზესა და დააწვლილებენ, რათა არა დაუჯეჯილდეს ნოტიობითა, და ურთხნი თივათა შეუკრებენ მთისა ქუაბებთა შინა ჯიხუჱბსა ზამთართა შინა საჭმელად მათდა, ხოლო თჳთ სკორეთა მათთა განიზრდებიან. და სპილოთა შინაურთა, უკეთუ მეურნემან მოიპაროს საჭმელნი, შეხიშნავს და კნინღა მოაკვდინებს უპატიოდ შემრაცხსა თჳსსა. და რომელნიმე ცხოველნი ზამთარსა შინა სრულიად დაიძინებენ, ე. ი. გუჱლნი და ყოველნივე ქუჱმძრომნი და მერცხალნი ჩალასა, და ლერწმოვანთა შინა. და ჭუანი და ბუზნი აგრეთუჱ ხეთა ფუტუროებსა, და კედლებთა შენებულებისათა ძიირულებენ, ვიდრე განტფობადმდე ჰაერისა, იხლ. ისტორია.

ეგსახედვე მდელოთა და ნერგებთა ქონან მამალ-დედლობა, ყვავილებთა თჳსსა შინა მარცვლებთა გამოცემად, რომელთა მეცნიერთა ფისიკოსებთაგან საიდუმლო ქორწილი ეწოდებისთ. ეგრეთუჱ, რომელნიმე ორძილნი ხელთა შეხებათა წყენად მიიღებენ, რომელთა მეცნიერთაგან ნუ შემეხები ეწოდებისთ. ესენიცა ურთიერთისაგან განიწვალვიან, ე. ი. განიყოფიან, რომელთა თჳსი არსება აქვსთ თითოეულთა გუართა, რომელთა თჳსი ბუნება ასაჩინოებსთ. ვინაჲთგან, ბუნება არსებისა საქმენი არიან, ამად რომელ არსება ამოძრავებს თჳსსა ბუნებასა, და ბუნება თჳსებასა თჳსსა, რომელ ბუნება არსებისა საქმე არს მიუცილებელი, ზეგარდმო განსაზღვრებულნი.

იხილეთ, ძეო მეფისაო, თითოეულთა თჳსი ბუნება სწუალებს ურთიერთისაგან — აჰა, განწვალება სამსახედ აღმოვაჩინო, ე. ი. ცხოველი, რომელთა ლექსი ესე თჳს ქუჱშე დაიტევს ცხოველობით ზიარებულთა ურთიერთ, რომელი განიწუალების 1 ნათესავად. 2 სახედ. 3 და განუკუჱთელად, ერთი მხოლო რაოდენი დამცირდების სამადრე განწუალებული, ე. ი. ნათესავი სახეებად თითოეულნი

თჳსისა ნიშატებითა, და სახენი თითოეულნი თჳს ქუჱშე განუკუჱთელებსა ზედა. რათამცა განწუალებულთა, შემკრებლობითი ნათესავისაგან თჳსი საკუთარი ნათესავი იპყრან. და განუკუჱთელმან თჳსსა სახესა ქუჱშე განსაზღვრებულმან მიიღოს თჳსი შეყოფა, რომელთა ბუნება მახლობელ თჳსისა განუკუჱთელისა იყოს რომელნი გარეგანცა ნაკუჱთებითა მეცნავ არიან თჳსისა გუარისა, ე. ი. სქესისა. მაგალ., პარვე მშობელობს ვერძთა, და მროწლე უსხთა. და რემა-ტაიჭთა, და კოლტი თჳსსა ფორმასა, ე. ი. სახესა. და გუნდი ტრედისა-თჳსთა მართუჱთა, და ხრო ნადირთა — თჳსთა ნუკრთა. და უშორეს თითოეულნი დიდნი და მცირენი, და წვრილნი და წვნიკნი, და ჭოგრისა. და ნიკროსკოპებითა ძნიად განსახილვანიცა ცხოუჱლნი, განწვალებულ არიან ურთერთისაგან, ეგრეთ განწვალვილ არიან ურთიერთისაგან, ვითარცა პარკებისა მქსოველნი ჭიანი და დედაზრდილნი. მოიხსენეთ, უგანათლებულესო, ვითარცა განუკუჱთელი არა განიწუალების სახეებად, ეგრეთუჱ სახე არა განიწვალვის ნათესავსა ზედა დიდსა, რამეთუ ქუჱნანი ეზიარებიან ზენასა თჳსსა და არა ზენა ეზიარების, რათა უკეთუ აღისჳოს განუკუჱთელი, მისთანა არა აღისპოს ნათესავიცა. მაგალ., ბანი არამოკიდებულ არს განსა ზედა, არამედ შემდგომი მარცვალი არს. ეგრეთუჱ განუკუჱთელი თჳსისა სახისა ქუჱშე კერძოკია, ხოლო სახე ნათესავისა დიდისა მიმართ წევრაკია და ესე კმა იყავნ. განწუალება ყოვლადისა, ე. ი. ნათესავისა, სახეებთა ზედა და სახეები თჳსთა განუკუჱთელებსა ზედა იხილ. ონტოლოღია გინა კატიღორია არისტოტელისა.

განსაზღვრება მრავალგუარნი არიან ე. ი. ყოვლადობითი ვითარ ნათესავი, მაგალ., ცხოველი, გინა ცხოუჱლნი არიან მშჳნვიერ მგრძნობელი თავთა თჳსთა და განმყოფელ თითოეულნი საზრდელთა თჳსთა სხუათა ნივთებთაგან. განუკუჱთელი განყენებით რა ითქუას მაგალ., ხარი არს ცხოელ მშვნჳერ, მგრძნობელ შიშილისა, და წყურვილისა. ტრედი არს ცხოელ მშვნჳერ, მგრძნობელი თჳსისა მართუჱთი და მოყუარე გუნდეულად ცხოვრებისა. ფოცხუჱრი არს ცხოველ-მშჳნვიერ, მარტობითარე მცხოვრები, აღმომწოვნელ მძორთა სისხლისა. ეგრეთუჱ ყოველნივე განისაზღვრებიან, რომელნი ქუჱ დაიდებიან და ზე შეისმინებიან, საზოგადო ლექსი, ე. ი. ცხოუჱლობა და სახეობა და განუკუჱთელობა და თჳსნი საკუთარნი საქმენი.



განსაზღვრება კაცისა, რომლისა საზღუარსა შინა სამნი გინა ოთხნი და მეტნაკლნი მოიღებიან, რათამცა თეორემა იცვალოს აქსიომად, ე. ი. აღმოჩენა განცხადებულად და ითხზას რაოდენისამე ნაკუჱთებ მოკიდებულისა ლექსებითა, უბრუნებელისა, დაიდუას სახელი შემასმენელობითი. მაგალ., კაცი არს ცხოუჱლ-გულისხმიერ, მნებებელ. აჰა კაცი არსებაა, ცხოუჱლობა საზოგადო ბუნებაა, გულისხმიერება-ნათესავთა დიდთაგან გახყენებაა. მნებებელობა თავისუფლებაა და უშორეს.

განსაზღვრება განუკუჱთელისა ე. ი. მხოლო პირისა. მაგალ., პეტრე არს ცხოუჱლ, გულისხმიერ, მნებებელ სათნოებისა, უკდავი მარტივთა და მოკვდავი რთულითა. იუდა არს ცხოველ გულისხმიერ, მნებებელ უთნოებისა და ორისავ სიკვდილისა მოსურნე. აჰა, პირი, გინა გუამი თითოეულთი თჳსისა არსებითი სახელებითა ქუჱმდებარე იქმნენ. და ზედარე შეისმინენ საზიარონი ლექსნი, ე. ი. თანმოსახელენი ლექსნი, ე. ი. ცხოუჱლობა ნათესავისაგან, გულისხმიერება სახისაგანი და მნებებელობა თითოეულთა თჳსნი, რომლითა ურთიერთ განეყვნენ, ე. ი. იუდა თჳსისა ნებისაგან და სურვილისაგან განეყო, სათნოებასა პეტრესსა. ეგრეთუ მარჩბივნი ტყუბნიცა ურთიერთისაგან განეყოფიან, რამეთუ თითოეულთა პირებთა ზედა თჳსნი საქმენი შეისმინებიან. იხილ. მკითხუჱლო საზღუარი არ არს მწკრივი. არამედ გრკალია თითოეულთი შემცუჱლი წრეჲ. ამისათჳს მეტი არარაჲ დეერთჳს, რომლითა განვიდეს გარეგან გრკალისა სიმრგვლისა თჳსისა არსი მოკიდული ბანსა ზედა საშუალ Ა ანისა და Ჵ ოესა. და არცაღა ნაკლ იყოს დაბნელებად აქსიომაჲსა და ესე კმა იყავნ განსაზღვრებისათჳს.

## თავი მესამე

რაჲ არს სახე, რაჲ არს უსახოვნესი სახე და ესენიცა ვითარ სხუაობენ ურთიერთისაგან:

შემკითხველისადმი მიგება მესამე.

სახე ანუ სახენი არიან თითოეულნი სქესები, რომელთა შემდგომ გამოსლვისა თჳსისა დიდისა ნათესავისაგან პირისპირ მისა სახენი ეწოდებიან, ხოლო თავსა შორის თჳსსა განყოფილისა ნიშატებითა, ნათესავნი ეწოდებიან. მაგალ., ცხოვარი, ტრედი, ზროხა, ცხენი, ყაპუზუნა და კაცი თითოეულნი, განშორებულნი ნათესავნი არი-

ან თჳსისა სახისა ქუჱშე. ხოლო უსახოვნესი სახეა ერთი რომელიმე განუკუჱთელი, რომლისაგან შევემეცნებით მისავე სქესისა სახესა. ამად ეწოდების უსახესი სახე, რომელი უწინარეს მის გუარისა საზოგადოჲსა სახისა კნინლა და ალურიცხველისა ესე ცხადად იჩუჱნების პირუჱლად თავსა თჳსსა და მას შინა სხუათაცა განვიხილავთ.

სახე სახელმოდგამი ჴმაცა არს და თან მოსახელეცა. ამისთჳს განვმარტავ თუ რაოდენ გუარობენ სახენი ბუნებითნი და არა ბუნებითნი. ბუნებითნი სახენი არიან ნათესავისა თჳსის ვითარ ჯორი, ცხენი, ცხოვარი, თხა, თევზი, გვრიტი, გუჱლი, მყვარი, და ყოველნი თითოეულნი სქესნი და გუარნი ცხოველნი თჳსისა სახეებისა ქუჱშე ნათესავებ არიან. ეგრეთუჱ ცხოველი, ე. ი. ნათესავი რა ითქვას ყოველნივე მუნ ლექსით შეიცვიან. ხოლო კაცი-რა ითქვას, გამოეყოფის რომელი განყენებითარე სახეა, და ნათესავცა მხოლოდ მოცინარისა. და გულისხმიერთი, ეგრეთუჱ თითოეულნი სახეები არიან თჳსისა ნათესავებისა. ხოლო უსახესი სახე, არს კაცი ამად, რომელ ნიშატებმან რაოდეჲძანმე უსახესყო დიდისა ნათესავისაგან, რომელი უადვილესად იცნობების, ვიდრელა ნათესავი საზოგადო, ეგრეთუჱ ითქუასრა ლომი თჳსისა ნათესავისა სახე არს. ხოლო პირის პირ საზოგადო ნათესავისა უსახესი სახე არს, რომელი განყენებითად უმეტეს საცნაურ არს, ვიდრელა ამითოდენ. ცხოუჱლი ნათესავი მშჳნვიერი, მოძრავი, მგრძნობელი, მლვიძარი, მჭამელი, მძინარი, მწოლარი, მდგომარი, მსვლელი, მოზარდი და ეგევითარნი, რომლითა ვერცალა ერთსა სახესა შევემეცნებით ზედმიწევნითა, გარნა ითქუასრა უსახესი სახე, ე. ი. კაც-ლექსი მყისუჱ ზედმიწევნილ ვიქმნებით კაცისა არსებისა და ბუნებისა და თჳსებისა. ეგრეთუჱ სხუათა და სხუათა უსახესთა სახეებთა ოდეს წარმოვიდგენთ ადრიდგანვე გულისხმისყოფით განსჯილებთა და თითოელთა უსახეს შენიშნულთა და სახელებისა ლექსებთა და ფორმაებთა მათთა, ე. ი. ტანთა და ნაკუჱთობათა მათთა შთაწერილებთა სულისა ჩუჱნისა იდეაებად, ე. ი. მეხსიერებისა შინა გარდასულებთა, მაგალ., არვეთა, მროწლეთა, რემათა, კოლტთა, ხროთა, გუნდთა და ყოველთავე სქესებთა გაგუარებულად თჳსისა უსახესისა სახეთაგან, მყისუჱ ვმეტყუჱლებ ამხსენებელი მოგონებითა თჳთ ჩემთანა არა მყოფებთა თჳსცა. მაგალ., აჰა, არა ცხოვრობენ აქარე სანპეტრებუხსა ჩუჱნისა ქუჱყანისა რაოდენნიმე ცხოუელნი და არღაცა გარდახატულნი მიხილავს. ესერა ოცი წელი არს, გარნა იდეაებად უპყრიეს



სულსა ჩემსა, ე. ი. ხატის ხატნი და სახის სახენი და ნაკუჱთობანი და ტანი და რაოდენობანი და რაჲსა ძიმართობანი მათ ნათესავ სახეთანი უსახოვნესად რაოდენ გარეგან შესახედავნი, ეგოდენ არსება ბუნებანი და თჳსებანი მათნი, ე. ი. ჯიხვისა, კამბეჩისა, კარაულისა, აქლემისა, გუჱლისა, ჯოჯოსი, ხოხბისა და სხუათა და სხუათა, რომელნი უსახეს სახეებად მქონან შთაწერილნი სულისა ჩემისა მეხსიერებასა შინა, რომელთა შინაგან მდებარე სიტყვანი ეწოდებიან, გინა ზრახუანი. რაოდენ ფილოსოფიურად, ეგოდენ უნათლეს ღთისმეტყუჱლურად ეწოდების სამარადისო ზრახუა თავსა შორის თჳსსა. რამეთუ სულსა ძლიერება აქვს ფორმებისა გარდმობეჭდა ღედნისა ამის სოფლისა და სავსებისა ამისსა თითოეულნი დარიჯაგებად და უმეტეს ბუნებით ნიჭოვანსა სულსა უმეტესი განხილუა ექმნების საგნებისაგან გარდაბეჭდვა თჳს შორის დაუნჯებად გაზეპირებულებთა მრავალგზის განმეორებულებისა, და განმესამებულებისა. ეგრეთუჱ უმეტეს სწავლებითა საშკოლოებითა განათლებულებსა უმეტესი გარდაბეჭდა აქვსთ: ვითარ ღრამმატიკისა მასწავლებელსა, Фილოსოფიისა, ღთისმეტყუჱლებისა, მათემატიკისა, მკურნალთა სამკურნალო წამლებისა, მეისტორიეთა ქუჱყანისა აღწერა, ღეოღრაფოსთა მიწისა და მდინარეთი და ზღუჱბისა, არხიდექტურთა შენებულებისა, მხატვართა ფერებისა, ვაჭართა კომმერციისა, მხედართა მეომრობა, და ყოველთავე ხელოვანთა და ხელოსნებთა და ხელობიანებთა, და მეურნეთა. და მნეთა, და მმართებლობათა, და მსაჯულთა, და მემხოლოეთა, და მემსხუერპლეებთა. და სხუათა და სხუათა თითოეულთა თჳსი საგნები გარდაბეჭდილათ უპყრესთ თჳსსა სულსა შინა და უფროჲე მათ, რომელნი საგნებთა თჳსთა გარემოს იქცევიან და აზმნობენ თითოეულნი თჳსსა საგნებსა.

იხილეთ, ძეო მეფისაო, უკეთუ უსახესი სახე და ნათესავი მის ქუჱშეთი არა გუჱხილოს, ანუ არა გვსმენოდეს რაოდენნი არიან წყალთა ქუჱშე, და მიწათა ზედა, და ჰაერისა მცხოვრებნი და ქუჱმძრომნი, და ეგე ვითარნი, კიტაისა და იეპონიასა, და ინდოეთსა, და ამერიკასა შინა სამთა მმეფებელებთაგანნი, ე. ი. მშჳნვიერებთაგანნი, ორძილებთაგანნი, და ლითონ მეტალებთაგანნი. აჰა, მათნი უსახესობა და არსება, და ბუნებანი, და თჳსებანი არა რაჲ უწყით. მაგალ., არა მხილუჱლსა ვასილისკოსა და არღაცა მსმენელსა ისტორიისა მის საშინელ ცხოველისა მომწამვლელისა არარაჲ უწყის,

უნდ მეცნიერიც იყოს სხუათა ცხოუჱლებათა ცნობითა, ეგრეთუჱ მანდრაგორი არა უწყის არა მხილუჱლმან, და არცაღა გემო მისი იცის. ეგრეთუჱ სხუანი და სხუანი, რომელნი თჳთ ფერჴებთა ქუჱშე არიან. და გარემოს გამოუძიებელნი და შეუმეცნებელნი, რამეთუ ევროპიელთა მოგზაურნი ამერიკასა და აზიასა შინა პოებენ რაოდენთამე საიშვიათოთა, რომელნი თჳთ მუნებურთა არა უხილავთ და არცაღა სმენიესთ· უბირობითა, უვიცობითა, უგუნურებითა, და უშკოლობითა, უბიბლიატიკობითა, უთეორეტიკობითა და უპრაკტიკობითა. რამეთუ ბრმამან შობითაგანმან არა რა უწყის სამსახედ განფენილებასა ზედა მდებარენი ფერადობანი; ეგრეთუჱ შობითგან ყრუმან არა იცის ჴმანი ენებისა, და სახიობანი გალობისა, და საკრავებისანი. მაშასადამე, უსახენი სახენი და შინაგანნი რაოდენობანი და ბუნებანი მათნი საიდუმლოობითნი, მხოლოდ სასწავლებლებსა შინა განათლებულთა უწყიან ესრეთ, ვითარცა იგინი არიან. და არა ეგრეთ ვითარცა უვიცი გონებდეს ალფავიტა ანბანისა აღმოღეჭითა, ანუ ზღაპრებთა აზიურთა წარკითხვითა, რომელნი დევთა მრავალ ფერხებ და უმრავლეს ხელებიანთა შეიწყნარებენ ლექსთა ძლით არსებად. ეგრეთუჱ იმერნი, რომელთაგან ჭიმკებთა აღიარებენ ნათესავ სახედ. და ესრეთუჱ გონებისა ლანდთა იპოკენტავროსა და ლანდებთა ამათ. და ეგე ვითართა არა აქვსთ უსახესისა სახისა არსება და ბუნება და თჳთ დემონთაცა, ე. ი. ეშმაკთა რომელთამე სახეთა მიმღებთა საცთურად, არა აქვს ბუნება უსახესისა სახისა, არამედ ზეგარდმო მიშვებითა ყოფს შეცვალებასა, ე. ი. მიიღებს ფორმა სახესა, და არა რთულსა არსებასა. გინა ბუნებასა მშვინვიერისასა. და მოკვდავთაგანისასა: იხილ. ღთისმეტყუჱლება მუნ უნათლესადრე.

კუალადცა განვმარტო უსახესისა სახისათჳს, რომელი სხუა ნათესავსა და სახესსა მისსა არა იზიარებს განყენებული და გამოსრული თჳსისა ხარაკტირებითა და ფისოგნომიაებითა და ნიშატებითა, რათამცა ბუნებისაგან და თჳსებაებისაგან საზოგადოჲსა შევემცნათ უსახესსა სახესა. მაგალ., ხატი, მფლობელი. მნებებელი არა წადილითა მშჳნვიერებასა, არამედ სურვილითა გულისხმისყოფისათა ორთა კეთილთა განმსჯელი და აღმრჩევი, უდიდესისა კეთილისა, ანუ ორთა ბოროტთაგან მიუცილებელისა მცირისა ბოროტისა მიმღები. აჰა აქარე იხილვების უეჭუელად კაცი არს, რომლისა მარტივ



არსებისა ბუნება აღმოიჩინა, ეგრეთუჱ თჳსებანი რთულისანი, რომელნი განასხუავებენ სხუათაგან შესმენითა ყოვლადისათ საკუთარსა თჳსებასა, ზედა მოცინარი პირითა. აბა, თჳსებითაცა აღმოჩენა უსახესისა სახისა ეგრეთუჱ სხუანიცა საცნაურ არიან თჳსისა საკუთარისა უსახოეს სახეებითა, ვითარ ოთხფერჴნი, და ორფერჴნი ნიკარტიან ფრთოსანნი, და ქიცვიანნი. და მქისსნი, ვითარ ჯლარბნი და წყლტუნი ანკარო და ეგევითარნი და უშორეს.

უგანათლებულესო, მეფის ძეო, ვითარცა პირისპირ ნათესავისა დიდისა უსახოვნესი სახე განდგინებით განირჩევიან თჳსისა ნიშატებითა, ეგრეთუჱგანუკუჱთელსა უსახოვნესისა სახისასა ქონან განყოფილება რომელთამე საკუთარისა საქმეებითა თითოეულთა ურთიერთისაგან, რათამცა ქუჱ დაიდვას პირი და თჳსნი საქმენი შეისმინნენ მაგალ., პირუჱლმან მეფემან იუჱრიისამან შემოიღო სამოქალაქო ალფავიტა ქართულსა ენასა ზედა და განაშუჱნა ენა წერილებითა ფარნაოზ და მიერითგან მამასახლისობა სცუალა მეფობად. ნათელს იღო მირიან მეფემან და მუნითგან ვართ ქრისტესით ქრისტიანე, ხოლო განყო რა მეფემან რუსუდან ივერია, ივნო დიდ ფრიად თჳთცა და სამეფომან. გარნა მეფემან თამარ ინართაულა სახელი ქუჱლობისა. და წმინდამან დავით მეფემან ივერია დათხრილი აღაშენა და მოიგო სიწმინდე. ანტონი კათალიკოზმან განამრავლა წიგნები საშკოლონი· მეათსამეტემან გიორგი მეფემან შევედრა იუჱრია ხელთა I ალექსანდრე მონარხისასა, რომლისაგან ბუტკობენ სულიერნი და სააზნაურონი შკოლები. და პირად პირადობენ სასწავლებლებთა ყვავილნი. აჰა, ესერა თითოეულნი — უსახესისა განუკუჱთელნი თჳსთა საკუთართა საქმეებისა შესმენითა იპოვნენენ ქუჱმდებარედ. მაშასადამე, უსახესისა განუკუჱთელიცა, ორითა უნიასოჲთა შესაძლებელ არს განსხუავებად მაგალ.. პეტრემან დაუტევა ბადითა ნადირობა და იქმნა მონადირე კაცთა სიტყვისა ღთისა სახარებითა. ეგრეთუჱ ადგილობითი ნათესავისა განუკუჱთელიცა შესაძლო არს აღმოჩენად მაგალ., იოანე ჭიმჭიმელმან ისწავა ფილასოფია ე. ი. ცნობად თავისა თჳსისა, რომლითა შეემეცნა ყოველთავე მიზეზებულებთა და ესრეთ მისწვთა მხოლოსა ბრძენ-ცხოუჱლს მიზეზსა. ხოლო ისწავა რა აღძრცვილი ღთისმეტყუჱლება, მაშინ მყის იცნა შემოქმედი ორობათა და იწყო მუნითგან ქუჱშთამობიჯებით მაშინ უნათლეს იცნა ყოველნივე დროსა ქუჱშე. ამსთჳს გონება მისი კნინ-

ლა და განუსაზღვრებელი მყუდრო არს არლა განსვლად გარეგან კრკალისა, ე. ი. ორობათა საზღვრისა, ე. ი. ცისა და ქუჱყანისა, რომლის სულისა აზმნობანი მარადის მომრგუალებულ არს, რამეთუ ყოველთავე დასაბამიერთა კიდებსა სჭვრეტს. მხოლოსა დაუსაბამოსა ცნობითა და რწმენითა დაბმული მის მხოლოსა შორის. და ესე კმა იყავნ უსახესისა ცნობად და უსახესისა განუკუჱთელისა. ხოლო აწ ვიწყო ცნობისა და ზედმიწევნილებისათჳსცა.

## თავი მეოთხე

რაჲ არს ცნობა, რაჲ არს ზედმიწევნილება და რაჲ არს გულისხმისყოფა და ვითარ სხუაობენ ურთერთისაგან?

მიგება შემკითხუჱლისადმი მკჳდრისა ამისა ზემოჲსა.

ცნობა ლექსსა, უკეთუ ბგერა ღრამმატიკულ განვსაჯო, მხოლოდ სახელზმნა არს და უკეთუ ისტორიულ განვმარტო, ზემო-პირ მიმოხილუა არს სოფლისა და სავსებისა, რომელი შეეტყუჱბის მდაბიო უსწავლელთაცა. და ერთბამად ყოველთა კაცთა აქვსთ ცნობა ოთხთა დიდთა სტიხიოთა, ე. ი. ცეცხლისა წვითა, და ჰაერისა მშვნვითა, წყალისა სიგრილითა და მიწისა სიმყარითა, ფერჭებთა ქუჱშე, და უშორეს. ეგრეთუჱ, ჭელოვანთა და ჭელოსანთა თითოეულთა თჳსისა საქმეებისა ცნობა აქვსთ, გარნა ფილასოფიურ მცნობელად არა შეირაცხებიან, ამად, რომელ ანუ ზემოპირ იციან. ანუ რაოდენნიმე გარეგანნი თჳსებანი.

ხოლო ცნობანი შემოკლებულ ვსთქუა, რომელნი ყოველთავე ერთად გუაქვს, ე. ი. თუალებისა, ყურთა, ცხვირისა, პინჩებისა, ენისა და შეხებისა, გარნა ცნობანი არიან პირუჱლ ისტორიულნი, დასაბამიერისა სოფლისა განხილვად, ე. ი. ფიზიკურისა, მეტაფიზიკურისა, და პოლიტიკურისა, გინა სულიერისა სოფლისა. მეორედ ცნობა ღრამმატიკისა, რომელ არს სიტყჳერება ჩუჱნი გინა სხვანი, და უფროსლა ბიბლიატიკურისა ენებისა; მესამე ცნობა ფიზიკური ყოველთა სხეულებთა; მეოთხე ცნობა ლოღიკური, მათემატიკურთ, მეხუთე ცნობა მეტაფიზიკურნი არსთა არსებათი; მეექვსე ცნობა ითიკურ-პოლიტიკურნი, და მეშვიდე ცნობა უმეტეს მიუცილებელი ორსავე სოფელსა შინა საცხოვრებელი უმერყეოდ და სამარადისოდ ნამდვილ ყოფად თჳსისა შემოქმედისა თანა დაუსრულებელადრე.

მოიხსენეთ, ძეო მეფისაო, აჰა პირუჱლად ვიწყებ თჳთ უსაშუ-



ალოდ თავისა თჳსისა ცნობასა. ესერა ვგრძნობ შინაგან ფიზიკურ, რომელ იძვრის გული ჩემი დაწყებითაგან ჯერეთცა მიუმყორებელად, ეგრეთუჱ Фირტვი ჩემი განმრჩევი მაკვდინებულისა გასისა ანუ გასებისა, მიმღებლობს მაცოცხლებელსა გასსა, შივის მასრაკსა ნაწლევსა ჩემსა თჳნიერ შეკითხვისა, და მიღებულთა დრესს, და ფრიადისა მოძრაობითა სწყურს შიგნეულთა ჩემთა გარდაბჭობისა ჩემგან, და მიმღები შინაგანნი ჭურჭლები ნედლდებიან და ფქუავს შთაყლაპულებთა, და შესმულთა, რომელთა პოხიერებანი და მსუყენი იცვლებიან პირუჱლად სძედ რომელთაგანნი აორთქლებულნი მიიწევიან გულად, რომელი მიღებულსა ფირტვსა ჰაერისაგან სცვალებს წითლადრე, ე. ი. სისხლად, რომელი ოცდაოთხსა ჟამებსა შინა სისხლთა ახალახალთა და ძველთაცა განატარებს თჳს შორის წარმგზავნი თხემისა კოწლებისა ძირებადმდე ზემო, ხოლო ქუჱმო ფერხებთა ბრჩხილებადმდე და სიგანესა ზედა ხელებთა თითებისა მწუერვალებისა გარსებადმდე. ხოლო დანაშთსა ნაღვლად სცვალებს, და მესამე, დანაშთად თელგამად, ე. ი. სიცოცხლისავე ნოტიოდ, ტჳნებთა შინა და ვიდრე გარემოს კანისა გარსებადმდე, რომლისაგან ოფლსაცა გამოუტეებს შემჭიდრებული შინაგან ანუ გარეგან. ეგრეთუჱ მეტთა უხმართა ორთქად აღგზავნის ცხვირისა პინჩებისაგან და პირისა ენისაგან გარეგანდევნად ზრქელთა და თხელთა ნოტიოთა. ეგრეთუ ნაწლეებთა შეიწროებითა სიცილისაგან, და უფროსლთ მწუხარებისაგან თვალებისა კილოებითგან განუტევებს მლაშეთა თელგამთა, ნოტიო ცრემლთა. ეგსახედვე ყურებთა ჭვრელებითგანცა ოდესმე, რომელ შინაგანსა გუამსა ჩემსა ზემო თავსა შინა ქონან ჭვრელნი შვიდნი რიცხვით. ე. ი. ჭაჭა. ორნი პინჩნი ცხვირისა, ორნი თუალნი, და ორნი ყურნი.

ეგრეთუე ქუჱმო კერძო ორნი ოდენ ე. ი. საიდუმლონი ურჩხი და ასო არა ენაცვლებიან ურთიერთ, არამედ ურჩხისა ნაწლევით განუტეებს სკორეთა. და მეორითა შარდთა. და ესე ვითარითა მოძრაობითა იძვრისობს გუამი ჩემი, და იცვალების დგომისა შემდგომ ჯდომად, და შემდგომ წოლად. ეგრეთუჱ არა მხრწნელითა თჳსებაებითაცა, ე. ი. ღვიძლითა, ძილითა, სიცილითა, ტირილითა, მხიარულებითა, მჭუნვარებითა, და სვლითა და მუშაკობითა. აჰა ესეოდენთა აუცილებლებთა იძვრისობასა გუამისა ჩემისასა უნებლიეთებსა და რომელთამე ნებსითებსათჳს ვკჳრობ ვინაობასა ჩემსა, უკეთუ თავით თჳსით ვარ, რაჲსათჳსლა ვიცვალები. გარნა მივხედო რა მსგავსთა

ჩემთა იგინიცა ეგრეთუე იმოძრავებიან. რომელთა ძჳრისა მიზეზი არა ვარ მე, არცაღა იგინი. ჩემდა არიან მიზეზ ესეოდენისა ცვალებისა. არამედ ჩემი, და მათი ძვრისა მიზეზი არა არიან ქუემო ფერჯებთა ქუე ბურთისა ამის სოფლისა, ამაღ რომელ იგიცა იძვრის მზესა ქუეშე და უკეთუ ზე ავჴდე თჳთ მზეცა თჳსსა ღერძსა ზედა მგრგუალდების თჳნიერ სიგრძისა, და სიგანესა ზედა განსვლისა. ეგსახედვე ყოველნი პლანეტნი, ე. ი. ვარსკვლავნი ბურთის სახედ მოძრგვალებულნი, რომელ ყოველნივე ძვრასა შინა არიან, ამად რომელ არსებობა მყოფობა არს ხოლო ბუნება საქმენი არიან ე. ი. იძვრისობა თითოეულთი თჳსი რათა უკეთუ დასცხრენ ძვრისაგან. დაზვლენ ყოველნივე ნივთნი.

ეგსახედვე გარეგან მცნობელმან გუამისა ჩემისმან ე. ი. მუნებურთა ჭურჭლებისა. რომელნი დანაკუეთებულ არიან ასოებად, წევრებად, ნაწილებად, ურთიერთისა მაშუელად, ძუალნი ჭმელნი, ძარღვნი მშრალნი, და სავსენი ხორცნი ლბილნი, თელგამნი თხელნი, სისხლი წითელი, ნაღველი ყვითელი, ტყავნი ზრქელნი, და მუცელი ჩჩჳლი, მაშინ შემმეცნებელი მიბიჯებითა უშინაგანესისადმი გრძნობაებითარე. მუნ ვიხილავ მარტივ ცხოუელ უძრავსა, რომელი მხოლოდ ყოვლადი არს რომელსა არა აქვს ფიზიკური მოძრაობა, ე. ი. აღნაგებისა, დამოკლებისა, არამედ არსება არს თჳთ მცხოუელებელი, რომელი აცხოუელებს გუამსა ჩემსა, ორღანოდ თჳსა არა ეგრედ ვითარცა მჭედელთათჳს მარწუხი, და კუერი, არამედ შეუერთებიეს შემოკრებულნი ესე სტიხნი. და განუკუთნავს თჳსადრე და აშრომებს დაცვად არა თავისა თჳსისა, არამედ თჳსისა ქალაქისა, რომელი უყვარსცა და მყოობადისათჳს თანა განიზრახავს, ე. ი. ხუთთა გრძნობაებთაგან მირთმეულებსა განსჯის და ესრეთითა უძრაობითა თჳსითა ამოძრავებს თჳსსა ქალაქსა.

იხილეთ, მეფის ძეო, უძრაობა სულისა, რომელსა არა აქვს წევრნი ასონი, ნაწილაკნი და სხეულნი, ამად რომელ არა არს შედრგინებულ ატომებთა მათ მღვირებთაგან მსგავსად სოფლისა ამის დიდისა და სავსებისა მისისა, რომელნი მჴურვალისა და გრილისა, და ნოტიოსა და ჭმელისა, ატომებ მღჳრებთაგან შეზავებით შედრგიხებულ არიან ყოველნი შენაწევრებულნი, სამსახედ განფენილნი. აჰა, მათ ოთხთა სტიხებთაგან ყოვლითურთ უცხოა და ზესთა სხეულებისა და ნაკუეთისა არს, რომელი არა მიიღებს რაოდენობასა ფიზიკურთა. და არცაღა რაჲსა მიმართობასა.



სულნი ეწოდებიან ნიავთა, ქართა, რომელნი მწრაფლიად რბიან განრაოდენებულნი ჰაერისა ერთ მხარე გათხელებითა, და მეორე მხრივ, განზრქელებითა, რომელნი ხეთა აღმოფხვრიან და შენებულებათა შემუსვრენ და ზღუათა წყალთა აღაგორებენ და ნაპირებთა წარღვნიან გრიგალნი სულნი და შემდგომ დასცხრებიან კუალადვე გათხელებითა რაჲსა მიმართობისათა ჰაერსა შინა. ესენი სახელმოდგამნი არიან სიმარჯვესა და მწრაფელობისა გამო, რომელნი უმსწრაფესად აღასრულებენ ზეგარდამობრძანებასა. სულნი მქროლავნი და ნიავნი ცხოუელებთა და მუშაკთა და ორძილთა განმაგრილებელნი. ამათ სახელნი მოუგიესთ ცხოუელ მარტივისა უკვდავისა სულებისა და არა არსება და ბუნება ნუ იყოფინ.

სულნი მშჳნვიერნი გრძნობითნი ცხოუელებისა და სუნთქვისა სახელმოდგამნივე არიან, რომელ ცხოუელობითი, ე. ი. გრძნობითი სული ჩუენი და უსიტყჳთი სისხლისა ძალი არს ზეგარდმო დადებული, რათა ყოველნი ცხოუელნი, ყოველთა სხეულებთა თჳსთათჳს ბუნებით დაცუას ზრუნვიდენ ამად, რომელ სადაცა არა არს სისხლი, არღაცა მათ ნაწილაკთათჳს არიან ბუნებითი გრძნობანი, ე. ი. ჩუენთი ბრჩხილებისა და თმებისა მწუერვალებთა შინა. ეგრეთუე პირუტყუებისა ბალნებითა კოწლებსა შინა და ცხენისა ტერფებსა ქუეშე და ფაფართა და ძუათა შინა და უშორეს ამისთჳს საღთო წერილი უსიტყვთა სისხლებისა ჭამასა აყენებს, რათა არა სული, ე. ი. სისხლითურთ უსჯულოებით შეიჭამებოდნენ. იხილ ძუელსა აღთქმასა შინა და ახალსა აღთქმასა შინაცა დააყენეს წმ. მოციქულთა მომშთუარისა ჭამა, მაშასადამე, სულნი იძჳრისთი ფიზიკური სხეულნი არიან ე. ი. სისხლნი.

ეგრეთუე სულნი სამშვინველნი ჩუენი, უსიტყვთი არა სხუა რაჲმენი არიან თჳნიერ ჰაერისა გასნი, რომელთა ფირტვი მიმღებლობს მამრთელებელად გუამისა და მაგრილებელად სისხლისა. ხოლო მაკვდინებელსა გასსა, ე. ი. ჰაერსა აყროლებულსა და დამპალსა ჭაობისა და ჭინჭრობისასა. და შამბთა და კირისსა ახალ განგოზილისა სახლისასა და ორმოთასა და ეგევითართასა უკუნ აქცევს აღმომშვნელი ძუელი ჰაერი ფირტჳსა და უკეთუ გარდაერივნენ გასნი მაკვდინებელნი ე. ი. მაშთობელნი ზემო ხსენებულნი. გინა ღუმელისა და მრავალთა ნახშირით მოაშთობს კაცსა პირით და პინჩებით შთასრულნი შინაგან გუამსა შინა. მაშასადამე, სახელმოდგამი სულნი არიან ჰაერი და გასნი, და არა ბუნებით უკვდავ მარტივი სული. რამეთუ საბერველებისა სამჭედლოჲსა სულნი ჰაერია და არა სხვა რაჲმე.

ეგ სახედვე ორძილებთა ცხოუჱლად ვიტყვით, არა მგონებელნი სულებისა მათ შინა, ვითარმცა იყვნენ სულები მდელოთა და ნერგებთა და სოკოებთა შორის. არამედ ძალნი მოზარდობისანი არიან თითოეულთა თჳსისა ნათესავისა და სახისა მაწარმოებელად. რომელთა თესლნი მისთანანივე არიან. და უკეთუ დამყნობილ იქმნენ რომელნიმე ნერგნი სხუათა ზედა, არა ნათესავი შეიცვალების, არამედ განუკუჱთელი, ორთაგან ერთი რომელნიმე იქმნების. ვითარ ცხენისაგან და ფურისა-ჯორი და ბოლოკისაგან და წიწმატისა-მწვანილი სხუა. გარნა ესე ცვალება კერძოობითნი არიან, და არა ნათესავებისა. და სახეებისა მათისა. რამეთუ თითოეულთა თჳსი ძალი აქვს ზეგარდმო განსაზღვრული. და არა სული — ვითარ გონა პითაგორმან და შეუდგნენ ინდონი სულისა, გინა სულებისა გარდასვლასა ერთისა გუამისა შემდგომ მეორესა შინა შესლვასა. ამად არა სჭამენ ჴორცთა უსიტყვთასა, რომელნი იჭვნეულობენ ნუთუ მამისა, დედისა, ბაბუისა, ბებიისა, დისა, ძმისა, ბიძისა და მოყვასისა გარდაცვალებულთა სულები შეგზავნულნი იყვნენო უსიტყვებთა შინა ზეგარდმო განჩინებითა დასასჯელად. ნუ იყოფინ ესრეთი უგნურება ჩუჱნ შორის, რამეთუ სულებსა ცოდვითა განგოზილებთა, პირუტყუჱბისა სიმაძღრე და ცოხვნა, და უმწუხარობა და უცრემლოება, და უზრუნველობა ვერაოდეს ვერ სტანჯავს, რომელნი არა ავნებენ თავთა თჳსთა, არამედ იყვანებიან წადილებითა საგანთა მიმართ ორთა, ე. ი. თივისა და წყალისა აჰა, სულებისა სასჯელი არს რისხვა ზეგარდმო და შთასვლა გონებათა თანა. იხლ. სალთო წერილნი

მოიხსენეთ, ძეო მეფისაო, სული მხოლო ცხოუჱლი, ბრძენი, ყოვლად ძლიერი ერთი, პირუჱლი, მხოლო, მარტო მყოფი, უკუნითი უკუნითი, მარად უძრავი, არსება უნივთო, ბუნება ნათელი, ყოველგან ყოვლადი, ე. ი. ყოველთავე შინა და ყოველთა შორის. თჳთდასაბამი, დაუსაბამოდ დაუსრულებელი, რომლისა შორის არა არს ცალიერობა ე. ი. ოდეს არა იყო ზემო ცაჲ და ქუჱმო სოფელი ესე სავსებითურთ მათით ყოვლადი უკიდისკიდოდ ეგო უსაზღრო სავსე არსება არა განფენილად, ვითარცა ჰაერი, არცაღა მომრგვალებულად, ვითარ ოკეანე, გინა ვითარცა ქუჱსკნელი ანუ სიმაღლედ, ვითარ ზესკნელი, ანუ სიგანედ ვითარ პოლუსნი, ე. ი. სამხრეთ-ჩრდილოეთი, გინა აღმოსავლეთ-დასავლეთი, რომელნი ურთიერთისაგან გახდგინებულ არიან. არამედ ყოვლადი არსება ვითარცა



გარეგან ცისა და ქუჱყანისა არს დაუსრულებელ და არა არს ცალიერ, არამედ მხოლო იგიუჱ არს ადგილ თავისა თჳსისა.

ეგრეთუჱ ოდეს არა იყო ცაჲ, და ქუჱყანა არა იყო ცალიერ, არა რაჲ ესე, არამედ ყოვლადი ბუნება მის მხოლოსი იყო სავსებით თჳსითურთ, ხოლო ოდეს დაბადა, არა შეიზია არსება თჳსი დასატევნელად ქმნულთა, არცაღა ცალიერისა აღვებისათჳს დაბადა ცაჲ და ქუჱყანა. არამედ დაბადა არარანი არარაჲსაგან ე. ი. თჳსისა ბუნებითი თჳსებაებისაგან, ე. ი. სიბრძნისა და ყოვლად ძლიერისა ძალისაგან და ამა ორთა არსება ბუნებითი თჳსებათა შინაგან შთასდვა ცაჲ და ქუჱყანა სავსებითურთ მათით. მაშასადამე ღთისა შორის ძეს ორობა სავსებით მათითურთ. მაშასადამე, სული მხოლო ცხოუჱლ, ბრძენ, ძლიერი, ყოვლად ყოველთა შინა და გარე და შორის უსაზღროოდ ზესთა არს და უძრავად, ყოველთა შორის არს ორითა თჳსებითა ე. ი. ხედვითა და პყრობითა დაცუად თჳს შორის მეორე არსთა, და მართებითა, რომელი არა არს დამძიმებულ სოფლისა დამჭერითა.

პირუჱლი არსება და არცაღა მეორენი არსნი არიან შეიწროებულ, ყოველგან ყოვლადად მყოფობითა მაგალ., აჰა, სულისა ჩემისა თვისებასა შინა სძეს წმიდის ნინას ეკლესია, კედლებ-იატაკ-ჭერითურთ. გარნა გონება ჩემი არა არს დატჳრთულ და არცაღა ეკკლესია იგი არს შეიწროებულ. კვალად, მაგალ, სული ჩემი გონებითა თჳსითა ვაქირის დაბისა საკრებულო წინამორბედისა ეკკლესიასა შინა, გარნა კვალი სულისა ჩემისა არასადა იხილუჱბის. უკეთუ პირუჱლისა არსებისაგან ქმნულსა მეორესა არსსა, ე. ი. სულსა ჩემსა ეგრეთი ძალი მონიჭებიეს, რაოდენ უბევრეულეს ზესთა არსებასა. ყოველგან მყოფსა არა აქვს კვალი ყოვლად ყოველსა შინა მყოფსა, რამეთუ კუალნი ზრქელთა ნივთებისა არიან, რომელნი არღუჱვენ და სთრგუნავენ ნაკუალევთა, ვითარ პირუტყვნი—ხნულთა თერძულებთა და ურემი — სოფელთა გზებსა. მაგალ. ნიავნი და ქარნი ქრიან. და ხომალდნი ზღუათა ზედა მცურვალობენ. გარნა კუალნი მათნი არასადა იხილვების. ეგრეთუჱ ფრინველთი, გარნა არიან იგინი, არცაღა ხმებისა და საკრავებისა კვალნი იხილუჱბიან და სუნნელთა სუნებისა ეგრეთუჱ და თუალებთა ხედვისა ფერებთა ზედა არა იხილუჱბიან კვალნი. და ესე კმა იყავნ უხილავისა ყოვლად ყოველგან უსაზღროჲსა.

იხილეთ უგანათლებულესო, სულსა მხოლოსა ცხოუჱლ, ბრძენ,

ზესთა ყოველთასა, არა აქვს ქუჱ-ნათესავისა და სახისა მსგავსება. რათამცა განუკჱთელობითა ეზიაროს დასაბამიერთა. ნუ იყოფინ, რამეთუ პირუჱლი არა იქმნების მეორე. ეგრეთუჱ მეორენი ძოლაწ-დელ-გუშინდელნი არა ძალ-იდებიან თანამოსახედ, გინა განუკუჱთელ საზღუარსა შინაგან დადებულნი.

კუალად სულნი, გინა სულები არიან ზეცისანი, და ქუჱყანისანი და ქუჱსკნელისანი. რომელნი ურთიერთისა მიმართ თანა-მოსახედ ითქმიან და არა თანა-მონათესავედ. ამად განუკუჱთელობა ჩუჱნი და მათნი ძნიად სათარგმანებელ არს ჩემგან ამად, რომელ უკვდავებითა ზიარ ზენათა ვართ, ხოლო ცთომითა-პირუჱლთა მშობელთასა ზიარ ქუჱსკნელთა ვართ, ხოლო ჴორცთა წადილებითა ზიარ პირუტყვთა ვართ. ესე ყოველნივე იხლ. ღთისმეტყუჱლებასა შინა აღმოსავლურსა.

დასასრულ, სული მარტივ, ცხოუჱლი, ჩემი, შენი და მისი და მსგავსთი ერთბამად, მარტივ ცხოველ უხილავ არიან ატომიერთა თუალებთა ჩუჱნთაგან. ამად, რომელ უხილავმან, მარტივ, ცხოუჱლ, ბრძენ, ყოვლად ძლიერმან მარტივ ცხოუჱლები დაბადა. და ამად არ ძალუძთ თვალებთა ჭირის უვფალთასა, რათამცა მიხრწნეულთა მშობელთა სულნი იხილონ განსლვისა ჟამსა, რომელთა არცაღა ნივთიერისა ნიავისა და ჰაერისა განჭვრეტა ძალუძსთ და არცაღა ჩუჱნ ·იისა და ვარდისა სუნნებისა ძალგვიძს განხილვად თჳნიერ ყვავილებისა, თუმცა ნამდვილ არიან.

აჰა, რაოდენნიმე სილოგიზმონი დავხსნა აქარე კიდურ ჭეშმარიტებად: ყოველი მარტივ ცხოველი უხრწნელ არს. სულია მარტივად მცხოუჱლებელი, მაშასადამე, არა მოკვდების.

რომელიცა არს მარტივად მცხოუჱლებელ, არა მექონ არს შემთხვევითი რთულებისა. სულია ლიტონ ცხოუჱლი, მაშასადამე, არა არს ნივთიერ.

ყოველი მფლობელი თჳსსა ნებასა ზედა უვფალ არს. სულია თავის უვფალი. მაშასადამე უვფლებს თჳსსა სანებურებსა ზედა.

რომელი უსაშუალოდ სცნობს თავსა თჳსსა, იგი უმოქენო არს. შემთხვეულებისა სული სცნობს თჳსსა მარტიობასა. მაშასადამე, უცხოა აღნაგებისა და მოკლებისაგან.

რომელი ყოვლადია არსებითად, მისი ბუნებაცა იგივეა. სული ყოვლადი არსია. მაშასადამე, ბუნება და არსება მისი ერთი მხოლოა. რომელი იგონებს იგი სიტყვერ არს. სული კაცისა იხსენებს. მაშასადამე, მოგონებულებთა მეტყუჱლებს.



რომელსა ქონან სჳნდისნი, იგი ივლტის ბიწიერებისაგან. პეტრესა აქვს შეგუანება. მაშასადამე, არღარა განდრკების.

რომელი ურჩ არს სჳნდისისა, იგი მიდრკების უსჯულოებასა შინა. იუდამ დაძინებულყო სჳნდისი თჳსი. მაშასადამე, წარწყმდა.

საზოგადო სილოგიზმო. ყოველი სხეულოვანი ცხოუჱლი მოკვდების. პეტრე კაცია თიხიერი ცხოუჱლებული. მაშასადამე, მოკვდების. აქა უკუთქმა სიკვდილისა. ყოველნი მარტივ მცხოუჱლებელნი არ მოკვდებიან. სულებია ლიტონ მცხოვრებნი. მაშასადამე, არა მოკვდებიან.

ყოველნი შენაწევრებულნი განაწევრებით განიხრწნებიან. სულნი არ არიან სხეულებთაგან შედრგინებულნი. მაშასადამე, არცაღა იხრწნებიან.

ცხოუჱლნი, არა მექონნი ფლობისა და ნებისა, არცაღა მოქენე არიან კეთილისა და ბოროტისა. კაცი არს ფლობისა და ნებებისა მექონ, არსება ბუნებითად. მაშასადამე, ძალუძსთ ქმნა კეთილისა და ბოროტთა.

ყოველი მექონი არსება ბუნებითად შეწყნარებად სწავლათა და ჭეშმარიტებათა შემძლებელ არს მიღებად მათდა. კაცი არს ძალისა მექონ სულსა შინა. მაშასადამე, ბრალეულ არს ცალიერი სიბრძნისაგან და ჭეშმარიტებისა.

რომელი ვერ აღრაცხდეს სულისა თჳსებაებთა, რომელსა საქმებთა თჳსთაგან ვიცნობთ. განმრჩევი პირუტყვთა თჳსებაებთაგან. რომელნი ჩუჱნცა გქონან საზოგადოდ მათთანა. გარნა სულისა ჩუჱნისა თჳსებაებთაგანნი არცაღა ერთი ქონანთ მათ ჩუჱნთანა. რამეთუ სულსა ჩუჱნსა ქონან თჳსებანი, გინა ძალნი: 1. სულსა აქვს ფლობა, 2. ნება, 3. გონება, 4. გულისხმის-ყოფა, 5. განსჯა, 6 სურვილი, 7. მიდრეკილება, 8. ტრფობა, 9. რწმენა, 10. სასოება, 11. სიყვარული, 12. ხსენება შინაგან ზრახვითა, 13. გამოხატვა, 14. გვაჯიობა, 15. შურვება, 16. მოთმინება, 17. მყობადისა ძიება, 18. მოსწრაფებით ქმნა კეთილისა, 19. წინა-მავალი სჳნდისი, 20. სიხარული. 21. და აღსავლობითი მხიარულება და სხუანიცა ქონან თჳსებანი მასაჩინოენი თჳსისა არსება ბუნებისა.

კუალად თჳსებანი მარცხულნი ავზნიანსა სულსა ქონან: 1. უგუნურება, 2. სასოწარკვეთილება, 3. ამპარტავნება, 4. გჳრიობა, 5. ვერაგობა, 6. უწამებლობა, 7. უურჩება თჳთ სჯულობითა, 8. ურწმუნოება, 9. თაკილი მხილებისა, 10. შური, 11. ანგარება, 12. შემ-

ჭვალვა ბოროტისა, 13. ნებსით ქმნა სხუათა წყინებისა, 14 ვნებულებისა მნებებლობა, 15. პირმოთნეობა, 16. ტყუილი, 17. მოწყინება, 18. ცრუება ჭეშმარიტებისა მიმართ, 19. სჳნიდისისა თჳსისა დათრგუნვა, ე .ი. მსაჯულისა თჳსისა, 20. და თჳთ თავისა თჳსისა სიკვდილი თჳსითა ჴელითა, გარდარეულისა განფიცხებითა და ლაზობითა ანუ სხვისა შეხდომა და მოკვლა. აჰა, ესე ორმეოცდა ორნი თჳსებანი არა ქონან ცხოუელთა ნათესავსა, ე. ი. მშვინვიერთა.

ჴუალადცა ქონან თჳსებანი კაცსა: 1. კნინლა და განუსაზღვრებელნი გამგონებლობა და მიმოსლვა შინაგან სოფლისა და გარეგანცა ყოველთა ორობათა საზღვრებისა, ე. ი. ცისა და ქუჱყანისა და ვერარაჲსად და პოვნა თჳნიერ ნივთებისა და სულებისა. და ვერარაჲთა დამყუდროება, ესე იგი დაყენება თჳნიერ სარწმუნოებისა, ე. ი. ღთისა, რომლისა პირისპირ რაოდენ განვრცელდეს მგონებლობა ღორიზონტულად, გინა მერიდიანულად, ეგოდენ უმრავლეს, და უზევრეულეს უსაზღროდ ეჩუჱნების შემოქმედი. და უკეთუ ცელქმან ბრიყულმან მგონებლობამან არსნი მეორენი უსაზღროდ იოცნოს, თავიცა თჳსი შემთხუჱვითად ეჩუჱნების, ანუ დაუსაბამოდ. გინა მყოფი ცხოუჱლ, ბრძენი, არსება და განსაზღვრულნი ბუნებანი ცვალებადნი აღრიოს ურთიერთ დატევნით, მაშინ შერევნილი იდეანი ექმნების და ესრეთითა ქარებ მქროლვარისა გონებითა იცვალების ნატურალისტად, რომლის მეფე სულსა ზედა გაამეფებს ქალაქსა, ე. ი. ჴორცთა ასოებსა ჟამსა ჭაბუკობისასა, რომლითა სათნოუყოფს ასოებთა თჳსთა შვილთა სასიკვდინოებთა საძაგელებათა და დასტკბების ასოებთა თჳსთა მარცხულთაგან და იწყებს. „ვაშა“, „ვაშად“ თავისა თჳსისა ფილასოფოსად მწოდებელი, რომელი მწადნელ იქმნების, რათამცა არა იყოს საუკუნო მეორე ცხოვრება და მისაგებელნი კეთილნი და პატიჟნი. გარნა ვინაჲთგან ძრწის მართებლობისაგან, სჯულსა საღთოსა უწოდებს პირითა მხოლოდ და არა გულითა სჯულად საუკუნოდ. ხოლო გულსა შინა თჳსსა სჯულად ჟამიერად და ესევითარითა შინაგან მდებარისა ზრახვითა ყოველნივე სძულან და ეშინის. ყოველთაგან ამად არა უვის მოყვასნი და მახლობელნი და მეგობარნი პირ-უკუღმა მიბრუნდებულსა, რომელსა სძაგს სარწმუნოება და ლოცუანი და მარხუანი, არა მხოლოდ გარეგანნი კრძალულება საცხოვართა ამა ჭამისა, არამედ შინაგანცა ჯანდევნის შვიდთა საიდუმლოებთა და ათსა მცნებათა და სიმოვლო მრწამსთა. რომელი უწოდებს შიმშილსა ბუნებად და სიმაძღრესა-არსებად და სოფლისა ოთხთა დროთა ცვალებასა-საჟამედ. ამა ზე-



მოთთა და უმრავლესთა, სიბნელეთა და უკუნთა უნათლო გონებასა დაანთქამს, რამეთუ ფლობასა და ნებასა დაამონებს გრძნობაებთა თჳსთა. და ესრეთითა ხატითა გონებასა დაისუსტებს. და ვერღა მიეწიფების გულისხმის-ყოფასა უბადრუკი დატყუჱვებულ ბოროტ-ჭურჭელსა შინა სული ქალაქისა თჳსისაგან დაჩაგრული და ასოებთაგან თჳსთაგან უდიერი. გარნა უკეთუმცა გონება თჳსის წარტაცებული ნისლებსა შინა მოქცეულყოს, გულისხმის-ყოფისა აღჳრითა მოეძრცუჱბიან წყვდიადნი კრეტსაბმელები სიბრმისა და განსჯის მიმყოვრებითა-რე, რომელ არა არს სოფელი საჟამე ნივთნი და არღაცა სავსებანი ორობათანი ბორბლებად და ჯაჭვებად შემზადებულნი, არცაღა ყორანთა მართუჱნი საჟამესა შესთხოუჱნ საზრდელთა. რამეთუ არ ძალუძს საჟამესა თჳსისა არსებისა არა ყოფისაგან შემთხუჱვითარე მოყვანა თჳსისა არსებისა, ანუ თჳსი არსება დაიცვას უხრწნელად. ეგრეთუჱ, უშვილო მეუღლეთაცა არ ძალუძსთ შვილთ-სხმა წებოიანითა საჭმელებისა ჭამითა. მაშასადამე, (ა) ანი მხოლოო რომელ არს იგიუჱ. ჭოე რაოდენსაცა ინებებს, იგინი იქმნებიან, რომელთა არა აქვს შემატება და გამოჯუება ე. ი. ნათესავ სახეთა. გარნა თითოეულთა სქესებთა განუკუჱთლები რიცხუჱბი, მრავლდებიან ოაახალ მიდგომილსა მდედრსა შინა მისცემს სულსა სიტყჳიერსა მარტივ-ცხოუჱლსა, განმაცხოველებელად მამრისა თესლისა. ამად, ახლად დაბადებულსა სულსა ახალნი ხორცნი მოსიეს რომელნი შეერთებითა განუზავებელითა ერთი ბუნებისა მექონ არიან, ე. ი. ერთსა საქმესა აღასრულებენ ორნი წისქვილნი, ე. ი. სული და ხორცნი.

აჰა, დაიყავნ პირნი უსახურთა ნატურალისტებისა, რომელნი ეძიებენ განლაღებასა და უშიშროებასა თავისა. თჳსისა იგინი მართებლობისა მანდატურებისა და ბოქაულებისაგანცა ძრწიან სიზმრებშიაცა, რომელთა აზმნობასა თჳსივე ბუნებაცა არა ემორჩილებიესთ, რომელნი სარჩვლიან ბუნებასა თჳსსა, რაოდენნიცა იწადოს ყოველნივე უგიობელნი არიანო, ე. ი. არარაჲ არს სირცხვილი და ცოდვა და შიში. არამედ მხოლოდ ფორმა არს დადებული, რომელთა დიდად სურთ რათამცა იყვნენ მარადის ჭაბუკ, უშრომელ საზრდელისა და სასმელისათჳს. და საბლარდნელებისა, არამედ მხოლოდ აქვნდესთ ქარტები, კალმებითა და მელნებითა სამარადისოდ ზედა-დაყეფად, წინააღმდგომად საღთო სისტემებისა; რომელნი ჟამსა ელვისა და მეხის-ტეხისაგან დიდ ფრიად ძრწიან ქუ-

უჱშე სახლისა ძგიდეებსა შინა შელტოლვილნი. გინა ჟამსა მიწისა ძვრისაგან და ბორბალ-ქროლისასა, და ზღჳსა ღელვათაგან იქმნებიან განკრთომით მძრწოლარენი და ღროსა უწვიმობისასა შეშინებულნი მოსალოდებელისა სიყმილისაგან მოიდრეკენ მუხლებთა მაღალისა არსებისა მიმართ ვედრებით, რათა განარინოს მართალთა მოყვარემან და ცოდვილთა მწყალობელმან. ეგრეთუჱ ივლტიან დიდისა ჭირისაგან. ხოლო ოდეს შეწყალებულ იქმნენ და განერნენ ზევარდმო ჟამსა მშვიდობისასა კუალადვე მიექცევიან ნათხევრებთა თჳსთა, რომელთა გონება ცოდვისა ავზნეობითა თავისუფლებად შეურაცხიად. ივლტიან სიბერისაგან. გარნა უწინარეს წელიწდებისა მიხრწნეულ იქმნებიან გაცრუებულნი თჳსისა ტჳნისა ფილასოფოსობისაგან, რომელნი შემდგომ განსვლისა თჳსისა ამიერ გრძნობაებთაგან აღიხილუჱნ თუალებთა თჳსთა ჯოჯოხეთსა შინა თჳსთა მამებთა თანა, ე. ი. ტარტაროზებ დემონებთანა, მაშინ განღვიძებული სჳნიდისები მათნი საწერტელებად ექმნების, თჳნიერ დასასრულისა. იხლ. საღთო წერილნი, რომლითა მრწმუნებელნი ორგანვე ცხონდებიან, ხოლო ურწმუნონი ძმათა ჩუჱნთაგანნი ცხებულისაგან უფლისა გონებრივისა შიშითა შესაძლებელ არიან ცხონებად, რომელნი ხორცთა პატიუთა შიშისა გამო მსგავსად კუსა ბაკანსა შინა იმალვიან ე. ი. დაუხშავსთ სამოქალაქო შიში მგმობართა პირთა და ბოროტ-მწერალთა ხელებსა დაუდამბლავებს და ძჳრცისაგან უკუნ აქცევს და ფერხებთა შეუბორკილავსთ მარცხულ სჳლასაგან და თუალებ-ღებათა დაყენებს და ესრეთ განემზადების კურთხეულსა მიწასა შინა დასაფლველად გვამისა თჳსისა. რამეთუ იციან ბუნებითაცა და პოლიტიკითაცა ნატურალისტებმან და მასონებმან, რომელ კეთილ-მსახური მონარხი მარგლის დღე და ღამ ღვარძლობთა, და ეკლებთა, და ჯურის თავებთა და შეკრებს დილეგებთა და საკანთა შინა განჭმელ ყოფად წყვდიადებითა. ბორკილებით, და ჯაჭვებით, ჴუნდებითა, და შავისა მუშაკობითა მხმილაობთა ძრწოლასა ქუჱშე დადნობად მუცლისა ცმელებთა ულმობელისა ნაწლევებისა მათისა და ესენი კმა-იყავნ ცნობისათჳს მარჯულთა დამარცხულთა—მოძრავებთათჳს არსთა არსებაებთა.

ეგრეთუჱ თჳსებანი სულისა მოქცეულისა არს შინა ძმათაგანთი, ანუ ახალ შეძინებულებთანი ე. ი. კათაკმეველ ყოფილთი ებრაელთაგანთი და წარმართაგანთი რწმენა, ლოცუა, მარხუა, სინანულნი, კრძალულება, ხუთთა გრძნობაებთა მარცხენა შეხებათა-



გან სიმართლე, სიწმინდე, პატიოსნება, და განბნევა ნივთებთა. ჟამიერებ ხრწნადთა. და უფროსღა შეყვარება მტერთა, აღებითა ცხოუჱლისა ჯუარისა და მიცემა თავისა თჳსისა ტანჯუად. რათა ხრწნადსა ჴორცთა 'შინა მოიგეს უხრწნილება, რამეთუ დათესილთა მარცვლებთა ბუნება არს, რათა გარეგანისა დალპობითა შინაგანითა უმრავლესი ნაყოფი აღმოაცენოს. რომელ არსება ბუნებისავე შემოსისა ძალისა მექონ არს. ეგრეთუჱ სიკვდილი არა რაჲმე არს. არამედ განახლება ხრწნილებისა დატეებითა უხრწნილებისა შემოსად, იხლ. საღთო წერილნი.

ცნობაა გარსისა ამის სოფლისა და სავსებისა ამისსა, ე. ი. ყოვლისა ნივთებისა გარეგან ზემო-ზურგისა არიან გრძნობიერნი საგანნი, ხოლო მიმყოვრებითსა გულისხმისყოფისათა, ე. ი. გულისა ახმისათ, ანუ განღებისა განხმითა, რომელსა სამნი ლექსნი ესაჭიროებიან, ე. ი. გული, ახმა და ყოფა წრფელობითა და ბრუნვილად ნათესაობითად გულისხმისყოფისათა. მაგალ. ოდეს ვიცნობ პეტრესა, რომელი არა არს პავლე—ესე გარეგანნი ცნობანი არიან ფილასოფიურ. ხოლო გულისხმისყოფით რა განვსაჯო პეტრე და პავლე, პეტრესა შორის ვიხილავ შინაგანსა რაოდენობასა, მაღალსა და აღმატებულსა, რომელსა ქონან აღძრცვილი ცნობა ღთისა; ეგრეთუჱ გარეგანნი რაოდენობანი ბუნებითნი უდიდესი აქვს, ე. ი. რაოდენითამე წელიწდებითა, ეგრეთუჱ ხარისხი თავ-ყოფისა და უფროსღა პირუჱლ-მჯდომარეობა საყდარსა ზედა ჟამსა ყოველთა განსჯისასა, ეგრეთუჱ სულისა თჳსებანი მრავალ-კეთილნი.

ეგ სახედუჱ პავლესთჳს. გულისხმის-მყოფელობდესრა შინაგან და გარეგან რაოდენობასა მისსა პავლეს შევემცნები პირისპირ პეტრესა რაჲსა-მიმართად. წელიწდებითაცა და ხარისხითაცა, რომელ იგი არა დაჯდების საყდარსა ზედა ჟამსა ყოვლისა სოფლისა განსჯისასა. ხოლო საქმეთა არა პეტრესთა მივხედო გულისჴმის-ყოფით. იგი ყოველთავე მორწმუნეთა უწოდებს საყუარელსა. ხოლო პავლე ძმად სახელდებს. აჰა, ესრეთსა გულისხმის-ყოფასა ეწოდების ზედ მიწევნილება, რომელ ვქმენ ორისა იდეათა შემხმელ სულსა შინა ზედმიწევნილებითა, ე. ი. მიწთომილ ვექმენ ორისა ნივთისა, ე. ი. პირთა გამსჯელ და შემეცნებულ, ეგრეთ ვითარცა არსნი იგი არიან, რომელნი ცხოუჱლისაგან ცხოუელ არიან მარტივ მცხოუჱლებელნი ხრწნილებისაგან უხრწნელად. ხელთა შინა მაღლისათა გარნა კვალად გულისხმა-ვყოთ რა ჴორცთა მათთჳს, რომელნი ცხოველად აქ-

ვნდათ ოთხნი კავშირნი სტიხიონი, რომელნი თანამშრომელ იყვნენ ღუაწლსა შინა მოძღვრისა მათისათჳს, იგინი მიწით იყვნენ შემოსილ, გარნა ზეგარდმო განჩინებითა პირუელისა ტიპიკონისათა მიიქცნენ მიწადვე რომსა შინა; რომელთა ჴორცთა მიიღეს თუმცა სიკვდილი. გარნა არა არიან, არამედ-შეცვალებულნი. ამად რომელ ამისთა არსებანი საუკუნოდ გებად არიან, უნდ ანტექრისტემანცა უსჯულოებითა თჳსითა მისცეს ცეცხლთა დასაწველად, ანუ ზღუასა დასანთქმელად. გინა ქარითა განანქრიოს მტვერად და წვლილებითა დამღვიოდ და იოტებად. რომელთა სიცოცხლითაცა მსახურეს მოძღუარსა. ეგრეთუე ხრწნილისა თიხისა ყუედრება და შეურაცხ-ყოფა და გინება პეტრესა და პავლესსა ჴორცთა თჳსსა ჟამსა შეერაცხებისთ დიდებად. რომელთა მიმოდათესილთა გუამებსა, ძვლებსა. ტჳნსა. ძარღვთა შეემოსებისთ თჳსივე ჴორცნი. და მოექმების ტყავნი და იცუალების მწუხრადი ხრწნილება ღამისა ძილად, რომელნი განთიად. განცხოუელდებიან, ე. ი. მეორედ მოსლვასა ყოფენ სული პეტრესი. და პავლესი მუნ, სადა მოძღუარი მათი დასჯდების მეორედ მოსრული საყდარსა ზედა, მაშინ მყის სული პეტრესი და პავლესი მუნ მიკრეფულთა და რღვეულთა სახლთა მყის აღშენებულსა შინა შევლენ, ე. ი. ხორცთა გუამებსა შინა და ესრეთ კუალად განცხოველებულნი გუამნი აღემართებიან ფერჴებთა თჳსთა ზედა და დასდგებიან მარჯუენით მოძღვრისა თჳსისა თანა და შემდგომ კურთხევით მიწოდებისა აღიტაცებიან ღრუბლებითა სულიერსა სოფელსა შინა ე. ი. ძლიერებითა ზეგარდამოჲთა და იქმნებიან ნათელ მესამედ და ეგრეთ კეთილად დაბადებულთა და პირუელთა მშობელთა და სნეულებითა გახრწნილთა უკანასკნელ უკეთილესი გარდაკვეთილება მიენიჭებისთ. ამისთჳს სამთავე მუჴლნი მიდრკების მადლობად მაღლისა, ე. ი. ზეცისა მოდრეკილებთა თანა, ე. ი. ნათელ მეორეებთა თანა ქუეყანისა და ქუესკნელისა, რომელთა მეათერთმეტე ჟამი ერთი მაშინც ემუშაკნოსთ მაღლისა სათნოებითა.

იხილეთ, მეფის ძეო, ზემოხსენებულთა საიდუმლოებთა ტჳნისა ფილოსოფია. და ფილოსოფოსნი ვერ მისწვთებიან ამად, რომელ მათ მეცლებსქმნულთა შობადნიცა თუალებითა მათითა ხილულნიცა არა უწყიან, თუ რომელნი მამრთა შობენ და რომელნი-მდედრთა. არცაღა თმათა თჳსთა დაშავება ძალუძსთ, არცაღა-განსპეტაკება, და თჳთ გუამებისა თჳსისა ძვლებთა და ძარღვებთა რიცხვნი და რაოდენობანი არა იციან. გარნა ჩუენ, რომელთა გვიც-



ნიეს თავნი თჳსნი, შემოქმედისა მსახურად ხატი დაბადებული მინდობილ ვართ იჭვებითა. ე. ი. რწმენისა აზმნობითა და ზულეს რა გუამნი ჩუენნი და სოფელი წყევისა ხრწნილებითა განახლდების უკანასკნელისა კურთხევითა. ამად ღმერთი და სოფელი მისი არა არს ბოროტ. ვითარცა ათქმევსთ ბრძენთა ფილასოფოსთა ბუნება კეთილი.

მოიხსენეთ, უგანათლებულესო, აქარე ვიკითხავ, ოდეს შესრულდებიან რიცხვნი წელთანი ანუ შობადებთა სიმრავლისანი, გინა უკანასკნელისაგან დგომისათჳს იქმნების დასასრული ხრწნილებისა და აღსრულება უხრწნილებისა, ე. ი. წელთა აღსრულებისათჳს თუ რიცხვთა არღა მომატებისათჳს, თუ განდგომილებისათჳს. აჰა, მე სამისავე ძალმიძს გადმოთარგმანება ზეგარდამო—შეთხოვნითა. გარნა თანა-წარვხდები საიდუმლოებთა ამათ დიდ-დიდებითა, ხოლო ჩუენ განვემზადნეთ, რათა არა შევძრწუნდეთ პირუელად კერძოობითი აღსასრულისა მომლოდნელი.

იხილეთ, ცნობასა შეუდგების ზედ მიწევნილება და გულისხმისყოფასა — განსჯა. და განსჯილსა-ნება სანებურისა აღრჩევად. ესე გინა ისი, ესენი მოიღებიან ქმნულებათა ზედა, ხოლო მაღლის მიმართ ცნობა და ზედ მიწევნილება და გულისხმის-ყოფა ერთი და იგივე არს. ამად, რომელ არსება და ბუნება მის მხოლოსი ერთი და იგივე არს. და უკეთუ ღთისმეტყუელურად განვსაჯოთ თჳსებანი ღთისანი, არა არს ერთი და იგივე. მუნ იხილე, გარნა ფილასოფურ სჯანი ესეოდენნი კმა იყავნ ნიჭისამებრ ჩემისა.

## თავი მეხუთე.

რაჲ არს რაოდენობა და რაჲ არს რამითობა და ვითარ სხუაობენ ურთიერთისაგან?

მიგება რაოდენობისა: რაოდენობანი მრავალ-სახე არიან, ესე იგი მათემატიკური სამ განფენილებისა ყოველთა ნივთებისა სიგრძედ, სივრცედ და სიღრმედ. ეგრეთუე რაოდენობა ღეოღრაფიული, ბურთისა ამის ქუეყანისა სამას სამოცდა ხუთი გრადუსი. ეგრეთუე წელიწდისა დღეებისა რიცხვნი არიან. და საჟამისა რაოდენობაცა მათემატიკურივე არს. იხლ. მათემატიკა.

აჰა, ფილასოფურნი რაოდენობანი ოთხნი უმთავრესნი ოდენ არიან, ე. ი. პირუელობა ყრმობითი, რამეთუ ყრმობა უპირუელესია, ვიდრეღა ჭაბუკობა, გინა სიბერე. ეგრეთუე ანი პირუელ შემ-

დგომთა ალფავიტებისა და ყოველნი დასაბამნი საქმეებისა დაწყებანი პირუჱლნი არიან გინა შკოლისა პირუჱლნი კლასნი თუ პირუჱლნი ხარისხნი, გინა მიზეზი პირუჱლია მიზეზებულისა მიზეზად. ხოლო მეორენი არიან უკანასკნელი ხარისხი, ე. ი. დიდი ხარისხი ანუ შესრულება დაწყებულისა პატივითა დიდნი არიან უფროს პირუჱლისა, ვითარ მოხუცებულობა უმეტეს პატივია, ვიდრელა ყრმობა, ეგრეთუჱ უკანასკნელი კლასი შკოლებისა რომლისა შინა შეასრულებენ სწავლათა.

მეორე რაოდენობანი არიან ბუნებითნი, ვითარცა მშობელნი, რომელთა მიმართ შვილნი რაჲსა მიმართნი არიან მცირე წლობითა, გინა ბუნებითად.

მესამე რაოდენობა არს ვითარ ყოვლადი დიდი, ე. ი. მზე რაოდენი არს სიდიდითა და ქუჱყანა ესე ჩუჱნი რაჲსა-მიმართი არს სიმცირითა. ანუ ხე ბორბანი რაოდენი და ნერგი ვაშლის რაჲსა მიმართია. გინა სპილო რაოდენი და კამბეჩი-მცირე. ეგრეთუჱ გმირი კაცი რაოდენი და პითაკი კაცი ასაკ-მცირე რაჲსა მიმართი. ეგრეთუჱ ყოველნი დიდნი რაოდენნი არიან ხოლო მცირენი რაჲსა მიმართნი არიან.

მეოთხე რაოდენნი რიცხობითნი, ე. ი. შემკრებლობითი. მხედრობა, ლეგეონი რაოდენნი არიან, ე. ი. ექვსი ათასი, ხოლო სამი ათასი რაჲსა-მიმართობითა, მცირე რიცხობითა. ეგრეთუჱ ყოველნი სავსებანი სოფლისანი თჳნიერ რაოდენობისა არარანი არიან და არცალა ძალგჳძს გამოცნობა არსთი თჳნიერ ამა ორთა, ე. ი. რაოდენობისა და რაჲსა მიმართობისა.

რამითობა გუაცნობებს თვლასა არიხმეტიკურსა ანუ ორთა ნივთებთა თანასწორობასა, ე. ი. ასი რიცხვი ასისა მეორისა რიცხჳსა თანასწორია. ათასი-ათასისა და უშორეს. ანუ ორნი ყოდანნი ძეგლნი პირისპირ მდგარნი, თანასწორი სიმაღლითა და სიზრქითა. რომელთა შორის არღა არს რაჲსა-მიმართობა. ეგრეთუჱ ცხოუჱლნი, გინა უცხოველონი გარეგან რაოდენნი.

იხილეთ, ძეო მეფისაო, პირი ყოვლადი არა ითქმის რაოდენად თჳსისა წევრისა შორის. არცაღა ასონი, ე. ი. ხელნი, ფერხნი, ყურნი, ცხვირი და კინძნი არა ითქმიან რაჲსა-მიმართად. ამად, რომელ ერთი მხოლო გუამი მათგან არს შედრგინებული. ეგრეთუჱ ყოველნი თითოეულნი ცხოუჱლნი და მდელო ნერგნი თჳსადვე გარემოქცევით უჯირო არიან რაოდენობად და რაჲსა-მიმართცა თითოეულ-



ნი თჳს შორის. ესერა რაოდენია ნათესავი. ხოლო სახე რომელიმე რაჲსა-მიმართი არს. ეგრეთუ რაოდენია სახე, ხოლო განუკუჱთელი რაჲსა-მიმართი, რამეთუ ეზიარების სახესა და არა იზიარებს.

უვფალი მმუფლებითა რაოდენია პოლიტიკურ, გინდ მცირეცა იყოს ბუნებითად, ე. ი. წელიწდებითა, გინა ასაკითა, ხოლო მონა რაჲსა-მიმართია და ყოველნი ძლიერნი ძალნი ეგრეთუჱ რაოდენნი არიან პირისპირ უძალოსა და უშორეს.

იხილეთ არა ყოველნი რაოდენნი, თანასწორნი გარეგან, შინაგანცა თანასწორ არიან. მაგალ. ორნი გმირნი რაოდენობითა თანასწორნი შერკინებასა შინა არა თანასწორ არიან ძალითა შინაგან. გინა წონასა შინა ორნი სფირიდნი თანასწორნი ერთი აღვსილი მატყლითა და მეორე ოქროჲთა წონასა შინა არა არიან სწორნი, რამეთუ ფიზიკურნი რაოდენობანნი სხუანი არიან და მეტაფიზიკურნი-სხუანი და ითიკურნი-ყოვლითურთ სხუანი.

მოიხსენიეთ, უგანათლებულესო, მხოლოსა ცხოუჱლ, ბრძენსა, მაღალსა არსებასა ზედა არა მოიღების რაოდენობა Φილასოფიურ, არცაღა ღთის მეტყუჱლურ პირებთა მიმართ სამებისათა. არამედ დაბადებულებსა ზედა, მოიღებიან ეგრეთ, ვითარცა არიან. რამეთუ ყოველთა რაოდენთა თჳსისა სქესისა მსგავსნი ყუანან რაჲსა-მიმართად და აქვსთ.

იხილეთ, მეფის ძეო, რაოდენობა და რაჲსა-მიმართობა, რომელნი განუწყუეტელნი სხეულნი არიან. მათი რაოდენობანნი იდეებ არიან, რომელ არიან იდიურნი, ე. ი. გონებასა შინა გამოხატვითა და არა მსგავსად სამთა მმეფებელებთა, ცხოუჱლებთა, ორძილებთა და მეტალთა.

რაოდენობა მიწისა პლანეტისა არის ჩუჱნისა ბურთისა, რაოდენობა წყალისა, რაოდენობა ჰაერისა და რაოდენობა ცეცხლისა, ეთერისა-აჰა, ოთხთა ამათ რაოდენთა არა აქვსთ ურთიერთისა მიმართ რაჲსა-მიმართობა. ამად, რომელ მიწა არს ნერჩი წყალისა, წყალი არს ნერჩი ჰაერისა, ჰაერი არს ნერჩი ცეცხლისა, გინა ესრეთ არა არს წყალი გარეგან იატაკისა. და არცა ჰაერი—გარეგან ნოტიობისა და არცაღა ცეცხლი-გარეგან ჰაერისა. არამედ ოთხნი ესე ასონი თანასწორ სიმრგვლესა შინაგან არიან, ე. ი. სადაცა დასრულდების ჰაერი, მუნცა ცეცხლი და წყალი და მიწა, რომელთა გარეშეიცავს ცაჲ. აჰა, ქმნულებათა გულისხმის-ყოფისა გონებითა გარეშემოევლების და უნეჲთა და ხომალდითა და შარითა არა ოდეს ნუ იყოფინ.

ლოღიკური რაოდენობანი შინაგან გონებისაგან წარმოდგენილნი, რაჲმეთაგან რაჲმენნი შედრგინებულნი შერევნილად, ე. ი. ვითარ იპოკენტავრონი მშრალ-მიდმგონებითა ლანდნი რაჲმენი, გინა ხიმერანი, რომელნიმე შეგუამებულნი სხვადასხვა ნათესავთა და სახეთა ცხოუჱლებთა ასოებთაგან ერთი რაჲმე, ვითარ ათ-ფერხა. სამთავა, ხუთ-ფრთა, რვა-რქა, ორ-კუდა, სამ-თუალა. უსიტყვითა ასოებთაგან შედრგინებითა. ეგრეთუჱ მდელონი და ნერგნი შეცვალებულად წარმოდგენად და მთა არარატისა-ოქროდ და კავკასიისა მთა ყოველთა მათთა ზედა უმაღლესად. და ქუჱშე მისა კასპიისა ზღვისა წარდგენილად, პონტოჲსა ზღვისადმი შეერთებად და მისით ოკიანესად. ანუ მზეჲ და მთოვარე ცხენებსა ზედა მსხდომარედ, ვითარ წარმოუდგენიესთ სამხრეთისა მწერალსა და მეტალოღიისა მეტყუჱლთა ღმერთანი და ღმერთნი მრავალნი უმრავლეს შერევნილად, ე. ი. ნივთები უგრძნონი კნინღა და ცხოველებ მოძრავად. ეგრეთუჱ ინდოელთა ბრამანნი, თებაჲსა და ლაილამა და ლამანი. და კიტაიისა, და იაპონელთა ბონძნი, რომელნი კერპებთაგან შეწევნასა გონებენ და სცვალებენ ღმერთებად სახელ-დებულებთა. უკეთუ არა აღუსრულდესთ საწადელნი თჳსნი განმამდიდრებელად. ესევითარნი. ხმელნი მოგონებანი არა არიან რაოდენნი და რაჲსა-მიმართნი. არამედ მხოლოდ განრყვნილისა სულისა გონებისა დაუდგომლობა არს და სისუსტენი დიდ ფრიადნი და არა ნამდვილნი არსთა არსებანი და ნათესავ-სახენი და განუკუჱთელნი და ხელოვანთა ნაქმარნი, არამედ გონებისა განუნათლებელისა რყეულებაა ანუ არა წმინდა სულებისაგან მხატრობანი არიან შერევნილნი.

იდეა-შერევნილნი იქმნებიან ვერაგნი და გჳრივნი და შურიანნი და ანგაარნნი და ამპარტავანნი და შჳდთა სასიკვდინოებთა გამომხატუჱლნი და ფიზიკურისა განცეცხლებულისა სიყვარულითა დაჭენებულნი. და მეიჭვენი და უსჯულონი და უსახურნი და უბადრუკნი მრავალთა შერევნილთა ხაოსთა და ნისლებთა წარმოიდგენენ მარცხულთა მარჯულად და მარჯულთა არარად შერაცხვენ. ამად, არა უწყიან რაოდენობა კეთილთა სარგებლობისა და მირიდება უბადრუკებისაგან. რომელთა გონებასა დიდ ფრიადნი კეთილნი კნინ კარგად აღუჩნდებისთ, ხოლო დიდ-დიდნი ბოროტებანი ლოღიკურნი, ე. ი. წარმოდგენითნი, Фანტაზია-ფანტაზიაზმებად, და გნომნი და გნოსნი და აქსიომანი, თეორემანი, თეორეტიკანი, ყოველნიკე შერევნილ მავნებლად. მაშასადამე, მათ ყოველთა არა უწყიან რაოდენობანი და რაჲსა-მიმართობანი ქმნულთა შემეცნებად. რომელნი ფიზიკურცა გარეგან კეთილ არიან და საჭიროდ სახმარ სამნი მმეფებელნი ცხოუჱლნი და ორძილნი და მეტალნი, რომელნი სავსებანი სოფლისანი არიან. და მეტალნი, რომელნი წარმოიდგინონ ვინმე არა ეგრეთ ვითარცა არიან, არამედ ესრეთ ვითარცა არა არიან. ანუ ეგრეთ ვითარცა მკამათებელმან ინდოელმან მომიგო შემდგომად ზორვისა, რომელსა ვარქვ, რაჲსათჳს უზორე ბადიასა შინა შთაწყობილსა ოქროთა და ვერცხლთა და სპილენძთა საგასაფრდელოთ მოჭრილებთა, ე. ი. სახელმწიფოთა. მომიგო: ცხოუჱლნი არიანო პირუჱლ და მეორედ თჳნიერ ოქრო-ვერცხლისა არა იქმნებისო ვაჭრობა. აჰა, ესევითარი ბნელი ლოღიკა შეაცთუნებს სულსა უგუნურსა, ე. ი. ურჩსა სწავლათსა. მანვე მომიგო: თავი ჩემი მეფე არსო, მკერდი და ბეჭები ჩემი თავადნი არიანო, მხრები და ხელები აზნაურნი არიანო, თითები მსახურნი არიანო, მუცელი ვაჭარი არსო, მცირე მუცელი ვაჭარანი არიანო, სხჳლ ბარკალნი ჩემნი მდიდარნი სოფლელები არიანო და მუხლები და წვივები მხვნელნი არიანო და ფერხები მუშაკნი არიანო, და თითები ფერჴებისა მწყემსნი პირუტყვთა არიანო. ესრეთი იდეანი ქონანთო ინდთა ბრახმანებთაგან. ამად არ ძალუძს განრჩევა ნათესავისა და სახისა და განუკუჱთლებისა და არცაღა-რაოდენობისა და რაჲსა-მიმართისა. რომელნი პირისა ყოვლადსა ასოებთა ხარისხობითი რაჲსა-მიმართად და რაოდენობისად აღმოაჩენენ.

იხილეთ, ძეო მეფისაო, უგანათლებულესო, უკეთუ თჳსითა ლოღიკითა არა შემცთარ იყვნენ ეპიკურელნი, მანიქეველნი, ათეისტნი, ათეიზმონი, ნატურალისტები, სტოიკელნი, იპოტეტიკოსნი. სადუკეველნი, ფარისეველნი, იანე, და იანბრე, ალექსანდრე მჭედელი, დიმა, ნიკოლოზ, იუდა, დიოტროფე-ძუჱლთა შინა და ახალთა ფილასოფიურ განვსაჯო შეცთომილნი ეგოდენ შინაგან შესცთენ ბნელ ლოღიკთა იდეაებ შერევნილებითა, რაოდენცა გარეგან მშვენვერ საოცრებითა, რომელთა რაოდენობა და რაჲსა-მიმართობა ვერ განარჩიეს უვიცობითა, რამეთუ ბერძნულ ლოღოს სიტყუაა. მაშასადამე, ლექსნი და სიტყუანი ეგეთნი უნდა იხმიონ განათლებულთა ლოღიკოსთა, რათამცა პირმშოთა და ნამდვილთა და ჭეშმარიტებასა წარმოგვიდგენდნენ. მაგალ. შემოქმედი ცათა და ქუჱყანისა მხოლოდ ყოვლისა შემძლებელია ცხოველ-მყოფი, ბრძენი, უკუნითი, მარადი, ა. ანი და ჵოე. არსება უსაზღვრო, ბუნება უცვალებე-

ბელი, ერთი სამი და სამობა ერთივე მხოლოდ. მაგალ. სიტყვიერნისული წმიდანი და არა-წმიდანი და კაცნი წმიდანი და არა-წმიდანი სოფელი შესაკრებელი ყოველთა, ცხოველთა და უცხოეულოთა[1] ყოველნი დაბადებულნი საზღვრისა მექონ არს, მაშასადამე, არა არს დიდნი თჳნიერ მცირეთა. არცაღა წვნიკნი-თჳნიერ მსხჳილთა. არცა სიღრმე-თჳნიერ სიგრძისა და სივრცისა.

მეტაფიზიკურნი რაოდენობანი არიან არსებანი სავსენი, ვითარ ნათელ-მეორენი. იხლ. ღთისმეტყუჱლება. არა სავსენი რაჲსა-მიმართნი არიან, ე. ი. კაცნი, რომელნი თჳსისა შეუღლეულვილისაგან მესამესა შობენ რაჲსა-მიმართობითა. იხლ ფილასოფია.

მეტაფიზიკურნი რაჲსა-მიმართნი არიან ჴორცნი ზრქელნი და მძიმენი და განუჭვრეტელნი, ე. ი. ყოველნი სულნი თჳსისა გუამისა განმაცხოვებელ არიან, რომელნი ურაოდენონი არიან ფიზიკურ, ხოლო მეტაფიზიკურ. მაგალ. სული პეტრესი არს არსება მარტივი, ბუნება ცხოველი, რომელ რაოდენობა მისი არს სიბრძნე და აღძრცჳლი ღთისმეტყუჱლება, რაჲსა-მიმართობა არს მისი პირისპირ დედათა შორის შობილისა, ე. ი. წინამორბედი რაოდენია, ხოლო პეტრე რაჲსა-მიმართი. ვითარება მისი არს სიბრძნისა შეყვარება და მოწამეობითარე სიკვდილი. ქმნა მისი ცუალება, ე. ი. მოკვდავებისაგან უკვდავებად. ვნება მისი არს მწარისა ტირილისა დაწყება და არღა დასრულება, ვიდრე მოწამეობისა გჳრგჳნისა დაგჳრგჳნება სადა მისი არს სულითა ცათა შინა გარე შემოწერილად მხიარულება და ხორცთა ტალავრისა დაძინება რომს შინა. ოდესი მის არს, ე. ი. ოდესობა შემდგომ დასაბამისა ხუთიათას ოთხასისა წელიწდებისა შემდგომ შობა მისი. მდებარეობა პეტრესი არს საზღუარსა შინა გება სულითა და ჴორცითა. ქონებობა პეტრესია შინაგან სულსა შინა ქონება გულისჴმის-ყოფისა განსჯისა, ნებისა, ფლობისა, სურვილისა, ტროფობისა, სარწმუნოებისა, სასოებისა, და სიყვარულისა ღთისა და მოყვარისა. გარეგანი ქონება მისი-ჴორცთა სიმრთელე და დამონება სულისადმი თჳსისა და სული და ჴორცნი ღთისადმი მებრ მსახურება და ქონება მხოლოდ კუართისა და არსებისა პურისა მცირაკისა: და ესევითარითა ხატითა არსებასა ზედა ცხრანი კატიღორიანი შეისმინებიან ცნობად რაოდენობისა:

აქარე იკითხვის სული პეტრესი და სული პავლესი თანასწორ

[1] ხელნ. S—306 ეს სიტყვა არაა.



ყოვლადნი არსნი არიან. ეგრეთუჱ ჩჩვილთი ბეთლემს მიმწყუდართი არსებითა ერთი და იგინივე არიან, რამეთუ მარტივ-ცხოველნი არიან და ბუნებითი უკვდავ. გარნა თჳსებითა სწავლისათა და ჴელოვნობითა და საქმეებთა მაღალთაგან არღა არიან ერთი და იგივე არამედ ურთერთთისაგან განსხუავებულ არიან თუმცაღა ჩჩვილნი. და მოხუცებულნი ერთ ასაკად აღსადგომ არიან ე. ი. ოცდაათსამეტისა წელიწადებისა ჴორცითა. გარნა, შინაგანნი სულისა რაოდენობითა ე. ი. საქმეებთაგან განვიყოფთ — თუმცაღა სასუფეველსა ზენასა შინა არა არს რაჲსა მიმართობა ე. ი. ასაკებითა გარნა შინაგან თავსა შორის ოთხმეოცისა წელიწადისა მოღუაწე უმეტეს შუჱბულ იქმნების რომელსა უმეტეს უტეებს თჳს შორის ღმერთი ხილუად სიყუარულისა თჳსისა.

ნათელ მეორეთა შორის რაჲსა-მიმართობა არა მმუფლებითი, არამედ სახის-მიცემითი მთავრობა, ვითარ ქონანთ შჳიდთა მათ სულებთა. იხლ. საღთო წერილნი. ამად, რომელ წ. გაბრიელ უფროჲე განათლებული არს, ვიდრეღა სხუანი, რომელნი ნიშნებ-მიღებითა იმსახურებიან იხლ. წ. დიონოსიოს.

რაოდენობა ითიკურნი შემკრებელობითა სხვასტაგთა, საქონელთა და სანოვაგეთა სიმრავლეა. ხოლო პოლიტიკური რაოდენობა-ხარისხნი, სწავლანი, ჴელოვნობა, სიმდიდრე, და ძალნი და ამოვნება, ე. ი. ზნეობა კეთილი, ნარუქი, პტული და მსახურებანი მამულისა რაოდენობითა ვიეთნიმე და რომელიმე რაჲსა-მიმართობითა უმცროსნი, უფროსნი, უგანათლებულესი, უგანათლებულისა; უმაღლესი, უმაღლესა; ბრწყინვალე, ბრწყინვალა, უბრწყინვალესი, უბრწყინვალესა; უპატიოსნესი, უდიდებულესი, უდიდებულაჲსა, და ესევითარნი ღრამმატიკულ ზედ შესრულნი არიან სახელნი, ხოლო ფილასოფიურ რაოდენნი, და რაჲსამიმართნი არიან, იხლ ფილასოფია.

ჭეშმარიტებანი სამნი ლოღიკურნი, მეტაფიზიკურნი და ითიკურნი არიან. ხოლო მეოთხე ღთისმეტყუჱლურნი ჭეშმარიტება არს უუჭეშმარიტესი. ჭეშმარიტება, აქსიომად ცხადი აღძრცვილი იხილ. ღთისმეტყუჱლება.

იხილეთ, მეფის ძეო, ლოღიკურნი ჭეშმარიტებანი მათემატიკასცა ეკუთვნის, ე. ი. ყოველნი არსნი და ნივთნი აღრიცხვისა და ზომისა ქუჱშე მრდომ არიან და თჳთ უნივთოცა წუთნი წამნი, წენტილნი, ჟამნი, დრონი ჯგუფნი და წელნი ამად მათემატიკოსსა ძა-

ლუძს უცთომელობ:, ხოლო ლოღიკოსი ხშირად ქუწშემრდომ არს ცთომისა:

ლოღიკური პირუწლი ჭეშმარიტება-განკითხუა თავისა თჳსისა და გამოძიება თუ ვინ არს მცხუოწლებელი და ვითარი არს განცხოველებული, ე. ი. რაჲ არს სული, რომელი არავისადმი მოკიდულ არს და ვითარი არს ხორცნი განცოცხლებულნი შემოკრებითარე შეგუამებულნი პირსულისადმი მოკიდულნი, რომელი მეფობს თჳსსა ქალაქსა ზედა, ე. ი. სული ხორცთა თჳსთა ზედა, რომელი თჳნიერ შეხებისა სძრავს გულსა და გარდა შერყევისა ფლობს ტჳნთა თავსა შინა, სადა ხუთთა გრძნობაებთა იმსახურებს, რომელ სულსა მშვინჳერსა უბრძანებს და მითვე ორძილოვანსა და ეგრეთ ერჩიან ყოველნი წევრნი და ასონი და ნაწილნი გუამისანი, და ერთბაძად შეყოვლადებულნი გუამნი. აჰა, ორნი სხუა და სხუაჲ ერთ მხოლო პირსა შინა შეკრებულნი ერთსა საქმესა მოქმედებენ. იხარებდეს რა სული, გრძნობანიცა იშუწბენ. მწუხარებდეს რა სული, გრძნობანიცა მწუხარე არიან, და კვნესის გული. ელმოდეს რა ერთსა ასოთაგანსა, მისთანავე ელმიან ყოველთავე, და სულიცა შორის დებულებათა ამრავლებს ვნებულებითსა. და უყვარს სულსა თჳსი ჴორცნი და ილვწის, მკურნალისა წამლებითა განთავისუფლებასა. ეგრეთუწ მელანქოლიკობდეს სული, კეეშნობსა ანუ იწერტებოდეს სჳნდისითა და სინანულითა შემცოდე ხორცნიცა შესლბებიან, სულისა ურვეულებითა და კნინლა მიუცილებელთა საჭიროთა გარე-მიაქცევს გუამი, ე. ი. საჭმელებთა და სასმელთა. და ესევითარისა შემეცნებითა სული, გინა ჰსიხი იცნობს თავსა თჳსსა. და მერმე თჳს შორის განცხოველებულსა ოთხთა ატომიერთა თიხათაგანთა და მიმყოვრებითრა გულისჴმაჰყოს, პოებს დასაბამსა თჳსსა და განსაჯოს რა მსგავსნი თჳსნი, ეგრეთუწ მათცა გამოსცნობს განუკუწთელად. გარნა არავისადმი მოკიდებულად იხილავს თავსა თჳსსა და არცალა ეგრეთ სრულ იხილავს თავსა თჳსსა სული გულისხმის-მყოფელი და განმსჯელი თჳსისა სჳნდისითა, რომელი ძალი სულისა არს და მსაჯულიცა, რომელ არა ესაჭიროებოდეს რა, მსგავსისა თჳსისაგან და ქმნულებთაგან ე. ი. სოფლისაგან და სავსებისა ამისაგან.

აჰა, განმჭვრეტი სული ჩემი სჳნიდისითა თჳსით თავისა თჳსისა იოცნებს თავისა თჳსისა ვინაობასა ე. ი. ვინ ვარი მე, რომელი არა თავით ჩემით ვარ. აჰა, შევემცენ ამას. მაშასადამე, მაქვს დასაბამი შრანდითგან წარმოებულსა. ძოლან ვგრძნობდი რუმედ, გუშინ ელმად. ამად, რომელ არა ვიყავ ჯერეთ სრულ, ხოლო დღეჲსა განთიად ენტუზიაზმა სურვილმან განაღვიძა ფლობა ჩემი და თავის უვფლებითი ფლობამან ჩემმან ნება მოსდრიკა და ნებამან მნებებელობა აწარმოა და ესრეთ აღვირჩიე სანებური, ე. ი. ჭეშმარიტებისა ცნობა ნამდვილისა უცვალებელისა და დაუსრულებელისა. აჰა, რომელ ვარი მე არავყოფილ ვარ მე ნამყო, ეგრეთუწ მსგავსიცა. ჩემნი და ნივთნი ყოველნი ერთბამად აწმყო ვართ ყოველნივე, ამად შესაძლებელ არს, რათა ვიყო მყობადშიცა. უკეთუ ენებოს მაღლისა ყოვლად წმიდასა ნებასა. გარნა არა უწყი ვითარება და რაოდენობა ჩემი, განა ვნება და სადა-ყოფა და შინაგანი და გარეგანი ქონება ჩემი რაულად იქმნების. მაშასადამე, უკეთუ მყოობადი შემთხვევანი ჩემნი არა ვიცი, ძნიადი სადმე უცნაური ვითარ გამოვსცნა, ე. ი. რაჲ არს სული ჩემი და ვითარნი არიან ხორცნი ჩემნი ანუ რაჲსაგან შედრგინებულ არს, ე. ი. რომელ არს სიტფო გუამისა ჩემისა და თელგამი ნოტიო სხეულისა ჩემისა და სიზრქე ანატომია, ე. ი. კინძნი და ფორნი ჰაერნი, რომელი მოსლვასა ყოფს პირსა შინა სამშვინველად და მოვლის ფირტვსა და წარვლის ყოველთა სხეულთა შინაგან და განვლის და კვალადვე მოიქცევის ზედას ზედა პირსა და ცხვირსა შინა, გარნა არა უწყი, საით ვინა მოვალს და სადა ვიდრე წარვალს და ვითარ და რაოდენ? მაშასადამე, რაოდენ სრულ ვარ მე, ეგოდენ უმეტეს უსრულ ვარ მე და მსგავსნიცა ჩემნი. რომელ ვსაჭიროებთ სოფლისა შეწევნასა, რაოდენ ჴორცთათჳს, ეგოდენ უმეტეს სულისათჳს, ე. ი. საზღაურსა შინა ყოფასა. ეგრეთუე სოფელი მიუცილებლად საჭიროთა უუსაჭიროებს მრგუალ ყოფასა პირუწლ. მეორედ სიმრგვლესა შინა მოძრაობასა, რათა არა დაირღვას სიგრძესა და სიგანისა გარეგან განტყორცილი. მესამედ, არა განშორებად ქუწმო პლანეტნი ზემო მთიებისაგან, რომელთა ურთიერთისადმი მიმზიდველობითი მაღნინტობა აქვთ. მეოთხედ, არა დაახლოებად ურთიერთისადმი შეხებად, რათა კუწთებითა არა შეიმუსრნენ გოგორანი იგი, მრავალ-ბევრეულნი, ზემონი და ქუწმონი და იგვრდითნი. მეხუთე, არა გარეგან ღერძებთა კიდურთაგან განეშორნენ და დაირღუას კოსმო, ე. ი. სოფელი, რომელი მრავალ ბევრეულ ნაწილებთა კერძოებთა წევრებთა და ასოებთაგან შედრგინებულ არს ერთ მხოლო სახლად. მეექვსე, ყოველნი სავსებანი თჳსსა ადგილსა შინა მდებარეობენ. მეშვიდე, არა წინააღმდგომ არიან ნივთნი და არსნი ურთიერთისა შორის, არამედ თანხმობენ ეგრეთ, ვითარცა გუ-

ამისადმი ერთისა წევრნი ყოველნი, რომელთა თითოეულთა თჳსნი საკუთარნი ძვრანი და საქმენი ქონანთ. ე. ი. ხუთთა გრძნობაებთა და ხელებთა და ფერჴებთა და თითებთა და ცერებთა და ნეკთა თჳსნი თანამდებნი. ეგრეთუჱ შიგნეულებთა თითოეულთა თჳსი ძვრანი და საქმენი ქონანთ ვითარ ყიასა, გულსა, ფირტჳსა, ღვიძლსა, ტყირპსა, ნაღველსა, ბურთსა, თირკმლებსა, მასრაკსა, ნაწლეებთა, კუჭსა, გუჱრდებსა და ყოველთა თაგუნთა და ტენონთა ძარღუჱბთა და სახსრებთა და სადრეკებთა, რომელნი ურთიერთისა შორის მდებარეობენ თანხმად და ყოვლადსა შინა ერთ მხოლო არიან. ეგრეთუჱ სოფელი ესე მრავალითა სავსებითურთ ერთ მხოლოა და არა მრავალნი გარდა ამისა სხვანი: ცანი და ქუჱყანანი, არა ეგრეთნი, არამედ სხუა არსებისა და სხუა ბუნებისა და სხუა ძვრისა და სხუა საქმისა მაწარმოებელნი, უკეთუ ეგე ესრეთ არს. და არიან იგინი და იქმნებიან დიდნი, რომელიმე ერთი მეორისა უმეტეს რაოდენობითა და ვითარებითაცა განსხვავებულნი უეჭუჱლად ორნივე საზღუარსა შინაგან იქმნებიან დატევნილ, რამეთუ ორთა არსებათა სხვათა და სხუათა, გინა მრავალთა ბუნებაეთა არ ძალუძსთ უსაზღროება, რომელნი მექონ იყვნენ ძვრისა თითოეულნი თჳსსა სფერებსა შინა, ე. ი. სიმრგვლებსა შინაგან თჳსისა და უკეთუ იგინი უძრავ არიან, ქუჱყანისა ჩუჱნისა ძვრამან და პლანეტებთა და დიდთა მთიებთამან შემუსროს იგინი უუფიცხელესისა კუჱთებითა ანუ სძლიოს უთანასწორემან ძალმან მეტმან უღონოსა ძალსა, და ქუჱყანა ესე ჩუჱნი, და ცაჲ ადრევე შემუსრვილ იყო გარემზომობითა მათითა, უკეთუ არა ესრეთ. ყოველთა მრავალთა ცებსა და ქუჱყნებსა ყოვლადად თჳსთჳსად-რე სრულებთა საშუალ ანტაკრანი სამძღვრებად ედვამცა ძეგლნი და ზღუდენი და მიჯნანი, რათამცა თითოეულნი თჳსსა გრკალებსა გარეგან არა გარდახდენ. აჰა, მიუცილებელად არა თჳთ განუყვიესთ თავნი თჳსნი და დაუკიდებიესთ საზღუარნი თავთა თჳსთათჳს, არამედ ერთ მხოლო უპირუჱლესსა ცხოჱლ ბრძენს ყოვლისა შემძლებელსა ანსა მას მყოფსა დაუწყიეს ბანი და შემდგომნი ალფავიტა ანბანნი ვიდრე ჵოემდე. და უკეთუ მრავალთა ანებთა თითოეულთა თჳსნი ალფავიტანი ქონანთ დაწყებულნი, ე. ი. თითოეულთა თჳსნი ცანი და ქუჱყნები, იგი ყოველნივე საზღუარებთა შინაგან იყვნენ გაფრთხილებულნი და ძალებთა თჳსთა მარჯუჱბელნი ურთიერთისა ზე-დასხმად და დაპყრობად. ფიცხელთა კუჱთებითა არა ვაკეთა ზედა ომითა, და ბრძოლითა. არამედ ზემონი სხუანი ქუჱმოებთა ზედა. და ქუჱმონი ოტებულნი ქუჱშეთაზე. და იგვრდითნი-გარემოთა მიმართ და გარემონი შინაგნებთადმი და ესევითარითა შერკინებითა ყოველნივე შეიმუსრნენ. და რომელნიმე მრავალთა ანებთაგანნი ძლიერებითა ძლეულნი მომკვდარნი ხრწნილებასა მიეცნენ თჳსისა დაბადებულებითურთ და არსებანიცა მათნი აღისპნენ, ხოლო დაშთომილნი ანნი სხვა და სხუა არსებისანი ჯერეთცა იბრძოდენ. განმადიდებელნი თითოეულნი თჳსისა ცებისა და ქუჱყნებისა. უტეოთ იგინი, ე. ი. არა რანი შეცთომილისა სულისა იდეათა შინა იბრძოდენ ლანდურისა ლოღიკებითა. ხოლო ჩუჱნ ვჭვრობთ კეთილ ნათლიერ ლოღიკითა, რომელ ცაჲ და ქუჱყანა ჩუჱნი მიერითგან დამყოვრებული გიეს ზეგარდმოსა სიბრძნესა და ძალსა შინა მარად მოძრავი ყოვლად წმინდასა ნებასა შინა უძრავსა. რომელი ცხოუჱლ უძრაობითა თჳსითა ძვრავს და იპყრობს და ახალ-ახლითა ზესთა საქმებითა თჳსითა ანიჭებს ძალებსა ნათესავთა და სახეთა და განუკუჱთლებთა, თჳსაგან დაბადებულთა და შექმნილთა არსებაებთა, რომელთამე ეგრეთ და სხუათა ესრეთ თჳსსა მწკრიებთა შინა მოკრკალებულად. ე. ი. ანსა, და ჵოესა საშუალ.

აჰა, ესე არს ლოღიკურნი ჭეშმარიტებანი და აღსვლა ქუჱნა გრძნობისა კიბეებითა აღსვლა მხოლოსა უძრავისადმი თავისა თჳსისა ცნობითა და მსგავსთა ყოველთავე დასაბამიერებთა, რომელ სულისა ჩემისა კანკელი თჳთ ხორცნივე ჩემნი არიან, და ცაჲ და ქუჱყანა ე. ი. სარკედ განსაჭვრეტელად, რომელსა შინა მხოლო ყოვლად ყოველსა შინა სჩანს მყოფ ცხოველ ბრძენ უსაზღროდ და ზესთა ყოველთავე ზედა, რომელი არავის დამოკიდულ არს, არამედ ყოველნივე მისდამი მოკიდულ ვართ. და მას მხოლოსა შინა ვართ, ვიძვრით და ვცხოველობთ. ამად არა არს მკვდარი არცაღა ერთი, ე. ი. ნათესავნი, და სახენი. და სქესნი და გვარნი და ფორმანი, ე. ი. სახე, რომელთა არსთა არსებანი მყოობადნი საუკუნენი არიან თანა-სამარადისოდ. მეორენი, უპირუჱლესისა ნებასა შინა გამოკიდულნი. მაგალ. ვითარ ბანი, განი, დონი ანისადმი თჳსისა მოკიდულ არიან და განსაზღვრულ ჵოესამდე. და ესენი კმა იყავნ ლოღიკურ ჭეშმარიტებად.

მეტაფიზიკურნი ჭეშმარიტებანი არიან მრავალ სახენი რომელთაგან მცირეთა აღმოაჩენ, რომელნი თჳს ეყვიან ონტოლოღიასა.

ე. ი. არა ვარ მე და მსგავსნიცა ჩემნი არიან და სავსებანი ცისა და ქუეყანისა შუენიერ დასაბამიერნი და დასხმულნი და დადებულნი ყოველნივე თითოეულნი საზღურებთა შინაგან, სამნი მეფებელნი თჳსსა მწკრივებთა ზედა მოკიდულნი, რომელთა თჳსნი არსებანი და ბუნებანი მყოფობისა სიმტკიცედ მოქონან. რამეთუ არ ძალუძს ნათესავსა სხვისა განუკუეთელისა წარმოება. და ეგრეთუე ვერ ძალიდებს განუკუეთელი სახისა სხვისა შობასა.ამისათჳს იპოკენტავრონი და ლანდნი და ჭიმკანი არა არიან სქესისა მექონ და განუკუეთელობისა მიმღებ, რომელთა ნიშატებნი და ხარაკტირებნი და ფიზოგნომიანი არცა ნათესავისა ქონანთ და არცაღა სახისა. გარნა არა ითქმიან არარსად, ამად, რომელ არარაჲსა მოგონება არ ძალუძს ბნელისა სულისა იდეასაცა. არამედ არსთა-განობითა არსებსა იგონებს შეცთომილი სიბრძნისა სანთელი დაშრეტილი. სული წარმართთი და ებრაელთი· და უფროსღა მათი რომელნი წინააღმდეგომ თქმაობენ გარემზომ მაღლისა. მაგალ. არა ვარ მე და სოფელი. გარემოქცვით სოფისტურ: ვარ მე და სოფელი ესე. აჰა, შეუძლებელი მარადის წინააღმდგომ არს შესაძლებელისა, ე. ი. მყისსა შინა ყოფა და არღა-ყოფა· მასვე წამსა თჳალისასა. ესე არ მოიდების თავით თჳსით ნივთისაგან და უკეთუ შემოქმედი სოფლისა ინებებს მას მხოლოსა მხოლოდ ძალი ქონიეს დაბადებისა და აღსპობისა. და არღარა სიბრძნე რათამცა წინასწარ ეხილვა და განეგრძო ყოფა სოფლისა. და თუ უარესად შესცვალებს, მაშინ ძლიერებაც დაუსუსტდების. და თუ უკეთილესად გარდასცვალებს მას მხოლოსა ძლიერება და სიბრძნე შეუსაბამებივეს. რომლებითა, ე. ი. თჳსებაებითა თჳსისა დაუსაბამოითა არათუ აღასპობს არსთა, არამედ დაამყარებს საუკუნოებად რამეთუ ნება მისი მხოლოსი მომრგუალებულ ჯაჭუჵბად უძსთ თითოეულთა საზღვრებად დაცვად მათ შინა არსთა არსებაებთა.

რომელიცა წინააღმდგომ თქმაობს სოფლისა ყოფასა და მასვე მყისსა შინა არღა-ყოფასა, ანუ თავისა თჳსისა უარყოფასა. გინა სხვათა აღსპობასა, ე. ი. რაჲსათჳს ეგრეთ ყოფასა და ესრეთ და იმ სახედ და ამგვარად და იმგვარად და არა ეგრეთ, არამედ ესრეთ, არა ამ სახედ, არამედ იმ სახედ, თუ ეგრე, ნუთუ ეგრე, უკეთუ ეგრე. არა არა ესრეთ. ჵე ჵე ეგრეთ. მაგრამ ესრეთ, აჰა ესევითარი მგჳრობელობა ბნელისა სულისაგან გამოვლენ ბრუჲისამებრ თჳსისა. ამად განლაღდების სული სიბრძნე დაშრეტილი ამპარტავნებითა ურჩ



იქმნების საღთოთა კაცთა სწავებისა და ბრძენთა ფილასოფოსთაგან განსწავლისა, რომელთა სწავებასა ითაკილებს უბადრუკისა სული. განეშორების ზენა-ბრძენთა და შთამავალს ქუჵდა გამოეხუჵბის მოქალაქეთა ერთაგან და მდაბიოთა ერთაცა კეთილბრძნობასა განეყოფის და პირუკუღმა მფეშუნებელი მიახლოების პირუტყვთა და იქმნების მშვინჳერ, მზრახუჵლ და უსიტყვთა ბუნებასა შინა განიხრწნების ენისა თჳსისა განდიდებითა. და პირისა გაფართოებითა და მიიღებს ორძილთა ხენეშთა ორძილობასა, რომელსა ნამდვილ გონიეს თჳთ თავ თჳსი დიდ. და იგი არა რაჲ არს, არამედ არს დემონისა კოლოტი. და ტყუილისა მამისა საბერველი, რომელი დიდ-ფრიად ავნებს მამულისა საღთისა სჯულსა. და უმეტეს სამოქალაქოსა ურწმუნოებითა თჳსითა ამად ღვარძლი აღმოსაფხვრელ არს ადრე, რათა არა შეაშთოს იფქლნი ფისიერისა სულმან. რამეთუ ყბებ ცოფიერისა, სიბრძნე არა არს სიბრძნე და მეცნიერება, არამედ გესლნი და სამსალანი, რომლისა სიტყვათა და საქმეთა შემწყნარებელსა ერსა განურისხდების მაღალი ხუროთმოძღვარი, ვითარცა ფრანციასა, რომელთა სიტყუანი ვოლტერისა ნარუქებად და პტულებად მიიღეს, რომელითა თჳსი ცხებული და ცხებულა ამოსწყვიტეს და განცოფდენ გარდარეულად, რომელთა ემბაზი შემუსრეს და მოსწყვიდნეს მღვდელნი პირუჵლად და ეგრეთუე აზნაურნი ერთბამად. და კვირიაკისა შვიდეულთა დღეებთა მტილისა მწვანილების სახელები უწოდეს და რვა წელსა შინა ძენი და ასულნი ახალშობილნი უნათლავადრე დაუტევეს და ესრეთითა განძვინებითა აღიღეს მახვილნი და საჭურველნი ღთისა სჯულისა დამცველთა ზედა. და მოსწყვიდეს ურთიერთი, რომელ ოცდაათისა მილიონებისაგან დაშთენ ათორმეტიოდინ. მათცა მეომართა ერთბამად აღიღეს მახვილნი მეზობლებსა ზედა განძლომად მუცლისა და ესრეთ ევროპია ქვრივ და ობოლჴყოფს სიყმილისაგან, მეიავარეთა შემუსრეს შენებულებანი და ტახტოსანნი ქალაქები, უკეთუმცა რისხვასა მაღლისასა არა მოესრულებინა ხელნი მესისხლეთანი სანთელი სახარებისა დაშრეტებოდამცა. ხოლო აწინდელსა ჟამს გოდებენ თავთა თჳსით. სრულიად ძალმოკლებულნი, რომელნი იწერტებიან სინანულისა სჳნიდისებითა. ესენი არიან ნაყოფნი ვოლტერისა, ჟან ჟაკ რუსოსი და დალბერტისა და მიმდგომთა მათთა ბნელთა ბრძენაკებისა.

იხილეთ, ძეო მეფისაო, სოფელსა ამას ცასა და ქუჵყანასა და

სავსებათა მათთა თავისა თჳსისა მიზეზი არა აქვს შემთხვევითი არა ყოფისაგან წარმოებად ანუ მყოფობისაგან არღა-ყოფად, არამედ თითოეულთი მიზეზი გარეგან მხოლოსა მყოფ ცხოველისა სიბრძნესა შინა არს, მაშასადამე, თითოეულთა მიზეზებულთა გვქონან მიზეზი, თუ რომლისაგან ვართ და რომლისა მიერ ვიცვიებით და რომლისა შორის ვიგიეთ, მაშასადამე, არა არს გამოხუწბა და არღა-ყოფა განსაზღვრებულთა და არცაღა შემატება ახალნი რაჲმენი ნათესავნი, გინა სახენი. და ესე არს მეტაფიზიკური ჭეშმარიტება-არსთა არსებათა შინაგანნი უცვალებლობა.

ეთიკურნი, ე. ი. ითიკურნი ჭეშმარიტებანი არიან სჯული არსებისა, ბუნებისაგან აღსრულებად, ე. ი. საქმეებითა. რომელსა ბუნებითი ღთისმეტყუწლება დამტკიცებულ-ყოფს საზნეოდ, ე. ი. ამოვნებად და პოლეტიკად. მოიხსენეთ, უგანათლებულესო, საღთოთა წერილებთაგან, უკეთუმცა პირუწლნი მშობელნი დემონისაგან არა შეცთომილ იყვნენ, არსება მათი ბუნებითარე უკვდავ ყოფილ იყო და არა დაგლახაკებული ჰყო ბუნება მდიდარი სიმართლისა, სიწმიდისა და პატიოსნებისაგან. და არა დაშრეტილ იყო სანთელი და უფროსღა ნათელი კეთილ კრძალულებისა. ხოლო აწ, ვინათგან ბრალმან დემონისაგან და ურჩებამან პირუწლთა მშობელთამან მსგავსება წარსწყმიდა და ბუნებამან გამოიღო ეკალნი და კუროს თავნი, და ღვარძლნი, და ხენეშნი გულნი და თირკლმები და სულებთაცა გარემოერტყა ბნელნი წყვდიადნი, გვრიობანი, ვერაგობანი და ბრძოლანი, ე. ი. გუამსა შინა ერთსა და თითოეულთასა არიან ლალვანი, რომელ წადილნი პირუტყულნი ასოებთანი ერკინების კეთილთა სურვილებსა სულისასა და ქუწ დაცემასა უთქუამს მარადის ქალაქი მეფე სულსა, რომელნი ურთ-ერთარს ზედის-ზედა მხდომ არიან და მტერცა სული თჳსისა ჴორცისა და ესე კეთილ არს, რათა დაიმორჩილოს უჳფალმან მონად და აღვირასხას მტერსა თჳსსა უძლებსა, ეგრეთუწ წადილნი ერკინებიან და მცირეთიცა ასოებითა რომილითამე დამორჩილებულ ყოფს ყოვლადსა და ესე დიდ ფრიად ბოროტ არს.

იხილეთ, მეფის ძეო, არსება ჩუწნი დიდ ფრიად კეთილად არს შექმნილ, რომელ თითოეულთა ხატი მაღლისა არსებად გვქონან. ე. ი. სული უკვდავი, გონებით სიტყვიერი ფლობა-თავისუფალი. და ნება კეთილთა სანებური. და მსგავსება მაღალსავე მოგვანიჭებიეს ე. ი. ქმნად სიმართლისა, სიწმიდისა და პატიოსნებისა, რომელნი



განუშორებელნი სიმდიდრენი არიან ესენ. გარნა უბადრუკთა მშობელთაგან და მზარდეულათა და მზარდეულთაგან და მასწავლებთაგან მარცხულთა მიერ უკეთუ შობითგან ჩჩვილი აღზარდონ სძესა თანა ურწმუნოსა ლექსებითა, უსახუროობისა გიობითა. უკეთურისა საქმეებისა ჩუწნებითა აღუვსონ სული ჩჩვილსა და ჟამსა უსივრობისასა ჟინითა და ჯიბრითა, და დროსა ნინველობისასა ცელქობითა, ლაციცობითა. და ნაყროვანებითა და დროსა ყრმობისასა ნებივრობასა დაჩუწლ-ყონ, და უქმობასა და ლირწებითა, სიღოდნობითა, დრანჯობითა, დრასტიკობითა. განუმტკიცონ სული და ტჳნნი და მიუშუან წადილებსა ზედა თჳსსა და ყონ უყვარულ ღთისა და უმეცარ საღთო წერილებთა და სჯულისა და მადლისაგან ცალიერ-ყონ ვიდრე ოცისა წლისამდე.

და დააჩვიონ განლაღებასა, ლიზღობასა, ურცხობასა, უშიშროებასა, უპატივისცემლობასა, მაღალთა და მდაბალთასა, თაკილობასა და წყენასა, უკადრობასა მდაბალთა საქმეთა კეთილთა. და ამპარტავან ჰყონ გუარისა სიქადულობითა. ესევითარი აღზრდილი ცალიერ იქმნების სიბრძნისაგან და ხელოვნებისა და იკონომიისაგან, რომლისა სული განიგოზების დემონებისა ბნელ ნისლებითა ფიცხელობისა ქარებითა, ანჩხლობისა არმურებითა, დაუდგრომელისა კვამლებითა სამსალიანისა მეტყუწლებითა, ურჩებისა რყეულებითა, უსჳნიდისობისა ბალანგარობითა, უკეთურებისა უბირობითა, ბოროტებისა უვიცობითა, უკმარობისა და უქმობისა სიგლახაკითა, ცრუობისა ტყუილებითა, ტარტარისა ცმაგვითა და ჭორებითა, — მოზოჰვისა სიჩქუროობითა, ცილისწამებით ცრუ-ფიცითა, ანგაარებითა და შჳდთა სასიკვდინოებთა არა-წმიდებითა, რამეთუ რაოდენნი რანიცა. და ვითარნიცა ოცსა წლისამდე შთაწერილან სულსა ყრმისასა, ხედვა და საქმენი მარცხულნი ჟამსა ჭაბუკობისა, ძნიადღა შეიძლების აღმოფხეკანი, თუ არ შიშითა ღთისათა მონებრ, და სამოქალაქო განპატიჟებითა ანუ ზედას-ზედა სირცხვილითა და ყვედრებითა, რომლისა ბრალი და მიზეზი მშობელთაგან არს და მასწავლელებთ ხენეშებთაგან. ამას დაამტკიცებენ შვილნი ებრაელთა და მახმედიანთა და წარმართთანი, რომელნი ბნელსა შინა აღზრდითა ყრმობისა ჟამსა ჭაბუკობისასაცა ივლტიან ნათლისაგან. რომელნი თჳსსა უმეცრებასა და უგუნურებასა მჰიშედ სარჩვლიან და აქებენცა. აჰა, ესევითარ პირნი ქონან ოდესმე თაფლიერნი, ხოლო გულნი თითოეულთა მარცხულთა ყოვლითურთ სხუანი, რომელნიმე პირითა ლიქვნენ მო-

ყვასთა და მამულისა შვილთა წრფელთა და უმანკოთა, ხოლო გულითა ხენეშითა მტერობად აღილესების, ვიდრე დასაჯოს მაღალმან უსამართლოდ ანუ ცხებულისა თჳსისა ხელითა.

მშობილნი. რომელნიცა აღუნთებნ სიჩოთგან ღთისა სიყუარულისა სარწმუნოებასა; სიყვარულსა ცეცხლებ მოტყინარესა მეებრ. და სასოებასა და განსწვრთიან სწავლისა სიბრძნითა. და აღუვსებენ სულსა შიშისა ღთისა სიბრძნითა და ძუჱლი აღთქმათა სჯულითა დამწყსიან ათისა მცნებისათა და ახალისა მადლისა ცხრა ნეტარებისა მადლითა სახიერ-ყოფენ, ესევითარისა სულისა პირი და გუამისა გული სარკე არს უმანკო. და ერთი და იგივე არს პირი და გული მისი, რომელი რჩეულ იქმნების ღთისა და საყვარელ მამულისა და მტრისაცა. მაშასადამე, ეგრეთ აღზრდილი მთიებ და მაგალით ერისა არს, რომლისა პატიოსნება და სიტყვა უმეტეს მტკიცე არს. ვიდრეღა ცრუსა ხელწერილნი მოწმობისა. ესევითარი კაცი მას უყოფს სხვათა, რაოდენნიცა თავისა თჳსისათვის სურს ჟამიერი კეთილ-დღეობა და საუკუნო ნეტარება, რომელი იკონომიითა ოფლისა თჳსისათა მდიდარ იქმნების და შემწე მამულისა და ქუჱლისა-მოქმედ დავრდომილთა, პოლეტიკაში ალერსიან და ბოდიშიან და საქმეებითა ჭეშმარიტიან. აჰა, ესე არს ითიკურნი ჭეშმარიტება და გულისა და პირისა ერთ მხოლო-ყოფა მტერთა მიმართცა: ე. ი. ღემონისაგან მობირებულთა მიმართ. რომლისა ქებასა სიკვდილი უმეტეს დაამვირგვინებს და დაუშთებს ერსა სინანულად სოფლით განსვლა მისი. იხ. საღთო წერილნი.

რაჲ არს საყოველთაო, და რაჲ არს საზოგადო და ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან. მიგება მკჳდრისა ამის.

### თავი მეექვსე

საყოველთაო და საზოგადო—ლექსნი ესე ოდესმე ურთიერთისა ნაცვლად იხმარვიან თხზვისა-მებრ. გარნა ფილასოფიურ საყოველთაო არს საქმე ესევითარი, რომელი ყოველთაზე გარდაეფინოს, ე. ი. ნათესავი ცხოველი, კაცი მოცინარი, ქუჱყანა მოძრავი, მშვინვიერი და ოროძილი მოზარდი, ნივთნი უგრძნონი და ეგევითარნი და უშორეს.

მოიხსენეთ, საყოველთაო არს დასაბამი, რამეთუ ყოველნივე ქმნული ვართ სულნი და ნივთნი და ზიარებადნი ურთიერთ ცაჲ და ქუჱყანა სავსებითურთ და პყრობილ ძალსა შინა მაღლისასა.



საზოგადო არს სახისა საზღაური მაგალ. კაცი არს ცხოუჱლი სიტყვიერ, გულისხმიერ, უკვდავი სულითა. და მოკვდავი კორცითა ეგრეთუ პეტრე არს ცხოუჱლ, გულისხმიერი, უკვდავი სულითა და მოკვდავი სხეულითა და უშორეს.

საზოგადო არა ითქმის ნათესავისათჳს. მაგალ. ყოველი ცხოუჱლი მცოხნელი ეგრეთუჱ, განუკუჱთელებთათჳს სახისა ყოველი კაცი ცოდვილი, გინა ყოველი კაცი მართალი ანუ ხელოვახი, გინა უმეცარი.

ზოგადი ერთ სახეთათჳს ითქმის, რომლისა განუკუჱთელნი ურთიერთ ეზიარებოდენ თჳთ საზოგადო ბუნებითა ანუ თჳსებითა და შემთხვევითად. მაგალ. მოცინარი ორფერჭი. აჰა, საზოგადო სახისა ქუჱშეთი. ცხოუჱლი მოკვდავი. აჰა, ერთბამად საზოგადო ბუნება სხეულებისა. ნივთი დაძუჱლებადი. აჰა, ცაჲ და ქუჱყანა დამზვლევადი. სულები უკვდავი. აჰა, საზოგადო ცხოჱლობა არსთა მარტივი, გონიერი სიტყვიერი. აჰა, ბუნება მოქმედი. და ესენი კმა იყავნ საყოველთაო და საზოგადო აღმოჩენანი. თითოეულთა ნათესავებთა და სახეებთა თჳსნი ქონანთ და ერთბაშად დასაბამი და საზღვარსა შინაგან-ყოფა თითოეულთა თჳსნი.

რაჲ არს მიზეზი და რაჲ არს მიზეზოვანი: მიგება მკვიდრისა ამის.

### თავი მეშვიდე

უგანათლებულესო მეფის ძეო. მიზეზნი დაბადებულთაგანნი მრავალ ბევრეულ არიან: მეტაფიზიკურნი, ფიზიკურნი და პოლეტიკურნი. და ღთის მეტყუჱლურნი, რომელთა განრჩევა დიდ ფრიად საჭირო არიან. ეგრეთუჱ ღემონთი, რომელნი მიზეზ არიან მარცხულ გარდაქცევად უგუნურთა კაცთა წარწყმედად.

მიზეზი მყოფი ცხოული მხოლოო პირუჱლი, ერთი, უკუნითი. მარადი მიზეზი თჳთ არს თავისა თჳსისა მყოფობისა უდასაბამოდ უდასასრულო. ეგრეთუჱ შინაგანი თჳსებანი მისნი არიან თანადი. ეგსახედვე გარეგანნი თანადივე. იხ ღთისმეტყუჱლება. ხოლო მე გარეგანი თჳსებანი მის მხოლოსი აღმოაჩინო ძალისამებრ ჩემისა. ე. ი. სამნი ოდენ, რომელი არს ნება, სიბრძნე და ძალი. აჰა, თჳნიერ საშუალისა ნება მისი არს მიზეზ ცისა, და ქუჱყანისა დაბადებისა მაშინ ოდენ, ოდესაც ინება. და სიბრძნე მისი არს დამამყარებელი თითოეულთა არსთა და ბუნებათა და თჳსებათა მათთა. და

ძალი მისი არს მპყრობელ ყოველთავე საზღურებთა შინაგან თჳსისა განკუთვნილებისა კრკალებისა, შთამომწკრიებულნი, რომელნი მრგვალდებიან თითოეული თჳსსა არსებათა, ბუნებათა, ნათესაობათა, სახეობათა და განუკუჱთელობასა შინა და თჳსებაებთა შინარე თითოეულნი თჳსსა, რომელნი ა ანისაგან იწარმოებიან მომრგუალებულნი საშუალ — ა. ანისა და ჵესა, რომელნი ერთ სახლ და ერთ სახლეულ ვართ. და თითოეულნი თავისა თჳსისა სახლ და ადგილ და ურთიერთისა გუჱრდით დაწყობილ თჳნიერ შეიწროებისა ანუ განვრცელებისა.

იხილეთ, მეფის ძეო, ცაჲ მიზეზოვანი და მუნებურნი იპყრობებიან ზეგარდმო ნებისა მიზეზსა შინა სიბრძნით დამყარებული, დაცული ძლიერებითა, ეგრეთუჱ ზღუაჲ, ოკიანე და რტოები მისნი შემოსრულნი ხმელსა შინა იწიწვიან — საზღუართა შინა თჳსსა დაბეჭდილნი — ეგრეთუჱ ქუჱყანა ესე დუბე-იატაკობს და მთანი არა დავაკდებიან. და სამნი მმეფებელნი, რომელნი პირუჱლ უთესლოდ და უშობელად და თჳნიერ მშობელთა დაიბადნეს, ე. ი. არა-არსნი არარაჲსაგან არარანი პირუჱლად აღაგო ნებამან სიბრძნითა და მისცა მამრთა ძალი მოქმედი და მდედრთა ძალი მოსაქმედო, რამეთუ პირუჱლნი აგებულნი სრულ ასაკოვანნი მამალნი მოქმედებითი ძალისა მექონ არიან, რომელნი შეეყვნენ სრულ ასაკოვანთა აგებულთა დედლებთა, რომელთა მიიღეს რა მოქმედი თესლები ცხოუჱლნი მსგავსნი თჳსისა მამლისა, თესლებმან დედლებთამან, მაშინ მყის თითოეულნი თესლნი დედლებთი მოქმედებულ იქმნენ და მიზეზოვან თესლებთაგან მამლებთასა. და მიზეზებულნი თესლები დედლებთი ექმნენ შემწე, ე. ი. ცივთა მათ თესლებთა წებოიანთა განმატფობელ გარსად შემოხვეულნი, რომელნი ღვიძლისა სისხლითა ტფილითა განრაოდენდენ თითოეულნი ნათესავნი და სახენი და განუკუჱთელნი. და ოდეს ღვიძლებისადმი მოკიდულნი ნაწლევნი მომწიფდენ, მორღვნილ იქმნენ თითოეულნი და შობილ თესლები იგი მამალთი მუნთაგანვე სადითგანცა მამლებთა თესლები შესრულნი დაიდვნენ პირისპირ უპეებისა, ე. ი. ჭიპებისა, გინა შუა მუცლებისა. მახლობელ ღვიძლებისა და ესრეთითა მოქმედებითა მამალნი სრულნი აგებულნი, დედლებთა აგებულებთაგან მშობელ შვილთა იქმნენ. მაშასადამე, დასაბამსა შინა ყოველნი, რაოდენნიცა მამალნი აღაგო სრულისა ასაკებისა, ეგოდენნივე დედლები აღუგო ნებამან და სიბრძნემან და ძლიერებამან მხოლო-მყოფისამან. და ეგრეთ მი-



ზეზებულნი მამალნი პირუჱლნი, პირუჱლთა მიზეზებულთა დედლებთა მიზეზ შობისა ექმნენ მამალნი. ამად, დედალნი უმცროსნი მიზეზ არიან შჳლთა თჳსთა, ხოლო მამალნი უფროს მიზეზ. და ორნივე სქესები მიზეზებულ ზეგარდამო, რომელთა თჳნიერ ურთიერთისა არ ძალუძსთ შობა შვილთა, რომელთაგანთა უფროსთა ძალი მოქმედებისა აქვთ და მეორეთა უმრწემესთა ძალი მოქმედებულებისა აქვსთ. და ესე კმა იყავნ აგებულებთა მიზეზოვნება. იხლ. საღთო წერილნი, შესაქმე.

იხილეთ, ძეო მეფისაო, აგებულება პირუჱლთა მშობლებთა. რომელთაგან მესამე მიზეზებულნი ფორმებთაგან ფორმულნი იშვნენ. ამათ შობილნი ეწოდებიან და არა არლა აგებულნი, რომელთა არსება მოქენე არიან აღზრდისა სიჩოთგან, ვიდრე სრულს ასაკებადამდე, რამეთუ ორთა თესლთაგან მესამე იშობების. და ოდეს სრულ იქმნენ თესლები იგი ცხოუჱლთი იგინიცა მოქენენი არიან მსგავსისა თჳსისა შობისა, რომელნი ჟამსა ჭაბუკობისასა და ჭაბუკობისასა საჭმელებისა და სასმელებისა მტკიცასა მიღებისასა გაიწურებიან, გამოიჭდებიან წაქანი და ცოხნილნი. და მიიქცევიან წებოიერნი და კირიანნი წაქანი, ე. ი. იეცენცია კერკასა შინა სათესლეისა. შთასრულნი ძილისა ჟამებსა წყვილისა პარკებსა შინა და ესრეთ დაუნჯებული მამალთა თესლნი განაჭურებენ საიდუმლოსა სოლინარსა. ეგრეთუჱ უმეტეს დედალნი თესლნი უუმჭურვალეს ჰყოფენ საშოსა და ესრეთითა მოქენეობითა ორნი მიზეზებულნი თან-ჯმანი თანადრე-ხმობით შობენ მესამესა. და ესრეთითა სახითა პირუჱლითა აგებულებთა მცირედნი რიცხვნი თესლოვანებითა იქმნენ მრავალ ბევრეულ, რომელთა აღრიცხვა არავის ძალუძსთ.

და ესე კმა იყავნ შობილთა მესამე მიზეზი, წადილიანნი და ნებულნი, რომელთა მოქმედებასა ბუნება ეწოდების, განდრეკილთა ნატურალისტებთაგან. ხოლო მე ვიტყვი არსებისა ძალი ეწოდების ზეგარდმო დადებულნი თითოეულთა თჳსი, რამეთუ არ ძალუძს ნინველთა ცხოუჱლებთა და მოხუცებულობით მიხრწნეულებთა შჳლთა შობანი. თუმცაღა ბუნება მათთან-ვე არს ჭამა, სმა, ღვიძილი, ძილი და მოძრაობა. მაშასადამე, არსებაებსა დრო განუწესა საზღვრად და არა ბუნება ზეგარდმო მიზეზმან თავისუჳფალმან. და უკეთუ იძულებით ინებოს უშვილომან გარემზომ ზეგარდმო ნებისა ბუნებითა თჳსითა შობანი შვილებთა, ბუნება ბერწადვე დაშთების; ანუ მიდგომილსა სურდეს, წული შობს ასულსა. მაშასა-

დამე, მიზეზებულნი არა არიან თავისა თჳსისა მიზეზ. მაგალ ვითარცა კუჭმან სოკრატისამან ვერ უძლო სამსალისა არა დაცოხნა, რომლითა მოკვდა ყოვლადი გუამი სოკრატ. მაშასადამე, არცა ყოვლადნი და კერძონი არიან უმიზეზო და თავისა თმანი და სიშავე და სისპეტაკე. ეგრეთუე მდელონი და ორძილნი აღეგნენ სრულისა ასაკისა, ხოლო ოდეს თესლნი მათნი დასცვივდენ წიაღსა შინა მიწისასა, თესლნი მექონნი ძალისა თჳსისა აღორძინებისა მოქმედ არიან და მიწა შემწე მოქმედებულად. ხოლო დღისი მზე საშუალ ორღანოდ განმატფობელად. და ღამესა შინა მთოვარე განმაგრილებელ ნოტიოთი და ნიავწვლილი მძვრელ ალმა აღორძინებისა. და წყალი და წვიმა განმანედლებელ. და ქუხილი დამბლობისა მათისა განმდევნელ. ეგრეთუჱ ცხოველებისაცა და ქუჱწარმავლებთა დაძინებულებთა ზამთრითა განმაღვიძებელ გაზაფხულითა, და ესე კმა იყავნ მიზეზნი მათნი და ჩუჱნი ურთიერთ დამაკავშირებელისაგან ზეგარდმო ნებითა, სიბრძნითა და ძალითა:

მიზეზი სოფლისა ძვრისა და გულებთა ცხოველებისა არა არიან შინაგან თავით თჳსით, არამედ მყოფსა ნებასა შინა არიან დამოკიდულ მსგავსად ხომლისა, რომელი უპყრიეს საბელსა, რომელსა ვერ მისწვთებიან უბადრუკნი ფილოსოფოსკანი. უკეთუმცა ძვრანი გულებთანი თავით ჩუჱნით იყოს, ტკივილნი, წრტიალნი, ჭრტინვანი და ჭუილნი და შიმშილნი, წყურვილნი და სიკვდილი არა სცვალებდენ საქმეთა ჩუენთა შინაგანთა და გარეგანთა. ეგრეთუჱ ძვრა სოფლისა სიგრძესა ზედა ბრუჟისამებრ თჳსისა დაჭენებულ იყომცა. და განეშორებოდა ზემო-კეფინსა ცასა. და მთიებთა მუნებურთა მიმაღნინტება ადრევე უარ-ეყო და არცაღა შეძვრა შემთხვევოდა ჰაერისაგან დახშვითა წიაღსა შინა თჳსსა. და უდვილესად ჰაერი ცხრილოვანი გრკალსა გარეგან ორთქლებად განბნეულ იყო, ანუ ეთერსა, ე. ი. ცეცხლისა ზღუასა შრანდიდგანვე დაეწვა დუბე ბურთი ჩუჱნი, რომელსა ზედა სავსებანი მოსხმულ ვართ დღის ჩუჱნ ზემონი და ღამესა შინა ქუჱმონი-ამერიკა. და პლანეტებთა ბურთებთა მათ მთიებთა თჳსნი გზანი, ე. ი. პეემანობითი მომგუალება და ცურვა ჰაერსა შინა შესცთომოდათ, რომელთათჳს მეტყუჱლებს უჳფალი ნემფტონ ოდესმე ესაჭიროებისო მომართვა მყოფ ცხოველ მიზეზისაგან, ე. ი. ღთისაგან დაბადებულებთა და უფროსღა ვარსკვლავებთა ყოველთავე. და შორიელბთაცა, რომელთა სი-



მრავლენი თითოეულნი მრავალმილიონებითა უდიდეს მზისა ამის არიან და ქონანთ თჳსნი ნათელნი.

იხილეთ, უგანათლებულესო, უჳფალი ნემტონ გოხეს მსგავსად საჟამეებისა განმართუასა დასაბამსა შინა და დატეებულად, რომელ ხელოვანთა საჟამეები არა არიან მოკიდულ თჳსისა შემზადებელისა ნებასა ზედა, რომლისა საჟამენი თჳთ მართვისა დროსაცა რომელნიმე წინარე წარვლენ და სხუანი უკანა და წინა-უკმოდ და ეძინოს რა მესაჟამესა, არღა უწყის ვითარ ვალს, უკეთუ არა იხილა მზისა საჟამე დარში და არცაღა უწყის, რომელნი რაოდენს მოქცევსა შინა რაულად ივლის. ამად, რომელ თჳთცა მიზეზებულ არს და ნივთნი საჟამისანი სხუათა და სხუათა ხელოვანთა ხიმიოსებთაგან არიან გამომდნარ მიწითგან ბრძმედებსა შინა. და მიზეზოვანი პირუჱლთა აგებულებთა მშობელთაგან მიზეზებულებთა ნივთებთაგან შემზადებს საჟამესა, რომელი მხოლოდ ხელოვანია სწავლითა. ხოლო ღმერთი, ნებითა თჳსითა არარაჲსაგან არსთა დამბადებელი, მარადის აძლევს ძალსა არსთა და მართავს და სცავს. უკეთუმცა არა ესრეთ ყოველნი ქმნულნი მყისვე არარადვე მიუსრულდენ. მაშასადამე, ყოვლად ყოველსა შინა მხოლოდ ნებითა მოქმედებს თჳნიერ შრომისა და მოუძლურებისა. რამეთუ ცაჲ და ციერნი და სოფელი და სოფლიერნი სავსებით მათითურთ უსაზღვროსა შინა არს განსაზღვრულ, რომელი ზედა ყოველთავე სჭვრეტს თითოეულთა განყოფით, დიდთა და მცირეთა. ამად უძრაობა ღთისა ყოველთავე აძლევს იძვრისობასა და ანიჭებს მოძრაობასა მუნადმე, ვიდრემდის ენებოს. მერმე დააყენებს ჟამოვნობითი მოძრაობასა მაშინ ოდენ, ოდესაც რიცხვნი შობადთანი შეასრულოს და ცაჲ და ქუჱყანა ხრწნილებისაგან დასდვას ახალ ცად და ახალ ქუჱყანად და ყოველნივე სიტყვიერნი მცირე სოფელი აგებულივ'ჰყოს პირისპირ პირუჱლთა მშობელთა მრავალ ბევრეულ უუკეთილესად. მაშინ სუფევა უძრავი დავიმკვიდროთ. აჰა, ესე არა არს მომართვა აზმობისამებრ ნემტონისა, არამედ ცოდვისა და ხრწნილებისაგან უხრწნელებად გარდაცვალება არს ესე მსჯავრი,—ღთისა არს მარჯულთათჳს წყალობად. და მარცხულთათჳს რისხუად. იხლ. საღთო წერილნი. და ნუ ბრძენაკთა ფილასოფია, რომელთა თმანი თავისა თჳსისანი არ ძალუძსთ დაშავებათ და განსპეტაკებად. და არცაღა თჳსისა აღსრულებისა წენტილი იციან საწყალობელთა, ტჳნისაგან თჳსისა ვერაგთა.

მიზეზნი არიან მშობელნი შვილთა თჳსთა შობისა და არა სი-

ცოცხლისა. მიზეზებულნი არიან შვილნი მხოლოდ შობითა და არღა
მოკიდულნი თჳსთა მშობელთა ზედა. რამეთუ მამა რაჲსაგანმე შე-
იკრებს თესლთა, ე. ი. საჭმელებთა და სასმელებთაგან და იქმს სა-
შოსა შინა მეუღლისა თჳსისასა დადებასა, რომლის თესლსა მისცემს
ღმერთი სულსა მარტივსა და იგი მცხოუწლებელი განმაცხოველე-
ბელ იქმნების თჳსისა მეკავშირისა. გარნა სული იგი მიცემადი არა
არს პირუწლ დაბადებული, ვითარ ეოცნად მეზღაპრე-მეტალოღოს-
თა მზა-სულებისა შემოსლვა, რომელთა წყლისა მის დანიშნულისა
მათგან დალევითა დაავიწყდებოდათ თჳსი მყოფობა პირუანდელი,
არამედ ახლა ბადებს ნება მაღლისა, რომლისა სანებურნი უშრომე-
ლად იბადებებიან. არარანი არს ყოფად, მაშასადამე მამა მხოლოდ
თესლისა მქნელი, დედა მშობელია ზენა მოცემულისა სულისა გუა-
მისა მხოლოდ. და არა სულისა მარტივ-ცხოუწლისა, რომლისა მიცემა
არცა მამისა სულსა ძალუძს და არცაღა დედისა სულსა, რამეთუ
მარტივნი არა განინაწილებიან. იხლ. პსიხოლოღია.

მიზეზნი არიან ხელოსანნი და ხელოვანნი თჳსისა მოქმედე-
ბულისანი სწავლითა და ნივთებთა შემოკრებითა ხუთ ოდენ სახედ,
ე. ი. 1. არხიდეკტური. 2. ნივთნი. 3. მუშანი. 4. ორღანონი, ჭურჭელ-
ნი, საშუალნი ინსტრუმენტნი. 5. ფორმანი, სახენი, ნაკუწთნი. ეგ-
რეთუწ, ყოველნივე მოქმედებულნი. მაგალ აჰა, მე მიზეზი უმთავ-
რესი საბლარდნელნი ჩემნი ნივთნი მიზეზებულნი. ეგრეთუწ უცხო-
უწლონი, მიზეზებულნი, მაკრატელი. ადლი, ე. ი. ხალა, ნემსი, სა-
თითე, ძაფი, ხოლო მეორე მიზეზი ბრძანებითი, მუშა, ე. ი. მკერვა-
ლი. ეგრეთუწ ფორმა სახე მიზეზივეა, რათა ვარმანდი, ე. ი. ანაფო-
რა გრძელი და ფართო. და ყოველნივე შინაგანნი სამოსნი და გარე-
განნი რაოდენობისამებრ ჩემისა დაანაკუითოს. აჰა, ცხოუწლობითი
მიზეზნი და ნივთებობითნი მიზეზებულნი რიცხვით ყოველნივე
ხუთნი. ეგრეთუწ შენებულებისა და ხომალდისა და ეგევითართი
არიან. ეგ სახედვე. ცხოუწლთ-მხატვარი და სახის, სახისა მიზეზე-
ბულ არიან მამიზეზებელისა. ფერადნი ნივთნი არიან, ინსტრუმენტ-
ნი საშუალი ორღანონი არიან, ხოლო ხატნი, გინა სახენი დანაკუწ-
თებულ არიან. პატრონი მიზეზია, გალატოსი ცხოველი მიზეზებუ-
ლია, საშუალონი-ჭურჭელნი, ინსტრუმენტნი უგრძნონი მიზეზნი
არიან, ხოლო ქუანი, კირნი, ძელნი, რკინა და ეგე ვითარნი ნივთიე-
რებითნი მიზეზებულნი არიან. ხოლო სახლისა სიგრძე, სიგანე და
ძგიდენი და სართულნი სახენი ნაკუწთობითნი არიან. და ყოველნივე



პრაქტიკულნი მოხელოვნებულნი ესევითარეულად მიზეზებულ
არიან. ვითარ მწერალისა მიზეზებულნი არიან კალამი, მელანი, ქარ-
ტა, კაბადონი. და ალფავიტთა რაოდენობით სახენი, ნაკუწთნი და
უშორეს: ფიზიკურნი მიზეზებულება არს აღზრდა და მოკლება და
საჭმელებთა, და სასმელებთა შემზადება და წამლებთა, და სიკვდი-
ლი და დენთითა დაწვა მტერთაგან ქალაქისა. და მოოკრება და ტკი-
ვილნი და ხუთთა გრძნობაებთაგან შეხმა სახის სახეებთა სულისადმი.
სიცივე, სიცხე, ხურვება, ცხრო. და ეგევითარნი სხეულებსა შინა. მე-
ტაფიზიკურნი მიზეზნი არიან სულები თჳსთა გუამებისა განცხოუ-
წლებისა. და ფლობა ქალაქსა ზედა თჳსსა თავისუფლებითა. და ნე-
ბითა ყვანება ფერხებთა, განხილუა ხელებითა, სანებურობისა, მუშა-
კობისა, მეტყველება ენისა, გულისხმის-ყოფითა აღრჩევა კეთილისა
დატეებადარე მარცხულთა, ქმნა სიმართლისა სიწმინდისა და პა-
ტიოსნებისა და ძიება ყობადისა უკეთილესისა და უშორეს.

ეთიკურნი მიზეზნი არიან ალერსობა, ბოდიში, ამოვნება და კე-
თილზნეობით შეყვარება მამულისა და შვილთა მუნებურთა და თჳთ
მტერთაცა, რომლითა მიზეზებულჰყოფს ბრძენი დაკავშირებად ერ-
სა თჳსადმი ეგრეთვე მდიდარი მიზეზოვგან ჰყოფს შეყვარებად
თჳსა ერსა მრავალსა. და უფროსღა ქუწლის მოქმედი ჭირუწლთა
და დავრდომილთა, მკდოვანთა, მწირთა, უპოვართა, მლოცუწლად
თჳსადმი ჰყოფს ყოველთავე შორიელთა მსმენელთაცა.

პოლეტიკურნი კეთილნი მიზეზნი, ე. ი. ერთი პირი და გული მი-
იყრდნობს ერთა მრავალთა თჳსსა სიტკბოებასა შინა, რომელი ღუ-
არძლთაცა შესცვალებს კეთილ იფქვლებად. და იქმნებიან მიზეზე-
ბულ უკუღმართნიცა წაღმართ მოქცევითა.

პოლეტიკურნი ბოროტნი მიზეზოვნებანი არიან პირისა თაფლ-
ყოფა, ხოლო გულისა მწარე ისარ-ქმნა. რომელ პოლეტიკურნი
სიტყვითი წყენანი აღადგენენ ნათესავსა ნათესავებსა ზედა ბრძო-
ლად, დათხევად სისხლისა, და მოკრებად შენებულებისა. იხილ. წე-
რილნი, მსოფლიო ისტორია. მიზეზი ბოროტისა არს დემონი, რომე-
ლი მეტაფიზიკურ შეაერთებს აზმნობასა თჳსსა სულსა სიბრძნისა,
სანთელ დაშრეტილსა, ე. ი. ებგურობით დარიილობს კაცსა და
სჭვრეტს ყრმობისა ჟამსა ზედის-ზედა ახსენებად ნაყროვანებისა და
ძილისა და ჟინისა და ცელქობისა. და ჯიბრისასა და ეგევითართა ჭა-
ბუკობისა ჟამსა სიძვისა მრუშობისა და გემოთმოყვარებისა და ურ-
ჩობისა. ჯოშობისა დროსა, ამპარტავნებისა, ღაზობისა, სიმთვრო-

ლისა და თავის-მოყვარებასა, კოხტაობასა, ტრაბახობასა და განმაბნეველობასა ურჩევს დემონი. წელსა ჭარმაღობისასა. სილაღესა, კადნიერებასა, უკრძალველობასა ურცხობასა, უსვინდისობასა მიუთხრობს. დროსა მოხუცებულობისასა სიძუნწესა, ანგაარებასა, უსამართლობასა. და ამაოთა უნჯთა ზედა სასოებასა აგონებს დემონი. ხოლო უკანასკნელ მიხრწნეულებისა შინა განუმრავლებს მარცხულთა საგონებლებთა, ე. ი. უკეთუ იცოცხლა ფიცითა და ტყუილითა და ცილისწამებითა, იმახსოვრებს მართალთა და პატიოსანთა კაცთა სამკჳდრებელისა მიტაცებასა. და აქმნევინებს ცოცორაგობასა და მაჭაკლობასა, მოტყუებასა და ესრეთ დააძინებს მორჩილსა თჳსსა სიკვდილსა შინა თჳნიერ განმზადებისა და ანდერძისა და ესრეთჰყოფს ცოდვისა მსახურთა თჳსთა განუმზადებლად, წარმყვანი თჳს თანა ტანჯუასა შინა.

დემონებთა ხვრელებად ქმნილნი კაცნი მიზეზ ექმნებიან უმანკოთა წარწყმედად და დააპარახებენ საშვილისშვილოდ განმაუბედურებელნი გუამისა, სახლობისა, გუარისა და მამულისა.

მიზეზნი კეთილად მიზეზ ექმნებიან სულიერად სათნოდ მაღლისა და ჴორციელად განმაგრძნობელ აღმოფშვინვადმდე კეთილ-დღეობასა შინა, რომელნი ანითგან სჭვრეტენ ჩოესა.

ეგრეთუჱ მიზეზნი არიან ტალმუდნი, ყურანი, ბრამანნი, დალაილამა. ლამანნი და ბონძნი და ქურუმნი, გრძნეულნი, მისანნი, მოგვნი, მეზღაპრენი, მეკობრენი და სჯულისა გარდამავალნი და მექრთამენი, დაუსჯელად მეომარნი ერისა წარწყმენდისა და მოოხრებისა შენებულებისა და უშორეს, ყოველნი ბრალეულნი შინაგან თავით თვისით და დემონებითა გარეგანცა ბრალეულ-ყოფს შეხებულებთა თჳსადმი. რამეთუ ფლობა თავისუფლებისა არა არს ბოროტ, არამედ ნება მარცხული არს ბოროტ და ნებებულნი და სანებურნი დემონისა. ამად, თავისუფლებასა ძალუძს ნებისა თჳსისა დამორჩილება და უკეთუ ორნივე დაეცნენ, ე. ი. ფლობა და ნება, სურვილი მარჯული აღადგენს სულსა. და უკეთუ სურვილიცა დატყუჱვდეს, შემდგომილი მსაჯული სჳნიდისი სინანულისა ფრთებითა აღმოიტაცებს წარწყმედისა ხატსა და მსგავსებასავე ზენასა შემოსს. მაშასადამე, ყოველნი მარცხულნი მიზეზნი და მიზეზებულნი უკეთუ არა მოიქცნენ, საუკუნოდ განარისხებენ ღმერთსა თავთა თჳსთა ზედა. ამად არა აქვს დასასრული სატანჯუჱლი.



მიზეზი არს სალთო სახარება და შვიდნი საიდუმლონი და სალთო წერილნი ყოველნი და შვიდნი მსოფლიოთა კანონნი ცხოვრებისა მონიჭებად. ხოლო ჩუჱნ მიზეზებულნი თავის უვფლებისაგან სმენათა, რწმენითა, სასოებითა, სიყვარულითა სათნოებისა საქმეებითა მოვედით სხუასაცა ცხოვრებასა. და ხილვად მიზეზისა მის უსაზღროჲსა პირისასა, რომლისა ხილვითა მსგავს მისა ვიქმნებით. მადლითა და უკვდავებითა. და ესე კმა-იყავნ მეფის ძეო, მიზეზისაგან, მიზეზის მიზეზოვნება და მიზეზებულება და სამიზეზობა.

ყოვლადობა მეტაფიზიკური, ყოვლადობა ფიზიკური და ყოვლადობა მათემატიკური ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან?

## მიგება მკჳდრისა ამის

### თავი მერუჱ

ყოვლადობა მეტაფიზიკებრი თავს ეყვის ონტოლოღიასა. აჰა, ესერა დაბადებული, ყოველნივე მეორე არსობა სახლი ესე-ცაჲ და ქუჱყანა, კნინ-ღა და ყოვლადია ერთი ურთიერთ დატევნილი. ვითარ გუამსა შინა ერთსა-მრავალნი ასონი და წევრნი ერთ გუამად შედრგენილი. ეგრეთუჱ სოფლისა სავსება ერთ ცა და ქუჱყანად, რომელთა ლექსი ესე შეიცავს: არსება, ნათესავი, ცხოველი, საზღუარი, ძრული და დასაბამიერი და სრულებადი, თჳნიერ განქარვებისა, ე. ი. შეცვალებადი, აჰა, ესევითარნი ლექსნი ერთ ყოვლადად შეიცავენ მრავალთა სახეებისა ნათესავებთა, რომელთა განუკუჱთელნი თითოეულნი ყოვლადნი არსნი არიან, რომელნი ეზიარებიან თჳსისა სახისა ნათესავსა თჳსებათა საზოგადოჲთა, ე. ი. ბუნებითა, რომელითა და თითოეულნი განუკუჱთელნი ერთ მხოლო ყოვლად არიან მაგალ., სიტყვიერი, მოცინარი. ფრთოსანი, ორფეხი. ქაჩაჩიანი, მკვივანი. ცხოუჱლი, მოქენე საზრდელისა და ძილისა. ნივთი თანა-მოძრავი სოფლისად და ესე კმა იყავნ მეტაფიზიკური ყოვლადისა აღმოჩენა.

სული მარტივ ცხოუჱლი უკვდავი, ვითარცა ერთი, ეგრეთუჱ მსგავსნი მისნი, რომელნი ამით-რე შეყოვლადდებიან, ე. ი. ეზიარებიან ურთიერთ ცხოველმარტიობისა უკვდავებითა და არიან ურთიერთისაგან განყოფილ ნათელ-მეორენი, და მესამენი, თითოეულნი თჳსისა პირისა მექონ.

ფიზიკური ყოვლადია პლანეტი, ესე ჩუჱნი მიწა, ჰაერი ყოვლადია ზემო-განფენილი, ცეცხლი ყოვლადია, უზენაესი ეთერი, ესენი განუწყდელობენ, რომელთა საშუალ არარაჲ აქვსთ ანტაკრად.

მათემატიკური ყოვლადია ერთ სახე რიცხვი, ვითარ ათასი ათასისა-პირისპირ. გინა სამი კუთხე ურთიერთისა შორის ანუ სიმრგვლენი ორნი თანასწორნი. და ორნი სუჱტნი ყოყდანნი თანასწორ მდგარნი რაოდენობით-არეცა სწორნი. ეგრეთუჱ სამ სახედ განფენილება ყოველთა სხეულებთა კვრივებთა, ზრქელთა. ეგრეთუჱ თანასწორობა ორთა ძლიერთა ძალთა. მაგალ. ლიტრა ორნი ოქროჲსა გოდლისა ზანითგან ერთბამად გარდმოშუჱბულნი თანასწორ დეეკუჱთებიან იატაკსა ზედა, რომელთა შთამოვლონ რა ერთი მინუტი, მაგალ., ათი ადლი, მეორე მინუტსა შთამოიმსროლებენ ოცდაათსა ადლსა და მესამესა ას-ოცსა. ამად, რომელ ქუეყანასა აქვს, მაღნიტობა, რომელი რაოდენ დაიახლოებს ნივთებთა ზემო ჰაერით გატყორცნილებთა, ეგოდენ ამწრაფლებს თჳსადმი მიზიდვად მიწა ესე და სადაცა შეემთხვევს ძალი დამაყენებელი, მუნვე განისუჱნებს ცენტრებს თჳსთა ზედა დაკუჱთებულნი. იხილ. უვფალი ნეპტონ, რომელმან მოიპოვა ძალნი ნივთებისა განტყორცნილებისა. გინა შთამოკუჱთებულებისა და აღმა ასროლინებულებისა.

რაჲსა—მიმართნი ნივთები პირისპირ რაოდენნისა არა არიან ყოვლადნი მათემატიკურ. მაგალ., ერთი ლიტრა მატყლნი, ბანბანი, ნაკრტენნი, ღრუბელნი და ეგევითარნი ნივთები, მრავალ-ღრუდოიანნი, ფორებიანნი და ერთი ლიტრა რკინა ზემოთგან თანასწორ გარდმოტევებულნი არა თანასწორ დაეკუჱთებიან წერტილებ შუაგსა-ზედა თჳსსა, ე. ი. ცენტროებსა-ზე. არამედ რკინა ძალითა ძლიერ არს, რომელი განკუჱთს ჰაერსა მყის, ხოლო მატყლნი დაბრკოლდებიან. ამად ძალნი მათემატიკურნი სრბოლისა და სლვისა განყოფილ არიან, ვითარ სლვა კუსი და ფრხივ კაცისა და უნისა ფრინველთი და ქარისა და მთებისა. დასასრულ ყოვლადობა მათემათიკურია რიცხვნი წყვილობითი, ზომა თანასწორნი და წონა და აწყვა. ხოლო ნაკლები არღა არს ყოვლადი, არამედ გამოსარიცხუჱლ არს ნაკლობისა გამო ანუ ყოვლადთა-თანა შესარიცხუჱლ რაოდენობა მათემატიკურ ყოვლადია, ხოლო რაჲსა მიმართი არა ყოვლადია პირისპირ რაოდენისა, თუმცა თავსა შორის ყოვლადიცა არს, ვითარცა ჩჩვლი და მშობელნი რაოდენნი და უშორეს. იხილ. მათემატიკა უვფლისა ნეპტონისა. ესენი არიან სხუაობანი ყოვლადობა მეტაფიზიკურნი,



რომელნი ონტოლოღიასა თავს ეყვიან და ყოვლადობა ფიზიკურნი, რომელნი მასცა ეკუთვნიან და ყოვლადობა მათემატიკურნი, რომელნიცა განსაკუთრებულნი ქონან. ხოლო აწ ვმეტყუჱლო მეტაფიზიკურისა მხოლოჲსათვის, ფიზიკურისა, მათემატიკურისა ქუჱმორე.

მეტაფიზიკური მხოლოჲ, ფიზიკური მხოლოჲ, და მათემატიკური მხოლოჲ, ვითარ სხუაობენ ურთიერთისაგან? მიგება მკითხუჱლისადმი.

## თავი მეცხრე

მეტაფიზიკური მხოლოჲ, უგანათლებულესო, აჰა, რაოდენ განვსჭვრეტე ორობაში არცაღა თუ ვიხილენ რაჲმენი და ვისანიმე, მით რამეთუ ყოველნივე მელანდებიან ურთიერთ რაოდენ განყენებითარე განმხოლოებულ, ვითარ განუკუჱთელნი სახისანი და სახენი ნათესავი ცხოველისა ეგოდენ შეყოფილ არიან ერთისა ძირისა ქონებითა ზიარებადნი. უკეთუ ქუჱნა კიბითგან ვიწყო გამოწვლილვა არსთი, აჰა, განუკუჱთელნი შეყოვლადებიან სახესა თჳსსა და სახენი ცხოველსა ნათესავსა და ურთიერთ-შეეკვრიან, რომელნიმე ბუნებითა და სხუანი თჳსებითა და ერთბამად ცხოუჱლობითა და თჳთ უგრძნონიცა ორძილნი მოზარდობითა და თჳთ ნივთნიცა ადგილსა შინა განსაზღვრებითა და ძვრითა-რე და თჳთ ნათელ-მეორენიცა დასაბამითა და წრესა შინაგან და არსებითა. და უკეთუ პეტრე არს მხოლო, პავლეცა მხოლობასა მიიღებს. და თთიოეულნი, რომელნი თავს ეყვიან ონტოლოღიასა და თითოეულნი სახისა რიცხვნი წარიღებენ თჳსსა მწკრივისა რიცხვთა, კნინლა და დაუსრულებლად. გარნა განვსჭვრიტნო რა საზღუარსა თითოეულთასა, არღა უტებს სიგრძესა ზედა დაუსრულებელ წარზიდვად, არამედ მკალოებით მომრგუალებულ ყოფს გრკალი, ე. ი. საზღუარი თითოეულთა თჳსი. და ყოველთავე დარიჯაგებსა შინა აფორმავებს რომელთამე ეგრეთ და სხუათა ესრეთ. მაგალ., არა არს მამა თჳნიერ ძისა. და არღაცა შვილი გარდა მამისა და ესრეთითა განჭვრეტითა ყოველთა რაოდენთა მუნვე აქვთ რაჲსა-მიმართიცა, ამად რაოდენნი რაჲსა-მიმართთა იზიარებენ. აჰა, სადღა არს მხოლო. ყოველნივე თითოეულნი თჳსსა ჯაჭვსა ზედა დამოკიდულ არიან. და ყოველნივე ჯაჭვნი ერთსა ძირსა ზედა გამოკიდულ არიან. რამეთუ არა არს ღერონი და რტონი და რტო-

აკები თჳნიერ ძირისა. თუმცალა თითოეულთა განკუთვნით მდგომარეთა თჳსნი რაოდენნიმე საქმენი ქონანთ, გარნა არსთა მათ თითოეულთა არა მოქენეთა სხვისა შემტკიცებისათა შინაგან, გარნა გარეგანნი წარმოჩენილნი ბუნებისა საქმენი აზიარებენ ურთიერთ. მაგალ., აჰა, პეტრე იცვალების ბუნებისაგან თჳსისა, ე. ი. მიწოლითარე სძინავს ამ ჟამსა. პავლესაცა დეეძინებისავე იმ ჟამსა შინა. პეტრე აღსდგების, პავლეცა აღემართების შემდგომ. პეტრე მსრბლობს რომელსა შინა, პავლეცა მისლვასა ჰყოფს მუნ. პეტრესა შიის და წყურის, ეგრეთუჱ პავლესაცა. პეტრე ურვეულობს, პავლეცა მწუხარებს. პეტრე შემსმელი, ე. ი. ცხოუჱლისა ჯუარისა ვნებაებისა ცხრა ნეტარებითა, პავლეცა მოაკუჱთინებს თავსა თჳსსა, რათა ჭეშმარიტებისა ქადაგება თჳსი სიცოცხლისა დაამტკიცოს სიკვდილითა ქრისტესთჳს ჭურმან.

• ყოველნივე თავისა თჳსსა უნებლიეთ იბადებიან, რამეთუ არავინ უწყის თჳსი განრაოდენობა მუცელსა შინა დედისასა, ეგრეთუჱ უნებლიეთცა კვდებიან. ეგრეთ იწყებიან და ისპობიან. ხოლო ძალი და სოფელი გიეს თჳნიერ შემატებისა და გამოჯუჱბისა. და ესრეთითა სახითა მოხუცებულნი ახალშობილთა ადგილთა უცლიან, რომელთა ანატომიანი, ე. ი. კინძნი, წერტილნი შეყოვლადდებიან. აღნაგებითა თივათა ორძილებთაგან. ხოლო მოკლებითა მივე წერტილებიან მუნვე, სადიდგან შემოკრბენ სახლები სულიერნი. აჰა, რაჲცა იყო მხოლო, გინა მხოლოები, ნაწილაკებადვე დაწვლილდენ. თუმცა თითოეულნი განკუთვნილებისა თჳსისა საკუთარისა მოკლებითა რომელნიმე წინ და სხუანი შემდგომ. გარნა ყოველნივე ზიარ-იქმნენ, ვითარცა შემოკრებისა შობისათა, ეგრეთუჱ განქრევითა. მაშასადამე, მხოლოობა ეგრეთსა არსებასა შუენის, რომელი არავის ეზიაროს ბუნებითა და თჳსებითა-რე. არცალა ვითარებისა საზღვრითა და ცვალებითა. გინა დასაბამითა ანუ დასასრულითა. რომელსა აქვნდეს ფლობა უძრაობისა და იყოს ერთი მხოლო პირუჱლი, ყოვლადი, უკერძოო, ცხოუჱლი, მყოფი, ბრძენი, ძლიერი, საჭიროთა უუსაჭიროესი, მარადი, უკუნითი, უდროოდ არა უარმყოფელი თჳსისა არსება ბუნებისა. აჰა, ესე რომელი არს იგი იყო და იქმნების. რომელსა არსობა ბუნებით აქვს ძლიერება და მეტყუჱლება მე ვარ ესე, რომელ ვარ სამარადისო აწმყოდ, რომელსა ნამყო და მყოობადი არა აქვს. სილოგიზმო, რომელი თჳთ არს მყოფი უადგილოდ. იგი არს მხოლო არსება,



სული უსხეულო, არავისადმი ზიარებულ. ღმერთია მარტივ, არავისადმი მსგავსი. მაშასადამე, მხოლო იგი არს.

რომელსა აქვნდეს მსგავსება მიზეზოვნებითა და ბუნებათა სხვათი იგი არა არს მხოლო. პეტრესა აქვს მსგავსება ანგელოსთა და კაცთა და ცხოუჱლებთა და ორძილებთა და ნივთებთა მაშასადამე. არა არს მხოლო.

რომელი არა არს თავით თჳსით, არცალა მსგავსი მისნი არიან თჳთ თავით თჳსით. პეტრე არა არს თავის თჳსით. მაშასადამე, არცალა ანგელოზნი და კაცნი და ცხოუჱლები და ორძილნი და ნივთნი და ცაჲ და ქუჱყანა.

რომელი არს თჳთ არა იცვალებს თავსა თჳსსა, არამედ უძრავად ეგების ნებითა თჳსითა. პეტრე და კაცნი და ცხოჱლები და ორძილნ და ნივთები და სოფელი იცვალებიან ძვრითა და დროებითა და ხრწნილებითაცა. მაშა-სადამე, არა არიან თავით თჳსით..

აჰა, დაიყავნ პირი-ენა ფართო ნატურალისტებისა და მარცხულთა ბრძენაკთი, რომელნი ყეფენ ცოდვისა თჳსისა შვდთა სასიკვდინოებთა მოსარჩლენი. რომელნი დემონებთა მეენე არიან და ბეგრენ სოფლისა დაუსაბამოებასა. რომელნიმე და სხუანი არა ყოფისა და ცალიერობისაგან შემთხვევით დაბადებასა თავთა თჳსთა და სოფლისასა, რომელ წვნიკთა ატომებთა მღვრებათა არ ძალუძსთ თავთა თჳსთა არა-ყოფისაგან და ცალიერობისაგან დაბადება და უკეთუ დაბადა თავი თჳსი ცეცხლმან მწუჱლად, წყალმან ნოტიოდ, მიწამან მტუჱრად, ჰაერმან განმანქრეველად, რომელმან მათგანმან შეაწება სხეულნი ჩემნი. და უკეთუ გარე-მზომნი სტიხნი ესე ჩემნი შეანაწეება, უეჭველად ერთი რომელნი მათგანი პირუჱლი არს დაუსაბამოდ ანუ უწინესვე თავი თჳსი არა ყოფსაგან დაუბადებიეს და სხუანი შემდგომ თჳსა შემთხვევითად წარმოუჩენიეს. და იგი უბრძანებს შეზავებასა. უკეთუ მიწა არს, თავსა თჳსსა რაჲსათჳს ავნებს და აზავებს ცეცხლთანა და უკეთუ წყალი არს, რაჲსათჳს შრეტს თავსა თჳსსა წყალისაგან და უკეთუ ჰაერი არს. რადღა იცვალების სიცხისაგან და სიცივისა და ქარისაგან მიმოიტაცებს და უკეთუ ცეცხლი არს, რადღა მტერობს წყალსა დაშრეტითა, მიწასა დაწვითა და ჰაერსა განხურებითა? უტეონ ცოდვისა მსახურთა, იყოს ცეცხლ ატომნი მბადებელ და შემანაწევრებელ სხეულისა ჩემისა. ვინ არს მომცემი ცხოუჱლობისა ჩემისა, რომელი არ ძალუძს ცეცხლსა მკვდარსა ატომსა მოცემა ცხოუჱლობისა, რომელი მაქვს ფუფუნე-

ბად ჩემდა. და უკეთუ ძალუძს ცეცხლსა სიცოცხლისა მონიჭება, რაჲსათჳს ბრიყვი იგი თავსა თჳსსა არ მიუქცევს ბედნიერებასა, სიბრძნისაგან გლახაკნი იგი, რომელი ვიდრე აქამომდე კუჱსთა, და კაცთაგან იდევნების იგი და წყალისაგან იშრიტების თავისა თჳსისა გამაუბადრუკებელი. და უფროსღა სპარსთა წარწმყდევე საუკუნოდ, რომელნი აღმერთებდენ მცონარებით სიშიშვლისა მათისა განტფობისათჳს და საჭმელებისა შეგბობისათჳს.

დასასრულ, მკვდართა ნივთებთა არცა თავთა თჳსთა დაბადება ძალუძსთ და არცაღა სხეულებსა სოფლისა ამის დიდ-შუჱნიერისა. ხოლო მარტივ-ცხოუჱლობისა ვითარღა ძალიდების, რომელნი განმაცხოუჱლებელ არიან თითოეულნი თჳსისა გუამისა, განკუთვნილისა და იყვანებიან და ხმარობენ ცხოუჱლ ინსტრუმენტებად, რამეთუ არ ძალუძსთ ტჳნებთა წებოანებთა დაგრძნობაებთა ხვრელოვანთა ძარღუაკებთა განსჯა კეთილთა და ბოროტთა და სჳნიდისისა ქონება წინა-მავალისა მხიარულისა და შედგომილისა, მგლოვიარისა. და უკეთუ რომელნიმე მარცხულნი ვერაგნი გჳრიობითარე უკუღმართ მიბრუნებულნი იყეფებენ ლერწმისა კუჱრთხებსა ზედა მიყრდნობილნი, ძალი ბადებსო, დაიპყრობს და სცავს სოფელსა. ეკითხვის მათ: რაჲ არს ძალი? მომიგებენ: საიდუმლო არსო. კულავ შევკითხავ: რაჲ არს საიდუმლო? მომიგებენ ზოზღნით: ემენ, ემენი! ე. ი. იგი. მაგრამ., მაგრამ ისი. უკვე უკეთუ იგი. თუ იგი, ესე იგი დაფარული იგი. არა ვიცი, მაგრა უწყთ. ფიზიკა არს — ჰო, ჰო შევატყუჱ ფიზიკასა შინაგან არს ძალი, ე. ი. ბუნებასა შინა. მიუგებ ცოდვისა და დემონისა მსახურთა: ბუნება არა არს თჳნიერ არსებისა, რამეთუ ბუნება არს თითოეულთა არსთა საქმენი. მაგალ ცეცხლ ატომია, არსება-მხურვალე, ხოლო წუა მოტყინარობითი ბუნება არს, ე. ი. საქმე ცეცხლისა. ეგრეთუჱ ჰაერი არს წვლილი ატომნი თხელნი, განფენილნი და მიმოზნექა და ქუჱტიო არსია. ხოლო განცივება და განტფობა და დინება ბუნება არს, ე. ი. საქმე. მიწა ჭმელი, მყარი, ატომ-მღვრ-მტუჱრია, ხოლო ბუნება საქმე მისი არს იძვრისობა მომრგუალებული. იხილეთ, ნატურალისტნო, რომელნი გარე ზურგსა სოფლისასა ჰვრეტთ და ქერქებთა კანთა, ტყავთა, გარსთა, ყვავილთა, ფურცლებთა რტოებთა და რტოაკებთა მწვერუალებთა, მრუმედ და ელმად, რომელთა არცაღა თუ



ხავსისა და სოკოთი. და ობისა და პრკეთი არსება გიგრძნიესთ. ხოლო არსთა არსებანი არცაღათუ გასმიესთ და ძალსა, რომელსა იოცნებთ იგი არს სიბრძნე ღთისა, რომელთა დიდთა და წვრილთა და წვნიკთა და წულილთა, სქელთა და ზრქელთა, ნივთებსა თითოეულთა აძლევს ვითარებითი ძალთა და ანიჭებს რაოდენობათა და რაჲსა-მიმართობათა. ბრმაო უბრმესად ეპიკურო და ეპიკურელნო, სტოიკელნო და პითაგორ და პითაგორელნო და სოფისტნო და ათეისტნო და ათეიზმონო იპოსტეტიკელნო და ყოველნო ბნელსა შინა მიბრუნდებულნო! იცანით პირუჱლად თავნი თჳსნი თჳნიერ შიშილითი, და წყურვილითი ცნობისა, რომლითა მპირუტყვნიცა იგრძნობენ თჳსსა მუცელსა და მერმე შეემცენით ბუნებაებსა და მათით არსებაებსა და მათ შინა ძალთა ნიჭებულთა და მითვე მაღალსა მყოფ ცხოუჱლ ბრძენ-არსებასა, რომლისა მიმართ პირისპირ სლვითა აღივსების სულნი თქუჱნნი სიბრძნისა ნათლითა და იქმნებით ნამდვილ ფილასოფოსნი.

იხილეთ, ძეო მეფისაო, ვისაცა უნდეს განსვლა ბონდისა ხიდსა ზედა პირით კერძს განვალს და რომელი თაჳსა თჳსისა ქებისათჳს და დიდებისა ტრაბახისათჳს კოხტა რომელიმე ზურგით იწყებს განსლვასა, ვერა მხედველი შანდლებისა გარდაეკუჱთების საუკუნოდ და მდინარესა შინა უმეცრობისასა მოიშთუების ანუ ხევნებსა ღრმათა ფსკერსა ზედა დაიმუსრვის და ქებისა საწადელი სახელი დაუშთების ერსა შორის. საძაგნი ხსენება და სულიცა მისი წარწყმდების დემონთა თანა. ესე შეემთხუათ ზურგით კერძ მავალთა ბრძენაკთა ცოფიერთა და მეტალოღიკოსთა და მათთა უკუღმართთა გზებთა უკვალოდ მავალთა დღითი-დღე ემთხვევისთ სიბნელე სულებისა, ე. ი. დემონებისა.

მხოლო მხოლოდ ღმერთია, რომლისა სიბრძნითა ორობა დაფუძნეულ იქმნა და ყოვლისა შემძლებელი ძალი მისი ბადებს მარტივ-ცხოჱლებს ჯერეთცა და მომნიჭებულობს ახალ-ახალთა გონებათა. ეგრეთუჱ მომნიჭებლობს მოძრაობისა ძალთა გუამისა სხეულებთა, რომელთა ძვრანი ყოვლითურთ განსსხუავებულ არიან, ე. ი. ხუთთა გრძნობაებთა გარეგან და ხელებთა და თითებთა და ფერხებთა და სახსარებთა, ძარღუებთა, თაგუნთა და ტენონთა და სადრეკებთა. ხოლო შინაგან გულსა, ფირტვსა, ღვიძლსა, ტყირპასა, ნაღუჱლსა, თირკლმებსა, სუკებთა, მასრაკსა ნაწლევსა მხარშუელსა ნაწლეებთა, კუჭსა და ეგევითართა შიგნეულთა, ყიასა, ყანყრატოსა, სა-

სასა, ქუჱნა ყბასა და ყოველთავე ასოებთა და წევრთა და სხეულებსა, რომელთა თითოეულთა თჳსნი საკუთარნი ძვრანი ქონან. გარნა თანაჴმად ურთიერთისა და ერთბამად სულისადმი მორჩილებენ. აქარე იკითხვის: მეკობრისა და ქურდისა ხელთა ძრავს ღმერთი ანუ არა? მიგება: მხოლოდ ძვრასა სცავს, გინა მოძრაობისა სჯულსა, რათა არა დაირღუჱს ძვრა საზოგადოცა კერძოთა განქარვებითა ანუ გაუქმებითა. რამეთუ არსებანი კეთილ არიან და ცხოუჱლობანიცა. ხოლოო საქმენი მარცხულნი ბოროტ შემთხუჱვანი არიან და არა გარდაქმნა არსებისა ბოროტად. ანუ იყოფინ, მაშასადამე, ბოროტნი საქმენი სძულან ღმერთსა და მოქმედიცა მისი, რომელ თავისუფალ ძვრასა თჳსსა მარჯულ მიაქცევს მარცხულად. ამად, ბოროტნი იგი საუკუნოდ წარწყმედისა საბლებად გარე-მოედების ბორკილებად და შეიკვრის, იხილ. ღთისმეტყუჱლება.

მეტაფიზიკებრივი მხოლონი არიან თითოეულნი განუკუჱთელნი, რომელნი ურთიერთისაგან განყოფილებით განყენებულ არიან. ამისათჳს არავინ იცის კაცმან კაცისა, რომელთა შინაგან მდებარენი ზრახუანი თითოეულთა თჳსნი უწყიან და არა ურთიერთისა. მეორე მხოლონი არიან თითოეულნი სახენი, რომელნი არღაჳს იზიარებიან. მესამე მხოლონი არიან თითოეულნი სტიხნი და ეგევითარნი: გარნა უუმეტესნი მხოლო მხოლონი არიან სულნი მარტივ ცხოუჱლნი, რომელნიცა თჳთ ყოვლად არიან თჳნიერ კერძოებთა.

ფიზიკებრი მხოლო არს მიწა ბურთი ესე, წყალი მხოლოა ნოტიო ესე, ჰაერი მხოლოა წულილ — გაბადული, ცეცხლი მხოლოა ცხელი. და ესე კმა იყავნ:

მათემატიკური მხოლოა ერთი, რომელი იზიარებს მრავალთა და არა ეზიარების, რამეთუ ყოველნი სიმრავლენი ეზიარებიან რაჲთავე ერთსა, ვინაჲთგან თჳნიერ ერთისა არა არს მეორე. იხლ კავშირი. ანუ თითოეულნი სახენი მხოლო-მხოლოებად შესაძლებელ არს აღრიცხვად მოკიდულნი თჳსსა პირუჱლსა ზედა. ვითარ ყოველნი კაცნი ადამისადმი. ეგრეთუჱ სხუანი გამოსცან, მკითხუჱლნო, გულისხმის-ყოფით. გარნა მათემატიკური ზესთა მხოლოა მხოლოდ ღმერთი, რომლისაგან მეორენი ვართ ყოველნივე ხილულნი და განუჭვრეტელნი, იხილ. სღთისმეტყუჱლო კავშირი.

ლიტონებრი ჰსჯა, ლოღიკებრი ჰსჯა, მათემატიკებრი ჰსჯა ვითარ სხუაობენ ურთიერთისაგან? მიგება შემკითხუჱლისადმი.



## თავი მეათე

ლიტონებრი ჰსჯა კნინლა და ყრმათა და მოხუცთა ერთი და იგივე არს გარეგან ისტორიულნი, ე. ი. ყრმა ივლტის ცეცხლისაგან და წყალისა მდინარისაგან და ცოფიერისა ძაღლისაგან და განრისხებულისა მხეცისაგან — ლომისა და გუჱლისაგან. ეგრეთუჱ მოხუცებული, რომელი ყრმობასავე შინა მირიდა ბუნებამან. ყრმა გრძნობს შიმშილსა, წყურვილსა, გაძღომასა, ძილსა, ღვიძილსა, სიცივესა, სიცხესა, ტკივილებთა. ეგრეთუჱ ლიტონი, სრული, ეგ-სახედვე ოთხთა გემოთა, ტკბილთა, მწარეთა, მჟავეთა, მლაშეთა. ეგ-სახედვე ლიტონი კაცი ყრმაჲ დაბიო ვერ გამოსცნობს ანანასსა გინა მანდრაგორთა. ეგრეთუჱ ლიტონი ყრმა სპეკალებთა ქუჱბთა. და ზუტაკთა მეტალთა. და უროშიო ვერცხლთა და უზადო ბრილიანტებსა ვერა დააფასებს. ეგრეთუჱ მდაბიო ლიტონი მწყემსი ყრმაჲ თჳნიერ სწავლისა ვერა აღმოიკითხავს ღრამმატიკასა, ეგრეთუჱ ვერცაღა მოხუცებული. ყრმისა რომელსამე გრძნობანი მეტნი არიან სრულსა ზედა რომელთამე, ე. ი. შინაგანი შიმშილნი და გარეგანი წყენა, ამოვნება, მიფერება, ალერსნი და ეგევითარნი ლიტონნი ჰსჯანნი არიან უშკოლო უსწავლელთა კაცთა ლიტონთანი და სანღუნიკთა და ფლეღმატიკოსთანნი, რომელნი საღუთისმეტყუჱლოთა ლექსებთა და საფილასოფოსოთა აღრევენ დაბიო ლექსებსა შინა და გონებენ ზედ შესრულთა სახელებთა და სხმით გარდასულთი სახელებთა და ზმნის ზედათა და სახელმოდგამითი სახელებსა ვერ განარჩევენ. ამათ ესევითართა ენაცა თვისი არ უწყიან და ძალი ლექსებთა არცაღა თუ ასმიეს.

ლიტონნი ჰსჯანი არიან: მაგ. ცეცხლი ამისთვის არს ცეცხლი, რომელ არა არს წყალი. და მიწა მიწა არს და არა თიხა, ბუნიაობა-ბუნიაობა და ტატანი ვარსკვლავისა შთამოვარდნა არს. და მზე და მთოვარე სხედან ცხენებსა ზედა; ვითარ იტყვიან სამხრეთელები ცა არს ბროლისა და ვარსკვლავნი ჭიქისანი არიან. და სძის გზა იგი ციურნი, სასლველნი არიან ცხოუჱლთი. ათორმეტი ეტლნი მზისა მოსავლელნი ერთსა გზასა ზედა ვლენან. მზე და მთოვარე და ქუჱყანა ესე ბურთი ურთიერთ ეჯახებიან და ქუჱყანა შეიძვრის. წყალი დაიძინებს. მიწა თევზზედა დგას. ცაჲ სუჱტებს უპყრიეს. მთოვარეში სოფელი არს. კომეტი პლანეტია, ეშმაკნი ეშმაკთა განაძობენ. სიზმარნი-მისნობა, მოგვნი და გრძნეულნი ტყუილსა არ იტყვიან.

იმ ბებერმან იცის, ვაჟი ეყოლება თუ ქალი მუცელ-ქმნულებსა. დაკუჱბა მართალია. შავი ფერნი სამზნელია. ფრენა თუალებთა მკართა ნამდვილია. ბედი, სუჱ, მარმენიო, ფორტუნა ვისაცა სწყალობს, არღა საჭიროა მისთჳს განათლება და მუშაკობა. აჰა, ესენი და ეგევითარნი ზრახუანი და სჯანი დიდ-ფრიადი უბირობაა, რომელთამე ლიტონთა კაცთი უსწავლელთი. ეგრეთუჱ ჯაბნური ალერსნი და ლექსნი და უფროსღა ვერაგულნი ანუ უდიერებისაგან ფიცხელისა და დაქეჯნისაგან ფრიადისა და შეძრწუნებისაგან და შიშისაგან განსაკრთომელისაგან იძულებით შემოღებულნი ზარ-დამცემელთაგან, ზარდაცემულებთაგან დიდ ფრიად მოსატყუანებელნი, ლექსნი პირითა მხოლოდ მიმღები მდაბალნი მაღალთა ვიეთთამე ჭირთა და არა გულითა, რომელსა არა ითხოვს ბუნება, გარნა შემოუღიათ ჯაბანთა, ფიცხელთა, უსწავლელთა მოსამდორებლად ე, ი, შენი ჭირიმე, შენ გეთაყვანე, შენ გენაცვალე, თავ-შემოგევლე, შენი ფერჴთა მტვერივარ, შენის მკვდრის მამისა მზემან, შენმა მზემან, შენის დედის საფლავის მზემ, შენის ღთის მზეს, შენ ნუ მომიკვდები, ჭირი მოგჭამე, შენი შვილი მკვდარი ნუ გონიეს, მსგავსად მაღლისა ცოცხალ არის;

იხილეთ, ძეო მეფისაო, დიდ ფრიად ლიტონება, ე. ი. უმეცრება ერისა, რომელნი არა ნათესავსა არა აქვს, ესე გუარნი ჯაბნობა და დედლურნი ლექსნი და მომეტყუჱბელნი განცხადებულ აქსიომად ტყუილ-სოფიზმურნი და საგიობელნი მდაბალთა მაღალთა მიმართ. და მაღალნიცა ჩუჱულებითა მოტყუებულნი, ე. ი. „შენ“ თქმა ნაცვალსახელისა ლიტონ პოლეტიკური დიდ ფრიადი გიობა არის, რომელ კაცი ხარისხიანი მრავლობითად მოიხსენების, ე. ი. „თქუჱნ“ რომელსა დეენიშვნების ქუჱშემრდომნიცა რომელთა მექონიობითა არღარა არს მხოლოდ და უკეთუ გარდამდგარი არს სული და ხორცნი გალანამცა „ქონან“ და პატივი წინანდელი. ეგრეთუჱ პატიოსანთა კაცთაცა „თქუჱნ“ ითქმის, რომელსა ძალნი სწავლისა აქვნდეს და იყოს წევრი კეთილი მამულისა. ხოლო ჭირისა მთქმელი თჳს თავზე მიღებად პირითა ატყუებს, რომელი ჟამსა სოფლისასა მსგავსად ნადირისა დაფრთხების. „შენმა მზესა“ მთქმელი ძუჱლთა კერპმსახურებას უბნობს, რომელი მზითა ფუცვიდენ, რომელ პირისპირ მზისა კარაული უმჯობეს პატივ-საცემ არს თივითა და ქერითა, რათა შეიძლოს ტჳრთებისა მოზიდვა. რომელი „გეთაყვანესა“ მეტყუჱლობს. აძლევს ღთისა პატივსა, რომელი „ჭირი მოგჭამეს“ უბნობს, დიდ-ფრიად ატყუებს დამსმენელიცა უმეტეს ტყუვდების. ჭირი



არ იჭამების, რომელი ხრწნილება არს, ე. ი. ტკივილებისთა დამარღუჱველი გუამისა. რომელი „თავ-შემოგევლოს“ მეტყუჱლებს იგვრდივ წარსვლას გავლასა პირდება. რომელი „გარდაცვალებულისა მზეს“ ამბობს. დიდი გმობა არს: პათოგორიულად მკვდრისა სულისა შესლვასა მეტყუჱლებს სხუა ცხოუჱლებსა შინა და ჟამიერ მზესა ქუჱშუე აზმნობს განსრულთა სულებსა, რომელთაგანნი ღირსნი დაუბადებელსა ნათელსა შინა არიან, რომელი მეტყუჱლებს მსგავსად ძაღლისა სიცოცხლესა შორ. წარსულისასა. იგი გამხეცებასა უბნობს, რომელი, შენმა მზემ იგი უბნობს მეორე პირისა ნაცვალსახელსა და მზის სახელსა მოთხრობითად ბრუნვილად უბნობს და ესე კმა იყავნ ლიტონური ჰსჯისა აღმოჩენა და უსწავლელისა სიტყვიერებანი, რომელნი მხოლოდ ბგერაა უსარგებლოდ, შრომა და უქმი მეტყუჱლებანი. დაუუქმეს სმენანი ამაონი, დაყენებულნი საღთოთა წერილებთაგან. არა-თქმა ტყუილებისა, რომლითა უგუნურნი და უცნობნი წარწყმნდებიან. იაკობ 5, მცნ 12; მატთ 5, მცნ 37 და რომელსა სურს ვისიმე ჭირისაგან განკურნება, ილოცოს მისთჳს, მაშინ პირი და გული ჭეშმარიტი იქმნება. იაკობ 5 მც 13. და რომელსა ნებავს უღთოთა სხვისა ჭირისა მიღება განვიდეს ქალაქისაგან, და სოფლისა უშენთა შინა და მუნ აღრჩეულსა ჭირისა თჳსსა მსახუროს, იგი მიაგებს სასყიდელსა თჳსსა. შემინდევით ძუჱლნო თხემებო, მე ახალთა თხემებთა მიმართ შკოლიერთა მოხსენება ვყავ, რათა იყვნენ ბრძენ და მტკიცე და ძლიერ ღთისა თანა და კაცთა თანა. შესაქმ. 32 მც. 28 ესე არს სათნო ღთისა და ცხებულისა მისისა მონარხისა.

ლოღიკა, გინაი ლოღოს ელლინურ სიტყუა არს, აჰა, ვინაჲთგან სიტყუა არს, მაშასადამე, თანა-გუამს, რათა კაცად-კაცადმა სული თჳსი განათლებულ-ვყოთ ეგრეთ, რათა შეუძლოს ცნობად თავისა თჳსისა პირუჱლად. და მერმე ბუნებითად დადებული არსებასა შინა ჩუჱნსა თან-შობითად, და მოპოებითაცა, ე. ი. სწავლითად პირუჱლად ზედ მიწევნილად ვიცნად შემოქმედი, რომელი მადლითა თჳსისა და სიტყვითა მამა არს ცისა. და ქუჱყანისა და უმეტეს ჩუჱნი, რომელთა სული მარტივ ცხოუჱლი გარდმოგვიხატა უხილავმან. უხილავი ესე არსი, რომელსა შეიცავს ხორცნი ესე თიხიერნი. მაგალ. მსგავსად ცეცხლისა, რომლისა მიახლოებითა შანთი რკინისა განცეცხლდების. გარნა რკინასა მას შინა კუალი ცეცხლისა არა იხილუჱბის, ოდეს განცივნეს. ეგრეთუჱ სულსა ჩუჱნსა, შემცუელ-

სა გუამისასა, არა აქვს კუალი. გარნა ნამდვილ არს, რომელი კნინღა და დაიტევს გონებასა შინა ცასა და ქუჱყანასა და მეტყუჱლებს იგი და არა მხოლოდ ენა, ჭეშმარიტებასა აღძრცვილსა, კნინღა ე. ი. მე ვარ მარტივი ცხოუჱლი, გულისხმიერი, ზეგარდმო არარაჲსაგან დაბადებული, მხოლოდ სიტყჳთა ოდენ ხატად. და კეთილთა საქმეთა ქმნითა მსგავს მაღლისა და სოფელი ესე მსახურ ჩემდა არს. ე. ი. სხეულნი სხეულებთა ჩემთა მსახურად. ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა; ორძილნი. დღესა შინა მზეჲ და ღამესა შინა მთოვარე და ვარსკვლავები. გარნა მე და ხორცნი ესე ჩემნი მსახურ თჳსადმი შემქმნა მხოლომან მამამან. აჰა, აღმრცვილნი ცნობანი ლოღიკურნი ჭეშმარიტებანი, ცნობა თავისა თჳსისა და ღთისა და მსგავსთა თჳსთა და ორობათა სოფლისა.

ხოლო ბნელნი ლოღიკოსნი, ე. ი. რიობებ-მეტყუჱლნი, უსწავლელნი, გინა სწავლისა ურჩნი და თან-შობისა ცნობისაცა, ე. ი. საშოსა შინავე მცნობი დაწყებასავე-თანა თავისა თჳსისასა, რომელ ჩჩჳილი მახლობელ ღვიძილისა იძვრის განორძინებისა მოქენე. ხოლო სული მაცხოველებელი შეიცავს თჳსად გუამსა და აღუზრდის ზეგარდმო სიბრძნე ქალაქად მეფე სულსა. და ესრეთ განასრულებს ოცისა წლამდე სიმაღლესა ზედა და სისქითა შემდგომცა, რომელ მეფე სული ხუთთა საგრძნობლებთა ხმარებითა მიიღებს გარეგანთა სწავლათა შინაგანთან. შობითითა ბუნებისა ძალითა ნიჭებულნი ეგრეთ ჰყო ხუროთმოძღვარმან აღმზელელმან. და ვინ ჰრქუას წუნი თჳსებასა მაღლისასა, ე. ი. ყოვლისავე შემძლებელობასა, რამეთუ სული მადლისათჳს მომეცა მე. და ჩუჱნ ყოველთა, რათა ხატნი მადლობელ მაღლისა ვიყვნეთ. ხოლო ხორცნი ამპარტავნებისათჳს, რათა უწყოდენ სულებმან, რომელ თითოეულნი თჳნიერ გუამისა თჳსისა არა ძალგვიძს მსგავსება ღთისა, არარაჲ კეთილნი, რომელ მორწმუნე სული მარხულობს თჳს შორის ძუჱლთა და ახალთა საღთოთა წერილებთა. ჯორცნიცა განკრძალულ არიან მის თანა ბაგეებთა აღსარებითა და მუხლებ დრეკითა და დაყენებულთა სანოვაგებთა არა მიღებითა. და უკეთუ სული განლაღდეს ამპარტავნებითა და სწორება მაღლისა გამოიხატოს უვახშმომან განთიად, ოდეს მოიწიოს შუადღე მაშინ იწყებს ქალაქი მეფისა მოქცევასა თჳსადმი და ეგრეთითა თანხმობითა ურთიერთისა მაცხონებელ არიან.

მოიხსენეთ, ძეო მეფისაო, ვითარცა თჳთცა უწყით დიდ არს ხუროთ-მოძღუარი იგი, რომლისა სახელი საკვირველ არს. გარნა



ნატურალისტები და ათეისტნი საწყალობელ არიან. რომელნი ნაცულად ლოღიკისა იკმევენ ტჳნებთა თჳსთა ბრუჟებსა და მეტყუჱლებენ არა ჭეშმარიტებას, არამედ ებრებთა და მებრებთა და სხმით გარდასრულთა ლექსებთა, რომელნი იოცნებენ სული არა გვივისო, არამედ ხორცნი ვართო და სჳნდისიცა სჯულისა არსო მხოლოდ. და არა გუამისა. ჰოი, უხილავ მყოფო ცხოუჱლო რაჲსათჳს დაფარე მეფე სული, კნინღა და მიუწთომელჰყავ უპირატესი იგი არსება უდარესისა კინძისა გუამისაგან, რომელსა ეძიებს ყოვლისა სოფლისა შკოლანი.

პირისა დაყოფა მათ განდრეკილებთა თჳსთა მამებთა დემონებთაგან, რომელთა ენანი ფართონი ბგერისა ქარებთა აქროლებენ. რომელთა ენა იტყვის სული არა მივისო. უკეთუ ეკითხოსთ თავთ თჳსით, ვითარ უწყის პრობლემა იგი დიდი. მომიგებენ, ებრეელთა, ფარისეველთა და სადუკეველთა გამოსცნესო. და კუალად შევკითხო: სადა განისწავლნენ იგინი? მომიგებენ: სერ-ტყეებსა და ბაღნარებსა შინა ისწავეს გამქანდაკებულებისა ძაალისა მიმართ მუხლებდრეკითა და მერმე და გონისა, ბომონებსა შინა ქურუმებთაგან. და ისწავეს ბაბილოვანისა შერევნა ენებისა და იხილეს ეგიპეტისა მუმიანი. გარნა სული მუმია აპიხტებისა ვერ იხილეს. ხედავთა! ძეო მეფისაო, რომელთა არარაჲ კატავასია აქვთ დაფარვად სიშიშვლითი ტყუილებისა თჳსისა, რომელნი ვლენან უსჯულოთა ფართო გზებთა ზედა ლერწმისა კუჱრთხებითა, რომელნი დღისი თხუნელაობენ და ღამესა შინა არიან ეშვნი, რომელთა პირნი დუმდებიან ღთისმსახურისა მონარხისაგან. და დილეგისა სატანჯუჱლებთაგან. მაშასადამე, უეჭუჱლად სული აქვსთ, რომელი მყოობადსა ზარის-დაცემასა გულისხმა-უყოფს. და გუამნი მათნი მსგავსად ვერხვისა ფურცლებისა თრთის, უკეთუმცა არა ჰქონოდათ სული მარტივ ცხოუჱლ გულისხმიერი მსგავსი ყოფილ-იყვნენ ცხენისა და ჯორისა, რომელნი არა იშიშვიან უსვინიდისობითა დღეითაგან ხუალისათჳს.

უტეოთ ათეისტთა და ნატურალისტთა, რომელნი ენითა მხოლოდ მეტყუჱლებენ სული არა გვივისო. მაშასადამე, არცაღა მაღალი ენანი მათნი ნამდვილ არა არიან სულები, არამედ ფართო ხორცნი არიან ჰაერისა საცემელნი. გარდა ოდეს შთასცვივიან განსაცდელსა სასტიკად მძაფრსა, მაშინ მყის სჳნდისებიცა მათნი საწერტელ მათდა იქმნებიან. და ცოდვათა შინა დამთვრალთა განაღჳძებს მათ გოდებად. მთანო და ბორცვნო დაგუჱცენით და მოვე-

იქცევიან ზეგარდმო რისხვითა განკურთვილნი. უკეთუმცა არა აქვნდათ სულები არცაღა რისხუა სტანჯევდა მათ. უსულონი პირუტყვნი არა იტანჯებიან ზენა რისხვითა. ამად, რომელ არა აქვთ ხატი მოცემული არცალა მსგავსებასა ითხოვს მაღალი ქმნად კეთილთა მათგან, რათამცა ცხონდენ იგინი. არამედ კაცისა სანოვაგე არიან მსგავსად მხალისა. იხილეთ, ათეისტნო და ნატურალისტნო, რომელთა არა გაქვსთ მეფობა არღაცა მთავრობა, არცა სამეფონი და სამთავრონი გივისთ. არამედ იდევნებით ყოველსა სოფლისა შკოლებისაგან და უფროსღა ჭმისაგან სრულიად სოფლისა და უმეტეს ჭმისაგან ღთისა. და სამღუდელოთა ბანერგებთაგან, ე. ი. საღთოთა კათედრებთა ქუხილებთაგან და ძუწლისა აღთქმისა ელვათაგან და უუმეტეს ახლისა აღთქმისა სახარებისა მზისაგან, რომელთა არა ძალგიძსთ ზურგთა თქუწნთა ფართოთა განჭვრეტა, ვითარ შეუძლოთ მარტივ უსხეულოსა განხილვა ნოტიო თუალებითა თქუწნითა:

ლოღიკურნი ჰსჯანი არიან ეგრეთი ცნობა საგნებისა მიმყოვრებისა გულისხმის-ყოფითა, რათამცა ნამდვილ ცნობილ-იქმნენ ესრეთ, ვითარცა არიან და იქმნებიან შემდგომცა. რათა არა ითქუას ტყუილნი. მაგალ სულნი მარადის მარტივ ცხოუწლ არიან და სხეულები რთულ და ნივთებიან. სოფელი დასაბამითგან საზღუარსა შინა არს მოძრავ. ხოლო ღმერთი დაუსაბამოებით. თჳნიერ დასასრულისა უძრავი არსებაა და უცვალებელ ბუნებითა და თჳსებითა. იხ. ლოღიკა და თეოლოღია, ე. ი. ბუნებითი ღთისმეტყუწლება:

წინააღმდეგნი ნივთნი ურთიერთისა შორის ვითარ არიან წინააღმდეგ: მიგება შემკითხუწლისადმი.

## თავი მეათერთმეტე

წინააღმდგომნი ნივთნი არა არიან სოფელსა შინა. უკეთუ ყოვლადსა სოფელსა, ე. ი. კოსმოსა განვსჭვრიტო ყოველნი ბურთნი მთიებნი, ე. ი. პლანეტნი თჳსსა დანიშნულსა სიმრგვლეთა შეასრულებენ ზეგარდმო ტიბიკონებითა და უკეთუ ურთიერთ ახლორე გორუწბითა ბრუნვისათა განვლიან, გარნა არა ეკუწთებიან ურთიერთ, არამედ დააბნელებენ. ამად, არა არს ცაჲ და ციერნი წინააღმდგომღუბისა ამის და არცალა სოფელი ესე და სავსებანი ამისნი გარემზომ სამყაროთა. იხილ. კოსმოლოღია: წინააღმდგომნი ნივთნი, რომელნიმე რაოდენობითნი არიან, შემთხვევითნი, ვითარ ანაგებისჳ



მოკლება სნეულებითა და სიკვდილითა. გინა დიდისა ზღუდისაგან ნერგთა ზე-აღზრდისა დაყენება ანუ რაჲსა მიმართისა მცირე ტყვივითა დიდისა ცხოველისა სიკვდილი და ეგრეთუწ მცირაკისა საწამლავითა მოკჳდინება.

იხილეთ ძეო მეფისაო, წინააღმდგომნი ნივთნი, რომელნიმე რაოდენობითა მცირენი არიან, ხოლო ძალითა ძლიერ არიან, ვითარ მეხი, რომელი განაპობს ნერგთა დიდთა და შენებულებათა, სამყაროთაგან ბორბალისა ქარებითა შთამოტყორცნილი. გინა ზარბაზნისაგან გატყორცნილი ტყვიით დამარღუწველი ზღუდისა, ეგრეთუწ დაგორებულნი ქუანი მთისა თხემითგან. და ეგევითარნი ძალითა ძლიერად წინააღმდეგ არიან, ვიდრე განსვენებამდე.

ორნი ძალანი თანასწორნი არა არიან წინააღმდგომ ურთიერთისა მიმართ, მაგალ, ვითარ ულლეული ჯარნი, გინა ეტლისა უნენი, და ერთისა გუამისა ფერჯი ფერჯისა და ჴელი ჴელისა ანუ ორნი ტყვიონი ერთისა გასროლითა გატყორცნილნი და წყვილნი ზარბაზანნი ერთბამად გასროლილნი. და უკეთუ პირისპირ ორნი ძალნი შეეხნენ ურთიერთ თანასწორ, ორნივე განისუწნებენ. და უკეთუ ერთი მატს მეორესა, ძლიერი ოტებულ-ყოფს უძლურსა. იხლ. მათმატიკა.

წინააღმდგომნი ნივთნი უკეთუ ბუნებითად შეზავდნენ, მყუდროდ გიებენ და უკეთუ რომელიმე განძლიერდა რაოდენობითა, გინა ძალითა, გარემზომ იქმნებიან.

მაგალ., სხეულნი ცხოუწლებისა ოთხთა წინააღმდეგთა სტიხებთაგან არიან შეზავებულ. გარნა უკეთუ მხურვალება განმრავლდეს ჩუწნთა სხეულთა შინა, ივნებენ გუამნი სისხლ ადუღებითა და იქმნების ხურწბა და უკეთუ სიგრილე გარდაემატოს ექმნების ცხრო თელგამისა და კანკალი სხეულებისა. იხლ. სამკურნალო წიგნი. წინააღმდეგნი ნივთნი მებრძოლისავე ნივთითა დამყუდროვდების. მაგალ. ალი საჭმილისა დაშრტების წყალითა და ქარი სასტიკი მზისა სიტფოჲთა დასცხრების და ნისლი ბნელი გათხელდების მზისაგანვე. ამად არა არს სოფელსა შინა ბოროტნი ფიზიკურნი და უკეთუ არს იცვალებისუჲ კეთილად. მაგალ., განსხნა მუცლისა ბოროტ არს ჟამსა უვანვისა. ხოლო დაცხრომისა შემდგომ კეთილ არს. სნეულება ბოროტ არს, გარნა ჟამსა სნეულებისასა სჳნდისი, და სინანული და კურთხევა ზეთისა კეთილ არს. სიკვდილი ბოროტ არს მეხითა, სეტყვითა, მოშთობითა, დაწვითა, დანთქმითა, დამბლითა, სიყმილითა, ნეფხვითა, ხორშაკითა და ეგევითარითა. სიძისა მო-

მლოდინესა სძალსა მარადის მზასა არა შეერაცხების ბოროტად
მხეცებთაგან განმზრახვით მომკვდარსა და ნივთებთაგან კუწთებით
შემუსვრილსა, ამად, რომელ მიხადა ცხოვრება ღამიერი და მიენი-
ჭა ადრე უწინარეს სიბერით სიკვდილისა დაუსრულებელი მხიარუ-
ლება. მაგალ, უკეთუ ათასისა კენტინარისა ვეცხლისა აგარა მიმხა-
დოს ვინმე, ზამთარსა შინა უნაყოფო და მომენიჭოს სამოთხე ასი
ათასისა კენტინარისა ამად გარდარეულნი მხიარულებანი არღა აღ-
მიხსენებენ განხმელსა უნაყოფოსა აგარასა. მაშასადამე, რომელნი
ფიზიკურ წინააღმდეგ ბოროტად საგონებელ იყო, ე. ი. ხრწნილება,
იგივე მიზეზ უხრწნილებისა იქმნა. და თჳთ ეკალნი და კუროსთავნი
მომგონებელ ჩუჩნდა არიან ამიერ განსლვისა მგზავრობისა. ამისა-
თჳს არცაღა იგინი არიან ბოროტ. გუწლი იხმარვის წამლად და მხე-
ცებთა შუანი ოროანოდ. მაშასაღამე, რომელნიცა ერთის მჴრით
წინააღმდეგ არიან, მეორე მჴრივ კეთილ არიან. და არცაღა ერთი
ნივთია ბოროტ სოფელსა შინა. თჳნიერ მცოდველისა, თავისუფა-
ლისა და დემონებისა, რომელნი არსებით კეთილ არიან და საქმე-
ებითა თჳსთაგან ბოროტ არიან. იხილე ღთისმეტყუწლება.

იხილეთ უგანათლებულესო, ფიზიკურნი ბოროტნი არა-რანი
არიან მით; რომე თუ არა არს ბუნება ბოროტ, არამედ ჴმარებაა
მარცხულნი ბოროტ არიან. მაგალ. ღჳნო კეთილ არს, ხოლო მებ-
რუქე ზედის-ზედა ანკანაკობითა გაღღლევდების წარმწყმედელი
ცნობისა სიმთვრალითა. რკინა კეთილ არს, გარნა თჳთ თავისა
თჳსისა მომაკვდინებელი მახვილით ბოროტად ჴმარებითა წარწყმ-
დების, რომელ ამპარტავნებისა შლეგობითა და ფრიადისა სულისა
სისუსტითა ვერ უძლო მოთმინებითა ძვირფასისა სიცოცხლისა და-
ცვა, რომელი სახიერმან მოანიჭა სადიდებლად თჳსა ემსხუწრპლე-
ბის დემონსა არღა მომხსენებელი ნამყო აღთქმებისა წინაშე საბა-
ნელისა. და არცაღა განმჭვრეტი მყოობადისა საუკუნო ნეტარებისა
აღირჩევს ბალანგაროზით გახელებული თჳსისა ცხოვრებისა დასრუ-
ლებასა, რომელსა ვაება და უბადრუკებით ხსენება სქესთა თჳსთა
შორის დაუშთების საგიობელნი. ხოლო სულითა აღიხილავს თუალ-
თა თჳსთა გეენიასა შინა უსჯულოდ დაძინებული. ესე წინააღმდეგი
მეტაფიზიკურნი სულსა შინა იშუწბის და ფიზიკურნი-ჴორცთა ში-
ნა. მაგალ. დემონისაგან მიბირებულმან კაცმან, გახელებულმან სას-
ტიკად ზარი დამცა მე განძვნებისა. ხოლო მე მძაფრად აღვეტყინე
სულისა სურვილისაგან წარტაცებული და რქენად მავნებელისა მი-



მართ. და აჰა, ზედის-ზედა ეკუწთა გულსა ჩემსა სისხლნი აღუღე-
ბულნი და თელგამნი გაცხელებულნი და ნაღუწლიცა გარდამოეხ-
სნენ გუამსა ჩემსა განმამწარებლად ხოლო თმანი და ბეწვნი აღმე-
ჯაგრნეს მე და ვიქმენ გამეწამებულ პირსა ზედა. და თუალნი აღმევ-
ევსნეს სისხლებითა და ესრეთითა გაუცხოებულისა მძჳნვარ მხე-
ცურითა სურჳლმან გამტაცა სული ჩემი და წადილმან ჴორცნი ერ-
თად შეთქმულთა და გამოთხოვასა ვლამი მავნებელისა ჩემისასა.
რათამცა დასრულდეს ცხოვრება ჩემი ანუ მისი, ამას ყოველთა თანა
განმაძლიერს დემონმანცა და გარემოსთაცა მარცხულთა კაცთა ვე-
რაგობითარე მზაკუართა, გარნა პირუწლითგანვე დანერგულმან სი-
ყვარულმან ღთისამან და ცოდვათგან განშორებამან და სახარებისა
და ჯვარისა გულისხმის-ყოფამან აღმინთეს დაშრეტილი სანთელი
სულსა ჩემსა და მწრაფლ მომიქციეს უაღვირო სურვილი იგი და
პირუტყვული წადილი იგი ჴორცისა გულისა ჩემისა. და აჰა, მოუ-
გე გონებასა და ღელვანი ვრცელ-ბორბალნი, ქარნი და ნისლნი. და
ელვანი და სეტყუანი და მეხისა გრგჳინვანი შინაგანისა ჩემისანი
ესრეთ დაყუდნენ, ვითარცა არა ოდეს არა განრისხებულისა. მაშინ
მყის ვისურვე მტრისა ჩემისა მეორედ შობილისა ესრეთ შეყვარე-
ბა, ვითარცა ბრძანებს ჰსჯული. და აჰა, ესერა მე და მტერ-ყოფილნი
მხოლოდ გუამებითაღა ვართ განყოფილნი, ხოლო სულებითა ერთ
მხოლოდ შეყოფილნი. რომელნი ურთიერთ ეგრეთსა პატივსა უსწ-
რობთ, რომელ მე ვლამი ლოცვითა და მარხვითა ცხონებასა მისსა
საუკუნოდ და იგი უტეებს მარცხულთა ვნებაებთა სურვილითა
ამით, რათა ვითარცა ჟამიერსა სოფელსა შინა ვჭვრეტთ ურთიერთ,
საუკუნოთცა არა განვეშორნეთ ნათელსა შინა შეუქმნელსა.

იხილეთ, ძეო მეფისაო, ხრმალში გამომთხოვნი თავთა თჳსთა
წინააღმდეგ თჳთუწ არიან მიზეზისაგან კნინისა ყოვლადისა გუამე-
ბისა უსჯულოებითა დამასრულებელნი, რომელი არა არს ბუნებისა,
რომელთა პირისპირ პირუტყვნი უკეთილეს არიან, რომელნი არა
მოაკვდინებენ თჳთ თავთა თჳსთა და არცაღა მსგავსთა თჳსთა.

წინააღმდეგნი ძალნი ყოველსა ჟამსა არა არიან ბოროტ, გინა
ცუდ, რომლისაგან კეთილნი იწარმოებოდენ. აჰა, სოფლისა ჰსჯუ-
ლთა ბუნებითი მოძრაობა და მშობლებთა სჯულია შობანი. გარნა
ოდეს დადგეს დასასრულ ოდესმე მოძრაობისაგან ქუწყანა და
პლანეტნი და რიცხვნი მშობელთა შობისა, მაშინ განისუწნებენ
ძრულნი და რიცხვნი შობილებთი. ამისათჳს საიდუმლო ტიპიკონი

ზეგარდმო განსაზღვრებული არა არს წინააღმდეგ არსთა განქარვე-
ბად, არამედ მტკიცედ გებაჲ არს უძრავსა სუფევასა შინა ვითარცა
ენებოს ხუროთმოძღუარსა. არცაღა წინააღმდეგნი, წინააღმდგომთა
გარეგან განაქარვებენ შინაგანსა, ე. ი. არსთა არსებასა. მაგალ. უკე-
თუ შეიძრას ქუეყანა და დეეცნენ ზღუდენი, ნაკუეთნი შენებუ-
ლებისა იცუალებიან. და არა შემოკრებულნი ნივთები, ე. ი. ქუანი
და რკინანი და ძელნი არსებასა შინავე ეგებიან. ეგრეთუე ყოველნი-
ვე იმცენით.

სულისა წინააღმდეგი არარაჲ არს მარტივსა, სიკვდილი ვერ
განხრწნის უსხეულო ცხოუელსა. წინააღმდეგი მისია არღა-ყოფა
და ესე შეუძლებელ არს არსისა არღა-ყოფა. გარნა შესაძლებელ არს
უკეთუ უნდეს, ღმერთსა წინააღმდგომი მისი არს. აზმნობა ღემონისა
და ცოდვანი მარხულნი, რომელნი სცუალებენ ვითარებითად არა არ-
სებასა მისსა, არამედ საქმეთა მისთა. რომლითა დატყუევდების საუ-
კუნოდ განპატიჟებული. და ესენი კმა-იყავნ აღმოჩენად. სხუა პოლე-
ტიკური და ზნეობითი და იკონომისობითი და სახლეულობითი
წინააღმდეგობა იხილე ითიკასა შინა.

ფილოსოფურნი სიტყუანი და ღრამატიკულნი სიტყუანი ვითარ
სხუაობენ ურთიერთისაგან?

მიგება შემკითხუელისადმი

თავი მეათორმეტე:

ფილოსოფიურნი სიტყვანი ყოვლითურთ განსხვავებულ არიან
პირისპირ ღრამმატიკისა ამად, რომელ მფილასოფოსებელი ფილა-
სოფიითა, ე. ი. სიბრძნითა თჳსითა ეძიებს თავსა თჳსისა ცნობასა
და ზედ მიწევნილებითარე სცნობს, რომელ სული მექონ არს პი-
რისა და ზრო კინძისა შემოკრებულებთაგან. უაღრესი მარტივ
მცხოუელებელი გუამისა და უდარესი განცხოველებულ. და ორნი-
ვე მიზეზოვან მაღლისაგან და განსაზღვროს რა თავი თჳსი ცხოუე-
ლობითა, ეზიარების ნათესავსა და სიტყჳერებითა სახისა ნათესავ-
სა თჳსსა. ხოლო გულისხმიერებითა უკვდავებისათა ნათელ მეორე-
ებთა შეეყოფის. ეგრეთუე თჳთ-მფლობელობითა, ე. ი. თავის
უფლებითა ყოველთავე განეყოფის, რომელი თავით თჳსით თავისა
თჳსისათჳს მნეობს სულითა და მეურნეობს გუამისა თჳსისათჳს



მფუფუნებელი. და ყუარობს თჳნიერ საშუალისა და იძულებისა
არსებისა ბუნებითა თავსა თჳსსა და განამრავლებს ტალანტებსა ნი-
ჭებსა. და ზრახავს შინაგან მდებარეებისა აზმნობაებითა საგნებ-
თა მათთჳს, რომელნი სრულჰყოფენ არათუ ჟამიერსა მდგომარეო-
ბასა მისსა, არამედ მერმისაცა, რომელი სჭვრეტს ყოველსავე ამაო-
ებად ცუალებადსა, ე. ი. ყოველთავე წერტილებთაგან შედრგინე-
ბულებთა, რომელნი მიუწერტილდებიან, რამეთუ ნათესავი იწყე-
ბის და ისპობის და ყოველნივე სხეულნი და ნივთები იცვალებიან.
მაგალ თივანი და ორძილნი ცხოუელებთა ჴორცებად, ხოლო ჴორც-
ნი-ხრწნილებად მიწადვე მივექცევითა, რომელ თჳთ ცხოუელობისა
ჟამსაცა იხრწნებიან კერძოკნი. ვითარ ფრჩხილნი, თმანი, ბეწვნი
და შინაგანნი ძალნი, ე. ი. შავანი, რომელ არიან ეკკლესიურ და-
ცემანი.

ეგრეთუე ჴელოვნებისა საქმენი, დიდ-დიდნი შენებულებანი
და ჴელოსნებითი საბლარდნელნი და უნჯნი ყოველნივე დაიატაკ-
დებიან ღღეისა უძვირფასესნი ხუალისად დაგესლებულნი და არღა-
რად საჭმარნი. მაშასადამე, რანიცა იცვალებიან დახსნისა ქუეშე-
მრდომ არიან, ვითარ ხორცნი და ხორციელნი ყოველნივე. ფილო-
სოფოსი განმჭვრეტი ორისავ ამის სოფლისა. აჰა, ქუეყანა ესე ელან-
დების ფუნდუკად მცირისა სოფლისათჳს, ე. ი. კაცთათჳს კაპილო-
ნად ჟამიერ მგზავრობისა სადგურად შემოსლვითგან ვიდრე განსვ-
ლამდე ათთა კიბეთა ზედა აღსლვისა დროებითა 1. ჩჩჳლობისა,
2. უსივრობისა. 3. ნინველობისა. 4. ყრმობისა. 5. ჭაბუკობისა.
6. ჯოშობისა 7. უჭარმაღობისა. 8. მჴცოვანებისა, 9. მოხუცებულო-
ბისა, 10. მიხრწნეულებისა, რომელ მეათესა კიბესა ზედა აღმსვ-
ლელისა თავ-აღმა გაუვაკდების ცხედარი დამსახუელი საფლავისა,
მაშინ იწყებენ ფერხნი და ხელნი განცივებასა პირუელად თითე-
ბითგან ამად, რომელ გულისა ძვრანი ზედას-ზედარე მოაკლდებიან
და იწყებენ სისხლნი და თელგამნი მშვნჳერ ცხოველობისადმი გან-
ცილებასა და ნაღველი განბიცებასა მიიღებს ძარღვნი განშეშება-
სა, ძუალნი განხმობასა. ტჳნნი განშრობასა. და ჴორცნი განყჳთნე-
ბასა და ფირტჳ დაცალიერდების მაცოცხლებელისა გასებისაგან,
თუალნი დასცხრებიან მიმოგოგორებისაგან და გუგანი შეიკეცებიან
და ხუთთაუე გრძნობაებთა კრესტსაბმელები დეებურვებიან. მაშინ
მყის მეფე ქალაქ-დარღუელი წარიყვანების ხელისაგან მაღლისა ნა-
თელ-მეორის მივლინებულისა წინარე წარძღომითა, უკეთუ კიბენი

ზემოხსენებულნი ზეგონებითა და სათნოებითა მაღლისათა განევლოს და მიიყვანების მარტივ-ცხოველი უკვდავი სავანესსა უსხეულოთასა შემოქმედისა თჳსისა პირისპირ ხილვად, რომელსა საშუალ ამის სოფლისა კანკელითა ხედვითა. და უთქმიდა გული უსაშუალოდ ჭვირობისა და იხილავს მადლით მამასა თჳსსა ეგრეთ, . ვითარცა უყვარდა და წყურვილობდა ცხრა ნეტარებისა ტანჯვითა და მოწამეობითა მსახურებად. უკეთუ შეხდომოდა და განძღების განმხიარებული პირისა სამისავე ხილვითა, რომელი მხოლოდ დღესასწაულებს ჟამიერისა ეკლესიისაღა აღიხსენებს, რომლისა შვილობითა და რწმენითა, სასოებითა მინდობისათა და სიყვარულითა და ლოცვითა და მარხვითა და მუხლებ-დრეკითა მიეცა დაუსრულებელად უცვალებელი სამგზის ნეტარებითი ცხოვრება უძრავი. ხოლო რომელმან ათნი იგი კიბენი ჴორცთა წადილებითა და ვნებაებითა და სამგზის წყეულობითა განვლოს, საქმეებითა ბოროტებითა და უთნოებითა დასასრულ ქალაქისა თჳსისა დარღვევისასა გამოიტაცების მეფე სული მისი დემონისა თჳსისა მამისაგან, რომელსა წარიტაცებს ქუჱშე ქალაქსა შინა დაუსრულებელ სატანჯუჱლად, რომელი სჳნიდისისა თჳსისაგან დაწერტილ იქმნების დაუსრულებლად, სახიერისა მამისაგან განშორებული ზეგარდმო მსჯავრთა, რომლისა რისხუა უძლიერეს მეფეთა ქუჱყანისათა არს. და სასჯელი უუმეტეს გეენისა და კბილთა ღრჭენისა და ცეცხლთა ალისა და ქუჱყნიერთა დილეგისა საკანისა და პატიჟისა.

იხილეთ, ძეო მეფისაო, ფილასოფოსებრნი სიტყუანი არიან წვრთა სიკვდილისა, ე. ი. სამნი ლექსნი, რომელ არს ხრწნილება, სამჯავრო და ნეტარება. აჰა, ესე-რა ვინცა ვიწვრთით, რომელ ხრწნილებისაგან უხრწნელად გარდაეცუალებით და წარვიდვებით შემაძრწუნებელსა სამჯავროსა შინა და ყოველნივე სვინიდისნი სულსა შინა დატჳფრულ იქმნებიან, და ყოველნივე ხორცთა წადილნი გუამსა ზედა გამოიწერებიან მარჯულნი, გინა მარცხულნი. და მაშინ მყის მარჯულნი ახალსა კურთხევასა მიიღებენ დაუსრულებელსა. ხოლო მარცხულნი-წყევასა დაუსრულებელსა. იხლ. საღთო წერილნი.

აჰა, ესერა მივხედო რა სოფელსა, ცაჲ მელანდების ჭერად ხომლებიანი, დღისათჳს და ღამისა და ქუჱყანა მეჩუჱნების იატაკად, რომელსა ზედარე ვიდოდი ჟამსა ჩჩვილობისასა ოთხითა და ოდეს მშობელთა ჩემთა აღმადგინეს და მასწავეს სლვა ორთა ზედა მიერითგან, ვიწყე დუბესა ზედა ამის სოფლისასა რონინი და რაოდენნიცა რანი მიმოვიხილენ მათთა სახელთა ვიტყოდი, ვითარცა ყრმა. ხოლო ოდეს კიბესა ზედა ჯოშობისა ასაკისასა აღვედი, შევემცენ მცირედ-მცირედ. და აწ ვმეტყუჱლებ სულისა თჳსებისაგან, რომელითან შობითა მაქვს, ე. ი. გონება, რომელი სძრავს ენასა, ხოლო ენა — ჰაერსა, რომლითა შევაერთებ იდეაებთა ჩემთა მსმენელთა და არიან სიტყუანნი ჩემნი ხუთნი ოდენ, ე .ი. პირუჱლ ღმერთი და სჯული მისი საუკუნო წმიდისა არსებისა მისისა ნებისა მცნობელი, რომლისა აღსრულება მე წმინდა არსსა საუკუნოდ წმიდად დამიცავს. მეორე ხრწნილისა ამის ჴორცთა ცხოვრებისათჳს კნინისა მდღევრისა საზრდელისა მორეწა ოფლითა ჩემითა და ღეღვისა ფურცლიერთა ჴორცთა საფარებელი და ჭერი მცირაკი. და მოლოდება მიმწუხრითგან განთიადამდე და დილითგან დაღამებადმდე, რომელ მუცელი და საჭიროება ამისი განქარვდების ხრწნილებითა და ჭერიცა, ეგ-სახედვე ვითარცა მშობელთა ჩემთა და წინაპართა არღარა იხილუჱბიან. ეგრეთუჱ მეცა სტუმარ და წარმავალ ვარ, რომელი რაოდენ ეჭვისა მინდობითარე უწყი, რომელსამე ჟამისა წერტილსა შინა განსლვა ჩემი. ეგრეთუჱ ნამდვილ უწყი, რომელ დაირღუჱვის სახლი ესე. და განვალ ხელით-უქმნელსა სახლსა შინა უძრავსა, მაშინ მყის მზე ესე ჩემთვის იქმნების ბნელ და ქუჱყანა ესე დიდ შუენიერ უქმად შეიცვალების. და ყოველნი რუდუნებულნი ამის დღისა სადილნი და მონაგებნი და საბლარდნელნი და ხუასტაგნი ხრწნადნი მივლენან მუნვე, სადიდგანცა შევიკრიბე, ე. ი. წყალნი გამოვლენ ოკეანეთაგან და მუნვე მიიქცევიან. რომელნი არღა შესაძლებელ არს დათხეულნი შეკრებად ეგრეთუჱ მიწით გამოსრულნი ხუასტაგნი მიწადვე შთავლენან. და ვინ უწყის ხელთა უსვინიდისოთა მიიღონ ოფლნი ჩემნი საბრძოლველად თჳსადმი და მეცა დიდ ფრიად გიობილ მყონ და სახელი ჩემი დაუშთესთ საბასრობელად? და როკვდენ ფერხებითა ოფლითა ჩემითა განმაძღარნი, და იტყუჱლვიდენ ხელებითა მაგიობელითა უჯამსნი, ჭაბუკნი, და უგუნურნი ჯოშნი და უგბილნი ჭარმაღნი და უდგრებნი მჴცროვანნი; და მებრუჟე მოხუცებულნი და პირზე საცო დაუდებელნი მიხრწნეულნი, რომელნი იმღერდენ შრომილთა ჩემთა ზედა. და ამღერდნენ ნაკლულევანთა გონებისაგან. მაშინ მეჲ არღარაჲ შემეძინების ვერა-რაჲსა პოებითა დაძინებულსა და ესრეთ ცხოვრება ჟამიერი შემერცხების ყოველნივე დედა-ზრდილისა ქსელებად.

რამეთუ ამაოება ამაოდვე იცვალა ამად, რომელ არა ვიყავ ამისა სოფლისა და არღაცა ჩემად სახელ-დებულნი დამიშთნენ მე. უგანათლებულესო, Φილასოფოსობა არს წვრთა სიკჳდილისა, ე. ი. დამთქნარების-თანა მოლოდება განსლვისა და ცხვირისა დაცხვიკებისა თანა მზა-ყოფა წარსვლად. მით რამეთუ უწყით განსლვა ჩვენი მიუცილებელად, გარნა არა უწყით, რომელსა წამსა ყოფასა შინა იქმნების. ამისათჳს მზა-ყოფა თანა-გვიძს სიმართლითა, სიწმიდითა და პატიოსნებითა. უკეთუ სამთა ამათ ლექსთა საქმითარე აღვასრულებთ, მაშინ ღმერთი და შიში მისი ძეებრივი სიბრძნედ ჩუჱნდა იქმნების და ყოვლისა ხილულისა და უხილავისა ცნობისა ზედა მიწევნილება გუჱქმნების და შეყვარებითა მოყვასისათა შევიყვარებთ მტერთაცა ამოვნებისა ზნეობითა, რომლითა გუჱლნი და ღრიანკალნიცა იატაკ ჩუჱნდა იქმნებიან. და ბნელნი დემონნი, რომელნი ამღვრევენ სულისა კამკამებასა, იგი ყოველნი ლტოლვილ იქმნებიან გარე ფსკერსა ქუჱყანისა ქუჱშე სამუილისა ბელიერისა და სატანისა თჳსთა თანა. ესე არს მრთელ გონებისა ფილასოფოსობა ჩუჱნნი და ღთისა მეტყუჱლურნი წინდი მინდობისა ჩუჱნისა, ზენა სხუა საუკუნოჲსა, რომლითა მონაგებნიცა ჩუჱნნი თანავე წარგუყუჱბიან მაკურთხეველთა ჩუჱნთა ლოცვითა და მსხუჱრპლებითა და უკეთუ იჴმიონ უმაღლოთა იგინიცა, ჩუჱნდავე მოიქცევიან მაღლისა სამართლითა და წყალობითა და ჭეშმარიტებითა. ამისათჳს ოხვრისა შვილნი უმრავლეს არიან ვიდრეღა ზედის ზედა დამღერებულისა.

Φილასოფიურნი ლექსნი არსთა ნათესავთა, ცხოუჱლთა, სახეთა, განუკუჱთლებთა, ბუნებათა, ძალთა, საზღუართა, მიზეზთა, მიზეზებულთა, რაოდენობათა, რაჲსა მიმართობათა, ვითარებათა, მოქმედებათა, ვნებათა, სადაობასა, ოდესობასა, მდებარეობასა და ქონებასა შეიცავს. სახელმოდგამებთა თანმოსახელეთა, ზიარებადთა არსთა, და არა ზიარებადთა, ჭეშმარიტებთა სამთა, ე. ი. ლოღიკურთა, მეტაფიზიკურთა და ითიკურთა, პოლეტიკასა და მართებულობათა წესდებათა, აქსიომათა, თეორემათა, სილოგიზმოთა, დილემათა, პრობლემათა, ფანტაზმათა, ფანტაზიათა, იდეაებთა და ყოველნი კნინლა და ლექსნი თითოეულნი სრულნი სიტყუანი არიან ფილასოფიურ. ამისათჳს ფილასოფოსსა სიბრძნის-მოყუარე ეწოდების, რომელი ყოვლისავე ხილვისა ცნობითა იცნობს შემოქმედსაცა. მაშასადამე, პირისპირ ფილასოფიისა ღრამმატიკა ალფავიტად შეირაცხების ანუ სიბრძნისა სახლისა დერეფანისა კარებისა განმღებელად. მაგალ., წამალი არსებითი სახელია. ეგრეთუჱ მასალა ღრამმატიკულ, გარნა შეზავება და განზავება და ვითარება არა-რაჲ უწყის ღრამმატიკამან. წამალნი, რომელნი შეიდრგინებიან სამთა ნივთებთაგან, ე. ი. ორძილებთა და ცხოუჱლებთა სხეულებთა და მიწათაგან. ეგრეთუჱ სამსალანი გესლებთანთა ნივთებთაგან. ღრამმატიკა ნეტარებასა უწოდებს და უბადრუკებასა ზედ-შესრულ სახელებად, გარნა არა უწყის ნეტარებისა სუფევისა ძალი და მიზეზი და დაუსრულებლობა. ეგრეთუჱ უბადრუკებითა სიკვდილი და წარწყმედა. ღრამმატიკა სრულიად სოფელმან უწყის თითოეულთა თჳსისა ენებისა ხმა და ლექსნი. ხოლო ფილასოფია თითოეულთა ბევრეულებთა შინა და კნინლა უშტის უშტებთა და უშაქრის უშქრებთა შორის თითო ოდენმან ძნიადად უწყიან. ამად, რომელ ღთისმეტყუჱლებამან ყოველნივე წარმოსტყუჱნა და ყოველნივე მეტალოღიად შეირაცხნენ, ამისათჳს განცოფებულ იქმნენ ქურუმნი და პითონნი და ორაკულნი და ბონძნი და ბრამანნი და რაბინნი ტჳნიებისა თჳსისა ქვიშათა ზედა მაშენებელნი წიგნაკებისა თჳსისა საგნებისა. ხოლო ფილასოფია ჩუჱნ ქრისტიანეთი დაიწყო ზეცისა აზმნობისა შემეცნებასა ზედა. აჰა, ესე-რა განდიდნა, ამაღლდა, განათლდა და რქა მაღალოჲს თხემსა ზედა სოფლისასა ევროპა, რომელნი მზე ფილასოფითა თუალთა უპირობენ ახილვასა ამერიკისასა, აფრიკისასა და აზიისასა, რომელნი ლამიან ყდებთა ფილასოფიისა წიგნებისა გამოცნობასა, რამეთუ ჯერეთ სინაღოლთა და მეჩიდთა და ბომონებთა არა ეცნათ, რომელთა მელნი უმეტეს აბრალებენ ჭვრელებთა მათთა შინა დამკვიდრებულნი.

Φილასოფია ოთხი ოდენ წიგნნი: ლოღიკა, სიტყუა უცთომელი. ფიზიკა, ბუნება, არსთა საქმენი. ეთიკა—ცხოვრება ამოვნებითი და მეტაფიზიკა—ზესთა მეცნავი უხილავისა მხოლოჲსა და უხილავებთა პსიხებისა.

Φილასოფია განიყოფების სამათ ოდენ: ე. ი. ბუნებითი ცნობა ღთისა და ნივთებთა ძალისა და მიზეზისა და მიზეზოვნებისა და პოლეტიკურ ჰსჯულვილებითად მართვად თავისა თჳსისა და ერისა თესლებისა.. კეთილდღეობად ამისათჳს ხმა ღთისა მეტყუჱლებს და ხმა ერისა. ნეტარ არს ერი იგი, რომლისა მეფა ფილასოფი არს, რომლისაცა მეფე და მთავარნი მისნი გვიანა სჭამენ პურსა, ე. ი. საქმეებთა დიდ-დიდებთა და მრავალთა და ბევრეულებთა შესრულებისა

შემდგომ. განთიად მეხუთე ჟამითაგან შუადღისა მეხუთე ჟამადმდე და ესენი კმა-იყვნ ჶილასოფიურ სჯანი.

ღრამმატიკულნი გინა ღრამმატიკა ელინურ წერა ლექსია, გინა ზმნა, მაგალ. ვღრამავ, ე. ი. ვტჳფრავ, რომელი მეტყუჱლებაცა არს შინაგან მდებარეთა ლექსთა და სიტყუათა კაბადონსა ქარტასა ზედა.

ღრამმატიკულნი სიტყვა შეიდრგინების რუათა ლექსთაგან რომელნი ნაწილნი სიტყვისანი არიან. ამად განესხვავების ჶილასოფიასა, რომელ ლექსი არა არს სიტყვა, არამედ ღრამმებთაგან ასონი და მარცვალნი შედგებიან და ამათგან ლექსნი და მათგან სიტყვა. მაგალ, მე, იონა პითიკი, ვჳსწერ წიგნსა ამას კელიასა შინა განთიად მეექვსე ჟამითგან და შუადღე მეოთხე ჟამითგან ვიდრე მეათე ჟამადმდე და შუაღამცა ხშირადრე ვთხზავ სულსა შინა შემოკრებულისა გონებითა და სურვილითა და გულისხმისყოფითა. რათა ვინ უწყის ვმსახურო ხელითა ჩემითა საღთოთა ძმათა ჩემთა და სრულიად იუჱრიისა სახლისა ძეთა და ასულთა განსწავლილთა. აჰა, რაბამ მხიარულ ვარ, ჵი ძალო და შესავედრებელო ჩემო, მაღალო არსებაო, ცხოუჱლ-ბრძენო, რომელმან მამიზეზე, შენ წარმართენ საქმე ესე ხელთა ჩემთა და ქმნულნი ჩემნი წარმიმართე სათნოდ შენდამი. ახ ვაშა, ვაშად იჩქით ცქაფად კარავნნი ესე ცქიტებ სიბრძნისად, საშუალ ა. ანისა და ჵოესა.

იხილეთ, ძეო მეფისაო, ზემო იგი პერიოდი მუხლი ეგეოდენთა ლექსებთაგან შედრგინებული, ერთი ოდენ მხოლო სიტყუა შესრულდა. ამად ღრამმატიკასა კრიტიკა მარადის ემდევრების. და უმეტეს ქართულსა ჩუჱნსა, რათა ზედ-შესრულნი სახელები განირჩას, ე. ი. მეფობა, მღვდელობა, მთავრობა და ეგევითარნი არა არიან ზედ შესრული. ზედ შესრულია შემთხვევითნი, ვითარ ფერნი, დაკოდილება, ჭირი, სენი, მთვრალი, მაღალი, მდაბალი, ფართო ზრქელი, სქელი. ცხრო-ხურვება, დამბლა, ფილენჯი, გრძელი, მოკლე და ეგევითარნი. იხლ. ფილასოფიური ღრამმატიკა, ე. ი. ფილასოფოსთაგან შეწყობილი მეცნავისა ელლინურისა და ლათინურისა და რუსულისა და ქალდეურისა ენებისა მცოდნისა. ეგრეთუჱ ზმნებისა და მწყსვა თითოეულისა უღვლილებისა ქუჱშე და შემწე ზმნებისა მოძიება მაგალ. წარგზავნილ ვიყავ, უკუ-მომქცევი ზმნა. მაგალ., ვბან, ვწმედი და სხვანი.

კვალად განრჩევა მოქმედისა პირისა ბრუნვანი და ვნებულისა



სინტაქსსა შინა. მაგალ ჶარნაოზმან იწყო მეფობა, მირიანმან მიიღო მეორე შობა, ვახტანგისაგან აღშენდა ტფილისი, თამარ მეფემან განადიდა იუჱრია, რუსუდანისაგან განიპო სკიპტრა გიორგისა. აჰა, რუანივე ბრუნვანი მოითხოვებიან თითოეულთა მოქმედისა პირისაგან, და ვნებულისა თჳსნი. იხილ. ღრამმატიკა ანტონ კათლ.ზ. და ესე კმა იყავნ ღრამმატიკისა სხვაობანი პირისპირ ფილასოფიისა, რომელ ღრამმატიკოსი არა არს ჶილასოფოს, ხოლო ფილასოფოსი ღრამმატიკოსცა არს.

ფილასოფიურნი ზმნანი და ღრამატიკულნი ზმნანი ვითარ სხვაობენ ურთიერთისაგან? მიგება მკითხუჱლისადმი:

## თავი მეათსამეტე:

მოიხსენეთ, უგანათლებულესო, ზმნა ფილოსოფიურნი და ზმნა ღრამმატიკულნი ურთიერთ მახლობელ არიან. თჳნიერ მარცხულთა ზმნებთა, რომლითა ხმარებითა არსი კეთილი წარწყმდების მოქმედი პირი, ვითარცა ზმნებითა თჳსით განჴორცდა პიროუჱლი სოფელი. ეგრეთუჱ ზმნითა თჳსითა მარჯულთა განერა ნოე, ეგრეთუჱ ზნმმითა თჳსითა ქამ მონა იქმნა და მიერთაგან უსწავლელნი განათლებულისა მონა არიან. ეგრეთუჱ ესავ და ისმაილ თჳსისა ზმნებისაგან განვიდენ და გაწარმართდენ ბოროტ-ზნეობისა თჳსისა ზმნებისაგან. აჰა, ებრეელნი აღთქმისა ძენი დიდ-ფრიად რქა ამაღლებულნი მღუდელობითა, მეფობითა და წინასწარმეტყუჱლებითა და უფროსღა მიერიც შობითა სქესთაგან იუდასა, რომელი თჳსთა არა შეიწყნარეს. რომელთაცა თჳსითა ურჩებისა ზმნებითა არა თუ ძუჱლისა აღთქმის პალესტინე წარწყმიდეს, არამედ უფროსღა ზეცისა უძრავი იეროსალიმი, რომელთა თესლნი აღგავა ქარმან ზეგარდმო რისხვისაგან და მსგავსად მტუჱრისა განაბნია ყოველსა ქუჱყანასა ზედა, რომელნი ქრისტიანეთა მეფეებისა ერისა მონანი და მჴევალნი არიან. ეგრეთუჱ წარმართთა მტანჯუჱლებთაგან იგინი მრჩობლ სახედ იტანჯებიან და სძულსთ უკუღმა მიბრუნებულთა ჴორციელთა ისრაილთა სულიერი ისრაილი, ე. ი. ქრისტიანენი. გარნა იგინი კნინღა და წარმართთაგანცა მოძულებულ არიან, რომელნი სინაღოღსა შინა თჳსსა გოდებენ დიდ-ფრიად მრავლისა — მეტყუჱლებითა მმვედრებელნი, რათა მოეცეთ გაცხებულებული ანტე, რომელმან რკინისა კუჱრთხითა ყოველი ქუჱ-

ყანა გუწმოს და იგინი შეკრიბოს პალესტინასა შინა. და სრულიად ქუწყანისა ოქრონი და ვერცხლნი და სპეკალნი მიზიდულ-ჴყონ სამარიად და ვითარცა ესუ ნავემან გაბაონელნი-ჰყო მეწყლედ და მეფიჩხედ, ეგრეთ სურსთ ყოვლისა სოფლისა თჳსადმი მონებად. ხედავთა, ძეო მეფისაო, მარცხულნი ზმნები ბოროტ ურჩებითი ბრუქებისა ვითარ მიმზიდველობენ თავისუფლებასა ბოროტად ჴმარებითა. იხლ. საღთო წერილნი.

ზმნა ქართული ორ სახედ განიყოფის, ე. ი. პირუწლი არს შინაგან მდებარე გონება, რომელი სულისა ზმნობა არს. აჰა, აწმყო პირდაპირი ვიზმნი, ე. ი. ვიგონებ, ვაზმნობ, ვგონებ, მიდამო ორთა იდეათა, გინა მარტივსა იდეასა ანუ რთულებსა, რომელნი გარეგან იწარმოებიან თეორეტიკა პრაქტიკად, ე. ი. მეფე სული უძრავი ძრავს გონებასა და ესრეთ მშობელობს ლექსთა და სიტყუათა. ხოლო ლექსნი და სიტყუანი საქმესა, გინა საქმეთა ე. ი. ვზმნაობ, ვარსებობ, ვცხოველობ, ვმყოფობ, ვარ, ერთბამად მარტივ მცხოველებელითა და რთულ განცხოველებულითა, რომელნი არსებით სხუა და სხუანი არიან, ე. ი. სული უხრწნელი და ხორცნი ხრწნადნი. გარნა ბუნება ერთი და იგივე არს ყოვლად უუსაკვრუწლესად ე. ი. ინებებს მეფე, ერჩის ქალაქი. იწადებს ხორცთა ტაძარი დრკების უაღრესი უდარესისა თჳსისადმი. და ესევითარისა იწროსა კავშირითა შეკრულ არიან ურთიერთისადმი, რომელ ორკეცნი ესე წისქვილნი ზენა და ქუწნა ერთ მხოლო პირად შეკრებულნი არსებით ორნი ბუნებით ერთ არს, რომელთა ვცნობთ საქმითაცა გარეგანით შინაგანთაცა, ე. ი. მიმრთმევლობენ ხუთნი გრძნობანი ხუთეულებთა საგნებთა მეფე სულისადმი შემხმელნი იგიცა მათვე ჰსჯის. მხიარულებს მეფე ქალაქი, გუამი მისი მისთანავე იშუწბს. მწუხარებს მეფე კეეშნებითა, ქალაქიცა მყის მისთანავე მჭმუნვარებს და ელმოდეს რა ერთსა ასოსა, ყოველნივე მისთანა ივნებენ. და მეფე სული ეძიებს კუწბასა გუამისა თჳსისა კნინლა და უჳფალი ლოქ ბრიტანია — ანგლიისა იჭვნეულებდა ნუუმე სულიცა სხეულევან იყოსო ესევითარისა ერთისა ბუნებისა გამო სულისასა და ჴორცთასა, რომელი გაშურდულა ჰსიხოლოღიამან მეტაფიზიკისამან. რამეთუ ნიშატები სულისა ზესთა არიან და ხორცთა ქუწნა .რომელსა მეფე სული მცხოუწლებელი აცხოუწლებს გუამსა პირისა თჳსისასა და ესე ზეგარდმო ტიპიკონი არს დიდ ფრიად უუსაიდუმლოესი, მოცემული სული მადლისათჳს ჩუწნდამო და ჴორც ამპარტავნებისათჳს წმინდა მამათა ხმათაებრ.

უგანათლებულესო, ზმნანი ფილასოფიურნი მრავალ ბევრეულ არიან. ე. ი. რაოდენნიცა არსნი არიან თითოეულთა თჳსისა ბუნებითისა სჯულისა ზმნანი ქონანთ ზეგარდმო მოცემულნი, რომელნი თჳსისა არსებობისა ბუნებისა ზმნებითა განესხუავებიან ურთიერთისაგან, ე. ი. ძვრითა და მოქმედებითა. აჰა, ცეცხლი მოძრაობს მოტყინარობითა, ჰაერი-მიმოლუწდებითა, წყალი-ნოტიობისა დაღმართ შთაჭავლებითა, მიწა შეწებებითა და უშორეს.

სამთა მმეფებელთაცა თჳსნი ზმნანი ქონანთ, ე. ი. აღორძინებითისა ზმნანი თითოეულთა თჳსნი რაოდენ საზოგადონი, ეგოდენ უმეტეს საკუთარნი, ე. ი. ნათესავსა-ცხოუწლობითი სახეთა თჳსისა ფორმისა და განუკუწთლებსა თჳსისა ნაკუწთებისა. ეგრეთუწ ორძილებთა-თჳსნი და მეტალებსა—თჳსნი და თჳთ სოკოთა და ხავსებთა თჳსნი ზმნანი ორძილობითი განრაოდენებისა. და ყოველთავე იძვრისობითი ზმნანი აქვთ დაუცხრომელნი, ვიდრე ანაგებებისა ხრწნილებამდე. და თჳთ ხრწნილებაცა განხრწნილებისა ზმნებითა დაიროლუწვიან და მუნ მიიყვანებიან, საიდგანცა მოძრაობისა ზმნებმან აწარმოვეს მუნვე მიქცევითა შეერთვიან, შეყოფილნი დიდისა მოძრაობისა თანა, ე. ი. სოფლისა.

პლანეტთა მთიებთა-თითოეულთა თჳსი ძვრაჲ აქვსთ და თჳთ მზესაცა—თჳსსა კერძსა ზედა ვიდრე პოლუსებადმდე მერიდიანულნი ღორიზონტებსა ზედა და ათ ორთა ეტლებსა ზე თთუწბისასა და უზმნო, ე. ი. უმოძრაო არცაღა ერთი რომელნიმე ნივთნი არიან და ცხოველნი, თჳნიერ ერთისა მხოლოო უძრავისა, რომელი თჳსითა უძრაობითა ძრავს ყოველთავე თითოეულთა განუკუწთლებთა, სახეთა, ნათესავთა და სქესებთა. და გუარებთა. განყოფითად, თითოეულთა თჳსსა არსებასა შინა მოგრკალებულად ურმის თუალსა შინა, ე. ი. სფერასა შინა, ამის სოფლისა ზედა და ატმოს სფერასა შინა, სამყაროსა შინა თითოეულთა რაოდენთა და რაჲსა-მიმართობათა და ვითარებათა შინა მოქმედად, სადაობასა შინა-ოდესობითგან ქონებითად.

ზმნანი პირუტყვითანი არიან ორნი ოდენ უმთავრესნი, ე. ი. მშვნვიერობითი. ცხოველ-მოძრაობა ბუნებითი, აღორძინება და გრძნობანი შიმშილისა, წყურვილისა, ტკივილებისა და გარეგანნ იძულებითი სიცხისაგან და სიცივისა. ხოლო მეორე წადილობითი

შეყოფა მამალთი დედლებთა თჳსთა სქესებთა მიმართ განმრავლებისათჳს და მესამე, რომლითა იყვანებიან შინაგან ბუნებისაგან, ე. ი. საზრდელთა მიმართვენ და სასმელთა. იხლ. ფიზიკა.

თესლებისა ზმნანი არიან საშოსა შინა დედალთასა ძვრისაგან აღორძინება, გარნა ორსახედ იძვრიან პირუჱლ მუცელ ქმნულებთაგან. და მეორედ-თჳსისა ნიჭებულისა ბუნებაებისაგან ზეგარდმო. თითოეულნი თესლნი თავთა თჳსთა განმყოფნი დედათა თჳსთაგან. აჰა, ესე არს ზმნანი მათნი, ე. ი. მოძრაობითი მოქმედება, რომელთაგანნი უკეთუ თავისა თჳსისა ზმნისაგან დასცხრენ, რომლისამე შემთხვეულებითა განიხრწნებიან და აღისპობიან ნაკუჱთობისა თჳსისაგან, ე. ი. ყოვლადობისგან და მიიღებენ პირუჱლსავე მდგომარეობასა, ე. ი. ატომობასა, რომელ არს მღჳრობა და შევლენ სიტფონი ცეცხლადვე და ნოტიონი წყლადვე და მიწა მტუჱრადვე და ჰაერი წულილებადვე. იხლ. ფიზიკა.

თესლებისა, მდელოთა და ნერგებთა, და თერძეულებთა ზმნანი არიან გარეგანისა ხრწნილება, რომელნი მიწებისა წიაღებთაგან განტფობითა განიხრწნებიან გარსნი, ტყავნი, ქერქნი, კანნი და დალპებიან და მსგავსად კუჱრცხებისა განიპობიან ზემო ეპიფანიისა მხარენი. და ესრეთ და ესრეთ შინაგანნი ძალნი თითოეულთი თჳსისა თესლებისამებრ აღმოეცენებიან ზემო აღმა და ორ-სახედ მოქმედებენ თჳსითა ზმნებითა ცხოუჱლ მოძრავნი თესლები, ე. ი. დაიბმენ ჩინჩლებსა, ფესვებსა, ძირებსა რაოდენობისამებრ თჳსისა. ეგრეთუჱ ზემოკერძ ღერთა და წუჱლებთა და რტოაკებთა შეამზადებენ ძალნი იგი საიდუმლონი და ესრეთ განორძნდებიან, ვიდრე მწუჱრვალებადმდე მიწითაგან ტენისა აღმზიდელნი ზემო სოლინარებსა შინ თჳსსა და ღრუდუებსა და ღრუებსა შინაგან ეგრეთუჱ დღისი სიტფოსა მიმღებლობენ მზისაგან. და ღამე მთოვარისაგან გრილობითი ნოტიოსა და მსგავსად ქსელნი იგი თესლები ზედად შეიქსოებენ ოთხთა ამათ ატომებთა, ე. ი. ცეცხლისაგან-სიტფოსა, წყლისაგან—ტენსა, მიწისაგან შენივთებასა და ჰაერისაგან—ფორმა ღრუდოთა ღრუთა და სოლინარებსა. თჳთ კჳრივნიცა, რომელნი შესაძლებელ არიან განხილუად ჭოგრებითა. და ესრეთ გამოსცემენ ყვავილთა, ფურცელთა, ნაყოფებთა დათესლდებიან მამალთა თესლებთაგან დედლად, თესლები კვალად აღმოსაცენებლად. იხლ. ფიზიკა, რომელთა დათესლებასა საიდუმლო ქორწინება ეწოდებისთ. და ოდეს შესრულდებიან დასცხრებიან განრაოდნებისაგან. იხილენ



კუროსთავნი, და ვჴონქნი, ეკალნი, რომელნი გამახვდებიან მოზარდობისა დაცხრომისა შემდგომ.

ყოველთავე ნერგებთა და მდელოთა და ასფოდელოთა და ბოლქუჱბთა თჳსნი ნაკუჱთობითი ნათესავთ აქვსთ და ფერნი და სუნნი და გემონი და მსგავსებანი თითოეულთა თჳსისა გუამისა და სქესებისა. იხილენ ბოდანიკანნი და ველურნი ტყენი და თივანი და ყოველნივე მოზარდნი თითოეულნი თჳსისა სახისა და ნათესავისა არსებისა ბუნებისა და თჳსებისა მექონნი თჳსისა ძალისა ზნებითა.

ორძილნი გარეგანნისა ძალ დამაყენებლობისაგან ივნებენ, რომელნი აროა უტეებდეს აღზრდად ზემო კეფინებისაგან გინა ფიცხელისა გუალვისაგან ანუ წყალისაგან მიურწყველნი, მტილნი, სამოთხენი, წალკოტნი, ბაგანი, ვენახნი, ვარჯოვანნი, აგარანი, ეგრეთუჱ უწვიმარობისაგან გინა ნეფხვათაგან ხმელთა ზამთართაგან და გრიგალისა ქარებისაგან და ელვისაგან და ძვრისაგან ზედას-ზედა მიწისა და ეგევითართა ვნებაებთაგან და შეუზავებელისა ჰაერისაგან.

კაცისა არსებისა ბუნებითი ზმნანი არიან საზოგადო ძვრა გულისა თითოეულთა თჳსისა ძალისაგან ძლიერად ანუ დუნედ: მშჳნვა ფირტუჱბისა, ღვიძლი, სიცილი, ცრემლნი და ცხვიკება ცხვირსა შინა შესრულისა გარდევნად ჰაერისა, ძილი, შიმშილი, წყურვილი, ჯდომა, დგომა, წოლა და შეძვრა უცებ გუამისა. ესე ყოველნი საზოგადოდ აქვსთ კაცთა, ეგრეთუჱ აღორძინება და მოკლება სნეულებითა და ტკივილებითა და მასრაკისა ნაწლევისაგან ხარშვა და ცოხნილებისა მეორედ გბოლვა. და განკუჱბა ურჩხისა ნაწლევითაგან სკორისა და ასოთაგან შარდისა, ენისაგან დუჟისა და ფურთხისა და ცხვირისაგან წჳნტლისა და თუალებთაგან ცრემლებისა და ყურებთაგან შედედებულისა ნოტიოთი, ფრჩხილებთა და თმათა და ბეწუჱბთა წარცვლანი, ესენი საზოგადო ზმნანი არიან კაცთა ნათესავებისა, ე. ი. საქმენი ბუნებისა არა ჩუჱნ ქუჱშე ფლობისა და წინა აღრჩევისა ნებისაგან და სურვილისა, არამედ პირუელთა მშობელთა გარდასვლითარე იქმნა ესე. ვითარნი ანაგები და მოკლება და სულისა უნებლიეთი შრომანი. მაშასადამე, ხორცნი არა თუ შვრებიან, არამედ იშრომებიან პირველთა ცოდვისა ძლით ამისთჳს აროა ძალუძს სულსა აღზვავება და ამპარტავნება და უკეთუ განლაღნეს, აპრკოლებს მეორე კავშირი თჳსი, რათა არა აღიმაღლოს,

რომელსა მოამდორებს ხორცნი და უკეთუ შესლბეს ხორცნი, განაძლიეროს სული და ესე ვითარებისა სახითა შეუღვილნი არღარა არიან ორ მარჩბივ და წყვილ, არამედ მრჩობლნი შერდგინებულ არიან ერთ მხოლო პირად, რომელთა ბუნება ორისა არსისა ხილულისა და უხილავისა ერთი ოდენ არს, თვინიერ აღორძინებისა და მოკლებისა, რამეთუ მარტივ-ცხოუჱლი არა მიითუალავს აღორძინებასა. ამისათჳს არცაღა შეიწყნარებს მოკლებასა, გარნა ხორცნი აღორძინდებიან ვითარებისა რაოდენობითა სულისა თვისისაგან განცხოველებულნი რათა ორითავე ადიდებდეს შემოქმედსა თჳსსა. ე. ი. სული გონებითა თჳსითა და მორჩნი მისი ჴორცნი გრძნობაებითა, რომელთა საგანი უპირველესი ღმერთია გრძნობაებითა განხილვად თავისა თვისისა და ზეგონებითა ღთისა და ორისავ შესაბამებითა სწავლად სჯულისა მაღლისასა და სათნოებისა მისისა აღსრულებითა მსახურებად. მეუფისა, რომლისა სახელი საკჳრუჱლ არს, რომელსა საკჳრველად უყოფიეს მარტივი და რთული ნივთიგუამი და ორთაგანვე მოქენაობს თჳსდამი მსახურებასა. ვითარცა იტყვს საღთო წერილი: ადიდეთ სულითა მაგით თქუჱნითა და ჴორცითა მაგით თქუჱნითა, რომელ ხარ ღთისაგან. იხლ. წმ. ჴური პავლე.

პირთა თითოეულთა თჳსნი ზმნანი გვაქვს. აჰა, მძინარესა გარეგან გრძნობაებითა აქვს ძვრა გულისა, შინაგან რომლისა ძვრასა ვერა მგრძნობელობენ ხუთნი სარკმელნი მეფე სულისა, გარეგან დაბურვილნი ჴშირითა ძილითა. და თჳთ სულიცა ვერღა მეცნავ არს ვერაგისა ქურდისა საუნჯისა წარტყვენისასა.

უგანათლებულესო ძეო მეფისაო, სამნი საკჱრუჱლებანი იხილუჱბიან ე. ი. ბუნებითი ზმნანი სამნი. მაგალ. გუამსა ჩემსა შინა ჟამსა ძილისასა. პირუჱლი სულისა ჩემისა, რომელმან გარდაიბეჭდა ძუჱლი და ახალი აღთქმისა სჯული ათი და მადლი შვიდნი, ნიჭნი სულისა წმინდისა და საიდუმლო შვიდნი ეკლესიისა და ცხრა ნეტარება და ათნი ნაყოფნი და ათ ორნი სიმოვლო მწამსი. და ჯუარი ესე, რომელი აღვხდე საწერტელად ჴორცთა ჩემთა უუგულითადესითა სიყვარულითა ღთისათა და მოყვასისათა რომელ არიან ცათა შინა ყოველნი წმიდანი მეოხნი და ეგრეთუჱ მათ-თანა აღსრულნი ღირსნი და ქუჱყანასა ზედა შჳლნი ეკკლესიისანი, რომელნიცა ეძიებენ პირუჱლად სიმართლესა, სიწმიდესა და პატიოსნებასა ე. ი. უნჯსა სასუფევლისა. აჰა, ამად ყოველთა ჟამსა ძილად მისვლისასა



გამზეპირებელი წარმოვადგენ მათ ყოველთა და ვრქვამ სულსა ჩემსა: აჰა, ესენი იწვართე თავსა შორის შენსა მოცალებულმან ხუთთა სარკმელებთა ჵოხსენებისაგან და აჰა, ოდეს პირუჱლნი სარკმელნი თუალნი დამეხშვიან და შემდგომ ყურნიცა და ყნოსა და პირი, მაშინ იწყებს მეფე სული გუამისა, ჩემისა იწყებს ზრახუასა თავსა შორის თჳსსა ყოველთავე დედნებისაგან გარდახატულებთა ლექსებთა და სიტყუებთა, რომლითა კნინლა და სწვთდების საგნებთა მათ ზემოხსენებულთა პირმშოებთა, რომელი გონებასა თჳსსა წარავლენს შვიდთავე ადგილებთა შინა, ე. ი. მარჯულ, მარცხულ, ქუჱმო, ამიერ, იმიერ წინარე, უკან, იგვრდივ და უმეტეს ზემორე უძრავსა საუნჯესა შინა, სადა მინდობილ არს წინდითა და საღთო იჭვისათა რომელ არს უეჭველობითი ნოიტნი და აზმნოპა მოძრავისა სოფლისაგან, განსლვა უძრავსა შინა და ესრეთითა შემჭვალვითა საგნებისათა შინაგან მდებარეებთა მეხსიერებათა შინა საგნებთა მათ თჳსადრე იმსჭვალავს. ელლინურ იდეაებთა მათ ე. ი. ხატის-ხატებათა და სახის სახებთა და ნაკუჱთებისა-ნაკუჱთებთა და სამთა განფენილებათა. გარნა ღმერთი, რომელი ზესთა არს ყოვლისა ხატთა, იგი მხოლოდ ლექსებით იზრახჳს სულისა ჩემისაგან, ადონა ელოი, იელოვა, ღრია ერთი მეუფე, მყოფი, უკუნითი მარადი, უდასაბამო უდაუსრულებელი ე. ი. უოხჭნო, უსაზღვრო, რაოდენ უუსაჭიროესად მიწთომილი ძუჱლთა და ახალთა აღთქმაებთაგან, ე. ი. რაოდენითაცა შემეცნებითა მივსწვთებით სჯულითა წმიდითა მისითა და მადლითა სახიერებისა მისისათა, რომლისა სახელი საკვირუჱლ არს. მაგალ., უკეთუ დიდ-ფრიად მწყურვალი მივიდე ოკეანისადმი, მუნ სადა მდინარენი ერთვიან მას, ეგოდენსა ვიხმევ, რაოდენნიცა ხმა მეყოფიან მე. ეგრეთუჱ სფეროსა სოფლისასა ეგოდენსა ვხედავ, რაოდენნიცა ძალუძს თუალთა ჩემთა. ეგრეთუჱ ვცნობ ღმერთსა, რაოდენნიცა გულისხმის-ყოფასა ჩემსა ძალუძს ბუნებითად და უმეტეს საღთოთა წერილებთაგან მომიღიეს. და ესე კმა არს ჩემდა და უკეთუ უმეტეს დავშვრები ლოცვითა. და მარხვითა და სიწმიდითა, ეგოდენ უუმეტეს ნათელი იგი სამარადისო და ეგრეთ განმანათლებს მამა სახიერი შვილსა შემყვარებელსა. ხოლო ოდეს განვიდე ბნელისა ამის კრეტსაბმელისაგან, მაშინ პირისპირ ვიხილავ ეგრეთ, ვითარცა იგი არს. აჰა პირდაბურვილსა შუადღე წმიდასა კითხა ვინმე უცებმან: ჯერეთ რად არს ხედავ ნათელსა მზისასა? მიუგო მეუდაბნოემან, რათღა მიხმს ჟამიერი ნათ-

ლის ხილვა, ესერა მოველი ზესთა ნათლისა ხილვასა. აჰა, ამათ ყოველთა ზრახავს სული ჩემი მღჳძარედ შემჭვალული გუამის ძილისა ჟამებსაცა შინა, რომელი გონებითა თჳსითა ცეცხლმოტყინარეთა ხერუვიმებთა-თანა შეერთებულებს, ვინაჲთგან სული გულსმოდგინე მაქვს მარტივი უსხეულო, ხოლო ჴორცნი უძლურ, ამისათჳს განუსუჱნებს და თჳთ არს უძილოდ მზრახველ. ესენი არიან სულისა ზმანანი კნინღა და უსხეულოდ და უხარის სამხიარულონი და სწუხს სჳნიდისითა შესაძრწუნებლისაგან ჴორცთა ძილისა ჟამებში. და ოდეს დიდ ფრიად განკრთეს უხილავისა ძალითა თჳსითა, შესძრავს სული, მშჳნვიერსა და მის მიერ გუამსა და ესრეთ მეფე განაფრთხობს ქალაქსა თჳსსა, რათა განეროს ზმანებისა განსაცდელებისაგან და ორნივე ერთად შეკავშირებულნი მივცემ მადლობასა შემოქმედსა განღჳძებული და ესე კმა იყავნ სულისა მღვიძარებისათჳს.

იხილეთ, მეფის ძეო, სული ქალაქ-დაძინებული მომავალთა, მყოობადთაცა შემთხუჱვაებთა შეემეცნების. წმიდათა კაცნი ღთისაგან და მის მიერ მოვლენილისა ანგელოზისგანცა, რომლისამე დემონისაგან, რომელი იხილავს ძოღან და გუშინ და შრანდითგან ნამყოებთა ქმნულთა მათვე მიუთხრობს გარნა თჳთ არა-რაჲ უწყის ქმნადი, ეგრეთუჱ თჳთცა სული მექონი სიბრძნისა შეემეცნების, გარნა ბნელად და ხაოსიანად ამისათჳს სიზმარნი და ძილის შორისნი და ზმანებანი სამნივე განყოფელ არიან, ურთიერთისაგან. ხოლო შეტყვება მათი განთიად მისნური იქმნების. სთქუა ბრძენმან სოლომონ ზეგარდმო ბრძანება. დამიახლოებს ეკკლესიასტესა შინა, რაჲცა ყოფილი იგივე ყოფადი და რაჲცა ყოფადი — იგივე ყოფილი, ზენა ბრძანებითი განსაზღვრებულნი ქუჱნად შეუცვალებელად აღესრულების, და ვინღა სიზმრებთა ამხსნელთა შეცვალონ შესამთხვევნი და შემთხვეულნი არცაღა ერთი, ამისათჳს მესიზმრებისა დუმილი ჯერ არს ლოცვითა და მოთმინებითა, რომელითა განსაცდელნი განქავრდებიან და მოსალოდებელნი მარჯულნი მოახლოვდებიან:

მშჳნვიერისა სულისაცა სიზმარნი მახარებელ არიან, ვითარ მეძავისა და მემთვრალისა და მარცხულთა მიდრეკილებათა გამეორება ძილსა შინა მათვე წუნპებისა. გინა ეკკლესიურ, რომელსა დაცემა ეწოდების, შემთხვევა ესევითარისა და ვითარიცა მიდრეკილება აქვნდეს სინპატიანი კაცად კაცადსა მათივე გამეორება ესევითარნი, რომელთამე უსიტყვთაცა აქვსთ, ვითარ ძაღლსა წადილი



შეყოფისა და ყეფა და ცხენთა და ღორთა ზმანება საჭმელებთა. ამად, რომელ არა დასცხრების შინაგანი ძვრა მათი იხლ. ბუნებითი ისტორია მშჳნვიერ მოძრავი.

კუალად კაცისათჳსვე ვმეტყუჱლო ძალისამებრ ჩემისა. აჰა, უკეთუ დიდ-ფრიად მძინარე ფლეღმატიკი თჳსისა ცხედრითა ანუ სარეცელითა ერთის სახლითა ან წარიღონ მეორესა სახლსა შინა, უგრძნო იქმნების. გარნა ხელებთა ჟამ-ჟამ აღიღებს, ერთის ადგილითგან მუნვე დაიდებს. ეგრეთუჱ ფერხებსა. ეგსახედვე გადაბრუნდების, მერმე გადმობრუნდების, თავსა დასდებს მიმო სასთუმალსა ზედა და უკეთუ სწეროს ერთის ღამისა ისტორია მძინარისა, აღივსების ქარტა. გარნა განიღვიძოს რა განთიად დაძინებულმან სრულიად დღე, მეორე დღეთ ეჩუჱნების დაღამება იგი და ეკითხოს რა ძილსა შინა მოქმედებანი არა-რაჲ უწყის. აჰა, ძვრანი და ზმანანი ძვრისანი ბუნებითი მძინარეული ესენი არიან. და რომელნიმე მემთვარიენი კნინღა და მოქმედებენ თჳნიერ ცნობეებისა. რომელნიმე მეტყუჱლებენ, სხუანი მელანხოლიკობენ, ვიეთნიმე სანღვინიკობენ და ხოლერიკობენ და ფლეღმატიკაობენ ხშირსა ძილსაცა შინა სისხლებისა და თელგმებისა ნაღვლებისა და თესლთა განხურებათა-მებრ. გარნა არა-რაჲ უწყინ დინება და მოძრაობნი. იხლ. ანატომია. სნეულსა ჴურვებითა გარდარეულითა მრავალნი ჩუჱნებანი და მეტყუჱლებანი ქონანთ. და უფროსღა დიდი ჭირისაგან, გარნა არა-რაჲ უწყის მზგერავმან. ვიეთნიმე იტყვიან მაგნიზისა ზმითა სნეულისაგან თჳსისა წამლისა სახელისა მეტყუჱლებასა, ე. ი. რომელიცა განკურნებს. გარნა ესე სიჩქური არს თჳთ მომგონიცა ჟამსა სნეულებისასა დამვიწყებელ იქმნა სახელებთა წამლებისათა. და ესრეთ გაცრუვდა სახელის დაშთომისა მოყვარე. ეგ-სახედვე სისხლისა და წოლითცა იქმნების მოძრაობა მისუსტებული, რომელსა სოფელნი მაჯლაჯუნასა უჴმობენ. სხუათა ვითთამე ძილსა შინა დამბლა და ფილენჯი ეკუჱთებისთ უგრძნობელადრე. და ანთება და დაწვა ხორცთა. აჰა, ესენი და უმრავლესნი ძვრანი და ძვრისა ზმანანი არიან.

თითოელთა გუამისა შინაგანთა სხეულებთა ვითარ ფირტვსა, ღვიძლსა ტყირპსა, ბურთსა, თირკლმებსა, ნაღუჱლსა და თესლისა მთაკრეფასა კერკასა შინა წყვილისასა თითოეულთა თჳსი ზმნები აქვსთ. ეგ-სახედ ყიასა, ენასა, თუალებთა, ყურებთა, პინჩებსა ცხჳრისასა და გარეგანთა ასოებთა ხელებთა, თითებთა, ფეჴებთა და

ყოველთავე სახსრებთა და სადრეკებთა და თაგუნთა ძარღუჵთა და ტენონთა ძარღვაკებსა თჳსნი ზმნები აქუსთ ძულებთა, ტჳნთა, ჴორცთა, ტყავთა, კანთა, გარსებთა და წევრებთა, ნაწილებთა და კერძოებთა თითოეულთა თჳსი აქვსთ ძვრანი, რომელთამე-მეტნი და ნაკლნი. მაგალ, ვითარცა ფორტეპიანისა ძალებსა, გარნა ყოველნივე ზულსა ერჩიან. ხოლო გული-სულსა, მეფესა თჳსსა. გარნა სული ესრეთ სდგას, ვითარცა გახურებულსა შინა რკინისა მახვილსა-ცეცხლი, რომელი განცივდეს რა, არღა იხილვების ადგილი ცეცხლისა. ეგრეთუჵ სული მცხოველებელი განვიდეს რა, არღა იხილვების გუამსა შინა ადგილი უსხეულოდ მარტივ-მცხოველებელისა. უკეთუ გნებავს გამოძიება ამის საიდუმლოჲსა, პირუჵლად იქმენ მლოცუჵლ და მმარხუჵლ და წმიდა ყოვლესაგან მიწისა და სცან ჟამისა იგი წამი, ოდეს განუალს სული შენი მაშინ ძალგიძს ცნობა სულისა შენისა უმეტეს განყოფისა ჟამსა. ანუ მიენდე მაღალსა, რომლისა ხელთა შინა არს მოქლონი და გასაღები სულისა შენისა. იგი უტყუელ არს, რომელმან ორივე დაბადა ე. ი. სული. და ნივთი. შენ უკეთუ ძალგიძს გამოსცან ხუთისა თთუჵბისა მიდგომილისა შობადი ვაჟი არს ანუ ასული. ანუ აღრიცხენ თმანი შენნი. და ბეწვნი და იხილენ კერკასა შინა ჭაბუკისა მეუღლიანისასა რაოდენნი ძენი და ასულნი უსხედან შობადნი. აჰა, თჳთ-ხილულთათჳსცა დუმილი ჯერ არს, რომელნი საიდუმლონი არიან. ხოლო უხილავისა, რაოდენ უსაიდუმლოესობა თანა-გაძს ე. ი. სულისა, რომელნი თითოეულნი ხატნი არიან და მსგავს მაღლისა არა ბუნებით, არამედ მადლით. იჭვნეულო ნატურალისტო, შეუდეგ კუალსა ციცერონისასა, რომელმან სთქუა სული, გინა სულები უკვდავ არიანო, რომლითა ყვედრებეულ ვყოფ ცოფიერ ფილასოფოსთა, რომელთა მარცხულიოცნეს სულები, ოდეს წარვიდე მათ თანა გავბასრავ ოჩოპიტრეთა მათ. და უკეთუ არა ესრეთ ვყო განკიცხვა მათ პირ-ხენეშთი. იგინიცა ვერღარას მაწყინებენ მე, ამისათჳს არცა ერთისა მჴრით მაქვს სირცხვილი. იხლ. თანამდები ციცერონისა.

ზმნა სულისა და ჴორცისა ორისავ ერთ ბუნებობით არს. ამად, რომელ ერთი ყოვლადი პირი ერთისა საქმისა მექონ არს, რომელი ქუჵშე სულისა არიან თჳნიერ შიშშილისა, წყურვილისა და ძილისა და განჴევებისა და დინებისა. გარნა პირუჵლად ფლობა და ნება და ნებება და სანებურნი, ნებებითნი განვსაზღროთ.

ფლობა, ე. ი. თავისუფლება და ნება ორნი ესე დიდნი ძალნი



ქონან სულსა, ე. ი. კაცსა ყოველსა, რომელნი ერთმანეთსა ნაცვლად არა დაიდებიან არამედ განუყოფელ არიან პირუჵლი მეორისაგან. აჰა, ფლობა, არს ხატებასა შინა გება, კეთილად მიერ ცნობითგან კეთილისა და ბოროტისა, ხოლო ნება არს დატევება ბოროტისა და აღრჩევა კეთილისა, რათამცა ნებაცა მსგავსივე იყოს თჳსივე არსებისა, ე. ი. შინაგანი კაცი გონება და გულისხმისყოფა და გარეგანი საქმენი. აქარა იკითხავს პირუჵლთა მშობელთა ფლობა წარწყმიდესაა ანუ ნება, ესე იგი, ხატი თუ მსგავსება? მიგება: ორნივე. მეორემან ადამმან რაჲ აწარმო? მიგება: ხატი და მსგავსება განაახლა ე. ი. ფლობა და ნება უკუმოუქცია. რაჲთა ათითა ოდენ ნაკუჵთითა ჰსჯულისათა, რამეთუ მეცნავს ათთა მცნებასა მცნებაებთასა ფლობა აქვს აღსრულებად. ამად, რომელ ცოდვანი ყოველნივე მცნებითა გამოცნობილ არიან. მაშასადამე, ფლობასა, ე. ი. თავისუფლებასა ძალ-უძს ლტოლვა ცოდვათაგან, რომელნი რისხვასა ზეგარდამოსა შეიქმენ. გარნა უკეთუ გარდაჴდეს ვინმე ერთსაცა რომელსამე მცნებასა, არღარა არს თავისუვფალ. ამად, რომელ ფლობა თჳსისა არსებისა და ბუნებისა წარწყმიდა. და იქმნა პირუტყვ, რომელთა არა აქვთ ფლობა, ე. ი. თავისუფლება, რომელნი კუჭისა წადილითა იყვანებიან.

აჰა, ესერა ნება აღირჩევს ახლისა აღთქმისა მადლისა აღსრულებასა, ე. ი. წარმწყმედელი ფლობისა რომელ არს თავის უჳფლებისა ათთა მცნებათა გარდასვლითა შთავარდების შვიდთა სასიკუვდინოებთა ცოდვათა შინა და იქმნების ტყუჵ და მონა და მსახურ ცოდვისა, რომლითა ფლობა, ე. ი. ხატი დაეცემის რისხუასა შინა ზეგარდამოსა. მაშინ მყის ფლობა შეიკვრის მიდრეკილებისა საბლებითა და მიეცემის პატიჟსა დილეგსა შინა შეცვითა ცოდვასა ხელბორკილებითა და ფერხებ-ბორკილებითა შეკრული. მაშინ არღარა თავისუფლებისა ფლობა დაუშთების, თჳნიერ ნებისა, რომელსა ნება არა ოდეს მიეკიდების არცა ფიზიკურ, არცაღა პოლეტიკურ უფროორე-არა სადა. რაჲღა აღადგენს დაკუჵთებულსა ფლობა მიჴდილსა, ე. ი. ნება აჰა, ინებებს ახლისა მადლითა სინანულსა და ზედას-ზედა სინანულისა ნებითა და ნებებითა და ნებებულითა და სანებურისა, რომელ არს სათნოება ახლის მადლითა, რომელ არიან ცხრა ნეტარებანი მწვრთელი ფლობისანი. ესრეთ შეეწევის თჳსსა უპირატესსა მოყვასსა. და მსგავსად აზარმაცისა, აღმართებს ფლობასა დაცემულსა ნება პრაქტიკული. მაგალ აჰა, სამნი სამსალანი

ე. ი. პირუჱლად ჴორცთა ჩემთა წადილნი. მეორედ მელთა მწარეთა განზრახვანი, უტკბილესად ჩუჱნებულნი. და მესამედ სოფლისა ბოროტნი წინაშე ჩუჱნთა სდგანან. რომელთაცა მიღება ძალუძს ფლობასა ჩემსა, ე. ი. მაქვს თავისუფლება სამთვე შესმად. გარნა ნებასა ჩემსა ძალ-უძს მირიდებად სამთავე მათგან და ქმნად მათი, რომელნი ფლობასა ჩემსა კეთილსა არსებასა სიკეთესა შინა დაიცავს, ე. ი. სარწმუნოება, სასოება და სიყვარული მაღალისა პირუჱლისა კეთილისა.

იხილე, ძეო მეფისაო, გარეგანნი იძულება ოდესმე მიჴდის ფლობასა. უფრორე ურწმუნოთა ვითარჰყო მახვილითა და წიგნაკითა, რომელ წარმართთა და ურიათა არღა აქვთ ფლობა. რომელთა მხოლოდ ნებაღა აქვსთ. ე. ი. აღრჩევა წარსაწყმდელისა რომელთა ნება, ნებება და ნებებიობა იცვალა ვნებად, ვნებულებად და ვნებებულებად. რამეთუ დეეცა ფლობა ხატი მათი ჴორცთა წადილებისა ხვიმირსა[1] ქუჱშე. და ნებითი მსგავსება მათი ვნებულთა. ბუნებისა ქუჱშე. ამისათჳს უძნელდებისთ ტყუჱობისაგან გამოსლვა თჳსი, რომელ არიან ბოროტ-ზნეობა და საძაგნი ამოვნებანი:

მოიხსენეთ დიდ ფრიად მორწმუნეთა ვერავინ ვერარაჲთა მიჴდის ფლობასა და ნებასა, რომელ წინასწარმეტყუჱლთა და მოციქულთა წმიდათა და მოწამეთა ფლობითა და ნებითა დაამტკიცეს სიყვარული მაღლისა. რომელთა ჴორცნი თჳსნი განახერხინეს. და დაწვევინეს უსახურთა, რომელთა ფლობა და ნება მწყურვალე სურვილმან განაძლიერა, რამეთუ ფლობასა ღ ნებასა მუნვე უხსენ შემწენი თანაშობითად და სწავლითადცა უმეტეს, ე. ი. სურვილი, ზენა ტრფობა, გულითადობა და მხურვალე სიყვარული მეებრ მაღლისა. რამეთუ იცის ფლობამან გულისხმის-ჰყოფით, რომელ მატლ არს კაცი და მონა და ტყუჱდ მსახურ პირუჱლთა მშობელთა ცოდვისა. გარნა იქმოს რა ფლობა და ნება მეორისა ადამისაგან მონიჭებული, იქმნების მეფე, ძე და სძალ და ასულ და უფროსღა მადლით ღმერთ. აჰა, ამათ წინდ მინდობითა ვეღავინ მიუღო ფლობა თავთა თჳსთა ზედა და არსებული წმიდათა ღთისა კაცთა. ეგრეთუჱ, მმუფლებელთა ზედა უსახურთასა ნება თჳსი აღასრულეს, ე. ი. არა განდგომა ღთისაგან, არა მისვლითა კერპებთა მონებად, რომელთა ნებითა თჳსითა ნება მაღლისა აღასრულეს. და ესე კმა იყავნ ფილასოფიურნი ზმნანი, ე. ი. სიბრძნისა ზჳნანი.

[1] სიტყვა წერა გაურკვევლად.



აჰა, ღთის მეტყუჱლურნი ზმნანი არიან ქმნა ათთა მცნებაებთა და შვიდთა საიდუმლოებთა და ლოცვისა და მარხვისა და ცხრა ნეტარებისა და ათ-ორთა სიმოვლო მმრწამსისა და უპოვარებისა და მოთმინებისა და სულგრძელებისა და ყოვლისა ზეგარდმო ბრძანებულებისა აღსრულება ძუჱლისა, და ახლისა და შვიდთა მსოფლიოთა კანონებისა და ეკლესიისა ტიპიკონებისა, მოძრავთა და უძრავთა და გამჩუჱნებისა, ე. ი. ცერემონიისა.

ზმნანი არიან თითოეულთა ცხოუჱლებისა შინაგანი ძვრანი, რომელნი თჳთცა მოძრაობენ. მაგალ, აჰა, მე ვიძვრი უძრავისა მცხოუჱლებელისაგან, ე. ი. სულისაგან განცხოველებული გუამი ჩემი იძვრის, ხოლო მე ვძრავ იგვრდივ ფერჴებითა გზასა და იგვრდივ ჰაერსა და მას შინა ნოტიო წყალსა და ხმელსა ცეცხლსა. ეგრეთუჱ ნათესავი, სახე და განუკუჱთელნი თითოეულნი ძროულნი მძვრელცა არიან ხოლო ძვრა მიწისა ყოველთავე თანა-იტანს მას ზედა მდგომარეთა, მწოლარეთა და დადებულთა. ეგრეთუჱ ყოველნი პლანეტნი იძვრისობენ ზეგარდამო განსაზღვრებითა, რომელი უძრაობითა თჳსითა ყოველთავე ბუნებისამებრ მათთასა ამოძრავებს, რომელ ყოველთა არსთა არსებათა იძვრისობა განარძეს თითოეულთა თჳსნი და უკეთუ დასცხრენ ძვრისაგან შეიცვალებიან დიდ-ფრიად მაგალ. ვითარ, ცხოველნი მკჳდრადრე ანუ შეისვენებენ ხრწნილებისაგან უხრწნელად იხლ. ღთისმეტყუჱლება.

იხილეთ, სულებთა ფიზიკურნი ძვრანი არარაჲ აქვთ, გარნა მეტაფიზიკურ ძვრა მისი ანუ მათნი არიან მგონებლობითი ძვრანი. ხოლო მაღალსა მხოლოსა არცაღა ერთი ამათგანი რაჲმენი ქონან, რომლისა არსება და ბუნება უძრავ არს. ეგრეთუჱ თჳსებანი უცვალებელ არიან, ვითარცა სამპირებითი. ეგრეთუჱ არსებობითი იხლ. ღთისმეტყუჱლება.

ზმნა ღთისა არს მყოფობა თჳთ. და ყოვლისა შემძლებლობა და სიბრძნე და მართვა ხილულთი და უხილავთი და ცუა წვლილთა, დიდთა, წვნიკთა და ყოველთივე თჳსსა საზღვარისა გრკალებსა შინა, რომელი თითოეულთა შინა და გარე და უსაზღვროდ ყოვლადად იხილვების. ეგრეთ ჳთარცა მზე ჴომლისა ბირთვებსა შინა, რომელი თითოეულთა ნაკუჱთებსა შინა სრული მზე იხილვების. ერთი იგი მრავალთა შინა სულ სრულად, ანუ სარკისა ნამუსრთა შინა, გინა წყალთა და ცვარებთა და ყინულებთა შინა წყლტუთა ნივთებთა ზედა. და ესე კმა იყავნ ზმნებთა ცნობანი, რომელ ზმნანი არსებისა ანუ ბუნებანი არიან და არღაცა ერთი რაჲმეა უზმნო.

ზმნანი დემონთი და მათთა მსახურთანი არიან ფლობისა, ე. ი. თავისუფლებისა გარდაქმნად გონებად ურჩებისა და ნებისა, ვნებაებად, ვნებულებად და ვნებულებითაობად, ე. ი. ტყუილისა შვილის წულებად, რომელთა სძულსთ ნათელი. და ჭეშმარიტება, უყვარსთ მამა თჳსნი ტყუილი და ბნელი და თჳთ-სჯულობა და ამპარტავნება და მთავრობა ბნელისა და არა ნებავსთ სინანული, რამეთუ არღარა აქვსთ თავისუფლება. და ნება ბოროტთა შინა მაბუნებითობითად, რომელნი მხოლოდ ძრწიან მაღლისაგან და რწამსთ შემოქმედი. გარნა სათნოებასა მისსა უარყოფენ, რომელნი გარდამოევლებისა თჳსისა გარდამოთხევით მიზეზნი თჳთ არიან, რომელთა შურითა აცთუნეს პირუჱლნი მშობელნი და აცთუნებენ წარმართთა მეფეთა და ერთა მათთა უმეტეს, რომელნი მსახურთა თჳსთა სულებისა და ჴორცთა ჭურჭლებში შთაასხმენ შჳდთა მაკჳდინებლებთა ცოდვათა და მწვირეთა და აბზინდებთა. და მყრალობათა და ფისებთა თჳსთა და ცხებენ ენებსა მწვალებლებთა და ბოროტთა კაცებთასა. და გრძნებათა მისნობათა, მოგობათა და უღულვებასა. და პითონობასა, ათეისტობასა, ნატურალისტობასა, კერპებთა-მსახურებასა, რომელნი სრულიად ცოდჳსა ღმერთები არიან ე. ი. — ბოროტთა ზმნებისა. აჰა, მარცხენანი ზმნანი ესენი არიან რომელნი მოშუჱბულ არიან ზეგარდმო ჩუჱნზედა, რათა მძლეველთა ძლევისა გჳრგჳნები მოვიღოთ მაღლისაგან. რამეთუ არღაცა ძნელ არს ძლევა მელთა მათთი. ჯუარითა. და სახარებითა. ამისთჳს მოუშვა მასწავლელმან ძლევისამან, რათა ვძლიოთ მათ, რომელ ძლეულთა მათგან პირუჱლთა მშობელთა დაცემითა, რომელნი სამითა ოდენ ლექსებითა შეაცთუნა, ე. ი. ღმერთობა აღუთქვა—უკვდავება და ნათელი გარემოქცევათარე, ე. ი. გონება, სიკვდილი და საუკუნო ბნელი პატიჟნი. გარნა მაღალმან ყოვლისა შემძლებელმან ტყუილნი მათნი უქმი საქმით აღგვისრულა, ე. ი. ნამდვილ მადლით ღმერთგვყო და უკვდავ. და ნათლით შემოსილ რამეთუ დემონებისა. და ცოდვათა და სიკვდილისა საწერტელ ჯუარი და სახარება არს. და ესე კმა იყავნ შემეცნებად ზმნებთა:

ზმნანი ღრამმატიკულნი ალფავიტურნი არიან თითოეულთა ენებთა თჳსებისამებრ. რამეთუ რომელთამე ენებისა ჴმებსა ანბანი მეტნი და ნაკლებნი ქონანთ ჴორჴისამებრ მათისა. რამეთუ ელლინნი ენის მწვერვალითა და ბაგეებისა მცირედ მიახლებისა ქარითა მეტყუჱლებენ ე. ი. დუნედ ჰაერისა შეძვრითა. ხოლო ჩუჱნ ქარ-



თუჱლნი ენისა მწვერვალთა ანუ ვიდრე მკერდისა კოვზადმდე ყიასაცა შინა ყანყრატოსა შინაგან რომელთამე მარცვლებთა გამოკურჱთით ე. ი. ჴორცი, ყიყინებს, ჴნარცვი, რომელიმე ლექსნი სრულიად მოვლის ენასა, ყბებსა ზემო, ქუჱმო, ამიერ, იმიერ, წინარე, უკან. და იგვრდივ შინაგან, მაგალ. წყალი, გრაგნილი, განჴორციელება, ფრჴივ, ფერჴნი, წყალში, ჭეშმარიტი, ნაწყალობევი, საფრხე და სხუანი უმრავლესნი ეგრეთნი ლექსნი ქონან უვაკოსა ჩუჱნსა ენასა მსგავსსა ჩუჱნისა ქუჱყანისა ეპიფანიისასა, რომელსა ქონან მთანი, ბორცუნი გორანი, სერები, ზეგანნი, კლდენი, ხევნები, ღრიღველნი, აღმართ-დაღმართი და ღვლარჭნილობანი. საგონებელ არს. ჩემგან, რომელ: გაღმართ, გამოღმართ. აღმართ, დაღმართ. და სერებით გაღმა, გამოღმა ყვირილთა და ზახილსა შინა წინაპართა ჩუჱნთა ესრეთითა ძლიერითა ურთიერთისა მიმართ ზახილითა დაუჩვევიათ ენანი თჳსნი, რომელ უჴმო მარცვლებთაგან ჰაერისა გამორეკითა უყვირნიათ ურთიერთისა მიმართ. უფროორე ჟამსა ჴევებთა მოდიდებისასა, რომელნი უქალაქოდ ცხოვრებდენ ვიდრე ვახტანგ გორგასლანისადმე. და უკეთუ მცხეთასა იყო ქალაქი მუნ უმეტესი ყვირილნი და ზახილნი ესაჭიროებოდათ პტკვრისა გაღმა და გამოღმა და არაგჳსა და არმაზის თხემითგან და ჯაჭჳს მთითგან. ესე დაიმტკიცების ვაკისა, სახელმწიფოებისა, ერებისა, ენებისა ხმებითა, რომელნი ენისა მწვერვალებითა მეტყუჱლებენ ახლო ახლო მდგომისაგმო. ხოლო ერი კავკასიანი. და უფროსღა, რომელნი გულითგამო კნინღა და ჴრნატალებენ. და ყოვლითა ძალითა თჳსითა ბგერენ მჭიშდ ენისა და ყანყრატოსა და ქიმითა რათა კლდეთა და მთათა და ხევნებთა ეხოსა აღუმატნ ხმა თჳსი ურთიერთ გაგონებისათჳს. შენდობა იყავნ არა საქირდელად წარმოვსთქვი აზმნობანი ესე, არამედ ნუთუ ესრეთითა ხმარებითა და დაუჩვიეს ენა ჩუჱნი წინაპართა. აჰა, სახელები წმიდათი ებრეელთი, ელლენთი, სირიელთი, და ლათინთი ენის-მწვერვალითა გამოიღებიან. იხლ. სჳნაკსარნი დიდი. და ღეოღრაფია, ისტორია. და სახელი ქუჱყნებისა; აზია, აფრიკა, ამერიკა, ევროპა.

ღრამმატიკისა ზმნანი დიდ ფრიად განეყოფიან ფილასოფურსა ზმნებსა, ვითარცა ზემორე აღმოჩენილნი განვფინენ. აჰა, ზმნანი ფილასოფიურნი ღრამატიკასა შინა სამნი ოდენ არიან ღრამმატიკისაგან უმეშოდ წოდებული, ე. ი. ვნება არა შემოტანილი პირუჱლისა პირისაგან. მაგალ. არსებითი ზმნანი; ვარსებობ, ვმყოფობ, ვბუნე-

ბობ, ვარ, მშიის, მწყურს, მღვიძავს, მძინავს. მაშასადამე, მე ვარ, რაჲ იგი, ვარ მგრძნობი არსებებისა ჩემისა ბუნებითა ჩემითა: ვმხიარულებ, რომლითა იცვალა სული ჩემი. აჰა, ესე ფილასოფიურ ვნება არს. ესე არა უწყის ღრამმატიკამან. ამისათჳს ზმნანი ღრამმატიკისანი უბირ არიან პირისპირ ფილასოფიისა, რომელ ღრამმატიკა მარადის ყრმა არს, ხოლო ფილასოფია მიუკუნისამდე ბრძენ არს.

ზმნანი ქართულისა ენისანი შჳდნი გუარნი არიან, ე. ი. 1. საზღვრებითი, 2 უმეშველობითი, 3. ბრძანებითი, 4. საწადისი, 5. იპოსტეტიკა, თუობითი. 6. სხმით გარდასვლითი, 7. პირნაკლნი და განუსაზღვრებელნი. ესე ყოველნი პრაქტიკანი არიან და შჳდთა დროებთა მასაჩინოე. მაგალ, აწმყო—ვჭამ. ნამყო უსრული — ვჭამდი. ნამყო სრული — ვსჭამე. ახლო ნამყო — მეჭამა. შორი ნამყო — მიჭამია. ახლო მყოობადი — შევჭამო. შორი მყოობადი — ვსჭამო ოდესმე.

აჰა, ვნებითი ესე ზმნა არსებითი ზმნასა შემწედ ისაჭიროებს ნამყო ახლო და შორ დროებსა შინა. მაგალ. აწმყო — ვიჭამები. ნამყო უსრულ ვჭამებოდი. ნამყო სრული — ვიჭამე. ახლო ნამყო— აქა შემწე ზმნა უნდა ჭამულ ვიყავ. შორი დრო შემწევ ზმნითი — ჭმულ-ყოფილ ვიყავ. შინ მარცვალი არ ვიჴმარე, რათა არა წარწყმედილ იყო ბგერა მარცვლისა ამის ვინისა მოსწავლისათჳს ადვილ გასაგონად ენისა უცვალებლობა. ამად, რომელ ელლინნიცა მეცადინეობენ აწმყო მარცვლებისა ანუ ხმოვანისა უცვალებლობასა ყოველსა დროსა შინა. მყობადი ახლო აჰა, აქა შინი ისაჭიროების ახლო დროისათჳს მაგალ, შევიჭამო. შორი მყობადი — ვიჭამო, გარნა არა ყოველთა ზმნებსა ქონან ორი მყოობადი, ე. ი. ახლო დროსი და შორი დროსი. ოდეს ენისა ჩუჱნისა ჴმანი ფილასოფოსებთაგან დარიჯაგებსა სიბრძნისასა დაიტჳფრნენ. და პრაქტიკისა ადიდსა შინა დასუფთავდენ. და ხელოვნებისა ხერხებითა დანაკუჱთდენ. და სწავლისა ქლიბებითა დაწყლუტდენ მქისნი ლექსნი. და გამოცდილებისა ჭოპოსნებითა დავაკდენ ღრიღლოვანნი ლექსნი. და ზედ მიწევნილებასა სიბრძნისა ცხავითა. და უფროსღა ცხრილებითა განცხრილდნენ და უმეტეს ღთის-მეტყუჱლებისა სიმტკიცისა საცრებითა განიცრნენ. მაშინ ნეტარ იყვნენ ყურნი შობადთანი — მეფა ფილასოფიასა შინა. და მეფე ღთისმეტყუჱლებისა ქუჱშე. ნეტარ ხარ შენ, იუჱრიაო, ძუჱლთაგან გაყრმავებულო ტოზიკელთა მესამძღვრეებთაგან, რომელთა აზნაურნი ურთიერთ უწოდენ: ყმაწვილო, ყმაწვილო



კნინღა ჯოშნიცა. ხოლო ამიერთაგან არღარა იქმნები ყრმა, არამედ მოხუცებულ-ბრძენი. და ურთერთ უწოდებთ: თქუჱნო პატიოსნებავ. უვფალო ხელმწიფეო, ბატონო ჩემო. არათუ მმუფლებითა, არამედ დიდ-ფრიადისა სიყვარულითა ურთიერთისადმი. ადრე აღდეგ ივერიაო, და განაღვიძენ შვილნი შენნი გამომყვანებელმან სიბნელისა პარკებისა და ბუდეებისა და ყობულებისაგან და საბურველებისაგან. აჰა, აღმოგიბრწყინა სიბრძნისა მზეჲ ნაზარეველმან ჩრდილოეთისაგან. აჰა, ოქროვანი საუკუნო გაქვს. იღვაწე უზამთრო არესა შინა ზაფხულისასა მოსთვლება ყვავილთა ბიბლიატიკებისა და მომკა ხვავისა ღთისმეტყუჱლებისა, რომელი მცირე იყავ მიერითგან. აჰა, განდიდენ ერითა ესე-რა ქვრივ და ობოლ იყავ ტოზიკელთა მტანჯუჱლებთაგან და მარადის ყრმა, აჰა, იქმენ მარადის ბრძენ და ჯოშ. ე. ბ. არა-რაჲ მიუციეს მონარხული ყვავილოვნება. არცაღა საკუთარნი წმინდანი შენნი დაუწესებიესთ თჳსსა სჳნაკსარსა შინა. შენ ივერიაო, პირუჱლ დაიატაკებულო, და აწ დაღმართებულო, სამნი ლექსნი საპრაქტიკონი თანა-გიძს შენ: მორჩილება, მეორედ სწავლა და მესამედ, უგულითადესი სიყვარული. მ. თჳსი ზღუდედ გარე-მოგარტყა შენ რომლისაგან შემაძრწუნებელსა შენსა ეშინის დიდ ფრიად ზარდაცემულსა. ს. ჯუაროვნითა დაგიჩრდილა შენ მწარისა ხორშაკებითა ტოზიკელებთაგან განვლილსა თავისა თჳსისათა გადიდა შენ. ვაჲმე და ვალალება მე, უკეთუ დემონმან მტერმან უძილომან გულსა შინა გათქმიოს. ვითარ შესაძლებელ არს სიტყვისა აღდგინება და ჩ ვითარ აღმაყვაოს მე. ამას ზედა განრისხდების მაღალი. და უმადლოებით განსვრეტილსა ჭურჭელსა შეემთხუჱვის შემუსვრა ხელებთაგან. ა და ბ და იქმნები უთაო ტყვედვე, ვითარცა იყავ, უუძვრეს პირუჱლისა სნეულ, მარადის განუკურნებელ. აჰა, შეიყვარე კვროს და მოიძულე ნაბუქოდონოსორ ველური, რათა კეთილი გეყოს შენ აზიელთაგან დამბლა დაცემულსა და ბაბილოვნელთაგან ფილენჯ—კუჱთებულსა, ხოლო აწ განკურნებულსა ორთაგანვე, რათა არა გეწიოს შვიდიცა მოუთმენელი სნეულება. ესენი მხოლოდ რომელთამე ღუარძლთა მანთათჳს და ფისთაგანთათჳს ითქვენეს. ხოლო ყოვლადი დაიცუას მაღალმან. და მისგან შეყვარებულმან ცხებულმან ორსავე ცხოვრებისა შინა კეთილდღეობით. ზმნანი ღრამმატიკულნი პრაქტიკანი არიან უგანათლებულესო, იგინი უპყრიეს ღრამმატიკასა. ამისათჳს ღრამმატიკოსი არა არს ფილასოფოს, ხოლო ფილასოფოსი ღრამმატიკოსცა არს, იხლ. ღრამატიკ.

# ლექსიკონი

## ა

ავარა $114_{8}$ — მინდორი.
აზმნობა $62_{3}$ — განზრახვა, ცდილობა.
ამინაშატი $41_{3}$ — წმინდანის გამოქანდაკებული სახე.
ანტაკრი $84_{25}$ — პირისპირ, წინააღმდეგ.
ასფოდელო $127_{3}$ — წყლის მცენარე.
აჯიხტი $111_{19}$ — გამხმარი ხორცი.
არსება $39_{14}$ — „არსება არს თავით თჳსით მყოფი უმოქენოდ სხვათა შემტკიცებისა, სუბსტანცია.
არმური $89_{19}$ — ალმური.
აღძრცვილი $39_{24}$ — ახდილი.
ახყნობა $39_{34}$ — მოგონება.

## ბ

ბალანგრობა $114_{29}$ — მოუსმინარობა. გაუგონარობა.
ბოდანიკა $127_{6}$ — ბოტანიკა.
ბრძმენდი $31_{5}$ — სადნობელი ქურა.
ბრუქისა ძალი $86_{35}$ — სასმელის ძალი, (хмель)
ბუნება $44_{22}$ — „ძალი მოქმედებითი თითოეული არსისა. წესი ბუნებისა დაცული ყოველთა ქმნილთა შორის თვისება". „არსებისა საქმენი არიან. არსება ამოძრავებს თჳსსა ბუნებასა და ბუნება თჳსებასა თჳსსა". თვისება, მოდგმა, ხასიათი.
ბუტკობა $61_{22}$ — ნორჩი, ბუტკოში გამონასკული ხილი.

## გ

გამოხუწბა $87_{4}$ — გამოკლება.
განორძინება $90_{18}$ — აღმოცენება.
განგოზვა $89_{18}$ — გავლება, განსპეტაკება.
განრაოდენობა $49_{19}$ — გამრავლება.
განსჯა $69_{26}$ — „მოქმედება გონებისა, რაჲამც დაამტკიცებდეს რასმე ან უკუთქმიდეს, მსჯელობა.
განუკუწთელი $40_{14}$ — განუყოფელი, განუჭრელი, ერთი სახე, ინდივიდი.
განყენებითი $39_{13}$ — განცალკევებული.
განწუალება $50_{17}$ — ფიზიკური გაყოფა.
გარემზომ $40_{8}$ — წინააღმდეგ.
გარდაფენა $90_{29}$ — დაფენა, დაგება.
გვაჯიობა $69_{28}$ — კეთილი შური.
გვრივი $48_{27}$ — არეული.
გიება $88_{6}$ — მიხვედრა, გაგება.
გულისხმა $46_{9}$ — გონი, ჭკუა, გონება.
გულისხმისყოფა $39_{31}$ — გაგება, განსჯა, მოსაზრება.



## დ

დაუნჯება $33_{1}$ — მოგროვება.
დაჯარეხება $98_{14}$ — ჯარეხი კლდე, გამოქვაბული, უფსკრული.
დარიჯაგი $49_{28}$ — ძალი, ზოგგან-ყალიბი, ფორმა.
დაწერტვა $87_{32}$ — დაჩხვლება, ტანჯვა.
დრესა $63_{5}$ — ჭულეტა.
დიფთერანი $33_{11}$ — დიფირამბები, ქება.
დუბე $112_{30}$ — დაბალი ადგილი, ჭაობი.

## ე

ებგური $32_{30}$ — დარაჯი.
ელმობა $82_{16}$ — ტკივილი.
ეპიფანია $126_{18}$ — ზედაპირი, სიფრიფანა.
ერთბამად $32_{1}$ — ერთად, ერთიანად, ერთბაშად.
ეტიკი $25_{22}$ — გზის მაჩვენებელი.

## ვ

ვითარ — როგორი, ნივთის თვისების მაჩვენებელი.
ვითარება $44_{9}$ — „არსებისა მასაჩინოეა ვითარცა წუა ცეცხლისა". თვისება, მოვლენა.
ვნება $116_{10}$ — ტანჯვა.

## ზ

ზედმიწევნილება $62_{9}$ — საფუძვლიანი ცოდნა, მეცნიერება, გულისხმისყოფა.
ზიარი $44_{7}$ — თანამონაწილე, თანაზიარი.
ზმნა $130_{7}$ — ფიქრი, საზრობა.
ზორვა $79_{7}$ — მსხვერპლის შეწირვა.
ზრახუა გონებისა $45_{9}$ — საუბარი, უბნობა, ლაპარაკი, ფიქრი, რჩევა, აზრი, განზრახვა.
ზრო $116_{27}$ — მცენარის ღერო.
ზუტაკებადი $31_{8}$ — წმინდა, სუფთა, არა სარევლიანი.

## თ

თაგუნი $46_{5}$ — კუნთები.
თანადი $91_{28}$ — ერთად.
თანამდებ $32_{6}$ — მოვალე.
თახამდებობა $46_{25}$ — მოვალეობა, სამსახური.
თეორევტიკა $32_{34}$ — თეორია.

## ი

ისტორიული $107_{3}$ — მოთხრობითი.
იფქვლი, იფქლი $35_{12}$ — შემოდგომის სათესლე ხორბალი.
იჩქით $122_{20}$ — ერთბაშად, უცბად.
იძვრისი $54_{22}$ — მოძრავი.

## კ

კატავასია $111_{20}$ — საეკლესიო გალობის ნაწილი.

კეფინი $94_{24}$ — სახურავი.

კიდონტი $35_{19}$ — ოქროს და ვერცხლის გამოსაცნობი ქვა.

კინძი $102_{18}$ — წერტილი.

კნინღა $44_{13}$ — კინაღამ, ძლივს, თითქმის.

კოლოტი $87_{10}$ — ტიკი ძროხის ტყავისაგან გაკეთებული.

კოლტი $56_8$ — ჯოგი.

კრეტსაბმელი $71_8$ — კარის ფარდა.

კრკალი $92_2$ — სიმრგვალე, წრე.

## ლ

ლალვანი $88_{24}$ — შფოთი, შუღლი, ჩხუბი, ცემა.

ლექსი $62_{12}$ — სიტყვა.

ლიტონებრი $106_{34}$ — მარტივი, უბრალო.

ლიტონი $69_8$ — მარტივი.

## მ

მანგალი $35_{31}$ — ნამგალი.

მანდრაგორი $60_2$ — მცენარე, ვაშლაძირა.

მარტივი $44_{22}$ — ის, რასაც ნაწილები არა აქვს.

მგრძნობელი $39_{16}$ — გრძნობის მქონე, შემგრძნები, შეგნებული.

მეტაფიზიკური $37_{14}$ — „ზესთა ბუნებრივი სწავლა ყოველთა არსთათჳს თვისება ღვთისა და სულისა“.

მეერქენე — გუთნის დედა.

მზეელავი $35_{35}$ — დამანგრეველ-დამაქცეველი.

მზვლევი $91_{14}$ — მძლე, მძლეველი.

მზრახველი $45_{11}$ — მოლაპარაკე.

მთიები $90_{12}$ — განთიადის ვარსკვლავი.

მიდმოება — ტყვილი ლაპარაკი, ჭორი.

მიმოსვლა $70_9$ — სიარული აქეთ-იქით.

მიზეზოვანი $91_{19}$ — მიზეზის მქონე.

მიზეზებული $40_4$ — ის, რასაც მიზეზი სხვაში აქვს.

მომყოვნებით — დაგვიანებით.

მიმყოვრებით $48_{16}$ — დაჩუმებით.

მოუმყოვნებლად — დაუგვიანებლად.

მკდოვანი $33_{33}$ — ფრიად გლახაკი.

მჴმილავი $32_{31}$ — მცველი, ღამის დარაჯი.

მოზოჭვა $89_{23}$ — უწმაწური სიტყვის თქმა.

მოტყინარე $125_8$ — მნათებელი, ანთებული.

მოქენე $30_{15}$ — საჭიროების მექონე, მთხოვნელი.

მროწლე $56_8$ — ძროხის ნახირი.

მრჩობელი — ორკეცი, ორი ნაწილი ერთმანეთის მრქენელი.

მფეშუენებელი $87_5$ — ხორცის დამჭრელი.

მყოფი — არსებული არსება.

მშჳნიერ $54_{33}$ — უტყვი ცხოველი, სულდგმული.

მხოლოჲ $101_5$ — მარტო, ცალკე.

## ნ

ნათესავი $55_{34}$ — გვარი (род)

ნაკუკუწთი — გარეგანი შე'ახედაობა.

ნაოში — ნახნავი.

ნართაულ $61_{18}$ — ზედ დართული.

ნარუქი $87_{17}$ — ახალი ხილი ან რაიმე იშვიათობა.



ნება $69_{26}$ — ძალი სულიერი.

ნებება — ნებაზე მიგდება, თავის დანებება, დათმობა.

ნერჩი $77_{30}$ — ჭურჭლის ქვემო ნაწილი.

ნეფხვი — მშრალი სიცივე.

ნივთი $40_1$ — ელემენტი, კავშირი.

ნინველი $89_6$ — ყრმა.

ნეპტონ — ნიუტონი.

ნიშატი $30_{23}$ — ნიშანი, თვისება.

## ო

ოდესმე — როდესმე.

ორნატი — ხნული, გუთნით გავლებული კვალი.

ორძილი $50_{11}$ — მცენარე, ზრდის ძალი.

ოტება $85_2$ — გაქცევა, განდევნა.

ოფაზი $31_8$ — წმინდა, სუფთა ოქრო.

ოხჭონი — დასასრული, ბოლო.

უოხჭნო — დაუსრულებელი, ბოლოს არმქონე.

## პ

პარტახტი — დაუმუშავებელი ვენახი.

პითიკი $122_{11}$ — მცირე.

პითონი $121_{14}$ — მისანი ქალი.

პირი — სახე კაცისა.

პოლეტიკურნი $91_{22}$ — მოქალაქეობრივი ზრდილობა.

პტული $87_{17}$ — ახალი, უცხო რამ.

პურისმტე $31_{17}$ — ერთად მეპურენი, თანამოსუფრე.

## რ

რამითობა $75_{25}$ — რომელობა.

რაოდენობა $39_{18}$ ’75’ $_{25}$ — რაოდენობა, სიმრავლე ან სიდიდე რაც აღირიცხება გაიზომება.

რემა $56_8$ — ვირთა ჯოგი.

რიტორი — ენამჭევარი.

რიობებ $110_{13}$ — ყალბად.

რუდუნებული $119_{22}$ — გარჯილი, ნაშრომი, შრომით მოპოვებული.

## ს

სადრეკი — ძვლის სახსარი.

საზრდელი $56_{27}$ — საჭმელი.

საზოგადო $90_{26}$ — ზოგადი, მრავალთა კუთვნილი.

საზღუარი $91_1$ — განსაზღვრება, განმარტება.

სარჩვლა $48_{19}$ — გამოქომაგება, დავა.

საქმე $39_{17}$ — მოქმედება, საქციელი.

საყოველთაო $90_{24}$ — საზოგადო.

საწერტელი $72_{15}$ — საჩხვლეტი.

სახმარ $79_2$ — გამოსადეგი, საჭირო.

სახე $56_{27}$ — ის, რაც დაიწერება გვარის ქვეშ.

სახე უსახოვნესი $56_{27}$ — ერთი რომელიმე განუკუთელი, რომლისაგანაც შევემეცნებით მისავე სქესისა სახესა.

სახიერი — კეთილსანახავი, მოწყალე.

სახელმოდგამი $65_7$ — თანამოსახელე, ერთი სახელის მქონე.

სიტყვა $124_{13}$ — ლაპარაკი, საუბარი.

სიტყჳერი $91_2$ — გონიერი, პირმეტყველი.

სიჩქური $191_{24}$ — ოცნება, ზმანება, მოლანდება.
სიჩჩო $90_4$ — სიყრმე, ნინველობა.
სკლატი $53_{13}$ — მაუდი.
სოლინარი $126_{25}$ — წყლის გასადინარი მილი ონკანში.
სფირიდი $77_{11}$ — ჭილობის ტომარა.
სპეკალი $33_4$ — პატიოსანი ქვა.
სჳნაქსარი $133_{14}$ — წმინდათა ცხოვრების მოკლე მოთხრობა.
სჯულვილება—ერთგულება.

ტ

ტენონი $46_5$ — ნერვი.
ტიბიკონი — საეკლესიო სამსახურის წესი.

უ

უდხერი $76_6$ — შეუძლებელის მდომი ან მთხოვნელი.
უმექონო $39_{15}$ — საჭიროების არმქონე.
უნჯი — განძი, სიმდიდრე.
უნე $100_{28}$ — ჯიშიანი ცხენი.
უსივარ $89_6$ — 5-10 წლამდე ვაჟი.
უშტი $121_{11}$ — ათი მილიონი.
უსხი $56_8$ — დასაკლავი, მსუქანი ძროხა.
უშქარი $121_{11}$ — ერთი მილიონი.

ფ

ფლობა $69_{26}$ — უფლება, პყრობა, თავისუფლება.
ფილენჯი $131_{29}$ — ავადმყოფობა, დაგრეხვა.

ქ

ქადაგი — მღაღადებელი.
ქილიკი — მასხარა, ხუმარა.

ყ

ყობული $139_6$ — საცრთხე, საისრე.
ყოვლადი $56_{25}$ — საყოველთაო.
ყოობადი $97_{14}$ — მომავალი.

შ

შედგმული — ნაწილებისაგან შედგენილი.
შეღრგინება — შედგენა.
შეხუწნა $31_6$ — შეტანა.
შემტკიცება $39_{15}$ — შენივთება.
შესმენა $131_{26}$ — გაგონება, გაგება, დამოკიდებულება ლოგიკაში, რაისამიმართობა.
შრანდიდგან $94_{28}$ — შარშანდლიდან.



ც

ცვა $88_5$ — დაფარვა, დაცვა.
ცნობა $62_9$ — ზემობირ მიმოხილვა სოფლისა და სავსებისა.
ცოფიერი $87_{14}$ — შეუგნებელი, ცოფიანი.
ცქაფი $122_{20}$ — წყალის წვეთი.
ცხოველობა $124_{15}$ — სიცოცხლე.
ცხოველებელი. $69_6$ — ცოცხალი, არსებული.

წ

წაქა $93_{17}$ — განაწური, მაწვნის ან სხვ. წვენი.
წიწვა $92_{13}$ — მოწიწებაში ყოფნა.
წყლტუნი $54_{28}$ — უხორცო, მქისე. სიპი.

ჭ

ჭვირობა $32_8$ — ხედვა.

ხ

ხატი $129_{15}$ — შესახედავთ, მსგავსი სახე.
ხედვითი $33_1$ — თეორეტიული.
ხელოვანი $96_{16}$ — მარჯვე. გამოცდილი საქმეში.
ხელოსანი $96_{16}$ — ხელობის მცოდნე.
ხენეში $88_{21}$ — საძაგელი, ცუდი, ურგები.
ხოლმი $94_{18}$ — ჭალი, ვარსკვლავთ კრებული.
ხუასტაგი $119_{26}$ — საუნჯე.
ხუნა. ხუმა — აღება, გამოღება.

## შინაარსი


იონა ხელაშვილი და მისი „34 შეკითხვის წიგნი" . . . . . . 5
§ 1. იონა ხელაშვილის თეოლოგიური კონცეფცია . . . . . . 9
§ 2. სამყარო და მისი კანონზომიერებანი . . . . . . . . 14
§ 3. შემეცნების თეორიის საკითხები ი. ხელაშვილის ნაშრომებში . . 21
34 შეკითხვის წიგნი (ფილოსოფიური ნაწილი) . . . . . . . 31



**Иона Хелашвили**


# КНИГА ТРИДЦАТИЧЕТЫРЕХ ВОПРОСОВ

## (Философская часть)


დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი შ. ხიდაშელი
გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
ტექრედაქტორი ნ. ებრალიძე
კორექტორი ნ. ჯობავა

გადაეცა წარმოებას 4.3.1967; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.6.1967;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 8.25; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 7.26; უე 01312; ტირაჟი 1000; შეკვეთა 353;
ფასი 52 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

## შეცდომების გასწორება

| გვ. | სტრიქონი |  | არის | უნდა იყოს | ვისი მიზეზით |
|---|---|---|---|---|---|
|  | ზევ. | ქვ. |  |  |  |
| 40 | 1 |  | რომელეთათჳს | რომელთათჳს | სტ. |
| 52 |  | 14 | რჴენისა | რპენისა | ავტ. |
| 53 | 16 |  | წყლისა, წყალისა და მიწისა, | წყლისა და მიწისა, | კორ. |
| 71 |  | 17 | სიტყჳიერსა | სიტყჳერსა | კორ. |
| 79 |  | 7 | მშვნვერ | მშვნჳერ | ავტ. |
| 80 | 5 |  | მსხჳილთა | მსხჳლთა | ა ვტ. |
| 97 | 19 |  | მიზეზოვგან | მიზეზოვან | კორ. |
| 108 |  | 1 | დამსმენელიცა | და მსმენელიცა | კორ. |
| 124 | 2 |  | მიზიდულ-ჴყონ | მიზიდულ-ჰყონ | ავტ. |
| 127 | 1 |  | ვჴონჭნი | ვონჭნი | ავტ. |